71/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

გილოცავთ ახალ წელს!

1

1971

# ვაშა ამ ახალ საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზ. ფორჩხიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სალვანი

11 875

164

გამოცემის მეთხუთმეტე წელი

1

იანვარი

1971

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


*მზიური აფხაზეთი „ცისკარში“*

3. ივანე თარბა. ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია
6. ვიტალი ავაბუანი. ლექსები. თარგმნა გივი ძნელაძემ
8. ტაიფ აჯუბა. ლექსები. თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა
9. კლატონ გეგია. კოეტი და მთები.
10. კონსტანტინე ბერხელია. შენი სიტყვა
11. ბორის გურგულია. საკართველოს გაზაფხული. ლექსები თარგმნა ანზორ აბულაშვილმა
12. გენო კალანდია. ლექსები
13. ჯუმა ახუბა. დაბრუნება. მოთხრობა. თარგმნა ჯაბა ასათიანმა
19. ნიკოლოზ კვიციანი. წყალობა მზეთა... ლექსი. თარგმნა გივი ძნელაძემ
20. მუხინ ლასურია. აკვანი. ლექსი. თარგმნა გივი გეგეკორმა
21. რაულ ლასურია. მაბარი. ლექსი. თარგმნა ემზარ კვატაიშვილმა
22. ჯანო ჯანელიძე. ლექსები
24. მურმან ხურციელავა. ლექსები

*პროზა*

25. გურამ ფანჯიკიძე. თვალი პატიოსანი. რომანი. დასასრული
107. ოტია იოსელიანი. მანქანის გაბატაცება. მოთხრობა
113. მაკა ჯოხაძე. ვიოსხოროტები
127. სერგი ჭილაია. ვე და ჩემი პროფესორი. ქრონიკა

*პოეზია*

103. ოთარ მამფორია. ლექსები
123. ემზარ კვიტაიშვილი. ლექსები

*წერილები*

145. ივანე ინგანიშვილი. ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები
152. სერგო თურნავა. პარიზელი მკვლევარის ნაშრომი ირაკლი აბაშიძეზე
157. ყოველი მხრიდან
158. იუმორი



მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აბაკი გაჟრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვეტაძეფითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლოლოთკიფანიძე,
ოტია კაჭკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულელიკირი,
ტარიელ ჭანტურია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაუა,

# აუცილებელი, ტურფა ქვეყანაა!

**ივანე თარგა**
აფხაზეთის მწერალთა კავშირის
თავმჯდომარე

## ახალგაზრდობა ჩვენი ზომავალია

ლიტერატურა, ისე როგორც თვით ცხოვრება, მუდამ იცვლება და ვითარდება. როდესაც განვიხილავთ ჩვენს შედარებით ახალგაზრდა ლიტერატურას, ყოველთვის ვერ დავიწყებთ საბარის რაღაც საკალდებულო ექსკურსით. დღევანდელ აფხაზურ ლიტერატურას უკვე აქვს თავისი წარსული, აწმყოც და, რაც მთავარია, უკეთესი მომავალიც. იმისთვის რომ გავარკვიოთ მისი დღევანდელი სახე და შემდგომი განვითარების პერსპექტივები, პირველ ყოვლისა, უნდა შევხედოთ თანამედროვე ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებზე.

პატარა წერილში, რომელიც ეძღვნება ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის 50 წლისთავს, შეძლებისდაგვარად მინდა ვესაუბრო „ცისკრის“ მკითხველებს ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების უმთავრეს წამყვან ძალაზე — აფხაზეთის ახალგაზრდა ლიტერატორებზე.

ვინც ჩაჰკვირვებია ცხოვრებას, თავის საქმიანობას, მუდამ უფიქრია ღირსეულ მემკვიდრეზე, როგორც მისი საქმიანობის განმგრძობისა და დამაგვირგვინებელზე. უფროს თაობას ყოველთვის ცელის ახალგაზრდობა, რომელიც, ითვისებს რა წარსულსა და აწმყოს, ქმნის ახალს, შემდგომ კი აეთარებს მას და უფრო მაღალ საფეხურზე აყავს.

ეს ხდება ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში და, რასაკვირველია, ლიტერატურაშიც, ადამიანის სულიერი საგანძურის უფაქიზესსა და უწმინდეს სფეროში.

მწერალთა ორგანიზაცია თავისი ყოველდღიური შემოქმედებითი მუშაობის ცენტრში აყენებს ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდის საკითხს.

ადამიანები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვაგვარად მოდიან ლიტერატურაში: ზოგი ახალგაზრდა, ზოგი კი უკვე ცხოვრებაში გამოცდილი, დაბრძენებული. ერთს მოაქვს მხოლოდ მისთვის ჩვეული ახალგაზრდული ტემპერამენტი, ახალი აზრები, _ მეორეს — თავისი გამოცდილება, დახვეწილი მხატვრული სიტყვა. მაგრამ ერთნაც და მეორენიც მწერალთა ორგანიზაციაში, ჟურნალის რედაქციასა თუ გამომცემლობაში მოდიან თავისი პირველი ნაწარმოებებით, პირველი ქმნილებით, რათა, როგორც იტყვიან ხოლმე, მიიღონ თავიანთი საგზური ცხოვრებაში და წარდგნენ მკითხველი საზოგადოების წინაშე.

დამწყები ლიტერატორის ბედი დიდად არის დამოკიდებული მის პირველ ნაბიჯზე, პირველ შეხვედრებზე, ამიტომ ეს შეხვედრები განსაკუთრებულად გულწრფელ კითარებაში უნდა მიმდინარეობდეს.

ახალგაზრდა ლიტერატორს, რომელსაც მოაქვს თავისი პირველი ხელნაწერი, გამოცდილი მწერლები, კრიტიკოსები, რედაქტორები გულთბილად უნდა შეხვდნენ, ელაპარაკონ მათ დაუფარავად, გულწრფელად და თუ გამოუცდელი ხელით დაწერილ ნაწარმოებში შეინიშნება თუნდაც ნიშნის ნაპერწკალი, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გაღვიძება, ყოველმხრივ დაეხმარონ ავტორს, მისცეს სწორი რჩევა, ხელი შეუწყონ, გაამხნეონ.

გულთბილი, გულწრფელი საუბარი, ჩემი აზრით, ნიშნავს იმას, რომ დამწყებ მწერალს ეუთხრათ სიმართლე, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე. თუ მის მიერ წარმოდგენილი ხელნაწერი არ არის მხატვრული ნაწარმოები, არ შემოიტანს, ისე თუ ისე, რაღაც სიახლეს ჩვენს ლიტერატურაში, ეს გულახდილად უნდა ეთქვას ავტორს, ოღონდ ისე, კი, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეილახოს.

ჩემთვის ძნელია მცირე მოცულობის წერილში შევეხო ავტორებთან მეშაობის ყველა საკითხს, ყველა ფორმას, თუნდაც მხოლოდ აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციაში, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ეს ფორმები საჭიროების მიხედვით იცვლიან სახეს ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში და ემსახურებიან მხოლოდ ერთ მიზანს — ფართო გასაქანი მისცენ ნიჭს, უნარს, და ერთხელ და სამუდამოდ ჩაუკეტონ გზა ყოველგვარ უნიჭობასა და უგემოვნობას.

რასაკვირველია, ჩვენ უნდა გავიფაღილწინოთ ლიტერატურული პროცესების მთელი სირთულე და გამომდინარე აქედან, ყველა დაწყებები ლიტერატორის მიმართ გამოვიჩინოთ რაც შეიძლება მეტი ტაქტი, მეტი ყურადღება, გავაძლიერით შემოქმედებითი და აღმოჩენილობითი მუშაობა, არასოლეს, არავითარ პირობებში არ შეეასუსტოთ მათდამი მოთხოვნილობა, ჩაეუნერგოთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

საბედნიეროდ, როგორც სხვა, მრავალ მწერალთა ორგანიზაციაში ჩვენთანაც მოდის ნეჯელი, შემოქმედებითი ახალგაზრდობა, რომელიც ახალ, მძლავრ ნაკადად ერწყმის ჩვენს მზარდ ეროვნულ ლიტერატურას.

სრულიად ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა აფხაზ ლიტერატორებს არ ესაჭიროებათ ჩვენი მხრივ რაიმე შეღავათები. ეს გახლავთ ნიჭიერი, განათლებული, დიდი ინტელექტის მქონე თაობა, რომელთა შემოქმედებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დიდი მასშტაბებით.

ახალგაზრდა აფხაზი მწერალები თავის შემოქმედებაში ისწრაფვიან ასახონ ხალხის ცხოვრების ორმა წყაროები, შეისწავლონ და გვიჩვენონ თანამედროვე ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო.

ამკამად აფხაზურ ლიტერატურაში, ისე როგორც არასდროს, აშკარად იგრძნობა აქტივობა ახალგაზრდა ლიტერატორებისა, რომელთა ნაწარმოებებები ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

ახალგაზრდა ლიტერატორთა ბევრმა მოთხრობამ და ნოველამ შესაფერისი და მყარი ადგილი დიამკვიდრა შობლიურ ლიტერატურაში, გასცდა რესპუბლიკის საზღვრებს და შეუერთდა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ლიტერატურის მძლავრ ოჯახს.

როცა ლაპარაკობთ თანამედროვე აფხაზურ პროზაზე, შეეძლებელია წარმოვიდგინოთ იგი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის ალექსი გოგუას მოთხრობების, ნოველებისა და რომანების გარეშე. ალექსი გოგუს აქვს თავისი სტილი და წერის მანერა, თავისი ორიგინალური სატირვანი აზროვნება, რომელიც სწვდება ადამიანის სულის ულრმეს კუნჭულებს. მისი ნაწარმოებები ახალ ძალას მატებენ სრულფასოვან აფხაზურ ლიტერატურას.

მეორე ახალგაზრდა მწერალი ჯუმა �ლაკონიურად და მძლავრი სატიკანი ენით დწერილ მოთხრობებსა და ნოველებში ასახულია თანამედროვე ადამიანის კეთილშობილური საქმიანობა ჩვენი ქვეყნის გარდაქმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მას შემოაქვს ახალი სიტყვა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მისი ნაწარმოები ჯერჯერობით ერთ სამაღლეზე არ დგას.

შალოდინ აჯინჯალია და ალექსი ჯენიას მოთხრობებმა და ნოველებმა გაამდიდრეს თანამედროვე აფხაზური პროზის სატირულ-იუმორისტული ქანრი. თუმცა მათი წერის მანერა და მხატვრული ქარგა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ახლებურად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი აფხაზი ახალგაზრდობის ცხოვრება და საქმიანობა ახალგაზრდა ბელეტრისტის ნიკოლოზ ხაშიგის რომანში „იქ, სადაც მთა ნაკადები ერთმანეთს ერთვიან“.

აი, ეს გახლავთ არასრული სია ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთაც გაამდიდრეს და მაღალ საფეხურზე აიყვანეს ჩვენი აფხაზური პროზა.

ჭეშმარიტი, ნამდვილი პოეზია ერთნაირად ლტაკენს ყველას, როგორც ხნიერს, ისე ახალგაზრდას. თანამედროვე აფხაზური პოეზია, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარმოადგენს მძლავრ პოეტურ ანსამბლს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის ღირსეული წარმომადგენლები.

ტემპერამენტიანი გიორგი გუბელია, თავშეკავებული, ფიქრიანი ანატოლი აჯინჯალი, ფიცები, ენსპანსიური ვლადიმერ ანქვაბი, ფაქიზი ნელი თარბა, დაჯერებული და ზომიერი მუშნი ლასტრია, დინჯი, ლაკონიური ლირიკოსი კონსტანტინე გეგუჩელია, ხალხური მოტივებზე ამღერებული მუშნი მიქაია, მძაფრი პუბლიცისტური და რორატიული გრძნობით დაჯილდოებული პლატონ ბებია, ღრმა და მრავალმხრივი ნიკოლოზ კვიციანი, მოულოდნელობათაგან დაზღვევული შამილ ფილია; მათთანვე არიან ტაიფა ჯაბა და სარიონ ტარკილი, გენო ალამია, რიულ ლასტრია, რომლებიც ეს-ეს არის შემოვიდნენ პოეზიაში, მაგრამ უკვე მყარად დგანან ფეხზე. ეს არის არასრული სია ახალგაზრდა პოეტებისა, ახალ, ჯანსაღ ძალსა და ძლიერებას, რომ მატებენ აფხაზურ პოეზიას.

უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს დრამატურგებმა ზოთა ჭკადუამ, ნელი თარბამ, ალექსი გოგუამ, გიორგი გუბელიამ; კრიტიკოსებმა: ზოთა სალაყაიამ, სერგო ზუტუბამ, ვლადიმერ წნარიამ, ანატოლ ზუხუბამ და სხვებმა, რომელთაც საგრძნობლად გამოა-

ცოცხლეს აფხაზური ლიტერატურის ეს ჩამორჩენილი ქანრები.

აფხაზი მწერლების ოჯახში ერთსულოვნად შრომობენ ახალგაზრდა ლიტერატორები, რომლებიც წერენ თავიანთ ნაწარმოებებს აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

პერიოდულ პრესაში ხშირად ეხვდებით ახალგაზრდა პოეტებს: ბ. გეენეს, ნ. პარტიდის, გ. ნიოლაშვილს, რომლებიც ლექსებს რუსულ ენაზე წერენ.

დაოსტატდა და პოპულარობა მოიპოვა ქართველმა პოეტმა ხუტა გაგუამ, რომლის ნაწარმოებებსაც კარგად იცნობს ფართო მკითხველი საზოგადოება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დაოსტატების გზაზე დგანან ახალგაზრდა პოეტები: ჯანო ჯანელიძე, გენო კალანდია, მურმან ხურცილავა და სხვ.

აფხაზეთის მწერალთა კავშირი თავისი ეურადღების ცენტრში აყენებს ახალგაზრდა დამწყებ ავტორებთან მუშაობის საკითხს. ამას წინათ მოწვეულ იქნა აფხაზეთის ახალგაზრდა მწერლების თათბირი, რომელმაც გვიჩვენა ჩვენი ახალგაზრდობის შემოქმედებითი დონის ამაღლება. მისი მისწრაფება შექმნას თავის ირგვლივ პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო, უგმირნობასთან ბრძოლის ატმოსფერო. ახალგაზრდა ლიტერატორების ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული და ესთეტიკური დონის ამაღლება მუდამ უნდა იყოს მწერალთა ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანი. ამიამად შვიდი ახალგაზრდა აფხაზი ლიტერატორი გამოცდილი პროფესიონალ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით იმყოფებიან შემოქმედებით ოსტატობას სსრკ მწერალთა კავშირის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აფხაზეთის ახალგაზრდა ლიტერატორთა შემოქმედებაში არ იყოს რაიმე ნაკლოვანებანი. ხარვეზები, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ეს არ არის დამახასიათებელი ჩვენი ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტებისათვის, ჩვენი აზრით, ეს ნაკლი მხოლოდ შემოქმედებით მოუმწიფებლობის გამო იჩენს თავს და დროებითი ხასიათისაა.

შემოქმედების გზა, საერთოდ, მეტად რთული და ეკლიანია და ის, ვინც თავისი მოწოდებით აირჩევს ამ გზას, მზად უნდა იყოს, არაფერი დაზოგოს საყვარელი საქმისათვის, რომელიც მოითხოვს შემართებას, სრულყოფას, გზნებას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 50 წლისთავისათვის ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე წარმოდგენილი არიან ახალგაზრდა მწერლები, რომელთა ნაწარმოებები თარგმნეს მათმა მეგობრებმა — ქართველმა პოეტებმა.

ჟურნალმა „ცისკარმა“ გულწრფელად დაუთმო თავისი ფურცლები ახალგაზრდა აფხაზ ლიტერატორთა შემოქმედებას. მოხარულნი ვიქნებით, თუ ეს შემოქმედება გაამართლებს ჩვენს იმედებს ჟურნალის მკითხველთა წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲘᲛᲔᲓᲘ

გავა დღე, ძმაო,
განა ერთი,
ათი ან ასი —
მეცოტავება მილიარდი, —
მეტიც ითქმება...
და მხართეძოზე წამოწოლილ
აფხაზის სახლში
კართა ხეთქებით
სული ჩემი
შეჯირითდება.

ჩემს აფხაზს ქარი ეგონება,
კეთილ მასპინძელს,
რამეთუ ხორცი სახიერი —
წამიერია!..
იმ მილიარდთა დღეთა მიღმა,
ასე გასინჯეთ,
სულის ლხენაზე
ვიოცნებებ ამიერიდან.

მოეფერება შინ და გარეთ
კაცებს და ქალებს,
მოხუცებს,
ბავშვებს...
ყველაფერი რიგზე იქნება!..
გახარებული სული ჩემი
გამოვა გარეთ
და ყვავილოვან ველ-მინდვრებზე
გაჯირითდება...

... გავა დღე —
განა ათი, ასი,
ანდა ათასი —
მილიარდიც და...
მხნედ იქნება
ჩემი აფხაზი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აი, რამდენი ენა ვიცი მე...

ჟღურტულებს ბარტყი —
მე მესმის მისი.
ზღვა დუღს და ბორგავს —
ზღვის ენაც ვიცი.
გრგვინავენ მთები,
სუნთქავენ ქვები,
წკრიალებს ზარი,
ქილიკობს ქარი;
მზე დიდებული ოქროპირობს,
შრიალებს მთვარე,
მზიან სივრცეში
სხივთა სკდომით
სავსეა არე;
ხეებს და ლოდებს,
ხასხასა კორდებს,
დუღუნა ფერებს,
ჩხრიალა ჩქერებს, —
აქვთ უცნაური
ბჭობა,
დავა და მასლაათი, —
მე ვუსმენ ყველას,
მე მესმის მათი...

თუ გნებავთ —
დავსხდეთ ერთ საღამოს
მდინარის პირას
მე მოგიყვებით —
ვინ რას ამბობს ახალს
და
ვინ — რას!..

თარგმნა გივი ძნელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულის სიღრმიდან

მე მევედრება ლექსი: გამიშვი
და იდუმალი ძახილი მესმის,
გულის სიღრმიდან ფიქრებს ამიშლის,
გულიდან მოდის, გულიდან კვნესის.

ნეტა რა ხმაა, ვისი სტუმარი,
თუ სურს, წავიდეს, ნეტა ვინ უშლის?
ვგრძნობ, იტანჯება ხმა იდუმალი,
დაგუბებულა იგი ჩემს სულში.

კვლავ მევედრება ლექსი: გამიშვი,
ხმა უხილავი, შფოთავს და გმინავს,
ლექსი თავისას მაინც არ იშლის,
რომ სხვის გულშიაც იპოვოს ბინა.

## სიცოცხლე — ერთი ფურცელი

ჩემი წილხვედრი მომცეს მხოლოდ
ერთი ფურცელი,
უნდა დავტიო ამ ფურცელზე
აზრი უცვლელი.
მისწრაფებანი, ვნებანი და
გაკვირვებანი,
ფურცელი რაა, ღმერთო, —
კაკლის ერთი ლებანი!

ვახ, ერთ ფურცელზე
რა უნდა ვთქვა გულდამთუთქველი,
რამდენი უნდა დამრჩეს კიდევ
გამოუთქმელი.
ძუნწი კაცივით დავკანკალებ
პატარა ფურცელს,
ვფიქრობ,
ზედმეტი არაფერი დავწერო უცებ.

თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა.

პლაგონ გეგია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პოეტი და მთები

ვუძღვნი აკაკი წერეთელს

აქებდნენ ამ მთებს, ამ სპეტაკ მთებს,
აფრენილთ ზეცით,
მტერი კი სწვავდა, მაგრამ მაინც
ვერ დასწვეს იგი,
ანგრევდნენ, მაგრამ ვერ მოაფხვნეს
უბრალო კენჭიც
და დგანან ასე ამაყები კიდიდან კიდით.
ვინ თქვა უმთებოდ სუნთქვა აფხაზის,
იმათში ჩვენი ალამისი გვეგულვის რადგან.
ბევრი რაღაცით დაგვემგვანა მთები ლამაზი,
ჩვენც უნებლიედ დავისესხეთ ბევრი რამ მათგან.
მათზე გალობით არ დაღლილან
მგოსნები დღემდე
და უბრუნდებათ სიყმაწვილე პოეტებს — თითქოს.
მრავალთა შორის — შენც უმღერე
ჩემს ამაყ ქედებს.
შენი ლექსიდან დაიღვარა მზიური სითბო.
თავადი იყავ,
გლეხის გული ფეთქავდა შენში,
შენი ხმა სწორედ იმ მაშვრალთა
შვებად მოისმა.
სჭვრეტდი უბიწო მთათა მზისფერ
სისპეტაკეში
აფხაზის სულის სისპეტაკეს
პირველ ყოვლისა.
და ჩვენი გულიც იმახსოვრებს
კეთილსაც, ავსაც;
კეთილს — კეთილი,
მაგრამ ავის პასუხიც ვიცით.
შენი პოემა ამაღლებს აფხაზს,
იგი ქებაა ჩვენი სიტყვის და ჩვენი ფიცის.
გმადლობ, პოეტო,
აფხაზეთი გიმადლის — მთელი,
მისი შვილიც ხარ,
დღეს თვით გიმღერს ღერწმის ღეროთი
და აიტანა სამუდამოდ
სახელი შენი
იმ მთებზე მაღლა,
ვის ნათელსაც შენ უმღეროდი.

თარგმნა ანზორ აგულაშვილმა.

კონსტანტინე გერხელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენი სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას

მთიდან გადმომკდარ მდინარისებრ
სჩქეფს სიტყვა შენი,
მას უდგა ძალა ზღვათა მღელვართა.
ურჯულოთათვის შეუვალი ციხეთა ბჭენი
მისი ნებით და მისი ღონით
განიხვნენ მართლაც.
კვლავ გააცოცხლე და ჩაუდგი შენ
სული ქართლის
განმადიდებელ გმირებს — საოცართ
და მოგვასმინე საომარი ყიჟინი მათი,
ეწირებოდა ვინც ბრძოლაში მამულს სალოცავს.
შენ გასდე ხიდი ისტორიის სიღრმისკენ მძლავრი;
მოდგა წარსული აწმყოს წინარე
და ძალზე ცოცხლად გარდასული მქუხარე ჟამი
ჩვენს თვალწინ მიდის, როგორც მდინარე.
ცხენს მოაგელვებს თუ მოფრინავს აფხაზი — ისრით,
მხოლოდ მას ძალუძს შეეზარდოს უნაგირს ასე,
ელვისებრ კრთება მოქნეული მათრახი მისი,
ჩამოდგა ყველა,
ვინ გაბედავს დაუდგეს გზაზე.
ხელს ვინ წაატანს სავსე მთვარეს — ამაყი მხედრის,
გზის მანათობელს, ვინც გაადნო ყოველი ღამე,
მუხლებზე დგანან მხედრის მტრები დადრეკილ ქედით
ვინღა გაბედავს მოიტაცოს იმისი მთვარე.
მთიდან გადმომსკდარ მდინარისებრ ჩქეფს
სიტყვა შენი,
მას უდგა ძალა ზღვათა მღელვართა.
ურჯულოთათვის შეუვალი ციხეთა ბჭენი
მისი ნებით და მისი ძალით განიხვნენ მართლაც.
შენ გასდე ხიდი წარსულსა და ამ დღეთა შუა,
საუკუნენი მოდგნენ ძველნი — აწმყოს წინარე;
მათ ჰპოვეს ენა, ერთი ენა და იმ წარსულმა
ჩამოიარა ყველას თვალწინ, როგორც მდინარემ.

თარგმნა ანზორ აბულაშვილმა.

# საქართველოს გაგაფხული

მოეკიდა ღრუბელს ცეცხლის
ალი გასაკვირველი,
ფართხალებდა თითქოს ზეცაც,
ვით დაჭრილი ფრინველი.
ბოროტებას სჭედდა ღამე,
გრუხუნებდნენ ღრუბლები
და ახელდა მაინც თვლებს
ქამი თავისუფლების.
დაიბადა დღე ნათელი
თებერვლის მზის ალითო
და ვარსკვლავი, ბოლოს, ქართლის
ცის თავანზეც აინთო.
შემობრძანდა გაზაფხული
შუქით უმხურვალესით
და ჯეჯილად იქცა ხნული
იმის თბილი ალერსით.
მერე წყლები ჰქუხან მთებში
და ბნელ ღამეს მივარღვევთ
და ილიჩის ნათურებში
ღვიძავთ მზიურ ნიაღვრებს.
გადახედეთ მწკრივებს — ჩაის,
ვენახებს თუ ბაღნარებს.
ზღვად მომსკდარი მოსავალი
დღეს — კაცის გულს ახარებს.
ზვარს თვალი ვინ გადუწვდინა
ზღვასავით მოშრიალეს...
და მადანიც მოდის მთიდან,
მერე ცეცხლად ბრიალებს.
დამდნარ ფოლადს, მდუღარ ლავას
მე განთიადს შევადრი.
ხარაჩოებს დაუფარავს
ქართლი — ველით, სერამდი.
მისმა შრომამ, მისმა ბედმა
დაუყენა ნათელი.
და ოცნებობს, ეძიებს და,
ჰპოვებს კიდეც ქართველი.
აუყვავდა სოფელი და,
აუყვავდა ქალაქი.
ჩვენი ხოტბა ოფლგადამსკდარ
მშრომელს — შემქმნელს ბარაქის.
საქართველო ხარობს — ჩვენი,
შრომა მისი ფრთებია;
ყოველი დღე გამარჯვების
შუქით გადმონთებია.

თარგმნა ანზორ აგულაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზ ა მ თ ა რ ი

ძეხორციელი
მისჯდომია მხიარულ ბუხარს,
წინ ტაბლა უდგას
გვერდით — სავსე ჭურჭელი თიხის.
ქარია გარეთ,
მინდვრად ალვის ხეები სწუხან,
ათოვს იმერეთს
და ნიშვით მიცურავს ლიხი.
ქარია გარეთ,
თეთრი ეშვი უბრწყინავს ზამთარს,
შორს მთები დგანან —
ჩემი სიყრმის ნათელი ძმები.

გადაღმა ტყეში
თეთრი ხარი მოუკლავს აფთარს
და გვიან ღამით
გაუვლია ციცაბო გზები.
ქარია გარეთ,
ცრემლის მარილს ლოკავენ მთები
და ვიწროებში
მწვავარივით გზა მიდის მაღლა,
გადაღმა ტყეში
თოვლს მოარღვევს ქორბუდა რქებით
და წუთისოფლის
ჭიდან ქრება ბედითი აფრა.

## ა ლ ვ ე ბ ი

გადაუღობავს
ცა ოდიშის ფიქრიან ალვებს
და ბინდი ფარავს,
ვით ყვითელი მდინარე წვიმის,
მზე ენატრება
მწუხრის ჟამით მოქანცულ კალთებს
და ადრიანი
შემოდგომის ფერადი სხივი.

კედელ და კედელ
საუკუნის უკუნი კიბით
მიოცავს ხავსი, —
მეცხოვნის ჯიუტი სული,
და უფალივით
შემოსილი წარსულის დიბით,
იძინებს ციხე
და უფეთქავს დაღლილი გული...

# ლაბრუნება

უწინ, მირზას მუდამ თან სდევდა ერთი ჰანგი. ხომ არ შეიძლება ვინმეს მოუთხრო, რას დუდუნებს მორაკრაკე ნაკადული, არც იმ ჰანგის გადმოცემა შეიძლება სიტყვით, მირზას რომ ჩაესმოდა დაუსრულებლად. სულის სიღრმეში მგრძნობიარე, სათუთი სიმი გაბმულიყო, დაჭიმულიყო: გზად თუ მარტოობის ქამს, იგი თითქოს უხილავმა ხელმა შეარხიაო, ყდერას იწყებდა. ხან წყნარი, ხან კი ხმიერი ჰანგი იძვროდა და მთის ნაკადის დარად შეუწყვეტლად მოედინებოდა.

ჰანგი თანდათან ატყვევებდა მირზას. გული იცინოდა, ხარობდა. იგი იმ ბავშვსა ჰგავდა, რომელიც სიზმრად ფრთაშესხმული დაფრენს ლაჟვარდში. აღტკინებული მირზაც, რომელიღაც უცნობი ქვეყნისაკენ მისწრაფვოდა, ზღაპრულ წალკოტს ელტვოდა. ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვის მიღმა იყო ის ქვეყანა, იდუმალი და მიმზიდველი.

დაე, იმ მთათა კალთებზე შეფენილ ტყეებს, ყოველ ღილას ფანჯრიდან რომ ხედავს, შემოეძარცვოთ გაყვითლებული სამოსელი. დაე, მწვანემ მზემ გადააჭკნოს ბიბინა ბალახი, მირზას ზღაპრულ წალკოტში მარადჟამ დაღანებს ლბილი, ხასხასა მოლი, ხეთ მწვანე მოსავთ მუდამ, ნიადაგ ყვავილობენ ვახარებელნი. ხმაწკრიალა ბალახი იწყებს იმ სიმღერას, მირზას რომ ფრთებს ასხამს, ხენი კი გუგუნა ბანს ეუბნებიან.

იმგვარადვე მშვენიერი, როგორც ის მარადჟღერი ჰანგი, გამოეცხადა მირზას თავი და თავი მელოდიისა. და გაიხარა ამ შეხვედრით ქალწულმაც. გალაღებული, თვალმომცინარი, ყვავილებით ხელდამშვენებული მიაბიჯებდა ქალწული წალკოტში, მისკენ ისწრაფოდა. აი, მიუახლოდა კიდეც, და ჰგავდა კალდთაგან თავდაღწეულ, მზის შესახვედრად გამოსულ ჯიხვს.

ერთხელაც კი ვერ მოახერხა მირზამ ქალწულთან მიახლოვება, ვერ შეიცნო მისთა თვალთა ფერი. იგი გაუჩინარდებოდა, თვალს მეეფარებოდა, მირზასთან კი რჩებოდა ჰანგი, რომლის პირმშოც ქალწული იყო. კვლავ ყდერდა სიმი სულის სიღრმეში.

სიშაბუკის დამდეგს მირზა შეხვდა ქალწულს: „აი, ისიც, ჩემი ზღაპრული წალკოტის სტუმარი!“ მერე თვალებშიც ჩახედა, ამ თვალთა ფერიც დაინახა. ასულს სახელიც ერქვა — ანისა.

როცა მირზამ ხელი შეახო ქალწულის მზის სხივივით უწმინდეს სხეულს, მაშინაც იმ ზღაპრული წალკოტის მფლობელად დარჩა. თუ ორივე ერთად შეაღებდნენ ხოლმე წალკოტის ჭიშკარს, თვითეული მათგანი ზღაპრულზე მეტად მშვენიერი იყო. სულის სიღრმეში გაბმულმა სიმმაც იმ მთის ნაკადის ძალა მოიცა, რომლის ყინულოვანი სათავეც ერთბაშად და გამალებით იწყებს ხოლმე ლღობას.

— ანისა, ანისა!

უხილავი ზღუდე აღიმართა მზესა და ჯიხვს შორის. ჯიხვი მზეს ელტოდა. სიმი გაწყდა და დადუმდა სული. ვაკ! მხოლოდ პიანინოს კლავიშები შერჩა, რომლებსაც ზედ აწყდებოდნენ თითები... იმ ჰანგს სიცოცხლისაკენ ეძახდნენ თითები...

მშვენიერი ასული გაეცალა წალ-

კოტს. მაგრამ არ ჩამკვდარა ჰანგი, რომლის პირმშოც ქალწული იყო. ანისამ იმედი გადაუწყვიტა. სამყარო დაცარიელდა.

მას შემდეგ მრავალჯერ ამწვანდნენ და მრავალგზის განიძარცვნენ მთათა კალთებზე შეფენილი ტყეები, რომელთაც ფანჯრიდან ხედავდა მირზა. და როგორც ეს ტყეები, მისი წალკოტიც გაზაფხულზე იფურჩქნებოდა, ხოლო შემოდგომისას ჭკნებოდა.

ვინ იცის, იქნება ამ მთათა მიღმა იყო მისი ზღაპრული ქვეყანა? ფანტაზია ჰკარნახობდა, რომ ამ მთების იქით, კვლავ მთები უნდა ყოფილიყო, უკაცრიელი ხეობები, უფსკრულები და... სხვა არაფერი.

ახლა მირზას ადარ ახსოვს ის ჰანგი, ანისას რომ უსახსოვრა. არქა, როგორც აფხაზ საპატარძლოს, რომელიც მოვალეა საჩუქრის მიღების შემდეგ პირისახე უჩვენოს მეძღვნეს. სიმი გაწყდა. მაშ რად, რად აყღერდა ღღეს, ამდენი ხნის შემდეგ?

მირზა მიუახლოვდა ქალწულს, საცაა ღაეწვეა კიდეკ, ხელში აიტაცებს. ის თვალებია, ისევ იმ ნაცნობი ფერის. იქნებ ამ თვალთა სხივმა გადააბა გამწყდარი სიმი? ყინულოვანმა სათავემ კვლავ იწყო ლღობა, არაკრაკდა ნაკადული...

მირზას ქალწული ზე აუტაცია, თავდავიწყებით ერთ ადგილზე ტრიალებს, მერე კი ნაზად აწვენს ქალწულს ბალახზე. მოლი უფრო ხასხასაა, უფრო ფაფუკია, ვიდრე ოდესმე. უფრო ლბილია, ვიდრე ზღაპრულ წალკოტში. იქნებ იმად, რომ მირზა ასე ახლოს დგას ქალთან, მძლავრობს, ადავსებს და აჩქროლებს გულს ის მივიწყებული ჰანგი. ისე ხარობს, თითქოს არც კი გამწყდარიყოს სიმი გულისა.

შორეულ მთიან სოფელში, მდინარის პირას მიაბიჯებს ანისასთან ერთად. მირზამ კარგად იცის, რად ეძახის ხალხი ამ ადგილს „ჯიხვების დასაღუპავს“. სოფელი იმდენად პატარაა, რომ არწივის ფრთის ქვეშ დაეტევა.

რახან აღორძინდა მივიწყებული ჰანგი, მირზა უსათუოდ გაუმხელს გულისნადებს, ეტყვის რისი თქმაც მეფეს ადა, მაგრამ ვერ გაებედა. იმას თუ უნდა, დაე, დასცინოს და უთხრას: „ჩვენ კვლავ შენს წალკოტს ვეწვიეთ“, მირზას ხომ სჯერა, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი ზღაპრული წალკოტი უნდა ჰქონდეს. განა შეიძლება სიცოცხლე ამ ხეთა ანაბარა, რომლებიც გაზაფხულზე აყვავდებიან, ხოლო შემოდგომისას გაქრებიან უკვალოდ?!

ხომ გისრულდება ნატვრა, თუ კი მოასწრებ და მანამდე ჩაუთქვამ, სანამ მოწყვეტილი ვარსკვლავი დედამიწისაკენ მოექანება. იქნებ ყოველივე იმიტომ აგვიხდება ხოლმე, რომ ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი უფრო მძაფრი ელვარებით იწვის... უნდა მოასწროს და მანამ უთხრას ანისას ყველაფერი, სანამ სიმი ყღერს, სანამ სანაპიროზე მხარში მიჰყვებიან ერთმანეთს...

„...ანისა, მითხარი, რა უნდა მექნა? აუცილებლად უნდა გავცლოდი ქალაქს, აქ ყველაფერი შენ თავს მაგონებდა. დაე, ეს სენტიმენტალური ნათქვამად ჩამითვალონ — განა შენი თვალების შუქი მისწვდება იმ გულს, რომელიც გრძნობით არ თრთის? შენ ხშირად ხუმრობდი ხოლმე: „კვლავ აყღერდა შენი ჰანგი“, ის ჰანგი კი მაშინაც მძლავრად ხმიანებდა, როცა დამტოვე, თუმცა დაწრეტილ ნაკადულსა ჰგავდა და მერე სულაც დადუმდა. თითქოსდა უხვი სათავე, ძუძუს რომ აწოვებდა, მძლავრმა ყინვებმა შეპპოჭესო. რაღა უნდა მექნა? ადრე ვინმეს რომ ეთქვა, არ დავუჯერებდი, იმ დღეებში კი დედამიწა მეგიწროვებოდა. გახსოვს, მეუბნებოდი, შენ ისე შეჰხარი სიცოცხლეს, როგორც მცენარეები მზის ამოსვლასო. მართალი იყავი. ასეც იყო, ვიდრე ჩემს წალკოტს ზამთარ-ზაფხულ მწვანე ემოსა. ყველას უნდა ჰქონდეს საკუთარი ზღაპრული წალკოტი. ჯიხვი, მონადირის სუნს რომ იკრავს, მყისვე თავშესაფარს მიაშურებს, არავინ უწყის მისი ადგილსამყოფელი. სანამ ჩემი წალკოტი ჰყვაოდა, ის, გულის სიმიც, ჩემი

სიცოცხლით გალალებული, მღეროდა და კისკისებდა. ხოლო როცა შენ წამარ-თვი ჩემი წალკოტი, მითხარი ერთი, რა უნდა მექნა? სიცოცხლე მეძახდა და მე დავტოვე ჩვენი ქალაქი. ადამიანი, რო-მელმაც, სიყვარული დაჰკარგა, ალბათ მეტად უნდა მიეჯაჭვოს იმ ქალაქს, სა-დაც პირველად იხილა სატრფო. ქალაქი ხომ მათი შეხვედრების მოწმეა იყო და ალბათ არც არასოდეს უნდა ეფიქრა გა-ცლოდა იქაურობას. მაგრამ ვერ შევი-ძელი ბედნიერების შენარჩუნება, დამ-ნაშავე მე ვიყავი და თვითონვე უნდა მენუგეშებინა თავი. ჩემი ქალაქი შემ-წეობას ვერ გამიწევდა. დიდხანს არ მჯეროდა უკვე მოახლარისა. მაგრამ დრო გადიოდა და უშენოდ ვეგებებოდი ალიონს ჩვენი შეხვედრების ალაგს. ჩე-მი წალკოტიც ნელ-ნელა მეკარგებოდა თვალთაგან. რა უნდა მექნა? გადავწყვი-ტე, იქით წავსულიყავ, საითაც ბედი გა-მიძღვებოდა. არ მახსოვს ვინ მორჩია ამ სოფელში გავჩერებულიყავი, სადაც ახლა ვართ. შენ იცი, ანისა, რომ ჩვენს შორის არასოდეს თქმული ტყუილი. ეშ-მაკსაც წაუღია ეს უსაზღვრო გულახ-დილობა, რომლის მიზეზითაც ჩვენ ერ-თად აღარა ვართ. ახლა, ნუ გამიწყრე-ბი, თუ დამჭირდა, ვიცრუებ კიდეც, ვი-თვალთმაქცებ, ოღონდ არ დაგკარგო. მზადა ვარ სინდისის ქენჯნასაც გავუძლო, ტყუილს ვერ შემოგაგდრებ, როგორც კი ამ სოფელში მოვხედი, რამდენიმე დღეს სამთხეში მეგონა თავი, მხო-ლოდ რამდენიმე დღეს, მერე კი მიწი-ამან, რასაც გამოვექეცი. უფრო გამიჭი-რდა. გესმის, ამ სილამაზით უშენოდ ვტკბებოდი. ეს მაღალი მთები სოფელს რომ გარს არტყია, ვერცხლისფერი ჩინ-ჩქერები, ხასხასა მოლი — მთელი ეს მშვენიერება, რომელსაც შენ არ ხედა-ვდი, შენდამი ღალატს მსაყვედურობ-დნენ. მე მარტო ვიყავი. უშენოდ უც-ხოდ ვჩანდი ამ მშვენიერების წინაშე. მართლაც და, განა მქონდა უფლება უშენოდ დავმტკბარიყავი ამ სილამაზით! ძალზე ძნელია, ყოველივე განცდილის გამოთქმა, ანისა...“

აი, ისინი სანაპიროს შეუყვებიან. ...ინ, განშორებამდე, მირზას რაზედ...ეს უნდოდა ეთქვა ანისასთვის ...ერ! თუკი ადამიანებს სურთ აუხდეთ ნატვრა, რატომ აგონდებათ საოცნებო მაშინ, როცა ვარსკვლავი ეს-ეს არის მოწყდა ცას. ნუთუ არა სჯობს მაშინ სთქვან სათქმელი, როცა ვარსკვლავი ჯერ კიდევ ზეცაში ბრწყინავს.

ვინ იცის, რამდენჯერ მოიკრიბა მირ-ზამ მხნეობა, რომ ეთქვა ყოველი, მაგ-რამ პირველივე სიტყვა გაცვეთილი ეჩ-ვენებოდა, თითქოს არც არაფერს გამო-ხატავდა. ჰოდა, სიტყვა ყელში ეჩხირე-ბოდა, სიტყვებით არ შეეძლო ეთქვა სულისა.

ის სიმი რომ არ ალაპარაკებულიყო, გულში რომ ჟღერდა, იქნება გამოეთქვა კიდეც ნაგრძნობი. რამდენჯერ სცადა წერილის მიწერა! თავს დაათენდებოდა ხოლმე გატანჯულს. როცა წერდა, ეჩ-ვენებოდა, რომ თავი მოუყარა სათქ-მელს. მაგრამ როგორც კი გადაიკით-ხავდა, მაშინვე გადახედავდა ნაწერს. და კვლავ წერად დაჯდებოდა. ამაოდ წვალობდა. სიტყვები უძლურნი იყვნენ. შეუძლებელია ჰანგის სიტყვით გადმო-ცემა. ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა სიყვარულს საფრთხე არსაიდან ემუქრე-ბოდა. მაგრამ მირზას ის უფრო უკვი-რდა, რომ სიტყვები მაშინაც დუმდნენ, როცა სიყვარული გაუმწარდა. ვეღარც ისა სთქვა, რად დაიბრალა სხვისი დანა-შაული. მაგრამ სიმი ჯერ მთელი იყო. მართალია, სევდის ხმებს გამოსცემდა, მაგრამ მაინც ის იყო ერთადერთი შემ-წე და ნუგეშისმცემელი.

ანისას მხარზე უდევს ხელი და ლაპა-რაკობს... შეუსვენებლივ ლაპარაკობს... უკვირს, ნეტაც საიდან ვპოულობო სიტ-ყვებს! მდინარე, რომელმაც ორი მთა-გრეხილი გამოარღვია, მონოტონურად ხმაურობს. მთები ისე ახლო-ახლო დგანან, რომ იმათ მწვერვალებზე შემა-რთული ჭადრები ერთმანეთს ჩახლარ-

თვია. მირზა და ანისა ერთად მიდიან, ანცვიფრებთ სიმწვანე, გარემოს რომ დაჰპატრონება. ალბათ, ის ზღაპარული წალკოტიც კი, მირზამ ანისას გამო რომ დაჰკარგა, არ იყო ასე ხასხასა ფერისა.

აი, გამოჩნდნენ ტიტეული მთები, თოქოს ტყის კაცებმა, აქამდე რომ მწვანე ქურქები ემოსათ, უცებ მოიშვლიპეს ფაფახები. თითქოს ავ თვალს ემალებიო, ისე განრიდებოდა ქვეყნიერებას ამ მთათა უბეს შეფარებული პატარა სოფელი. ამაზე ამბობდნენ ხოლმე ხუმრობით იქაურნი: ხელები რომ გაშალო, გარშემორტყმულ მთებს მიწვდებიო.

— მირზა, გამიშვი!

ისინი მდინარის პირას სხედან. მირზას ანისასთვის ხელები შემოუხვევია და დაყინებით ჩასცქერის თვალებში. ქალწულის თვალები უამბობენ, რომ ისიც დარდობდა. იცოდა, მათი განშორება უაზრობა რომ იყო და ვერაფრით ამიცანო მიზეზი, რაღაც უმნიშვნელო წყენის გამო რამდენიმე დღე ემდუროდნენ ერთმანეთს. სწორედ მაშინ ანისა სხვამ გადაიბირა. ახლაღა ამბობს, მაშინვე ინანა და მირზასთან დაბრუნება სურდა. ხოლო მირზას სწამდა, რომ დადგებოდა ეს წუთი ან ისე როგორ იქნებოდა, განა იგი არ იყო პირველი მამაკაცთაგან, ვინც ხელი შეახო ანისას. სჯეროდა, რომ ამაო არ იქნებოდა მოლოდინი.

და აი, ახლა ანისას გვერდით ზის, ქალწულის ხშირ თმაში თავი ჩაურგავს და ჰკოცნის, ჰკოცნის თავდავიწყებით. სურნელი აბრუებს. ეს ხომ სიცოცხლის სურნელებაა. მირზას წინათაც უთქვამს: შენს თმას სიცოცხლის სურნელი ასდისო.

სულის სიღრმეში აღორძინებულ, ამღერებულ ჰანგს მდინარის გადაღმა დაჰაყავს ისინი. წყალი ისე მოდიდებულა, რომ თვალს ვერ მიატან. მერე ცადატყორცნილ მთებსაც ეწვიენ. ანისა დაუსხლტა, გაიქცა, მირზაც გამოუდგა, კვალში მიჰყვა, ზევით ფერდობზე ავარდა. ასე თამაშ-თამაშით პატარა მდელოს წააწყდნენ, მოვაკებული ადგილი იყო. მცირე ეზოს ჰგავდა.

მირზა ადრეც იყო აქ ნამყოფი. მოუწონა ეს მდელო. სამუდამოდ დაამახსოვრდა კაკლის ხე, რომლის ჩრდილშიც დიდხანს იწვა ხოლმე გულაღმა. დგას კაკალი, ქედუხრელი, მძლავრი, უამინდობის შიში არა აქვს. მდელოს გასცდები და ციცაბი აღმართებს მთებისკენ მიჰყავხარ. ერთი-მეორეზე ძნელსავალია ეს აღმართები. ამ გზით ადიან ჯალარა ერცახუზე. მუდამ ფიქრიანია მწვერვალი. საიდანაც არ უნდა შეხედო, ყოველის მხრიდან დაინახავ მწვერვალის ქიმზე წამოგებულ ქოლა ღრუბლებს.

ბებერ, კანდახეთქილ კაკლისხესთან მირზა მოეხვია ანისას. ასე ჩახვეულნი მიწვნენ მდელოზე. კვლავ დაინახა მირზამ ქალწულის თვალებში მიმალული შიშიც და ვნებიანი ძახილიც...

საღამოს თბილი ნიავი აშრიალებს ხასხასა ბალახს. მოშორებით რომელიღაც ხეს თავდავიწყებით უკაკუნებს კოდალა. ტყიდან ტოტების მტვრევის ხმა მოისმის. იქნებ ჯიხი ჩამოვიდა წყალზე. სოფლის მკვიდრთ ხშირად უნახავთ წყურვილის მოსაკლავად ჩამოსული ჯიხები. ამიტომ შეარქვეს მონადირეებმა ამ ადგილ „ჯიხების დასაღუბავი“.

ანისას მირზას მკლავზე უდევს თავი. მირზა კი უდარდელად შესცქერის ცას. ნებივრობს საამოდ მოთენთილი. მცირე ტკივილი რა არის, ისიც არ აწუხებს ამ წუთას, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. კვლავ შეხვდნენ და ადარ გაყრილან მას შემდეგ. ანისაც არაფერზე სწუხს, გაუნძრევლად წევს თვალმილულული. ნელ-ნელა შემოკრბენ ფიქრები და კვლავ, თითქოს ჯებრი გამოარღვიესო, იფეთქეს სიტყვებმა. თითქოს მყინვარმა, მთის ნაკადს რომ ძუძუს აწოვებს მარადჟამ, მცხუნვარე მზის სხივთაგან გამალებით იწყოო დნობა.

„...გახსოვს, ანისა, შუა ზაფხული იდგა. ვერ გავუფრთხილდით სიყვარულს, ჩვენი სიყვარული ფესვმოკვეთილ ხედ

იქცა. ადგილ ვერ ვპოულობდი, ძალიან გამიჭირდა.

აღარ მახსოვს რა ერქვა ჩემს ნათესავს, რომელმაც აქ ამომიყვანა. ჩემი მშობლები სწავლას აბრალებდნენ ჩემს გადაღლას, თუმცა ნაწილობრივ ასეც იყო. მომღერალი სიმი, შენ რომ სიცილად არა გყოფნიდა, დადუმდა. აღარც თითები მემორჩილებოდნენ. ჩემიანებმა მირჩიეს დამესვენა, ცოტა მოვმაგრებულიყავ. იმათ რა იციოდნენ, რა მჭირდა. მე ვიცი, არავის აინტერესებს ჩემი ნათქვამი, ზოგი დამცინებს კიდეც. არც ზღაპრული წალკოტი სჭირდება ვინმეს და არც სულში ამდერებული სიმი. მაგრამ დამერწმუნე, სიცოცხლე მოსაბეზრებელი იქნებოდა, მხოლოდ გონებით რომ იცხოვროს კაცმა. ყველას უნდა ჭქონდეს თავშესაფარი. თუმცა ეს ყველაფერი ისე ვთქვი, სიტყვამ მოიტანა. დღეს კი უსათუოდ უნდა გიამბო, რაც მოხდა. ჩვენი განშორების სევდას, ზედ დაერთო იმ კაცზე ფიქრი, ვიზზდაც გამცვალე. მახსოვს, თქვი, ფუტურო ხესა ჰგავს. უგულოსო. ჩვენ, ბედნიერებს ბევრჯერ დაგვიცინია კიდეც მისთვის, ის კი იციდიდა, ჟამს ელოდა. მე სრულიად არ ვიცნობ მას. არ ვიცი რა გულისა და გონების პატრონია. შენი ნაამბობი მახსოვს. სულ ერთხელ მყავს ნანახი. ალბათ ფიქრობ, რომ ეშვი მალაპარაკებს. მაგრამ ვიდრე დავშორდებოდით, მაშინაც ოგივეს ვფიქრობდი. ახლა კი, როცა შენ ისევ ჩემი ხარ, მინდა გულახდილად გითხრა. მაპატიე, შეგვიდე თუ არა, როგორც ბავშვს, უცნაური სათამაშოს დანახვისას, სიცილი წამსკდა. პირისახე საოცრად მიუგავს ცხენს. იმ მოხუცებს, ვისი სტუმრებიც ჩვენა ვართ, ბებერი ცხენი ჰყავდათ. დავინახავდი ცხენს და მაშინვე გამახსენებდიდა ის კაცი. იმისმა გაჭაღარავებულმა წვერ-ულვაშმა მომაგონა ბებერი სისვი ცხენის ბალანი. თუ დააკვირდები, მეტ მსგავსებას იპოვნი. მე არასოდეს მინახავს კაცი, ამნაირი ცხოველური თვალები რომ ჭქონდეს. ყარიელი, უფერული, წყალ-წყალა თვალები. მაპატიე, დღეანდელი დღე მე/ჩეკუთვნის. ხომ შეიძლება ერთი დღე დავისაკუთარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, არაფერიაო ისეთი, მიწამ რომ არ შეჭამოს. მიწა გადაეფარება ყველაფერს, გარდა ცოცხალი სიტყვისა. შენთვის სათქმელი ყველა სიტყვა გულშივე დამრჩება სამუდამოდ, თუ არ გითხარი. სანამ მე ვარ ამ სიტყვების ერთადერთი, ასე მგონია, ისინი მკაფიოდ გამოხატავენ ჩემს გრძნობებს. მაგრამ როგორც კი ხმას ამოვიღებ, სიტყვები უფერულდებიან, ძალას ჰკარგავენ. ასე იყო, ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდით. ახლა დუმილი არ შემიძლია. იქნება ჩვენმა განშორებამ შემატა მხნეობა, ანდა სიყვარული ჩაცხრა, ჩანელდა იმდენად, რომ ახლა სიტყვებითაც შემიძლია გამოვხატო. უკვე გითხარი, რომ ჩვენი განშორების შემდეგაც დამატარებდა ის ჰანგი ზღაპრულ წალკოტში. ალბათ სიყვარულს იმიტომაც ეძახიან ხსნას, რომ მიწას მოგწყვეტს, თავს დაგაკარგვინებს...

მაშინ, როცა შენ დამტოვე და მე კვლავ მიწას დავენარცხე, ვირწმუნე, რომ ყველასათვის უცხო და უსარგებლო შევიქენი. მივადგებოდი უფსკრულს... რაც ვერ გავბედე, იმაზე არა ღირს ლაპარაკი. სიცოცხლემ ნელ-ნელა თავისი ჰქნა. წინათაც გითქვამს: შენ ამქვეყნისა არა ხარ, მე გონიერი კაცი მინდა, გულს აყოლილი კი არაო. ჰოდა, მეც ამ ქვეყანას დავუბრუნდი, იმ ქვეყანას, შენსას რომ ეძახდი.

დავქორწინდი. ჩემი ცოლი ლამაზი ქალია. მიხარია ხოლმე იმის შეხედვა. გაზაფხულზე ტყე იფოთლება, შემოდგომაზე ფოთოლცვენაა. შენ ხომ ამას ეძახი, ანისა, შენს ქვეყანას! მაგრამ გაინ ჩვენი განშორების საზღაურია ის, რომ მე „ამა ქვეყნის“ კაცი ვარ დღეს?

მომქრალ ბუხარში ყოველთვის ღვივის ნაპერწკალი. მე მუდამ მჯეროდა, რომ ჩვენი გზები შეერთდებოდნენ და

**ჯუმა ასუმა**
**ფაბრუნია**

ეს რწმენა იყო ჩემი იმედი. სამყაროო იმით ცოცხლობს, რომ ყოველივე შეჰობრუნდება ხოლმე. მთებზე შეფენილი ხეები გულმშვიდად ეთხოვებიან ფოთლებს; სწამთ, მოვა გაზაფხული და კვლავ მწვანით შემოსავს. მე მჯეროდა, დაბრუნდებოდი უსათუოდ და შენთან ერთად დაბრუნდებოდა ჩემი ზღაპრული წალკოტიც.

გესმის, ანისა, გესმის ის ჰანგი, კვლავ აყღერებული. მხოლოდ შენ შესძელი გაწყვეტილი სიმის გადაბმა. გესმის, მოჩქეფს მთის ნაკადი, რომლის სათავეც...“

— მირზა, — მოისმა ნაცნობი ხმა.

მირზამ წყნარად გაახილა თვალი: თავის ოთახში უძრავად ეგდო დივანზე.

— ავად ხომ არა ხარ?

— რა სთქვი?

— ავად ხომ არა ხარ?

— საიდან მოიტანე?

— არ ვიცი. კარგა ხანია, რაც ბაზრიდან დავბრუნდი. შენ არცკი გაგიგია, როგორ შემოვედი. რაღაცას ჩურჩულებდი. იქნებ სიცხე გაქვს,—ქალი დიკანზე ჩამოჯდა და შუბლზე ხელი შეახო.

— ვუკრავდი. დასვენება გადავწყვიტე და წამოვწექი... — თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო, თავის გამართლება სცადა მირზამ.

— დღეს ხომ კვირაა. მინდოდა კინოში წავსულიყავით. მაგრამ, როგორც ჩანს, არ მოგვიხერხდება.

— რატომ?

— დღეს ჩემი მეგობარი ქალი ჩამოდის. აი, ის, დეპეშა რომ გამოგვიგზავნა. დახვდები აეროდრომზე? ყვავილებიც ვიყიდე. რაც ჩვენ დავქორწინდით, მას მერე აღარ მინახავს. მომწერა, რომ შენი გაცნობა სურს. ჰოდა, დღეს გაგაცნობ. ბევრი ჩემი მეგობარი არ გიცნობს. მეშინია არ მოგიტაცონ. დავხვდეთ?

— როგორც გინდა.

— შენ როგორ გინდა?

— ჩემთვის სულ ერთია. გინდა — დავხვდეთ, გინდა — კინოში წავიდეთ.

— არ იტყვი, რა დაგემართა? მე თუ არა, მაშ ვის უნდა გაუმხილო?

— ჰო, ჰო, მართალი ხარ. შენ თუ არა, მაშ ვის უნდა ვუთხრა. შენ მართალი ხარ, ცისანა. მაშ ვიღას უნდა ვუთხრა.

მირზა წამოდგა, პიანინოსთან მივიდა. გრძელი თითები კლავიშებზე გასრიალდნენ. მთის ნაკადის დარად, ხან ხმადაბლა, ხან კი მთელი ხმით მოედინებოდა ჰანგი... ოღონდ ის ჯერ მხოლოდ თითებქვეშ ხმიანებდა.

თარგმნა ჯაბა ასათიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალობა მზეთა...

კაცმა არ იცის —
ვის რა მოელის,
ვის რას უმზადებს
დღე ხვალინდელი...
დროის ხელია
არსთა ყოველთა
თავის ნებაზე
გადამწინდველი.

თავის ნებაზე
ატარებს კაცი
სიცოცხლეს თვისას —
ნაბოძარს ღვთისა;
თავ-თავის დროზე
დრო თვითონ ჩასთვლის
უღირსს — უღირსად,
ღირსეულს — ღირსად...

ზოგ-ზოგს კგონია
ბღენძვით და ლიქვნით
უკდავებაში
იპოვა ბინა...

ხვალ კი გაქრება
ხსენება მისი,
ვითარცა ფიფქი
ან ღრუბლის ფთილა.

კვდომის და ქრობის
გარდუვალობამ
სული არ უნდა
გამოგიგვალოს...
კაცმა სიცოცხლე, —
მზეთა წყალობა, —
მხნედ და უშადოდ
უნდა გალიოს!..

ნუმცა იქმს სული, —
საფიანდაზე, —
საქმეს სამტროს და
სამუხანათოს...
ვარსკვლავი, —
რაკი ანთია ცაზე, —
უნდა ენთოს და
უნდა ანათოს!..

თარგმნა ბიბი ქნელაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკვანი

სახურავი დამიძველდა
და მე სხვენზე ავედი,
ვიდექი და ბუს თვალებით
მიყურებდა შავეთი.

ბნელში თვლემდა ათასგვარი
ბუნდოვანი საგანი,
ეს რაღაა, ღმერთო ჩემო,
ნუთუ ჩემი აკვანი?

მე ცოდვილმა დავინახე
თითქოს საკურთხეველი,
ეს ფანარი მანდალია,
მე ტაძარში შევედი.

ვით სასახლე ქონდრისკაცის,
ბნელში ისე ბრწყინავდა...
ეხ, აკვანო, ნუთუ ვერ მცნობ
დავიწყებულ ბინადარს?

მებრალები, ამ ნაყარში,
ამ ნაგავში რა გინდა,
თითქოს ჩემი ნორჩი სული
იმზირება ნაგვიდან.

განა ვგავარ ხელმოცარულს
და მბრალდება სიავე,
ან ლოთივით მე ოჯახი
განა გავანიავე?

განა ქვეყნად არ დარჩება
ჩემი გვარის ნასახიც
და ვერავინ ვერ შეხვდება
ჩემს ჯილაგს და გასაგისს?

განა მე რომ გადავშენდე,
სურვილია სატანის,
მე მოსულმა დღევანდლამდე
რად ვიხილე აკვანი?

ჩემი გზა და დასაწყისი
რად მიხმობს და ჩამძახის
ამ აკვანთან, დედაჩემი
რომ არწევდა ცახცახით?..

თარგმნა ვივი გეგეჭკორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ა ჯ ა რ ი

ვამხელ საკუთარ წუხილის მიზეზს, —
მე თითქოს ფეხმარდ რაშს ვედევნები.
ბედნიერებას ვესწრაფი ისევ
და იწურება შავი მტევნები.

და თვითეული მარცვალი ელავს —
ათასი თვალი მიყურებს რისხვით...
საწნახლის კიდეს მივყვები ნელა,
გროვდება ნაგში ღმერთების სისხლი.

მუშა ფუტკარო, არ გეფერები,
შინისკენ გასწი, უმჯობესია.
თვალთ მიბნელდება, ეს რა მწერები
მეხვევა,
ქინქლა შემომესია.

ქაფმოდებული ბორგავს მაჭარი,
საწნახლის ღარში დაუტევარი,
გულს საგულეში ვედარ ვაჩერებ,
შეერთებულა ყველა მტევანი.

ჟამია ლხინის და აღტაცების,
მაჭართან ბევრჯერ უნდა ვიდავოთ,
ახლავე ამბობს:
„ფრთხილად, კაცებო,
მოლზე დაგაფენთ თქვენ სათითაოდ“.

მაჭარო, თუმცა მეტრაბახები,
მოტრფიალე ვარ, იცოდე, შენი,
დამათვრე,
არ ვარ უკან დამხევი,
გულს გავხსნი—ვაჟკაცს დათრობაც შვენის.

ჭკუას გარიგებ,
ნუ გეწყინება,
ჯერეთ ახალო და თავახდილო,
ვიდრე მოგივა დრო დადვინების,
ვინძლო ჭურჭელმა არ წაგახდინოს.

მუშა ფუტკარო, არ გეფერები,
შინისკენ გასწი, უმჯობესია.
თვალთ მიბნელდება, ეს რა მწერები
მეხვევა,
ქინქლა შემომესია.

თარგმნა ეიზარ კვიტაიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვრამეტი წლის სიკვდილი

თვრამეტი გაზაფხული — თვრამეტი ფრთა,
თვრამეტმა გაზაფხულმა უმღერა მას,
თვრამეტმა გაზაფხულმა მორთო ფერებით,
მის დავაჟკაცებას თვრამეტი მაისი
მზით და სიმღერით მიწას ურწევდა.

მან არ იცოდა რა იყო ქალი,
იცოდა მხოლოდ დედის ალერსი,
ისე უეცრად გაჰყვა ომის გზას,
ისე უეცრად ნახა სიკვდილი.

და დაემსგავსა ხეს,
რომელიც
ნაყოფის გამოსხმამდე მოკვეთეს;
და დაემსგავსა ცეცხლს,
რომელიც
ანთებამდე ჩააქრეს;
და დაემსგავსა ბალახს,
რომელიც
ამოსვლამდე გათელეს;
და დაემსგავსა სახლს,
რომელიც
ჩასახლებამდე აქტიეს ფერფლად;
და დაემსგავსა ტყვიას,
რომელიც
მიზანს აცდა და ისე გაცივდა.
...და იგი მოკლა მისმა ტოლმა ჯარისკაცმა,
ჰო, იგი მოკლა!
პირველი მოკვდა,
მეორე ცოცხლობს,
ცოცხლობს სისხლისფერ მოგონებებით,
ხიზმრებიც მისი სისხლისფერია,
სისხლისფერია მისი ცისკარიც,
სისხლისფერია მისი ტვინის ყველა უჯრედი.

... და იგი სიკვდილს უფრო იცნობს,
ვიდრე სიცოცხლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არდავიწყება

ცისფერ ქვიშაზე დაღუპულ მზეთა
ოქროს კენჭებად თვლემს გარინდება,
ადრე თუ გვიან შენ მოხვალ ჩემთან,
როგორც ამ დღეთა არდავიწყება.

ჯერ კი მთავარი და საოცარი
ისევ წინ არის, ახლა იწყება,
ამ ნიჟარაში რომ ტირის ქარი,
ეს ტირილია არდავიწყება.

ბევრი ჩაივლის აქ ჩვენი მსგავსი,
ბევრი იქცევა ცრემლად, ფიქრებად,
ბევრს დაედვრება ავსილი თასი
და ეს იქნება არდავიწყება.

ცისფერ ქვიშაზე დაღუპულ მზეთა
ოქროს კენჭებად თვლემს გარინდება,
ადრე თუ გვიან შენ მოხვალ ჩემთან
და ეს იქნება არდავიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნავსადგური

მუდამ გნიასი აფოფრილი ტალღების რემის,
ცას შესეული თოლიების აწიაქება
და მტვირთავების შორი-შორი გადაძახილი...
თითქოს გემებმა თან წაიღეს ეს ყოველივე, —
დაცარიელდა, მიიყურსა ნავსაყუდელი.

## ნადირობა

გამოვარდება ხმაური ტყიდან,
მიყუჩდება და იფეთქებს ისევ
და ორთაბრძოლა გრძელდება დიდხანს:
კურდღელი მირბის, მწევარი მისდევს...

მზემ ჰორიზონტზე გაიწკრიალა, —
მიიზლაზნება ღამის მძევალი...
და მეჩვენება კურდღელს კი არა,
მზეს გაეკიდა ჩემი მწევარი.

გურამ ფანჯიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეკლა პატიოსანი

## რომანი

პირველად ეგონა, ტყვია ალექსანდრეს მოხვდაო, ასე ეგონათ სხვებსაც, რომლებიც კობიძის შეკითხვებზე შემოიკრნენ ოთახში. ალექსანდრე იატაკზე თავდაღმა ეგდო და კანკალებდა. აისხლი არსად ჩანდა. ბოლოს ყველანი მიხვდნენ, ალექსანდრე შიშისაგან ცახცახებდა. ვიღაც დასწვდა, წამოაყენა, სკამზე დააჯინა. ადამიანის ფერი აღარ ედო. ყბა გვერდზე მოჰქცეოდა, კბილებს ერთმანეთზე აჯახუნებდა.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 12, 1970 წ.

თამაზი გაშეშებული იჯდა. ვერ მოეფიქრებინა, ფეხზე წამომდგარიყო.

თოფი მეორე ოთახში გაგარდა. პატარა, ვიწრო ოთახში, სადაც დირექტორის რეფერენტი იჯდა, გამხდარი, ძალზე შავთმიანი ჭაბუკი.

მას ინსტიტუტის დირექტორის უზარმაზარი ფოსტის მოწესრიგება და ათაგვარი წვრილმანი საქმის მოგვარება ჰქონდა დავალებული. როგორც შემდეგ გამორკვა, თოფი იმ დილით მოეტანა სამსახურში. ეს იყო ჩვეულებრივი ორლულიანი „ზიმსონი“. წინა დღით ამხა-

ნაგს დაურეკია, მათხოვეო. ისიც დაჰპირებია, ხვალ სამსახურში მოვიტან, გამომიარე და წაიღეო.

ვერავინ გიგო, საიდან გაჩნდა მილიცია. რეფერენტს თოფი ჩამოართვეს და წაიღეს. არ სცოდნია, თოფი რომ გატეხილი ყოფილა. თურმე ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა და თან თოფს ათამაშებდა. საუბარში გართულს ორთავე სასხლეტისთვის სრულიად დაუფიქრებლად გამოუსვამს ხელი. მართლაც, კარტეჩი ორთავე ლულიდან ერთმანეთის ვვერდით იყო მოხვედრილი. მაგიდაზე ჭერიდან ჩამონგრეული კირი ეყარა.

გაოგნებული აკადემიკოსი თავის კაბინეტში იჯდა. გარეთ გამოსვლა არ ინება. ერთხანს ხმას არ იღებდა, გაფითრებულს სიბრაზისაგან ენა ჩაუვარდა. მერე ერთბაშად აყვირდა, სკამიდან წამოხტა და კაბინეტში მორთო სირბილი.

— უთხარით, ხვალიდან თავს ნუღარ შეიწუხებს აკადემიაში მოსვლით. თუმცა რატომ ხვალიდან, დღეიდან, ამ საათიდან, ამ წუთიდან მოხსნილი ბრძანდება. მაგის ფეხი არ ვნახო ინსტიტუტში.

კაბინეტში შემოსული თანამშრომლები ჯარისკაცებივით ორთავე მხარეს გამწკრივებულიყვნენ და ხმას არ იღებდნენ. მათ შუა კი ისევ დარბოდა და ბობოქრობდა მოხუცი აკადემიკოსი. თმაგათეთრებულ მეცნიერს ვერაფრით ვერ გაგებ, თოფი რატომ უნდა შემოეტანათ აკადემიაში. მის დაღლილ, მათემატიკური ცნებებითა და პრობლემებით დატვირთულ გონებას თოფის არამც თუ დანახვა, ხსენებაც კი ზარავდა.

— დაწყნარდით, ბატონო დავით, — გაისმა ვიღაცის გაუბედავი ხმა.

— დაწყნარდიო? — ერთ ადგილზე გაქვავდა აკადემიკოსი. — ვინ თქვა ეს? მე თქვენ გეკითხებით, ვინ თქვა ეს?

ხმა არავის ამოუღია, ყველანი გაჩუსულნენ.

— შეიძლება კაცი ჭკუიდან შეიშალოს. თოფი აკადემიაში! თოფს რა უნდა აკადემიაში, თანაც სროლა ამას მე ვერ გადავიტან. არ გიკვირთ, ვერ ვიტან, რომ ვარ ჩემს ჭკუაზე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბოცვაძემ დიდხანს იბობოქრა. მერე თავის მაგიდასთან მივიდა, საკაბელში ჩაეშვა და წყალი მოითხოვა. ერთ ადგილზე გაშეშებული თანამშრომლები ერთბაშად დაფაცურდნენ. ერთმა გრაფინის მოავლო ხელი, მეორემ ჭიქას, მესამემ მაგიდა გაუნთავისუფლა, მეოთხემ აწკრიალებული ტელეფონი მდივნის ოთახში გადაიყვანა, მეხუთემ ფანჯარა გამოაღო. მერე ყველანი ერთად ალაპარაკდნენ და აკადემიკოსის დამშვიდებას შეუდგნენ. ვერაფრით ვერ დააწყნარეს. ამდენი წლების მანძილზე ჯერ არავის ენახა, დავით ბოცვაძე ასე გაცოფებულიყოს. ორი ცნება — თოფი და აკადემია მოხუცმა აკადემიკოსმა ვერაფრით ვერ დაუკავშირა ერთმანეთს.

ბოლოს თანამშრომლები რიგრიგობით გაიკრიფნენ. ინსტიტუტის უზარმაზარ შენობაში ისევ გამეფდა სიჩუმე. ყველანი ფეხაკრეფით დადიოდნენ. ჩვეულებრივზე უფრო ხმადაბლა ჩურჩულებდნენ. ასე გაგრძელდა ერთ კვირას. ინსტიტუტში ისევ დაისადგურა სიმშვიდემ. აკადემიკოსი ჩვეულებისამებრ დილით მოდიოდა და გვიანობამდე მუშაობდა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მხოლოდ რეფერენტის ოთახი იყო დაკეტილი, ამ ოთახის წინ გავლისას ყველას ტუჩებზე ღიმილი გამოესახებოდა ხოლმე. დარცხვენილი რეფერენტი მათემატიკის ინსტიტუტში ალარ გამოჩენილა, მეგობარი გამოგზავნა და თავისი ნივთები მას წამოაღებინა.

მხოლოდ თამაზ იაშვილმა დაკარგა სიმშვიდე. ამ გასროლის შემდეგ ალექსანდრე კობიძე კიდევ უფრო შეიცვალა. სულ მთლად გულჩათხრობილი გახდა. მარცხენა ლოყაზე კუნთი გამუდმებით უთამაშებდა და თვალებიც უცნაურად აციმციმა. უწინ თუ ოთახებსა და ლაბორატორიებში გადიოდა, ახლა ოთახიდან ფეხს არ იცვლიდა. ყოველ გახმაურებაზე უცნაური ხმა ამოსდებდა-

და ხოლმე, კანკალი აუვარდებოდა და შეშინებულ, ამოვრეული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

თამაზმა მოსვენება დაკარგა. ვერ იქნა და სამუშაოს თავი ვეღარ მოაბა. მიგიდასთან დაძაბული იჯდა. ცდილობდა კობიძისაკენ არ გიუხედა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ყოველ წუთში თვალები მისკენ გაურბოდა. აზრი ეკარგებოდა. ოთახში უკვე აღარ დაფრინავდნენ ციფრები და გრაფიკული გამოსახულებები. მიხვდა, ასე მუშაობის გაგრძელება შეუძლებელი იყო. გაახსენდა აკადემიკოსის დაპირება, ოთახს გამოგიცვლიო და გადაწყვიტა შეეხსენებინა. საკუთარ თავს დიდხანს ებრძოლა, კობიძისა რცხვენოდა, ეროდებოდა, არ უნდოდა ავადმყოფ კაცს გული სტკენოდა. მეორე მხრივ, შიშობდა, დასმენა ხომ არ გამომდისო, ლამაზი იქნება თუ არა ჩემი საქციელიო. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა და ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტს მიაშურა. აკადემიკოსთან შესვლა ზედ კარებთან გადაიფიქრა და გულზე მოეშვა. უკან გამობრუნდა, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, ასე არაფერი გამოუვიდოდა.

დავით ბოცვაძის კაბინეტის კარი რომ შეაღო, საკუთარი გულისცემა ესმოდა.

— მობრძანდით! — დაუძახა მაგიდის ორთავე მხარეს აკოკოლავებულ წიგნებს შორის ჩამჯდარმა აკადემიკოსმა.

თამაზ იაშვილი მაგიდასთან მივიდა. დავით ბოცვაძე რაღაც ქაღალდებს ადებდა რეზოლუციას.

— ეხ, შვილო, მეცნიერი ამ საქმეებზე არ ფიქრობ ცდებოდეს! მაგრამ ჩემს ასაკში ეს კიდევ შეიძლება. ახლა ჩემი გონება ისე სწრაფად როდი მუშაობს, როგორც ახალგაზრდისა. ბევრი ნიჭიერი მეცნიერი დაღუპა თანამდებობამ. ეს კარგად გაითვალისწინე. თავზე რაღ დამდგომიხარ, დაბრძანდი.

თამაზი ჩამოჯდა. თითებს იკვნეტდა, ლაპარაკის დაწყებას აგვიანებდა, თავბედს იწყევლიდა, აქ რამ შემომიყვანაო. გადაწყვიტა სათქმელი არ ეთქვა, სხვა რამე მოეგონებინა, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა და სულ დაიბნა.

— სწრაფად მითხარი, რისთვისაც მინდა სულხარ. ამდენი კი აღარ მცალია. მიქელ გაბრიელის ჩამოვლამდე ცოტა დრო დამრჩა, საქმე კი ბევრი მაქვს მოსაგვარებელი და დასამთავრებელი.

— ძალიან მეუხერხულება ამის თხოვნა, მაგრამ მეტი გამოსავალი არა მაქვს. თან მეშინია, ცუდად არ გამიგოთ.

მოხუცი აკადემიკოსი მიხვდა, იაშვილი ჭირის ოფლში იწურებოდა.

— გატყობ, რაღაც გაწუხებს. პირდაპირ მითხარი, რა გინდა.

— მე ალექსანდრე კობიძის ოთახში ვზივარ... — დაიწყო უხერხულად თამაზმა და წამოწითლდა.

— ვიცი, ვიცი, რაც უნდა მითხრა. მე მილიონნი საქმე მაქვს, გულზე გადამვარდა. შენ მაინც რატომ არ გამახსენე აქამდე. ახლავე ბრძანებას გავცემ, რეფერენტის ოთახი გაგითავისუფლონ. იქ მარტო იქნები და მუშაობაში ხელს არავინ შეგიშლის. ახალ რეფერენტს კი კობიძის ოთახში დავსვამ.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, მაგრამ, თუ არ დამძრახავი, კიდევ მაქვს ერთი სათხოვარი.

— ბრძანეთ, ნურაფრის გეუხერხულებათ.

— მეშინია კობიძის ყურამდე არ მივიდეს, რომ თქვენთან ვიყავი: ვაი თუ, ეწყინოს, თავმოყვარეობა შეელახოს.

აკადემიკოსმა გაიცინა.

— თუ ჩემმა გეპარებათ ეჭვი...

— არა, მაგას როგორ შემოგკადრებთ, ეგ არც მიფიქრია. ხომ არ სჯობია, ეს ყველაფერი ხვალიდან მოგვარდეს?

— გასაგებია, გასაგებია. თქვენ წადი-ძანდითა და თქვენი საქმე გაგრძელეთ. დანარჩენზე მე ვიზრუნებ.

მეორე დილას თამაზ იაშვილი უკვე რეფერენტის ოთახში იჯდა. პატარა, მყუდრო ოთახი ბაღს გადასცქეროდა. მძიმე, მუქი წაბლისფერი ხის ჩუქურ-

---

**გურამ შანგუნიძე**
**თვალი პატიოსანი**

თმებიან კარებს შეიკეტავდა თუ არა, თავს უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა. ალექსანდრე კობიძესთან შეხვედრისას შუბლზე მაინც ცივი ოფლი ასხამდა. რატომდაც ეგონა, ალექსანდრემ ყველაფერი იცისო და სინდისი ქენჯნიდა. ცდილობდა იშვიათად შეხვედროდა. ერთხელ მაინც გახდა იძულებული ალექსანდრესთან მისულიყო და ეთხოვა, ანალიზური გეომეტრიის კურსი შინ გამატანეო. წიგნი ლაბორატორიას ეკუთვნოდა. იმ დღეს ბიბლიოთეკა რატომღაც არ მუშაობდა და თამაზმა გადაწყვიტა, ლაბორატორიის წიგნი წაეღო შინ.

— წიგნს სახლში ვერ გაგატან! — მკაცრად მიუგო ალექსანდრემ.

— ხვალ დილითვე დაგიბრუნებთ, ბატონო ალექსანდრე.

— წიგნს ვერ გაგატანთ, მორჩა და გათავდა.

— რატომ, ბატონო ალექსანდრე, არ მენდობით?

— არ გენდობი! — იყვირა საშინელი ხმით კობიძემ, თვალები აემღვრა, ყბა მარცხნივ მოექცა და ლოყაზე კუნთი აუთამაშდა, — მერედა, ვინ გითხრა, რომ არ გენდობი!

ლაბორატორიაში კიდევ ორი მეცნიერი უჯდა მაგიდას. ალექსანდრეს ყვირილზე სამუშაოს თავი მიანებეს და ფეხზე წამოიჭრნენ.

— საიდან დაასკვენი, რომ არ გენდობი, ისეთი რა შემამჩნიე, რატომ გგონია, რომ არ გენდობი?!

ალექსანდრე ყელში სწვდა თამაზს. იაშვილმა გაიბრძოლა, მაგრამ კობიძის ღონიერ მკლავებს ვერ დაუძლია. ამ ჯაჯგურში სათვალე მოსხვრა და იატაკზე დავარდა. საცოდავად ახამხამებდა თვალებს უსათვალოდ დარჩენილი ახალგაზრდა მეცნიერი.

— ვინ გითხრა, რომ არ გენდობი! — ყვიროდა ალექსანდრე და თამაზს საშინლად ანჯღრევდა.

ლაბორატორიაში ხალხი შემოცვივდა. ორი ახალგაზრდა მეცნიერი ალექსანდრეს უკნიდან წამოეპარა. მალე კობიძე მათ ხელებში იგრიხებოდა, მაგრამ ახალგაზრდებს მაგრად ჰყავდათ შეკრული. კობიძე იბრძოდა, განთავისუფლებას ლამობდა, პირიდან მომწვანო დუჟი გადმოსდიოდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ეს უკვე აღარ იყო ნორმალური ადამიანის თვალები.

— რატომ გგონიათ, რომ არ გენდობით! — ყვიროდა მთელი ხმით და ამ სიტყვებს დაჟინებით იმეორებდა.

ვიღაცამ სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა. ალექსანდრე კობიძე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს.

●

მორიგე ექიმი ოცდათხუთმეტიოდე წლის საკმაოდ ლამაზი ქალი იყო. მან ხარბად შეათვალიერა ოთარ ნიკურაძე და ავადმყოფობის ისტორიას ჩახედა. მართალია, უფრო შეწუხებული თამაზი იყო, შეკითხვებსაც ის იძლეოდა, მაგრამ ექიმი პასუხის დროს მხოლოდ ოთარს მისჩერებოდა, თითქოს მხოლოდ მას ელაპარაკებოდა.

— ფსიქიური აშლილობა, თანაც საკმაოდ მძიმე ფორმებში. ეს უკვე მეორედ მოსვლია! — დინჯად, აუღელვებლად თქვა მან. თვალი ოთარს გაუშტერა და ფანქრის ბოლო კბილებშუა მოიქცია.

— მეორედ?! — წარმოთქვა გაოცებულმა თამაზმა.

— დიახ, მეორედ! — პირველად შეხედა თამაზს ექიმმა. — ოქვენი ნათესავია?

— არა, თანამშრომელი.

ექიმმა ისევ ჩახედა ავადმყოფობის ისტორიას.

— ერთხელ ფრონტზე დამართია, დაჭრილს. სამი წელი უმკურნალია ფსიქიატრიულში. თქვენთან დიდი ხანია მუშაობს?

— საკმაოდ.

— მერე არაფერი ეტყობოდა?

— არაფერი, სრულიად არაფერი. — იცრუა თამაზმა.

— თქვენს ინსტიტუტში საიდან მოხვდა? — ჰკითხა ოთარმა მეგობარს. ქუჩაში რომ გამოვიდნენ.

— ომის დამთავრების შემდეგ მოსულა. ჩვენს დირექტორს შესცოდებია და ლაბორატორიის მეთვალყურედ აუყვანია.

— თვითონ მათემატიკოსი იყო?

— ომამდე ფიზიკის მასწავლებელი ყოფილა.

— ცოლ-შვილი ჰყავს?

— მხოლოდ ერთი ქვრივი დაი ჰყავს, ისიც სოფელში.

ერთხანს უხმოდ მიაბიჯებდნენ.

— ვინ იცის, ფრონტზე რატომ... — თამაზმა აღარ დაამთავრა, არ უნდოდა იმ საშინელი ავადმყოფობის სახელწოდება ეთქვა და სიგარეტი ამოიღო.

— ვინ იცის! — აიჩეჩა მხრები ოთარმა, — მართლაც და რატომ უნდა შეშლილიყო?!

— შენ არ მოსწევ? — გაუწოდა სიგარეტი თამაზმა.

— ახლა არ მოვწევ?!

— რა ვიცი, მოსწევ? არც კი შემიმჩნევია.

— მართლაც, რატომ უნდა შეშლილიყო? — გაიმეორა მეგობრის სიტყვები თამაზმა.

— „რატომ გგონია, რომ არ გენდობითო“, ამას გაჰყვიროდა, არა?

— ჰო, გაჰყვიროდა და თანაც მეტისმეტი დაყინებით. რატომღაც ამ სიტყვამ გააცოფა. რაღა მაინცდამაინც მე წამომიცდა.

— მაგაზე არც იდარდო, ერთხელაც იქნებოდა და სხვასაც წამოსცდებოდა.

— შენ გგონია, სხვა დროსაც ასე გადაირეოდა? — გამომცდელად შეხედა თამაზმა მეგობარს.

— დარწმუნებული ვარ.

— რატომ?

— ეგ სიტყვა ცუდად მენიშნა.

— რომელი სიტყვა?

— „არ გენდობითო“, რომ ამოუჩემებია.

— ვითომ ეგ გეუბნება რამეს?

— ძალიან ბევრს. თუმცა ჩემი სიტყვები შეიძლება ბრალდებასავითაც კი ყოერდეს.

თამაზი გაჩერდა და მეგობარს ცნობისმოყვარე თვალები შეანათა.

— იგი ფრონტზე შეიძლება ორი მიზეზის გამო შეშლილიყო: შიშისაგან ან...

ოთარი შეყოყმანდა.

— ან რისაგან? — მოუთმენლად ჰკითხა თამაზმა.

— ან სინდისის ქენჯნისაგან. თუმცა ეს უკვე ბრალდებაა. არ შეიძლება უცნობ ადამიანზე ასეთი აზრი გამოთქვა.

— სინდისის ქენჯნისაგან?

— ჰო. ეს აზრი ალბათ მიხვდი, რატომაც დამებადა. როგორც შენ მიამბე, კობიძე ერთმა სიტყვამ გაამწარა ძალიან, შენ რომ უთხარი, „არ მენდობიო“. შემდეგ დაყინებით იმეორებდა ამ სიტყვებს და ღრიალებდა, არა?

— ჰო, შენ ალბათ მართალი ხარ! — ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა თამაზმა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დაუმატა: — მაგას თუ რამე დაემართა, მე გავიქცევი აკადემიიდან.

— სისულელეს თავი დაანებე. შენ რა შუაში ხარ, მოხდა ის, რაც აღრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო.

## პირველი მოთხრობა

სროლა შეწყდა, მაგრამ თვითმფრინავების საზარელი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა. ბეყან აბულაძე შიშისაგან თავის აწევას ვერ ბედავდა. იგი პატარა თხრილში ეგდო. თავი ისე ჰქონდა მიწაში ჩარგული, თითქოს სადღაც სოროში ჩაძრომას ლამობდა.

ბოლოს თვითმფრინავების ხმაც მიწყდა. ერთბაშად გამეფდა საშინელი სიჩუმე. ნიავიც კი არ ქროდა. ამოდენა სროლისა და ბომბების აფეთქების შემ-

**გურამ შანჯიკიძე**
თვალი პატიოსანი

დეგ ეს უჩვეულო სიჩუმე უფრო აუტანელი ხდებოდა. თითქოს მთელი გარემო გაიყინა და დამუნჯდა მოახლოებული საფრთხის მოლოდინში. ირგვლივ ყველაფერი, მიწაც, ტოტებჩამოტეხილი ხეებიც და ჰაერიც რაღაც საიდუმლო მოლოდინით გაიყინთა.

ბეყან აბულაძეს ახლა უფრო შეეშინდა, ახლა, როცა სროლა შეწყდა და ასეთი უჩვეულო სიჩუმე გამეფდა. თავის აწევაა ვერ ბედავდა. იცოდა, რაღაც საშინელება უნდა დაენახა. ახლა იგრძნო, სახე და ცხვირი საშინლად სტკიოდა. შიშისაგან გაბრუებული, სროლისა და დაბომბვის დროს ვერც კი გრძნობდა, მიწას როგორ აწევებოდა. თითქოს თავით უნდოდა გაენგრია და სადღაც შორს, მიწის სიღრმეში თხუნელასავით ჩამძვრალიყო. მერე მხრებზე სიმძიმეც იგრძნო და მიხვდა, ბომბია აფეთქების დროს ჰაერში ატყორცნილ მიწას სანახევროდ დაემარხა. ასე იყო ერთხანს. თვითონ კი ეჩვენებოდა, რომ უსასრულოდ დიდი ფრო გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა და თავი ფრთხილად ასწია. როგორ გაუკვირდა, როცა ბომბებისაგან ჩამოტეხილ ხეებს შორის ჩამავალი მზის უზარმაზარი, წითელი დისკო დაინახა. მზის დანახვამ გააოცა და ოდნავ დაამშვიდა კიდეც. ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა, იქაურობა ვეღარ იცნო. მწვანე მინდორი ყუმბარებით იყო გადათხრილი. ალაგ-ალაგ რაღაც ბოლავდა.

ბეყანს ვერ გადაეწყვიტა, წამომდგარიყო თუ არა. ირგვლივ გამეფებულმა საშინელმა სიჩუმემ ახლა უფრო შეაშინა.

„ნუთუ არავინ გადარჩა?“ — ჰკითხა თავის თავს. მერე ოდნავ შეინძრა, შეეცადა სხეულზე დაყრილი მიწა მოეშორებინა. ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. მაშინ გადაწყვიტა, წინ გახოხებულიყო. ხელები ფრთხილად გაშალა, იდაყვებს დაეყრდნო და წინ ნელ-ნელა წაიწია. კიდევ ოთხჯერ დაეყრდნო იდაყვებს და მიწიდან გამოძვრა. უეცრად მარცხენა გვერდში სისველე იგრძნო.

„სისხლი“, — გაიფიქრა უნებურად.

ხელი ფრთხილად მოისვა ნეკნებთან და სისხლიან მტევანს კარგა ხანს დაჰ-ჩერდა. არც კი გაუგია, როდის დაიჭრა. ნეკნებს შუა ჩხვლეტა იგრძნო. მალე დარწმუნდა, ყუმბარის ნამსხვრევისაგან მსუბუქად იყო დაჭრილი და ცოტა დამშვიდდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გიმნასტური ფრთხილად ამოიწია, ოდნავ მარჯვნივ გადაბრუნდა და ნეკნებშუა ჭრილობას დახედა. შედედებული სისხლი მოიშორა. ჭრილობა ძალზე პატარა იყო, ნამსხვრევის თავი მოჩანდა კიდეც. ბეყანმა ნამსხვრევი ორი თითით ამოიძრო და ცხვირსახოცი ჭრილობაზე მაგრად მიიჭირა. ახლა კი იგრძნო ტკივილი, მაგრამ ისეთი მაინც არა, როგორსაც ელოდა.

ახლა იგი მარჯვენა გვერდზე იყო წამოწოლილი. მარჯვენა ლოყაც მიწაზე ედო, ხოლო ცხვირსახოციანი მარცხენა მაგრად ჰქონდა ჭრილობაზე მიჭერილი. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ მიწის კოლობოხების მეტს ვერაფერს ხედავდა.

სიჩუმე აუტანელი ხდებოდა. ბეყანი ისევ შეიპყრო საშინელმა შიშმა. ახლა მიხვდა, რომ მარტო ის გადარჩა ცოცხალი თავის თანამებრძოლებს შორის. უზარმაზარი მინდორი მკვდრებით იყო მოფენილი და ამ სიკვდილის სამეფოში მხოლოდ თვითონ იყო ერთადერთი სულიერი არსება.

„იქნებ კიდევ გადარჩა ვინმე?“ — გაიფიქრა უნებურად. თავი ოდნავ წამოსწია და გაუბედოდად დაუსტვინა. დუმილი არავის დაურღვევია. მერე უფრო მაგრად დაუსტვინა. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. გადაწყვიტა, ზურგისკენ წასულიყო, ფეხზე წამოდგომა ვერ გაბედა და ხოხვით იქით გაემართა, სადაც, მისი აზრით, ზურგი უნდა ყოფილიყო. დააკვირდა, ჭრილობა მაინცდამაინც ხელს არ უშლიდა. აჯობებდა წამომდგარიყო, ჭრილობა ფეხით მოსიარულეს უფრო არ შეაწუხებდა, მაგრამ წამოდგომა ვერ გაბედა. ცოტა ხანს კიდევ იხოხა და მიხვდა, ასე შორს ვერ წავიდოდა. მზის

წითელი, გაბერილი დისკო კი ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდა. თვალს ალბათ მალე მიეფარებოდა. შიშმა აიტანა, სისწრაფეს უმატა. მერე ნელ-ნელა ოთხზე გადავიღო. პირუტყვივით მიძუნძულებდა, მზეს მისდევდა, წითელ მზეს. თითქოს ის იყო ერთადერთი ცოცხალი არსება ამ სიკვდილით გაჯერებულ მიდამოში.

მზე კი ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდა, ბეჟანს აღარ ახსოვს, ფეხზე როდის წამოდგა. იგი ახლა მირბოდა, სახეზე ოფლი ფურნურით ჩამოსდიოდა, ბომბისაგან გაჩენილ ორმოს გვერდი აუარა და უცებ შიშისაგან კინაღამ შეჰყვირა, მკერდადე დამარხული სერჟანტი დაინახა. სერჟანტი გულაღმა ეგდო. პირი დაკეტრებული სისხლით ჰქონდა სავსე.

ბეჟანმა ნაბიჯი ვეღარ წადგა წინ. სერჟანტი თვალებში მისჩერებოდა. თითქოს სადაცაა ხმას ამოიღებსო. დაიბნა, არ იცოდა, სერჟანტი მკვდარი იყო თუ ცოცხალი. „არა, ნამდვილად ცოცხალია“ — გაიფიქრა და ორი ნაბიჯი წინ გადადგა, მაგრამ სერჟანტი ახლა აღარ მისჩერებოდა. მისი გაცივებული ღია თვალები ისევ იმავე მიმართულებით იცქირებოდნენ უაზროდ.

ბეჟანმა უკან დაიხია, მერე შებრუნდა და მზეს შეხედა. მზე თითქოს ნელ-ნელა ჯდებოდა თავიდ ბუდეში. ბეჟანი ისევ გაიქცა. გარბოდა, რაც კი შეეძლო. გარბოდა თავდავიწყებით, ახტებოდა ორმოებს, ახტებოდა მკვდრებს—აღარც კი ცდილობდა გვამებისათვის თვალი შეეკლო და თავისი თანამებრძოლები შეეცნო. ქოშინი აუვარდა, ჭრილობამ კიდევ უფრო შეაწუხა, მაგრამ მაინც თავდავიწყებით გარბოდა.

ბეჟან აბულაძე მზეს მისდევდა.

წითელი მზე კი ნელ-ნელა ეფარებოდა თვალს.

ბეჟანმა სირბილს უმატა. ვერც კი შენიშნა, უზარმაზარ, ძაბრისებურ ორმოს როდის მიადგა. თავი ვეღარ შეიკავა და გადახტა, მაგრამ ორმოს დიდი პირი ჰქონდა. ნახტომი არ ეყო, თუმცა მაინც მოახერხა ხელებით ორმოს თრეზე დაყრილ მიწას ჩასჭიდებოდა. ტანი კი მთლიანად ორმოში იყო გადაფენილ ბული. ცოტაც და ორმოში ჩავარდებოდა. შეშინებული მიწას იდაყვებით დაეყრდნო და ორმოდან ტანი სანახევროდ ამოათრია. ყოველ შემთხვევაში, ჩავარდნით აღარ ჩავარდებოდა. ცოტა ხანს შეისვენა, მერე ისევ ღონიერად წამოიწია და ფეხზე წამოდგა. ბეჟანი გარბოდა, გარბოდა თავდავიწყებით. ოფლში ცურავდა, ძლივსღა სუნთქავდა. მაგრამ მაინც გარბოდა.

დიდი, წითელი მზე უცებ ჩავარდა ჰორიზონტზე გაწოლილ ნისლში და უკანასკნელი სხივები სიახლის ზხეფებივით ავარდა მაღლა.

ბეჟანმა ფეხი ქვას წამოჰკრა და მიწაზე გაიშხლართა. წამოდგომას აღარ ცდილა. თითქოს მზის ჩასვლის შემდეგ სულერთი იყო ყველაფერი. მძიმედ სუნთქავდა. საშინლად დაიღალა. ჭრილობა კიდევ უფრო სტკიოდა. მთელი მარცხენა მხარე უხერდა. უცებ ტუჩებთან საფეთქლებიდან წამოსული ოფლის ნაკადი ივრძნო. ენის წვერით ოფლი ალოკა. ესიამოვნა თუ შეზიზღდა მლაშე სითხე, ვერც კი გაარჩია. მაგრამ ოფლი ღვარად მოსდიოდა და ენას განუწყვეტლივ ამოძრავებდა. სული მოითქვა.

„მალე დადამდება“, — გაიფიქრა და ახლა გაახსენდა, რომ ავტომატი სადღაც მიატოვა. ვერ მოიგონა, იქვე დარჩა, სადაც დაიჭრა თუ მაშინ გადაადგა. ნახევრადდამარხულ სერჟანტს რომ შეხვდა. ქამარზე მხოლოდ დანა ეკიდა. ეს იყო მთელი მისი იარაღი. ერთხანს წამოჯდა, მერე ფეხზე ზლაზვნით წამოდგა. გზა განაგრძო. ახლა აღარ გარბოდა. სიარულითაც ნელა მიდიოდა. უფრო სწორად — მილასლასებდა, ორიენტაცია სავსებით დაკარგა.

„მივდივარ კი სწორად?“ — ფიქრობდა ბეჟანი და თან დცილობდა მოკლული სერჟანტის გაცივებული თვალე-

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი პატიოსანი

ბი გონებიდან ამოეგდო. უკვე საკმაოდ ბნელოდა, ტყის პირს რომ მიაღწია. პატარა ფიცრული ჭოხი შენიშნა. გაუხარდა, მაგრამ ახლოს მისვლა მაინც ვერ გაბედა.

„ვითომ სწორად მოვდივარ?“ — ისევ გაიფიქრა და ჭოხს ნელა, ქურდულად მიუახლოვდა. დანა უკვე ხელში ეჭირა.

ჭოხთან მიმავალი ბილიკი ბალახს დაეფარა. ბეჟანი მიხვდა, დიდი ხანი იყო, კაცისშვილს აქ ფეხი არ დაედგა. ჭოხთან მაინც ფეხაკრეფით მივიდა და კარი ნელა შეაღო. კარის ჭრიალმა შეაკრთო. ირგვლივ მიმოიხედა, არავინ ჩანდა. ჭოხში თივა იყო მოფენილი. ბეჟანი შევიდა და კარი ერთბაშად მიკეტა. შეეშინდა, კიდევ არ გაიჭრიალოსო. ჭოხში ჩამობნელდა, თუმცა გარეთ ჯერ კიდევ საკმაო სინათლე იყო. ბეჟანი კუთხეში წამოწვა და ჭერს შეაჩერდა. ჭრილობა ისევ აწუხებდა, მაგრამ აღარ უნდოდა, ზედ დაეხედა. სისხლი აღარ მოსდიოდა, სხვა რამის გაკეთება კი მაინც არ შეეძლო. დაღლილ სხეულს რბილი თივა ესიამოვნა. ასე იყო კარგა ხანს.

„გარეთ ალბათ უკვე ბნელა“, — დასკვნა ბეჟანმა და საშინლად მოუნდა პაპიროსი. დილიდან არ მოუწევია. არც ახლა ჰქონდა მოსაწევი.

„ამაღამ იქნებ კარგად გამოვიძინო და ღონე მოვიკრიფო. ხვალ დილით უთენია უნდა ავდგე“.

უცებ კარის ნაცნობი ჭრიალი გაისმა და ჭოხში საღამოს მკრთალი სინათლე კარის სიფართოვეზე შემოიჭრა.

ბეჟანმა შიშისაგან შეჰკვირა, წამოიწია და დანა იძრო. კარში გერმანელი ჯარისკაცი იდგა, ხელში რევოლვერი ეჭირა. ისინი კარგა ხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ადგილიდან არ იძროდნენ.

ბინდი მატულობდა.

უცებ გერმანელმა რევოლვერი ბუდეში ჩადო. მერე ქამარი ბუდიანად მოიხსნა, მეორე კუთხეში მიაგდო, კარი დახურა და თივაზე წამოწვა.

ბეჟანი იმავე პოზაში დარჩა, დანას ხელს ისე უჭერდა, თითები სტკერდა.

ჭოხში უკვე საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა საგნების გარჩევა, გერმანელი კარგად ხედავდა ბეჟანის კატასავით მოელვარე თვალებს და მოღერებულ დანას, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. მერე უცებ ჩექმები გაიხადა და წამოწვა.

ბეჟანი დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა.

„მატყუებს? იქნებ ფანდია, რომ დამეძინოს და მერე გამომჭრას ყელი?“

გერმანელი კი იწვა და ჭერს შესჩერებოდა. ჩრდილოეთის ნათელი ღამე მაინც იძლეოდა საშუალებას გაერჩიათ ერთმანეთის შავი მოხაზულობა.

„მაგრამ თუკი ჩემი მოკვლა უნდოდა, რატომ არ მესროლა?“

უცებ გერმანელი მკვეთრად შეინძრა. ბეჟანი ისევ შეიკუმშა. გერმანელმა ჯიბიდან ბენზინია კვესი და სიგარეტი ამოიღო. სიგარეტი ეტყობოდა ნამიანი იყო, დიდხანს მოუნდა მოკიდებას.

ბეჟანი დაძაბული აკვირდებოდა ცეცხლის მკრთალი შუქით განათებულ გერმანელის სახეს, ორმოცდახუთისა მაინც იქნებოდა.

„ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, იმავე წუთში დამაცხრებოდა და მომკლავდა“, — დასკვნა ბეჟანმა.

გერმანელმა ბოლი ღრმად შეისუნთქა და ბეჟანს მიუბრუნდა.

— Хочет! — ჰკითხა უცნაური, რბილი აქცენტით.

— Да, хочу! — მიუგო ბეჟანმა და დანა გვერდზე დადო. დადო იქვე ახლოს, რომ თუ საჭირო გახდებოდა, სწრაფად მისწვდენოდა.

გერმანელი წამოდგა და სიგარეტი მიაწოდა. ბეჟანმა ხარბად მოქაჩა, თან გერმანელია ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა, ერთბაშად ყრონტში არ მწვდესო. იცოდა, მის წინ მტერი იდგა, მაგრამ თავდასხმას თვითონაც ვერ ბედავდა. არ შეეძლო სამშვიდობოდ შემოსულ კაცზე სასიკვდილოდ აეწია ხელი.

გერმანელმა შენიშნა, ბეჟანს გიმნასტურა გაბმაარი სისხლით ჰქონდა დასვრილი. მიხვდა, დაჭრილი იყო. ამაში საბოლოოდ დარწმუნდა, როცა ბეჟანმა გაჭირვებით იცვალა მხარი.

გერმანელმა ჟესტებით ჰკითხა დაჭრილი ხარო? — მას ხელში ანთებული ბენზინია კვესი ეჭირა.

ბეჟანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თითი ნეკნთან მიიტანა, აქა ვარ დაჭრილიო. გერმანელმა ანიშნა, გიმნასტურა აიწიეო. ბეჟანი უნებურად დამორჩილდა. გერმანელმა ბენზინის მკრთალ შუქზე ერთხანს ათვალიერა ჭრილობა, მერე გულის ჯიბეში ხელი ჩაიყო, რაღაც ორნაირი ფხვნილი ამოიღო, ერთმანეთში აურია და ბეჟანს ჭრილობაზე დააყარა. გიმნასტურის ჩამოშვებაში თვითონვე შეეშველა. ბეჟანმა ხელით ანიშნა, აქ საიდან აღმოჩნდიო. გერმანელმაც მიახვედრა, აქეთ ჩვენები არიან, შენ იქით უნდა წახვიდეო.

ბეჟანი მიხვდა, სწორად ჰქონდა მიმართულება აჩჩეული.

გერმანელმა კვესი ჩააქრო და თავის კუთხეში წამოწვა. ცოტა ხნის შემდეგ ბეჟანს ხმადაბალი ფშვინვა მოესმა. გერმანელს ეძინა.

ბეჟან აბულაძეს ასე ახლოს არასდროს ენახა გერმანელი. მან მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი ასეულში მოყვანილ მოენეს, ისიც საკმაოდ შორიდან. მანადე მხოლოდ მათი ნამოქმედარი ჰქონდა ნანახი. — გადაბუგული სოფლები და ამოხოცილი მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩამომხრჩვალი მოხუცები და რევოლვერის ტყვიით შუბლგახვრეტილი ბავშვები. გერმანელების მიმართ ბიოლოგიური ზიზღი ჰქონდა. ეს გერმანელი ვერაფრით ვერ ეგუებოდა მის წარმოდგენებს გერმანიასა და გერმანელებზე.

„რატომ არ მომკლა? რევოლვერი რატომ არ მესროლა? — იქნებ ტყვია არ ჰქონდა? იქნებ გასაქცევი არსად აქვს და გასროლის ხმის შეეშინდა“. — ბეჟანის ეჭვებს საკმაოდ ნოყიერი ნაკადი ჰქონდა.

„ვინ იცის, იქნებ იმიტომაც მიწამლა, რომ ჩემი ყურადღება მთადღეს ოს და თავისიანებს ცოცხლად ჩაბაბოს ჩემი თავი? იცის, დაჭრილი ვარ, ჩემი მოკვლა არ გაუჭირდება, მაგრამ მკვდარს რა თავში იხლის. დამეძინება თუ არა, გამკოკავს და ხვალ დილითვე წამიყვანს ოცცალს“.

ბეჟანს ძილი გაუფრთხა, ეჭვები ჭიანჭველასავით დაეხვია. გერმანელმა მხარი იცვალა. ბეჟანმა დანა ფიცხლად მონახა და კამარის წინ აფთარივით შეიკუმშა.

გერმანელი ფშვინავდა. იგი თანაბრად, მშვიდად სუნთქავდა. ბეჟანმა დანა ისევ ფრთხილად დადო თივაზე.

„იქნებ არც მატყუებს. იქნებ მაგათ შორისაც არიან წესიერი ადამიანები, იქნებ მასაც ჩემსავით ცოლშვილი ჰყავს შინ დატოვებული. კაცი კაცს არ უნდა ენდოს? ადამიანი ადამიანს არ უნდა ენდოს? არა, არა, გერმანელის ნდობა არ შეიძლება, არ შეიძლება, არ შეიძლება!“ — ამ სიტყვებს გაუთავებლად და რაღაც რიტმული კანონზომიერებით იმეორებდა გულში. ახლა ჭრილობა კი არ აწუხებდა, ათასი აზრი უბერავდა გონებას. დრო გადიოდა. რული არ ეკარებოდა. საშინელი სიცხე იგრძნო, ოფლში ცურავდა.

„ალბათ სიცხემ ამიწია!“ — გაიფიქრა ბეჟანმა და სიბნელეში ისევ იმ კუთხეს გახედა, სადაც გერმანელი იწვა. გერმანელს კი მშვიდად ეძინა. დროდადრო მხარს იცვლიდა და ბეჟანიც სასურაფოდ დანას ჩაბღუჯავდა ხოლმე. ეჭვი თანდათან უფრო იზრდებოდა. ეჭვს შიშიც მიემატა. მერე შიში და ეჭვი ერთმანეთში აირია.

„უნდა მოვკლა“, — გაიფიქრა უნებურად და თავისი გადაწყვეტილებისა თვითონვე შეეშინდა. ხელი დანისკენ

**გურამ ფანჯიკიძე**
**თვალი კატიოსანი**

ქურდულად გააპარა, თითქოს ეშინოდა, არავინ დამინახოსო.

„ან თვითონ რატომ მენდო? — ახალმა და საკმაოდ საფუძვლიანმა ეჭვმა იფეთქა ბეჟანის არსებაში. — რით დავიმსახურე მისი ასეთი ნდობა? ან ასე მშვიდად რომ სძინავს, საიდან დაასკვნა, ხელს არ მახლებაო? იქნებ ნამუსზე მაგდებს? არა, არა, მატყუებს! თავს ისე მაჩვენებს, თითქოს სძინავს. ელოდება, მე როდის ჩავიძინებ. მერე კი დამაცხრება თავზე. ეტყობა, რევოლვერში ტყვია არა აქვს, ან გასროლის ეშინია. იქნებ ჩვენები სულ ახლოს არიან. ურჩენია ძილში უხმაუროდ მომკლას, ან გამკოჭოს და დილით თავიისიანებს ჩამბაროს. ვერ მოგართვეს!“

სიბნელეში კარგად გამოზომა ის ადგილი, სადაც გერმანელი ეგულებოდა. უცბად კამარა შეკრა და გერმანელს დააცხრა. თვითონ ვერც კი იგრძნო, კამარა როგორ გააკეთა, ვინმემ უკარნახა, რაღაც შორეულმა ძალამ უბიძგა თუ თვითონ გააზრებულად და შეგნებულად ისკუპა. ეტყობა მანძილი კარგად გამოზომა, გერმანელს დანა პირდაპირ მუცელში ჩასცხო.

საშინელმა ხმამ, საშინელმა ყვირილმა თითქოს გამოაფიზიზლა, გონზე მოიყვანა. მიხედა, რაც გააკეთა, მაგრამ სულ ერთი წამით გაუნათდა გონება, სულ ერთი წამით გაანალიზა ყველაფერი, მერე ისევ შიში დაეუფლა, საშინელი შიში, დანა კედელი მიახეთქა და ღრიალით გარეთ გავარდა. იგი თან გარბოდა, თან ღრიალებდა. თითქოს უნდოდა საკუთარი ხმით ჩაეხშო გერმანელის უკანასკნელი, საშინელი ამობდავლება. ტოტების ლაწალუწუნე მიხედა, ტყეში გარბოდა. ეკლიანი ტოტები სახეში სცემდა, ლოყებს უკაწრავდა. თვალდახუჭული გარბოდა, ეშინოდა თვალები არ წამოეთხარა, სულ ერთი იყო, სიბნელეში მაინც ვერაფერს ხედავდა. ასე ირბინა, სანამ ხეს თავით არ დაეჯახა და გულშეწუხებული იქვე არ დაეცა.

გონს საავადმყოფოში მოვიდა. კარგა ხანს ვერ გაერკვა სად იყო. მერე გაახსენდა თავისი ჭრილობა. ჭრილობაზე ფიქრიც [illegible] წამოიწია და ჭრილობას დაჰხედა. ჭრილობის ადგილზე მხოლოდ მკრთალი ვარდისფერი ზოლი იყო და მეტი არაფერი.

„განა რამდენი დრო გავიდა?“ — შეშფოთდა ბეჟანი და ექიმს ჰკითხა, დღეს რა რიცხვიაო. როცა ექიმმა რიცხვი უთხრა, გაოცებისაგან კინაღამ შეჰკივლა, იმ დღიდან ერთი თვე იყო გასული.

— თავს როგორ გრძნობთ? — ჰკითხა ღიმილით ექიმმა, საკმაოდ ახალგაზრდა ქერა ქალმა.

— რამდენი დრო გასულა! — თქვა პასუხად ბეჟანმა, — ჩვენებმა თუ იციან რამე?

— ყველაფერი იციან, ყველაფერი, დამშვიდდით. ჯერ დეპეშა გავუგზავნეთ, მერე წერილიც მივწერეთ. წერილი პირადად მე დავწერე.

— მართალს ამბობთ? — იკვიანად იკითხა ბეჟანმა.

— ტყუილს რატომ უნდა ვამბობდე? ისევ გაიღიმა ექიმმა.

— აბა დაფიცეთ!

— დაფიცება რა შუაშია, თუ გნებავთ, დავიფიცებ. მაგრამ რა, არ მენდობით? — ექიმს აშკარად დაეტყო წყენა.

— არ გენდობით?! — ბეჟანმა ეს სიტყვები რაღაც საშინელი ჩურჩულით წარმოსთქვა. მერე მთლად გაფითრდა, თვალის კაკლები გაუფართოვდა და სახე უცნაურად აიმღვრა.

— მერედა, ვინ გითხრათ, რომ არ გენდობით, რატომ გგონიათ, რომ არ გენდობით! — იყვირა მთელი ხმით.

უცებ ყურში გერმანელის საშინელი ბღავილი ჩაესმა, სახეზე ოფლმა დასასხა და თავი ბალიშში ჩარგო. გერმანელის ბღავილი კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლა საბანიც წაიფარა, მაგრამ ის საშინელი ყვირილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ბეჟანმა საბანი და ბალიში სადღაც მოისროლა, თვითონ მუხლებზე შედგა

და „აწოლის“ რკინის სახელურს თავი საშინელი ძალით დაჯახა.

შეშინებული ექიმი გარეთ გავარდა, ექიმებს დაუძახა. ექიმები ბეჟანს მივარდნენ და გააკვეს.

— რატომ გგონიათ, რომ არ გენდობით, რატომ გგონიათ, რომ არ გენდობით! — ღრიალებდა ოფლში გაწურული ბეჟანი, თან უცნაურად იგრიხებოდა და ცდილობდა ექიმებს ხელიდან დასცლოდა. მარცხენა ლოყაზე კუნთი საშინელად უთამაშებდა, პირიდან მწვანე დუჟი გადმოსდიოდა.

— რატომ გგონიათ, რომ არ გენდობით!

ბეჟან აბულაძე ჭკუიდან შეიშალა.

## თავი მეათე

გათენდა 15 ივლისის დილა. ოთარ ნიკარაძეს ადრე გაეღვიძა. რატომღაც ეგონა, უკვე გვიან არისო, ლოგიწში ცოცხლად წამოჯდა და საათს შეხედა. შვიდს ოცი წუთი აკლდა.

— რა ადრე ყოფილა! — ჩაილაპარაკა გაოცებულმა, ხელები გაშალა, ორჯერ ვარჯიშის მაგვარი მოძრაობა გააკეთა და ისევ დაწვა. გუშინ მთელი ღამე ფიქრობდა. გამთენიისას მოხუჭა თვალი. სულ ალბათ ორი საათი თუ ეძინა. უძილობას ვერ უძლებდა. ახლა კი ცოცხლად იყო. თითქოს კარგი გამოძინებული ყოფილიყოს.

„ალბათ აღგზნებული ვარ, წუხანდელი ნერვიულობის შემდეგ“. — დასაკვნა ოთარმა და სკამზე გადადებულ შარვალს მისწვდა. ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოიღო. შარვალი ისევ სკამზე გადადო და სიგარეტს მოუკიდა. ნამწვავებით სავსე საფერფლე იატაკზე იდგა. წუხელ თითქმის მთელი კოლოფი მოსწია.

გაახსენდა, ღამის პირველ საათამდე რამდენი ინერვიულა. პირველ საათზე უკანასკნელი მატარებელი გადიოდა ბათუმის მიმართულებით. ისიც ნატანებამდე. ოთარ ნიკარაძე საათს შესჩერებოდა და მოწოლილ ვნებას ებრძოდა. ხვალ, დღის 12 საათზე მანანა გავაშელი სასტუმრო „ინტურისტის“ ვესტიბულში გამოვიდოდა ოთარის შესახვედრად. მერე ზღვა, მზე, მანანას ჰაეროვანი ტანი და „ინტურისტის“ მყუდრო ნომერი. ცთუნება დიდი იყო. მკერდზე ისევ გრძნობდა მანანა გავაშელის ბეჭდებიანი გრძელი თითების ნაზ მოძრაობას. საათს შეხედა. უკანასკნელი მატარებლის გასვლას ორმოცი წუთი აკლდა. ფეხზე წამოხტა. პერანგი სასწრაფოდ გადაიცვა. გული გამალებით უცემდა. თითქოს ეშინოდა გადაწყვეტილება არ შეეცვალა, წასვლა არ გადაეფიქრებინა. მერე უნებურად სარკეში თავის ალეწილ სახეს მოჰკრა თვალი.

ადგილზე გაქვავდა. სარკიდან თითქოს უცხო ადამიანი შემოსცქეროდა. თითქოს დანაშაულზე წაასწრო ვიღაცამ. ერთხანს ასე იდგა. მერე პერანგი გაიხადა, სადღაც მოისროლა და ლოგინზე თავდაღმა დაემხო. თვალწინ არჩილ გავაშელი წარმოუდგა.

— არ შეიძლება, არ შეიძლება! — ჩურჩულებდა ოთარ ნიკარაძე.

თავადაც კარგად იცოდა, ბათუმში წასვლა სულმდაბლობას, ხვადაგობას ნიშნავდა. ეს ღალატი იყო. ღალატი არა მეგობრის, ნაცნობის, კოლეგის ან ნათესავის მიმართ, არამედ ღალატი საერთოდ, მამაკაცისა და მამაკაცობის მიმართ. ოთარ ნიკარაძემ ცალი თვალით გახედა საათს. მატარებლის გასვლას ხუთი წუთი აკლდა. კიდევ შეიძლებოდა წამომდგარიყო, ტაქსი დაეჭირა და მატარებელს მცხეთაში დასწეოდა. ეს ცოტა რომანტიკულიც კი იქნებოდა. მაგრამ არა, არა და არა!

ოთარს თვალის დახუჭვისა ეშინოდა.

---

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი ჯატიოსანი

იმავე წუთში მანანა გავაშელი წარმოუდგებოდა თვალწინ. უნებურად მკერდზე ისევ იგრძნო ქალწულის ხელშეუხებელი მკერდივით ჯანსაღი და მკერვი გული, თითქოს მაშინდელივით მხოლოდ თხელი, სიფრიფანა კაბაღი მიჯნავდა მათ სხეულებს. ხელებში თითქოს ისევ ეჭირა მოქმნილი, მიმყოლი და საოცრად მორჩილი წელი. მკერდზე კიდევაც იგრძნო თითების ნაზი მოძრაობა, ჟრუანტელის მაგვარ სასიამოვნო ნაკადს იმპულსებად რომ გადასცემდა მის სხეულს.

ოთარ ნიკარაძე ბორგავდა. ცდილობდა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა. ამაოდ ლამობდა თვალები დაეჭყიტა. ამაოდ მისჩერებოდა წვიმისაგან ჩამონგრეულ ჭერს და გუნებაშიც ამაოდ ემუქრებოდა სახლმპრთველობას. საათისკენ გახედვაც კი არ უნდოდა, იქნებ დრო სწრაფად გავიდესო. ვერ მოიფიქნა და მაინც გააპარა თვალი. ახლა თეორიულადაც კი აღარ შეეძლო, მატარებელს დასწეოდა, ვეღარც მცხეთაში, ვეღარც გორში და ვეღარც ხაშურში.

ღამის ორი საათი სრულდებოდა. ახლა მხოლოდ მანქანით შეიძლებოდა ბათუმში წასვლა, ან თვითმფრინავით. თვითმფრინავის განრიგი ზეპირად იცოდა. ბათუმში პირველი თვითმფრინავი ზუსტად თორმეტ საათზე მიფრინავდა. მანქანით კი, გულითაც რომ მოეწდომებინა, ამ შუაღამისას ბათუმში წამსვლელ შოფერს ვერ იპოვიდა.

„კიდევ კარგი, ვაჟა ლაღიძე სოფელშია თავის მანქანინაო“, — გაიფიქრა ოთარმა და თავისუფლად ამოისუნთქა. გულზე ცოტა მოუშვა. დაძინებით კი მაინც ვერ დაიძინა.

ახლა დილის შვიდი საათი სრულდებოდა. მანანა გავაშელი ზუსტად ხუთი საათის შემდეგ გამოჩნდებოდა ბათუმის „ინტურისტის“ ვესტიბულში. ზუსტად ხუთი საათის შემდეგ.

ოთარ ნიკარაძეს აღარ უნდოდა, ეს ხუთი საათი წუხანდელივით ნერვიულობაში გაეტარებინა, დაძინება გადაწყვიტა და თავზე ზეწარი წაიფარა. თვითონვე მიხვდა, არაფერი გამოვიდოდა. ისევ წვიმისაგან გაფუჭებულ ჭერს მიაპყრო თვალი. რაც დრო გადიოდა, უზარმაზარი ლაქა ჭერზე უფრო და უფრო დიდდებოდა. ყველაზე მეტი მუქი მაინც შუაგულში იყო. ნაპირებისაკენ კი წრიული არშიები თანდათან ფერმკრთალდებოდა. მტკიცედ გადაწყვიტა, დღესვე ასულიყო სახლმპრთველობაში და სახლმპრთველისათვის ჭკუა ესწავლებინა.

დრო კი ძალიან ნელა მიდიოდა.

— მაწონი! — გაისმა ეზოში პატარა ბიჭის ხმა.

გაოცებულმა საათს შეხედა. რვის ხუთი წუთი იყო.

„ასე ადრე ვინ ააყენა ეს პატარა ბავშვი?“ — ოთარი წამოხტა და ფანჯრიდან გადაიხედა. ეზოში პატარა, ღარიბულად ჩაცმულ ბავშვს მოჰკრა თვალი. „მაწონი“, — გამუდმებით იძახდა ბიჭუნა და თან უზარმაზარი რუხი შენობის ფანჯრებს შესჩერებოდა საცოდავად.

— ბიჭი, ამოხვალ ჩემთან?

ბიჭუნამ მოიხედა და თავი დაუქნია. მასთან ერთად ქალი იყო. ალბათ იმ ბიჭის დედა. ქალმა ზურგზე გადაკიდებული ტომარა ასფალტზე დადო.

— ამომიტანე ერთი ქილა. არა, ხუთი ქილა. ასე ამოდი, ამ შესასვლელიდან. — ოთარმა ხელით ანიშნა, საიდან უნდა ამოსულიყო. მერე შარვლის ჯიბიდან ფული ამოიღო და ისევ ლოგინზე წამოწვა.

ბიჭუნამ მალე ამოიტანა მაწონი, გული გამალებით უცემდა, დაღლილობისაგან გაწითლებულიყო.

— სირბილით მოდიოდი? — ჰკითხა ოთარმა. — აბა ეგ მაწვნები სამზარეულოში გაიტანე. ცარიელი ქილები იქვე იქნება და აიღე.

ბიჭმა მაწვნები სამზარეულოში გაიტანა. მალე უკან გამობრუნდა, ბადეში ხუთი ცარიელი ქილა ჰქონდა ჩადგმული.

— ქილები იყო საკმარისი?

— კი.

— რამდენი წლისა ხარ?

— ცხრა წლისა.

— ცხრის? — გაიოცა ოთარ ნიკარაძემ და ბავშვის გამხდარი, გარუჯული ტანი ჩაათვალიერა. შვიდ წელზე მეტს კაცი ვერ მისცემდა.

— სწავლობ?

— მეორეში გადავედი.

— სადაური ხარ?

— წყნეთელი.

— დილით რომელ საათზე დგები?

— ექვსზე.

— არ გიჭირს ადგომა?

— ბიჭმა თანხმობის ნიშნად ჩაიცინა და ხალათის კალთა მოიგრიხა.

— დედაშენს არ ეცოდები, დილით რომ გაღვიძებს?

— აბა, რა ქნას, რომ ვეცოდები. თვითონ გული სტკივა, არ შეუძლია კიბეებზე სიარული.

ოთარ ნიკარაძეს ყელში რაღაც მოაწვა. საოცარი სინანული იგრძნო. თვითონ ათ საათამდე ვერ იღვიძებდა და წარმოიდგინა პატარა, ცხრა წლის ბავშვი, რომელსაც დედა უთენია აღვიძებდა ძალისძალად, ბავშვი ალბათ ისე დგება, ტანთ ისე იცვამს, რომ თვალები ხეირიანად არც კი აქვს ახელილი. ამ დროს მისი ტოლები ლოგინში ნებივრობენ. თუნდაც ის არაბუნებრივად ჩასუქებული ტყვამალაძის ბავშვი, მის პირდაპირ რომ ცხოვრობს. ვინ იცის, ეს ბიჭუნა როგორი შურით შესცქერის ხოლმე თავის ტოლა ბიჭის ბედს. როგორ ნატრობს მის ფუმფფულ ლოგინს, მის ველოსიპედს. მას ხომ არავინ არ გააღვიძებს უთენია, არავინ არ დაუფრთხობს ძილს, ქალაქში წადი და მაწონი გაყიდეო. ეს გამხდარი ბიჭუნა ალბათ რა ვულმოკლული ჩადის დაბლა, როცა უძვირფასეს დილის ხალათში გამოწყობილ და წითელ პედიკიურიან ლამაზ ქალს თავის გამხდარ, მძიმე მუშაობისა და ტვირთისაგან დალეულ, გაცრეცილ თავსაფრიან დედას ადარებს. მერე დაღლილი, არაქათგამოცლილი ადის სოფელში და პირდაპირ სკოლას მიაშურებს.

ოთარ ნიკარაძეს ბავშვები ძალიან უყვარდა. არ შეეძლო მათ გვერდზე გულგრილად ჩაევლო. განსაკუთრებით მაშინ უკვდებოდა გული, როცა ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში თბილისში დარჩენილ პატარა ბავშვებს ნახავდა ეზოში მარტოდმარტო მოთამაშეთ, მოწყენილობასა და სიცხისაგან რომ იყვნენ დაოსებულები.

— აი, შენ ფული! — ოთარმა ფული გაუწოდა.

— ხურდა არა მაქვს.

— არა უშავს რა. მე ყოველ დილით ვიყიდი ხუთ ქილა მაწონს. დილით მე მძინავს ხოლმე. შენ ამოდი და ზარს თითი დაუჭირე. თითი მანამდე არ აუშვა, სანამ არ გამომეღვიძება და კარს არ გაგიღებ. გასაგებია?

ბიჭუნამ თავი დაუქნია, გასაგებიაო და წავიდა.

ოთარი ისევ მარტო დარჩა. დრო კი ნელა გადდიოდა, ძალიან ნელა.

„მას ალბათ ჯერ კიდევ სძინავს. არა, ის ახლა ზღვაზე იქნება. მანანა გავაშვილ ნემსის ყუნწში გაძვრება, ოღონდ კი სხეულის სილამაზე შეინარჩუნოს“.

ტელეფონმა დარეკა, ოთარმა ყურმილი აიღო. ტელეფონი იატაკზე იდგა, იქვე, სავარძლის გვერდით. ძილის წინ აპარატს ყოველთვის იატაკზე დგამდა, ლოგინთან.

— გისმენთ!

ხმა არავინ გასცა.

— გისმენთ, ალო, გისმენთ!

მაინც არავინ გამოეპასუხა.

ოთარმა ყურმილი დადო. უკვე რამდენიმე დღე იყო, ასე მეორდებოდა, თანაც ყოველთვის დილით და ღამის პირველ საათზე. ვიღაც რეკავდა. რეკავდა ზედიზედ ორჯერ ან სამჯერ, ხმას კი არ იღებდა. აი, ახლაც ტელეფონმა ისევ დარეკა.

ოთარმა ყურმილი აიღო და ყურთან მიიტანა. კრინტი არ დაუძრავს. ჩვეულებრივ აღარ უთქვამს გისმენო. დაე-

ლოდა, ის რას ეტყოდა. ეს „ის“ ოთარის წარმოდგენაში კაცი იყო და მის პიროვნებას რატომღაც მაშინდელ მკვლელობას უკავშირებდა.

იმ შემთხვევის შემდეგ ოთარ ნიკარაძე ყოველდღე ელოდა მილიციაში გამომძიებლებნონ. მართლაც ერთი კვირის შემდეგ გამოიძახეს და იგივე გაამეორებინეს, რაც იმ დღეს ჩაიწერეს. ისიც გაიგო, რომ მანქანის პატრონი დაიჭირეს და მერე თავდებით გამოუშვეს.

უცნობი ხმას არ იღებდა. არც ოთარ ნიკარაძეს დაურღვევია დუმილი. ასე გაგრძელდა თითქმის ხუთ წუთს. მერე ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა. ოთარმა ყურმილი ბერკეტზე დადო.

— რას ნიშნავს ეს? ფსიქოლოგიურ ექიმშს თუ მუქარას? ალბათ უკვე იცან, რომ გამომძიებელს ნომერი ჩავაწერინე. არა, ალბათ არ იციან, თორემ აუცილებლად მოვიდოდნენ ჩემთან.

ოთარმა ბევრი იფიქრა, ყველაფერი აწონ-დაწონა, საბოლოოდ მაინც ერთი დასკვნა გააკეთა, — „ალბათ ჯერჯერობით ვერ გარკვეულან, როგორ იმოქმედონ. იქნებ აშკარა მოლაპარაკებასა და გამოჩენას ვერ ბედავენ. ალბათ უკვე შესანიშნავად იციან, სადაც ვმუშაობ და ესეც აფიქრებთ. ჯერ შენიღბულად მოქმედებენ, ცდილობენ ამაფორიაქონ. შემაშინონ. ამ დღეებში კი გამოჩნდებიან. აუცილებლად გამოჩნდებიან, მეტი გზა არა აქვთ“.

ოთარ ნიკარაძეს ეს არც ადარდებდა და არც აღელვებდა. პირიქით, ერთგვარ სპორტულ ჟინსაც კი გრძნობდა.

დრო კი მაინც ნელა გადიოდა, თუმცა რაც უფრო ახლოვდებოდა თორმეტი საათი, მდელვარებაც მით უფრო მატულობდა.

„მანანა ალბათ უკვე ემზადება ჩემს შესახვედრად. ალბათ უკვე ივარცხნის თავის სქელ, ღია წაბლისფერ თმას“.

ოთარმა თვალნათლივ წარმოიდგინა სარკის წინ მდგარი, საბანაო კოსტუმში გამოწყობილი მანანა გავაშელი. ახლა იგი ქალის ბრინჯაოსფერ მკერივ მკერდსა და სრიალა ზურგზე ჩამოშლილ მშვენიერ თმასაც კი ცხადად ხედავდა.

„იგი ახლა ალბათ თვითონვე ტკბება, თავისივე სიმშვენიერით მოხიბლული. ვინ იცის, რა სევდიანად მისჩერება თვალის უპეებს, საიდანაც ოდნავ შესამჩნევი ნოეტები გაპარული საფეთქლებისაკენ“.

ოთარმა მანანა გავაშელის ტანის სურნელებაც კი შეიგრძნო. არცერთ ქალს ისე არ აუმღვრევია მისთვის სისხლი, როგორც მანანა გავაშელმა აუმღვრია. მერე ნატა? განა შეიძლებოდა ერთდროულად ორი ქალი ჰყვარებოდა? ნატას გულისთვის აიცოცხლეს ისე გასწირავდა, ერთ წუთს არ დაფიქრდებოდა. მაგრამ მის მიმართ არასდროს არ უგრძვნია ასეთი მღელვარება, ასეთი დაუოკებელი ლტოლვა. იქნებ იმიტომ, რომ იგი წმინდა სიყვარულით უყვარს? იქნებ იმიტომ, რომ ნატას სილამაზე უფრო სხვა რანგის, სხვა კატეგორიის სილამაზეა? იქნებ მთელი ეს საშინელი წყურვილი მანანას დაუფლებისა მხოლოდ ერთი იმპულსი, მხოლოდ ერთი აფეთქებაა და ამიტომაცაა ასეთი ძლიერი?

გუნებაში უცებ გაიელო პარალელი მანანასა და ნატას შორის, მაგრამ გამწარებულმა მუშტი ისე მძლავრად შემოჰკრა კედელს, თითქოს უნდოდა ეს პარალელი სამუდამოდ გაექრო, სამუდამოდ გაეცამტვერებინა. ოთარი მიხვდა, რამოდენა შეურაცხყოფას აყენებდა ნატას, როცა ამ ვნებიან, კატასავით ცბიერ ქალს ადარებდა.

თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. მანანა გავაშელმა ალბათ საბოლოოდ შეავლო თვალი თავის მკერივ, მზეზე გარუჯულ სხეულს. მას ალბათ ეჭვიც კი არ ეპარება, რომ ოთარ ნიკარაძე ახლა ვესტიბულში იქნება გაჭიმული.

„იქნებ ოცი წუთი დაადგიანოს კიდეც“ — გაიელო გულში ოთარმა და საათს შეხედა. ზუსტად თორმეტი საათი იყო. ოთარი ახლა აღარაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ საათის დიდ ისარს მისჩერებოდა დაჟინებით. ისარი შეუმ-

ჩნევლად, სრულიად შეუძჩნევლად, მაგრამ მაინც მიიწევდა წინ. ფანჯრიდან ვრიალით შემოდიოდა მანქანებისა და ავტობუსების ხმა, ბავშვების ყიჟილ-ხივილი. მოპირდაპირე ფანჯრიდან ისევ მოისმოდა როიალის ერთი და იგივე პასაჟი. მაგრამ კედლის საათის ყრუ, ოდნავ გასაგონმა ტიკტიკმა ყოველგვარი ხმაური დაიმორჩილა და გადაყლაპა.

გავიდა ოცი წუთიც, ახლა კი ნამდვილად „ინტერსიტის“ ვესტიბიულში აცცებდა განრისხებულ თვალებს მანანა გავაშელი.

ოთარს ენით გამოუთქმელი სიამოვნება დაეუფლა. თავს სრულიად მშვიდად და თავისუფლად გრძნობდა. ახლა გულითაც რომ მოენდომებინა, ამაყი ქალი სიახლოვეს აღარ გაიკარებდა. ოთარი გრძნობდა, თავისი ნერვების ყოველი ღიღაკი ახლა მის ხელთ იყო. ყოველი მათგანი მისი თითის დაჭერას ელოდებოდა. ოთარ ნიჟარაძე ზეიმობდა, მის არსებაში მამაკაცმა გაიმარჯვა მთელი თავისი ბუნებით: ვაჟკაცობით, სიკეთით, მოვალეობისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობით. ოთარმა ამით არჩილ გავაშელს კი არა, საერთოდ მამაკაცს, მამაკაცობას არ უღალატა.

„კიდევ ერთი თვე და ტელევიზიიდან ამიკრავენ გუდანაბადს“, — დაასკვნა ოთარმა. კარგად იცოდა, მანანა გავაშელი შეურაცხყოფისათვის შურს იძიებდა. ტელევიზიასთან გამომშვიდობება დიდ უბედურებად არ მიაჩნდა, მაგრამ გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ არჩილ გავაშელი ვერასდროს გაიგებდა სიმპოლოგს. მის თვალში ოთარ ნიჟარაძე სამუდამოდ დაკნინდებოდა და არარაობად იქცეოდა.

ოთარი ფეხზე წამოიჭრა და ვარჯიშს შეუდგა. კარგა ხანს ვარჯიშობდა. თავს მხნედ, ლაღად გრძნობდა. თითქოს აღარც კი ახსოვდა წუხანდელი თუ დილანდელი განცდები. თითქოს ერთბაშად ჩამოიბერტყა მხრებიდან ყველაფერი, თითქოს ისევ ერთბაშად განიმუხტა, როგორც დამუხტული ბურთულა განიმუხტება ხოლმე მიწასთან შეხებისას. ძველებურად მხიარული, უდარდელი განწყობილება დაეუფლა.

ერთხანს ჩვეულებრივად ვარჯიშს კი ინარჩუნებდა ფლეგმატურობას. ისე მოძრაობდა. წელში ისე იხრებოდა, თითქოს ეზარებოდა, თითქოს რაღაც აუცილებელ ბეგარას იხდიდა. ბოლოს თავი ლოგინქვეშ შეჰყო, ორფუთიანი გირები გამოათრია და ორთავეა ხელით ერთდროულად დაიწყო აჭიმვა. მეხუთე ჯერზე საშინელმა დაღლილობამ შეიპყრო. გირები კინაღამ გაუვარდა. თითქოს ძალა სულ წაერთვა, თავბრუ დაეხვა და კედელს მიეყრდნო. ასე იყო რამდენიმე წუთს.

„ალბათ წუხანდელი უძილობის და ნერვიულობის ბრალია“, — გაიფიქრა ოთარმა და სარკესთან მივიდა. თავიმა გამომეტყველებამ შეაკრთო. სარკიდან ფერდაკარგული, გაფითრებული ორეული შემოსცქეროდა.

●

ოთარ ნიჟარაძე ცაცია იყო, თუმცა მარჯვენა ხელსაც კარგად ხმარობდა. მისი მწვრთნელი მიხეილ შარაშიძე ოთარზე დიდ იმედებს ამყარებდა. ბოლოს ძია მიშა, როგორც მას ბიჭები ეძახდნენ, მიხვდა, რომ ნიჟარაძეს კრივი სერიოზულად არ იტაცებდა. იგი უფრო თავისი სიამოვნებისათვის ვარჯიშობდა. ოთარს გრძელი ხელები ჰქონდა და სწრაფი რეაქცია. მოწინააღმდეგეს ახლოს არასოდეს უშვებდა და ყოველთვის შორი დისტანციიდან ჩხუბობდა. მოკრივეებს ისევე უჭირთ ცაციებთან ბრძოლა, მარჯვნივ მოძრაობას მიჩვეულ შოფერს რომ უცებ მხარი უცვალო. ცაციასთან რინგზე გასვლის დროს მათ ხომ გონებაში მთელი ტაქტიკური ჩანაფიქრისა და კომბინაციების პირიქით გადაწყობა სჭირდებათ. ცაციები კი თავიდანვე

---

**გურამ ფანჯიკიძე**
**თვალი პატიოსანი**

არიან მიჩვეულნი მარჯვენა ხელის წინაალმდეგ ბრძოლას.

მესამე კუთხეზე ოთარმა კრიკს თავი დაანება, მაგრამ ვარჯიში არ შეუწყვეტია. ორ კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად ჩავიდოდა დარბაზში, ნახევარ საათს წაივარჯიშებდა, მერე ხელთათმანებს გაიკეთებდა, ძია მიშას სთხოვდა, ვინმესთან ერთი რაუნდი მომიშვიო. ძია მიშა განგებ ძლიერ მოწინააღმდეგეებს ურჩევდა და სიცილით იჭეჭებოდა, როცა ოთარი უმწეოდ გადაეკიდებოდა ხოლმე რინგის ბაგირზე.

მას შემდეგ, რაც ოთარმა ორჯერ იგრძნო საშინელი, უჩვეულო დაღლილობა, გადაწყვეტა სისტემატურად ვვარჯიშნა. ტელევიზიაში მუშაობის დაწყების დღიდან თვეში ერთხელ თუ ჩავიდოდა სპორტულ დარბაზში. ბოლო უკანასკნელი ექვსი თვე კი ერთხელაც არ გახსენებია რინგი და ხელთათმანები. ამ ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ ღილაობით თუ წაივარჯიშებდა ხუთი წუთი.

— მობრძანდი, კნიაზ! — შორიდანვე მიაძახა ძია მიშამ. — ცოტა ჩამრგვალებულხარ, ეტყობა, ღვინოს ეძალები.

— არა, ღილაობით ბევრი მძინავს, იმის ბრალია.

ოთარმა ოცი წუთი ივარჯიშა. მერე ხელთათმანები გაიკეთა.

— რინგზე ნუ გახვალ, ამდენი ხანია არ გივარჯიშია. დღეს მარტო „მსხლზე“ იმუშავე. — ურჩია ძია მიშამ.

ოთარს ჭკუაში დაუჯდა მწვრთნელის სიტყვები. განაპირა „მსხალი“ შეარჩია და ვარჯიში დაიწყო. ათ წუთსაც არ გაევლო, რომ იაკვ იგრძნო ის საშინელი მოქანცულობა. გვერდზე გადგა. მძიმედ სუნთქავდა. თავბრუ ეხვეოდა, ლამის იყო მუხლები ჩაჰკეცოდა. კედლზე მიდგმულ დაბალ, გრძელ სკამთან ფრთხილად მივიდა, ჩამოჯდა და გრძელი ფეხები იატაკზე გაშოტა.

— კიდევ იტყვი, ღვინოს არა ვსვამო! ხომ ხედავ, გული ამოვარდნაზე გაქვს. ახლა წადი, დაიბანე. დღეს გეყოფა. პაპიროსიც ცოტა ნაკლები მოქაჩე. — ძია მიშამ მხარზე დაჰკრა ხელი. — ეგერ ოფლიც არ გამოგსვლია და უკვე ვედარ სუნთქავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ერთი კვირა. ოთარ ნიჟარაძე ყოველდღე დადიოდა სავარჯიშოდ. თიოქოს სუნთქვაც გაიუმჯობესა, თუმცა თავის ძველ გამძლეობასთან შედარებით ისევ სუსტად გამოიყურებოდა. თავდაპირველად ფიქრობდა, ეს ღვინის და ვარჯიშს შეჩვეული სხეულის ბოლოდროინდელი უმოქმედობის ბრალიაო. მერე თავის მოუწესრიგებელ ცხოვრებას მიაწერა ყველაფერი. ღამით მუშაობდა, დილით დიდხანს ეძინა. ხან სულ მშიერი იყო, დაღამებამდე ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, მერე კი ერთბაშად რესტორანში შევიდოდა და ღვინოს სვამდა. გონებაში ერთხელაც არ გაუვლია ფიქრი, რომ შეიძლებოდა ავად ყოფილიყო.

აი, იგი კვლავ დარბაზში ვარჯიშობდა. ხელთათმანები გაიკეთა და მწვრთნელს სთხოვა, რინგზე გამიშვიო. ძია მიშა დასთანხმდა, თან სპორტსმენებს გადახედა.

— აბა, ვინ გამოგიყვანო, აქ სულ პირველთანრიგოსნები არიან, ლუკმად არავის ეყოფი. აი, იმას გამოგიყვან, რიჟას. შენზე ორი წონით ნაკლებია.

— არა, მაგ ლიფსიტასთან ვერ ვიჩხუბებ, ფეხებშუა გამიძვრება. ვინმე ჩემი წონის გამომიყვანე, ერთ რაუნდს გავუძლებ როგორმე.

— შენი ნებაა. დათო, რინგზე! — გასძახა მწვრთნელმა ერთ მაღალ, მოკლედ თმაშეკრეჭილ ბიჭს. იგი ოცი-ოცდაერთი წლისა იქნებოდა. ბიჭი მკვირცხლად ახტა რინგზე. ძია მიშამ სასტვენს ჩაბერა. პირველი მოძრაობა, პირველი მოკლე, მოსასინჯი სუსტი დარტყმები. ორი წყვილი ფეხი რიტმულად მოძრაობდა ოთხკუთხედ რინგზე. ოთარ ნიჟარაძე თავისუფლად, მოშვებულად მოძრაობდა და ახალგაზრდა პარტნიორს თვალებში მისჩერებოდა. მას ოსტატურად შეეძლო შეენიღბა თავისი ცაცია პირველ ხელსაყრელ შემთხვევამდე, პირველ უძლიერეს დარტყმამდე. მართლაც, მან ცრუ მოძრაობა გააკეთა. და-

თო მარჯვნიდან ელოდა დარტყმას, სახე ოდნავ გახსნა და ოთარის აბერკოტმა ბაგირზე მიაგდო.

მოწონების ნიშნად ძია მიშამ თავი დააქნია და სინანულით გაიფიქრა, აფსუს, რა მოკრივე გამვიდოდაო. დათო მიხვდა, მოწინააღმდეგე ცაცია იყო და ყურადღება მარცხენა ხელზე გადაატანა. მერე რამდენიმე მოკლე და ერთი გრძელი დარტყმა ერთმანეთს მიაყოლა. ოთარი გამწარდა და შეუტია. უცებ ისევ იგრძნო საშინელი დაღლილობა. ოდნავ მოდუნდა, ოდნავ შეასუსტა ყურადღება და უძლიერესმა დარტყმამ ბაგირზე მიახეთქა. ოთარი ბაგირს გადაეკიდა, წამოდგომას არ ჩქარობდა. დათო ელოდა, ან ახლა წამოდგება ან ახლაო. ეს არ იყო ისეთი დარტყმა, კაცს რომ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შესძლებოდა. ძია მიშაც ელოდა, როდის წამოდგებაო, მაგრამ როცა ნიკარაძის გათეთრებულ სახეს მოჰკრა თვალი, დათოს ანიშნა, რინგიდან გადადიო. თვითონ კი ოთართან ავიდა, მხარში ამოუდგა და ჩამოსვლაში შეეშველა.

— რა დაგემართა?

— არაფერია, დავიღალე.

— წუხანდელი ნასვამი ხარ?

— ათი დღეა, წვეთი არ დამილევია.

მწვრთნელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— წადი, დაიბანე. უჩემოდ არ წახვიდე, ქვემოთ დამელოდე.

ოთარი დიდხანს იდგა შხაპქვეშ, სიცხე იყო, მაგრამ ცხელი წყალი მაინც სიამოვნებდა, როცა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა, ვარჯიში უკვე დამთავრებულიყო. ბიჭები დასაბანად მიიჩქაროდნენ.

ძია მიშა და წყალბურთელების მწვრთნელი ვლადიმერი, ბიჭები რომ ეოვას ეძახდნენ, უკვე ზზადი იყვნენ წასასვლელად. ოთარ ნიკარაძემ ორივე ლუდზე დაპატიჟა. იქვე სანაპიროზე, ბუჩქებში მიმალულ პავილიონთან მივიდნენ და სულ განაპირა მაგიდას მიუსხდნენ.

— შენ კიდევ ტელევიზიაში მუშაობ? — ჰკითხა ეოვამ.

— ჰო!

ეოვას გაეცინა.

— რა გაცინებს?

— შენი ამბავი მიკვირს, ვარჯიში რომ არ მოგწყენდა. თხუთმეტი წელია წყალბურთელთა მწვრთნელი ვარ. გინდა დამიჯერე, გინდა არა, შვიდი წელი იქნება აუზში არ ჩავსულვარ. ვინმემ რომ მითხრას ჩადიო, შეიძლება თავი გავუტეხო.

ოთარს გაეცინა.

— ექიმთან არ ყოფილხარ? — მოეკლოდნელად ჰკითხა ძია მიშამ.

— ექიმთან? — ოთარი შეკრთა.

— ჰო, ექიმთან, მიდი მაინც, გაესინჯე. რა გენალოცვება. წეღან შენი ფერი არ მომეწონა. ეს უკვე მესამედ შეგამჩნიე.

ოთარ ნიკარაძემ პირთან მიტანილი ლუკმა შეუმჩნევლად დადო თეფშზე.

●

პროფესორის მოსაცდელში კედელთან მიდგმულ სკამებზე რამდენიმე ავადმყოფი იჯდა. ოთარი ფანჯარასთან ზურგით კედელს მიყრდნობოდა და გაყვითლებულ, დასუსტებულ ავადმყოფებს აკვირდებოდა. როგორ გამოირჩეოდა იგი ამ ავადმყოფებს შორის. არავითარ შიშს არა გრძნობდა, არც ღელავდა. ვერც კი წარმოედგინა, რაიმე სერიოზული ავადმყოფობა თუ ექნებოდა. უბრალოდ, არ სიამოვნებდა საავადმყოფოს მძიმე, წამლის სუნით გაყიდენთილი ჰაერი და ავადმყოფების ნაღვლიანი გამოხედვა. წარმოსადეგ და ჯანღონით სავსე ახალგაზრდას თითქოს რცხვენოდა, რომ ავად იყო. კარადის შუშის ანარეკლში აკაუთარ თავს მოჰკრა თვალი. მას ლამაზი, ჯანსაღი ორეული შემოსცქეროდა. როგორ არ ჰგავდა მისი გამოხედვა ამ სუსტი, თვალებჩაცვენილი

**გურამ შანჯიკიძე**
თვალი კატიოსანი

და ავადმყოფობას შეჩვეული ადამიანების უხალისო გამოხედვას. ერთ ავადმყოფს ახალგაზრდა ქალი ახლდა. ყველაზე მეტს ის ლაპარაკობდა და თან სულ ცდილობდა ხაზი გაესვა, რომ ავადმყოფი თვითონ კი არა, ის ქალარა ქალი იყო, გვერდით რომ უჯდა.

კარი გაიღო. მოხუცმა პროფესორმა ოთარს მოჰკრა თუ არა თვალი, პირდაპირ მასთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა, შენ ბოლოს მიგიღებო. მერე სადღაც გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ კაბინეტში შებრუნდა. ოთარს მოსწყინდა ავადმყოფების ცქერა და ფანჯარაში გადახედა, ვერც კი გაიგო, დრო როდის გაიპარა. როცა შემობრუნდა, მოსაცდელში აღარავინ იყო. კარებში ისევ გამოჩნდა პროფესორის თავი.

— მობრძანდით.

ოთარი მკვირცხლად შემოტრიალდა, კაბინეტში შევიდა და პროფესორის მაგიდასთან ჩამოჯდა. თვითონ პროფესორმა ანიშნა, აქ დაჯექიო.

კაბინეტში მოხუც ავადმყოფს მოჰკრა თვალი. თუმცა ის არც ისე მოხუცი იყო, როგორი გამომეტყველებაც ჰქონდა. იგი მთლად ტიტველი იჯდა თეთრ ზეწარგადაფარებულ ტახტზე, ჩაცვას აპირებდა: მოხუცი ძალიან გამხდარი იყო, ჩავარდნილ გაშიშვლ მუცელზე გადმოვარდნილი ჭიპი მოეჩანდა. ოთარმა მისი ჭიპი როტამღაც კნოპს წაამსგავსა და მოეჩვენა, რომ შევარდნილი მუცლის კანი ამ კნოპით ხერხემალზე ჰქონდა მიმაგრებული.

პროფესორიც იჯდა, ხმას არ იღებდა. ელოდებოდა, ავადმყოფი როდის ჩაიცვამდა და წავიდოდა.

ოთარ ნიკარაძეს ეს დუმილი არ მოეწონა და მღელვარება შეეპარა.

ბოლოს მარტონი დარჩნენ.

ოთარმა პროფესორს თვალებში შეხედა, ითქოს უნდოდა წინაღმეფობა ამოეკითხა მისი სათქმელი. გრძნობდა, მთლად იოლად არ იყო საქმე.

— თქვენ სად მუშაობთ? — ჰკითხა მოულოდნელად პროფესორმა.

ოთარი მიხვდა, პროფესორს ბოლოს ლაპარაკი რაღაციით უნდა დაეწყო.

— ტელევიზიაში.

— იქ რას აკეთებთ?

— ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციაში ვარ რედაქტორად. — უფროს რედაქტორადო განგებ არ თქვა. ყოველთვის ეგონა, რომ „უფროსი“ რაღაც ტრაბახისმაგვარად ქცერდა.

პროფესორი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მერე ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა.

ოთარ ნიკარაძეს აღარ ეეჭვებოდა. პროფესორს საუბრის დაწყება უჭირდა.

— მეუღლე გყავთ?

პროფესორი ისევ ფანჯარაში იცქირებოდა. თითქოს არ უნდოდა პასუხის მოსმენის დროს ჭაბუკის სახის გამომეტყველება დაენახა.

— მეუღლე არ მყავს, მაგრამ მყავს მეგობარი, რომელიც ულ მალე ჩემი მეუღლე გახდება. ბატონო პროფესორო, მაქვს თუ არა ქორწინების უფლება?

პროფესორი შეაკრთო ახალგაზრდის მკვეთრმა, მღელვარებაშეპარულმა ხმამ. ერთბაშად მოტრიალდა, ჭაბუკს თვალი მოარიდა და ისევ მაგიდას მიუჯდა.

ყველაფერი ნათელი იყო.

— რა მჭირს? მინდა ყველაფერი ზუსტად ვიცოდე. იქნებ საქმისათვის ასე სჯობდეს კიდეც. — ოთარი ცდილობდა სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

პროფესორი ისევ დუმდა. მოხუც ექიმს თავიდანვე თვალში მოუვიდა წარმოსადეგი, ლამაზი ჭაბუკი, მისი თმილი, ჭკვიანი და კეთილი თვალები. როცა მისი სისხლის ანალიზი ნახა, სულ-თქვა შეეკრა, ელდა ეცა. ასეთი ამბები დიდი ხანია აღარ აღელვებდა ხანშიშესულ პროფესორს, მაგრამ ოთარ ნიკარაძის სისხლის ანალიზმა სულით ხორცამდე შეაძრწუნა.

— ნურაფრიისა გერიდებათ, ბატონო პროფესორო. მე არც თუ ისე მოუმზადებელი გახლავართ უსიამოვნო ამბების მოსასმენად.

— გეტყვით, ყველაფერს გეტყვით!— აღელდა პროფესორი. — თქვენ სისხლის გათეთრების ნიშნები გაქვთ.

ოთარ ნიკარაძეს, თითქოს ვიღაც უხილავმა არსებამ მკერდში ჩაუყო ღონიერი, ბრჭყალებიანი ხელი და გული ამოჭდილჯაო. ცარიელა მკერდში საშინელი სისწრაფით შეიჭრა ცივი ჰაერის ნაკადი.

— მე არ ვამბობ, რომ ლეიკემია საბოლოო დიაგნოზია, მაგრამ აშკარა სიმპტომები გაქვთ. თქვენ ალბათ მოსკოვში მოგიწევთ წასვლა. მე იქ მყავს დიდი მეგობარი, ამ საქმის ჩინებული სპეციალისტი. მე თვითონ გავუგზავნი თქვენს ანალიზებს, ვთხოვ განსაკუთრებული ყურადღებით მოგექცეთ. იქნებ მე ვცდები.

— ეგ, ალბათ, თითქმის გამორიცხულია, პატონო პროფესორო, არა?

— ჰო, როგორ გითხრათ, თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ შეუცდომელი არავინაა.

— ყველაფერი გასაგებია. — ოთარი ფეხზე წამოდგა.

— თქვენ ჩემთან მოხვალთ ორშაბათს, ზუსტად ამ დროს. მკურნალობის კურსსაც მაშინ დაგინიშნავთ.

— კარგად იყავით, პატონო პროფესორო.

— კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ! — შეაჩერა პროფესორმა.

ოთარი შემობრუნდა, სმენად იქცა, პროფესორი აშკარად ღელავდა, მაგრამ ბოლოს მაინც ამოღერღა.

— თქვენ შეგიძლიათ პენსიაზე გახვიდეთ...

ოთარმა თავი გააქნია, ყური ხომ არ მატყუებსო, მერე საშინელი სიცილი აუტყდა. პროფესორი გაშტერებული იდგა და მოხარხარე ჭაბუკს შესჩერებოდა.

— პენსიაზე, არა? კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პროფესორო. — ოთარ ნიკარაძე მტკიცე ნაბიჯებით გაემართა კარისაკენ. მერე თითქოს შეყოყმანდა, გამოლებული კარი ისევ მიხურა და პროფესორთან მივიდა.

— კიდევ რამდენ წელიწადს ვიცოცხლებ? — ჰკითხა პირდაპირ.

— ყმაწვილო, იმედი არ უნდა დაკარგოთ.

— მე მინდა ყველაზე უარესს ვიყო შეგუებული. ერთი წელიწადი? ორი? სამი?

— შეიძლება სამიც, თავისუფლად შეიძლება! თქვენს ორგანიზმში ხომ სულ ახლა იჩინა თავი ამ ავადმყოფობამ. მაგრამ მე კიდევ გეუბნებით, იმედი არ უნდა გადაიწეროთო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, პატონო პროფესორო!

●

ოთარ ნიკარაძე ლოგინზე წამოწვა და თვალი ერთ წერტილს გაუშტერა. პატარა ოთახში ცხელოდა. ოთარი წამოხტა და ვენტილატორი ჩართო, ფანჯარაც ბოლომდე გააღო.

ოთახი წიგნებით იყო სავსე, საწერ მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა ხელნაწერები, მუდმივი კალმისტრები, ცარიელი ფურცლები, მელნის ბოთლები, ფანქრები და საშლელები.

ოთარი ახლა ვერაფერს არჩევდა. მხოლოდ ვენტილატორის ხმადაბალი ზუზუნი ესმოდა. ათასგვარი ფიქრი სწორედ ამ ზუზუნის რიტმზე მოცურავდა. ოთარს ეჩვენებოდა, რომ თვითონ ეს ფიქრები მოისწრაფვოდნენ თანაბარი და ჩუმი ზუზუნით.

„მაქსიმუმ სამი წელი, მინიმუმ ერთი! ერთი წლის შემდეგ შეიძლება მე ცოცხალი აღარ ვიყო“.

ოთარი ისევ წამოწვა და თავი ბალიშში ჩარგო. ასე უფრო კარგად ფიქრობდა. არ ეგონა, თუ ასე იოლი იყო მოახლოებული სიკვდილთან შეგუება.

„ნუთუ სულ ეს არის? ნუთუ ამის მეტი შიში არ გიპყრობს სიკვდილისა!“

ოთარი გაოცებული იყო. მას შემდეგ, რაც პროფესორმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, სულ ორმა საათმა განვ-

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი კატიტისანი

ლო. ვერავითარი განსაკუთრებული შიში და ძრწოლა ვერ იგრძნო. იქნებ საერთოდ არ გააჩნდა შიშის გრძნობა?

მოხდა ის, რისაც ეშინოდა. სიკვდილზე არასდროს ფიქრობდა, მაგრამ ერთ რამეს კი ოცნებობდა, ისეთი რამე არ დამართნოდა, რაც ზუსტად განუსაზღვრავდა სიცოცხლის ვადას.

უცებ პროფესორის რჩევა გაახსენდა, პენსიაზე გადიო. ოთარი წამოდგა, სარკესთან მივიდა. მას მხოლოდ თეორიზოლიანი წითელი სპორტული ტრუსი ეცვა. სარკიდან დაკუნთული, ახოვანი, ჯანით და ღონით სავსე მომხიბვლელი ჭაბუკი შემოსცქეროდა.

ნუთუ ამ მძლავრ, ბრგე სხეულში სიკვდილი უკვე სამუდამოდ იყო ჩაბუდებული?

„პენსია“, — გაახსენდა ოთარს და მწარედ ჩაიცინა. ღნებურად წარმოიდგინა სიკვდილის მომლოდინე პენსიონერი ოთარ ნიკარაძე.

წიგნების კარადასთან მივიდა, რაღაც წიგნები მისწი-მოსწია და მათ უკან მიმალული „ვალტერი“ გადმოიღო, დამტვერილ რევოლვერს სული შეუბერა, ქაღალდით გაწმინდა და მაგიდაზე ჩამოჯდა. რევოლვერს დააჩერდა, მჭიდე მექანიკურად გამოაძრო. სულ სამი ვაზნა ჰქონდა. ოთარმა ვაზნები კენჭებივით აათამაშა, მერე ისევ მჭიდეში ჩადო.

ეს „ვალტერი“ ოთარს ერთმა თბილისელმა სტუდენტმა აჩუქა ალვაზში. სამივე ვაზნაც მან მისცა. რამდენიც ჰქონდა, იმდენი მისცა. ოთარს იარაღი ძალიან უყვარდა, მაგრამ არასდროს ატარებდა. საჩუქარი ჩამოიტანა და წიგნების უკან შეინახა. მას მერე რამდენიმე წელი გავიდა.

ოთარმა გუნებაში გადაწყვიტა, თუ ლოგინად ჩავარდებოდა, თავი მოეკლა. იგი მორჩილად ვერ დაელოდებოდა, სიკვდილი როდის ინებებდა მობრძანებას. ამ სამი ვაზნიდან ერთ-ერთი გაუწევდა საბოლოო სამსახურს. ერძოდ რომელი? მაშინ რა იცოდა იმ სტუდენტმა, რა საჩუქარს აძლევდა ახლოდგაცნობილ ჭაბუკს. მას მოეწონა ოთარ ნიკარაძე და რევოლვერიც იმიტომ აჩუქა. ან ოთარმა კი იცოდა, რას ანდომებდა ჯიბეში, როცა იმ სტუდენტს გადაეხვია და მადლობა უთხრა?

და საერთოდ, რამდენი რამ არ იცის კაცმა. უნებურად ბიძა გაახსენდა, მამის ძმა, ვალოდია ნიკარაძე. მუდამ მხიარული და მოუსვენარი ბიძა კარგად ახსოვდა. ახლაც თვალწინ ედგა მისი მსუქანი, სიცოცხლით სავსე სახე. ორმოცდახუთი წლისა იყო, ჯარში რომ წაიყვანეს და სულ მალე მოკლეს ეიდეც. სრულიად ახალგაზრდა, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გერმანელ ჯარისკაცს მოუკლავს. გერმანელების სამხედრო ბაზაში რომ შეჭრილა, მისი მკვლელი ყუთებში ყოფილა ჩასაფრებული და ზურგიდან უსვრია. ბიძამისის თანამებრძოლებს სროლის ხმაზე განუსაზღვრავთ, გერმანელი სად უნდა ყოფილიყო ჩამალული და იქაურობა ავტომატით დაუცხრილავთ. სროლის შეწყვეტის შემდეგ უპოვნიათ ყუთებში ჩამხობილი გერმანელი, ვიღაცას გვამი გადმოუბრუნებია. თვრამეტი წლის ბიჭი ცისფერი თვალებით უზროდ შესცქეროდა ღრუბლიან ცას. იგი ოცდაშვიდი წლით უმცროსი იყო თავის მსხვერპლზე.

„ოცდაშვიდი წელი! შეიძლება ბიძაჩემი მაშინ სადმე სუფრაზე იჯდა და ჭიქა ეჭირა ხელში. სწორედ იმ წუთში, გერმანიის რომელიღაც პატარა ქალაქში დაიბადა ბიჭი, რომელიც მას თვრამეტი წლის შემდეგ მოკლავდა. ნუთუ ტანმა არაფერი უგრძნო? ნუთუ რაღაც გამაფრთხილებელმა იმპულსმა არ დაუარა სხეულში“?

მოხდა ის, რისაც ყველაზე უფრო ეშინოდა. მას უკვე განსაზღვრული ჰქონდა სიცოცხლის ვადა. მთლად ზუსტად არა, მაგრამ დაახლოებით მაინც იცოდა, როდის დადგებოდა აღსასრული.

რა ბედნიერნი არიან ას წელს მიღწეული მოხუცებულებიც კი, ყოველი დღე რომ შეიძლება უკანასკნელ დღედ ექცეთ, მაგრამ ეს წინასწარ არ იციან და მაინც იმედის თვალით შეჰყურებენ

მომავალს. თვით სანგრებში მსხდომნიც კი, გარდუვალი სიკვდილი რომ ელით, იმედით ცოცხლობენ, იქნებ ბედმა დაგვიხდოსო.

ოთარ ნიკარაძეს ვეღარავითარი ბედი ვერ უშველიდა.

ვინ იცის, იქნებ სულაც არ უწერია სისხლის გათეთრებით სიკვდილი? იქნებ რაიმე უბედურმა შემთხვევამ — ბრმა ტყვიამ ან ავტოკატასტროფამ დასწროს კიდევ ამ სასიკვდილო ავადმყოფობას? ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ არაფერია უფრო დიდი საშინელება, ვიდრე იცოდე, როდის მოკვდები.

— სამი წელიწადი!

სამი წელიწადი შეადგენს 1095 დღეს. ეს ცოტა როდია! მთავარია მოასწრო შენი სათქმელი. სამი წელი ძალიან ცოტა დროა, მაგრამ მთელი სამი წლით უფრო მეტია, ვიდრე სულ არაფერი.

ოთარ ნიკარაძეს უნებურად ერთი დოკუმენტური ფილმი გაახსენდა, 1910 წელს გადაღებული. ფირზე ბერლინის ქუჩებში ჯარისკაცის ეპიზოდები იყო აღებულები. ხალხი დარბოდა, ვიღაც სიტყვას ამბობდა, ვიღაც დროშას აფრიალებდა. ქუჩებში ბარიკადებს აგებდნენ, იყო სროლა და ცხენების ჭიხვინი. დუღდა აზრი, დუღდა იდეები. იგრძნობოდა საოცარი პათოსი და აღტყინება. დღეს ალბათ ისინი, ვინც ამ უძველეს კინოფირზე იყვნენ აღბეჭდილნი, აღარ არიან ცოცხალნი. და საერთოდ, ოთხ თაობაში ბრუნავს მთელი კაცობრიობა. მეხუთე თაობას კი სრულებით აღარ ახსოვს პირველი.

ოთარ ნიკარაძემ მაგიდას გახედა. იქ, საქაღალდეში იდო ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რომანი, რამდენიმე მოთხრობა. ხვალიდანვე უნდა შეუდგეს მუშაობას, თორემ ვინ იცის, როდის ჩავარდება ლოგინად. უნებურად რევოლვერს მოჰკრა თვალი, უსიამოდ დახედა მოქროშილ ლულას და ამჯერად საწერი მაგიდის ჯუჯრაში შეინახა. სკამზე ჩამოჯდა, გრძელი ფეხები მაგიდის რაფაზე შეაწყო, სიგარეტი გაბმოა. სიგარეტმა მამის სიკვდილი გაახსენა. თექვსმეტი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. პაპაროსს ცამეტი წლისა მიეჩვია. შინ — ოთარმა ვინ იცოდა, ოთარი თუ პაპაროსს ეწეოდა, ერთხელ ქუჩაში ბიძამ, დედის ძმამ წაასწრო, პაპაროსი რომ ჰქონდა პირში გაჩრილი და ყურები აახია. ოთარმა ბიძას პირობა მისცა, ოღონდ მამაჩემს ნუ ეტყვი და დღეის იქით აღარ მოვწევო. ოთარი იმ ოთახში ვერ შედიოდა, სადაც მამამისი ესვენა. ერთთავად იმ კედელთან იყო აყუდებული, სადაც კაცები იდგნენ და ათასგვარ სასწრაფოდ მოსაგვარებელ საქმეზე ლაპარაკობდნენ. ბიძამისმა ჯიბიდან პაპაროსი ამოიღო, ყველას გაუწოდა, როგორ გაუკვირდა, როცა „ყაზბეგის“ კოლოფიანი ხელი მისკენაც გამოიწოდა. ოთარი დაიბნა, მაგრამ მალე მიხვდა, ბიძამისი რასაც გულისხმობდა — ოჯახში ახლა ის იყო კაცი.

ოთარ ნიკარაძის აზრები ნელ-ნელა უახლოვდებოდა იმ ადამიანებს, რომელთა სახელების გაფიქრების სურვილიც კი არ ჰქონდა ამ წუთს. ყველაზე უფრო ეშინოდა, ამ ადამიანებზე ფიქრისას არ დაუფლებოდა სასოწარკვეთილების გრძნობა. ეს ადამიანები იყვნენ დედა და ნატა. დედა, რომელსაც ამდენი უბედურება დაანათლა ღმერთმა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ვერ იქნა და წელში ვეღარ გასწორდა საწყალი ქალი. ახლა, მას შემდეგ, რაც ოთარის დას შვილი შეეძინა, ქალმა თითქოს მოიხედა, თითქოს გადაავიწყდა მთელი ტანჯვა-წამება. დილიდან საღამომდე ბავშვს შესციცინებდა თვალებში. რა იცოდა საცოდავმა ქალმა, რამოდენა უბედურება ელოდა.

ნატა! — ნატას უნდა დაშორდეს. არავითარ მეორე მოსაზრებას არა აქვს არსებობის უფლება. ახლა ის სოფელში ზის და მეცადინეობს. ასპირანტურისათვის ემზადება. სოფელში იმიტომ წავიდა, კარგად ვიმეცადინებო. ეტყობა, არ ყოფილან ერთმანეთისათვის გაჩენი-

ლნი. ნუთუ მასაც არაფერი არ უგრძნო ტანმა? კიდევ კარგი, ახლა, დღეს გამომეცოცხლა მისი ავადმყოფობა და არა რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ხელს მოაწერდნენ. მაშინ ხომ კიდევ ერთი ადამიანი გაუბედურებოდა. ვინ იცის, იქნება ორიც. ოთარ ნიკარაძეს გაფიქრებაც კი არ უნდოდა უმამოდ დარჩენილ ბავშვზე.

ნატას მოკლედ მისწერს, ჩვენი შეხვედრა შეცდომა იყო, თურმე სხვა მყავრებიაო. დაიჯერებს ნატა? ადვილად დაიჯერებს? ნუთუ სულ ვერ მიხვდება ვერაფერს? მერე, საბოლოოდ, როცა ოთარის ავადმყოფობის ამბავი გამეძღავნდება, მაშინ ხომ ნათელი გახდება ყველაფერი? მაგრამ მაშინ, ალბათ, უკვე გვიან იქნება.

წერილს დღესვე მისწერს, მისწერს მოკლედ, ცოტა უხეშად და ცივად. რაც შეიძლება ცივად. სჯობია მეტი რეაქცია გამოიწვიოს ქალიშვილის ინსტინქტში, უფრო მეტად გააღიზიანოს, უფრო მეტად შეულახოს თავმოყვარეობა, მაშინ გაცილებით იოლად დაივიწყებს ოთარს, გაცილებით უმტკივნეულოდ ამოიგდებს გულიდან.

ოთარმა ფეხები სწრაფად ჩამოიღო ფანჯრის რაფიდან. სიგარეტის ნამწვავი დაუდევრად მოისროლა და მაგიდას მიუჯდა. გადაწყვიტა, წერილი ახლავე მიეწერა. სუფთა ფურცელი გადმოიღო, კალმისტარს ხელი მოავლო და საწერად მოემზადა. დიდხანს იფიქრა. ვერაფრით ვერ მოიფიქრა, წერილი როგორ დაეწყო. უცებ კალმისტარი მაგიდაზე დაახეთქა, ფეხზე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

არა, ჯერ წერილის მიწერა არ შეიძლება, ჯერ ნატამ ასპირანტურაში ჩაბარება ჩააბაროს გამოცდები.

ოთარ ნიკარაძემ თავისუფლად ამოისუნთქა, ამ საშინელი წერილის დაწერა სამი თვით გადადო.

ახლა იგი სავსებით მშვიდად იყო და თავისი სიმშვიდე თვითონვე აოცებდა.

„ნუთუ ამაზე მეტს არ განიცდის პატიმარი, რომელსაც დახვრეტას უსაჯიან? პატიმარს ხომ არაფრის იმედი აღარა აქვს, როცა დასახვრეტად გაჰყავთ! მე კი გულში მაინც მიჭიატებს იმედის ნაპერწალი. ჯერ ხომ სამი წლის სიცოცხლე მაქვს წინ. მერე იქნებ მედიცინამაც თქვას თავისი სიტყვა“.

ოთარმა საშინელი სურვილი იგრძნო, ქუჩაში გასულიყო. გონებაში უკვე შეადგინა ახალი კალენდარი. ეს იყო 1095 დღიანი კალენდარი. ოთარ ნიკარაძე ხვალ დილით პირველ ფურცელს ჩამოახევს ამ კალენდარს. დღეს კი ქუჩაში, ქუჩაში მიიჩქარის.

კარადიდან რკინისფოლაქებიანი, სამხრეებიანი ხალათი გადმოიღო. ჩვეულებისამებრ, დინჯად ჩაიცვა. მის არსებაში თითქოს არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ღია წაბლისფერი თმა ბეჯითად დაივარცხნა. ლოყაზე ხელი აისვა. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და კარადის უჯრიდან ელექტროსაპარსი ამოიღო და წვერი გაიპარსა.

„ნუთუ ადამიანი ასე იოლად ეგუება სიკვდილს? იქნებ იმიტომაც ვარ ასე მშვიდად, რომ ჯერ იმედის ნაკადი უფრო მძლავრია, გაცილებით მძლავრი, ვიდრე უიმედობისა?“

ელექტროსაპარსი უჯრაში ჩადო, უჯრა ფეხით მიკეტა, პირი დაიბანა და კარი გაიჯახუნა.

ზაფხულის ცხელი საღამო იდგა.

## თავი მეთერთმეტე

თამაზ იაშვილი ტელეფონის უსიამოვნო ხმამ გამოაღვიძა. პირველად საათს შეხედა, ასე უთენია ვინ მირეკავსო. გაოცდა, თერთმეტი სრულდებოდა. ფიცხლად წამოხტა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ოთარ ნიკარაძე ურეკავდა.

გაოგნებული ერთ ადგილზე გაქვავ-

და. ყურმილი ხელში ეჭირა, თუმცა კარგა ხანია წყვეტილი ზუმერი ესმოდა. შემდეგ ბევრს ფიქრობდა იმ საშინელ წინადადებაზე, ოთარმა რომ უთხრა. ფიქრობდა იმ დღეს, მეორე დღეს, ათი დღის შემდეგაც. ვერაფრით ვერ აღადგინა იმ პირველი წამის განცდა, ვაჟა ლაღიძის დაღუპვის ამბავმა რომ აღძრა მასში. ერთი კი კარგად ახსოვს: ფიზიკური ტკივილი უფრო იგრძნო, ვიდრე სულიერი, მაგრამ იმ ტკივილის აღწერაც კი არ შეეძლო. აღარ ახსოვდა, როგორი იყო. თუმცა ერთი კი ახსოვდა, რაღაც უცნაურმა ნაკადმა თავიდან ფეხებამდე დაუარა, თითქოს თავში წყალმა გაატანა და ბოლომდე გააღწია.

„ვაჟა ლაღიძე დაიღუპა“, — თამაზმა ყურმილი დადო და ნელ-ნელა წავიდა ლოგინისაკენ. აღარ დაწოლილა, სათვალე გაიკეთა და ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა.

„როგორ დაიღუპა? სად დაიღუპა?“ — შემოესია ერთბაშად ათასი კითხვა. სასწრაფოდ ჩაიცვა და საავადმყოფოში გავარდა. ოთარმა უთხრა, პირველი საავადმყოფოს მორგთან მოდიო.

„იქნებ არ დაღუპულა, იქნებ გადარჩა და ოთარმა ზუსტად არ იცის მისი ამბავი? იქნებ გადარჩა, იქნებ გადარჩა...“

წეღან თავის თავზე გული მოსდიოდა, ოთარს რატომ დაწვრილებით არ გამოეკითხე ყველაფერიო. ახლა კი უხაროდა, რომ დანამდვილებით არაფერი იცოდა. თითქოს ამით რაღაც იმედი მოიტოვა. არც ის იცოდა, ვაჟა სად დაიღუპა ან როგორ დაიღუპა. ერთი კი სჯეროდა, ხიფათი მანქანასთან იყო დაკავშირებული.

„ალბათ მანქანა დაარახა რამეს, ან იქნებ გადაიჩეხა კიდეც“.

თამაზ ფაშვილი საავადმყოფოს უზარმაზარ რკინის კარს მიუახლოდა. ისეთი საშინელი ფერი ედო, დარაჯი მიხვდა, სადაც მიდიოდა და უსიტყვოდ გაუღო კარი.

საავადმყოფოს დიდი ეზო თითქმის სირბილით გადასჭრა. მორგს კითხვა-კითხვით მიაკვლია. შორიდანვე დაინახა დადონებული, ფრთებჩამოყრილი ბე[illegible]ებები. თვალით ოთარ ნიკ[illegible] [illegible] [illegible] [

ბავშვაძის პროსპექტზე გასულა და საკუთარი თვალით დაუნახავს, ავტობუსს როგორ გადაუვლია „მოსკვიჩისთვის“. „გადაუარა“ — მისი სიტყვა იყო. ამ ამბავს ისე არ მოყვებოდა, რომ ეს სიტყვა არ ეთქვა. ამ სიტყვით თითქოს უფრო ზუსტად ხატავდა ვაჟას დაღუპვის სურათს. უფრო სწორად, იგი მაგნიტოფონივით თითქმის უცვლელად იმეორებდა ერთიდაიგივეს. მერე აუცილებლად დასძენდა გულწრფელი სინანულით, — ჩემი ძახილი რომ გაეგონა და ერთი წამით შეჩერებულიყო, იმ ავტობუსს ალარ შეეჯახებოდაო.

ეს ერთი „წამი“ რატომღაც ძალზე აღიზიანებდა და აცოფებდა თამაზ იაშვილს. ვინ იცის, რამდენი ასეთი „ერთი წამი“ გვქონია ცხოვრებაში და არაფერი გაგვიგია, გუმანითაც კი ვერ გვიგრძნია ის საფრთხის საშინელება, ამ „ერთმა წამმა“ რომ აგვაცილა. ის „ერთი წამი“ მხოლოდ მას შემდეგ გამოჩნდება ხოლმე თავისი სიგრძე-სიგანით, როცა უბედურება უკვე მოხდება, როცა ადამიანი დაიღუპება. ამიტომ თამაზს არაფერი ისე უაზრად არ მიაჩნდა, როგორც იმ „ერთ წამზე“ საუბარი, ადამიანს რომ სასიკვდილო განსაცდელს აცილებდა.

ბიჭები იდგნენ და ელოდნენ. რატომღაც ყველანი ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. დრო სწრაფად გადიოდა, ძალიან სწრაფად. უკვე მეოთხე საათი დაიწყო, რაც იდგნენ. დაღლილობა არავის უგრძნია. ზოგი დაღუპულის ოჯახზე სწყდება, ზოგი მხოლოდ უმამოდ დარჩენილ შვილებზე. მერე ამას მოსდევდა ყოველდ გაცვეთილი და ბანალური ფილოსოფიური დასკვნა — ბრალი იმისა, ვინც მოკვდა, თორემ ბავშვები კი დაიზრდებიანო.

ბიჭები ვაჟა ლაღიძესთან დაკავშირებულ ათას შემთხვევას და ამბავს იგონებდნენ. მის ჯიუტობასა და სიკერპეს ახლა სპორტულ ენად ნათლავდნენ. რასაც უწინ თავხედობას ეძახდნენ, ახლა პირდაპირობად, ტემპერამენტად მიიჩნევდნენ. დაღუპულ მეგობარს ყველაფერი აპატიეს. ახლა მის ყველაზე დიდ ნაკლსაც კი გამართლებას ეძებნენ. დნენ და დაღუპულ მეგობარზე გულწრფელი სიყვარულით ლაპარაკობდნენ.

თავს ყველა ვალდებულად თვლიდა, რაღაც ეპიზოდი მოეგონებინა, რაღაც მივიწყებული და ძველისძველი ამბავი გაეხსენებინა ვაჟა ლაღიძის სახელთან დაკავშირებული.

მთელი ეს ათასი ამბავი და მოგონება საბოლოოდ სულ რამდენიმე სიუჟეტში ჩაეტია. ეტყობოდა, ძირითადად ამ სიუჟეტებმა დაიტიეს დაღუპული მეგობრის პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები.

თამაზს საშინლად მოსწყენდა ერთი და იმავე ამბის ათასჯერ მოსმენა და გაწბე გადგა. მისი გონება ჯერ კიდევ არ იყო შეგუებული იმ აზრს, რომ ვაჟა ლაღიძე გარდაიცვალა, კი არ გარდაიცვალა, დაიღუპა. დაიღუპა მეგობართა შორის ყველაზე მხიარული, ჯიუტი, ენერგიითა და სიცოცხლით სავსე კაცი.

გვერდზე მოიხედა. ოთარი იქ ალარ იდგა. თითქოს ახლა მიხვდა, ოთარ ნიქარაძე იყო ერთადერთი კაცი, რომელიც არაფერს არ იგონებდა და საერთოდ არ ილებდა ხმას.

მალე ოთარიც გამოჩნდა, იგი თამაზთან მივიდა და ჩუმად უთხრა, ერთი წუთით გამომყევიო.

თამაზი მონუსხულივით წაჰყვა, თუმცა არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, რა უთხრა მეგობარმა. ისინი აგურით ნაგებ ქვებელურ შენობაში შევიდნენ, ფართო დერეფანი გაიარეს, მერე მარჯვნივ გაუხვიეს და უზარმაზარ, მოკაფელებულ ოთახს მიაღწნენ.

თამაზმა კინაღამ შეჰყვირა. პირდაპირ, ცემენტის უცნაურ მაგიდაზე ვაჟა ლაღიძე იწვა. იგი თავისი დიდი, ცისფერი თვალებით თითქოს თამაზს მისჩერებოდა. ერთ ექიმს ვაჟას თავქვეშ ხელი ამოედო და სისხლიან საფეთქელს ბამბით უწმენდავდა. ექიმის მკლავზე თავი ინძრეოდა. ლამაზი, ქერა გრძელი თმაც ირხეოდა. ლოყებს ჯერ კიდევ შერჩენოდა ბუნებრივი, ცოცხალი ფე-

რი და კაცი ერთბაშად ვერ იფიქრებდა, რომ ეს მშვენიერი ჯაბუკი მკვდარი იყო. თამაზს ეგონა, ვაჟა სადაცაა მოსიბერად დაიყვირებს — ბიჭებო, ერთი წუთიც და მოვდივარო.

მაგრამ არა, ვაჟა ლაღიძე უკვე მკვდარი იყო. შეუდუებელი აზრი ნელ-ნელა იქცა შესაფუებელ ეშმარიტებად. მეორე ეჭიმნი დინჯად აკეთებდა იმას, რასაც მედიცინის ენაზე ვკამის დამშვებას ეძახიან. თამაზმა უნებურად ოთარს შეხედა. ოთარ ნიკარაძე, ჩვეულებისაებრ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და დაღუტული მეგობრის ვკამს დაკვირვებით მისჩერებოდა. ბაგეებზე ოდნავ შეესამჩნევი ირონიული ღიმილიც კი დასთამაშებდა.

თამაზი ყველაფერზე უფრო ერთმა ამბავმა შეაძრწუნა, არც მასზე და არც ოთარზე მეგობრის ვკამმა არავითარი გავლენა არ მოახდინა. ისინი ორთავენი საოცრად მშვიდად იყვნენ. გაცილებით უფრო მშვიდად, ვიდრე ეზოში, როცა ჯერ კიდევ სადღაც გულის სიღრმეში დაუჯერებელი ეჩვენებოდათ ვაჟა ლაღიძის სიკვდილი.

თამაზმა მორგი მოათვალიერა. იქ კიდევ ორი მკვდარი ესვენა. როგორც შემდეგ გაიგო, ერთი მუნჯი ყოფილა, ტრამვაის გაუტანია. მეორე კი საკუთარ მანქანაში მოუკლავთ. რატომღაც ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მკვლელს არაფრისათვის ხელი არ უხლია, არაფერი არ წაუღია.

ექიმებმა შეამჩნიეს კარებში გაჩერებული ჯაბუკები, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ყურადღებაც კი არ მიუქცევიათ.

ოთარ ნიკარაძე უცებ შემობრუნდა და წავიდა. თამაზიც უკან აედევნა. ორთავენი ეზოში გამოვიდნენ. ოთარს კრინტიც არ დაუძრავს, სად იყო და რა ნახა. ერთი მაღალი ინჟინერი, ვაჟა ლაღიძის ინსტიტუტის მეგობარი, უკვე ყველას ხელმძღვანელობდა, რაღაც საქმეებსა და დავალებებს ანაწილებდა. ოთარს და თამაზს კუბოს შეკვეთა დაევალათ.

— წარმოგიდგენიათ? იქ ორი შესანიშნავი კიდევ ასვენია! — უთხრა [illegible] მაზმა მაღალ ინჟინერს. უთხრა [illegible] ოთარ, რომ ეგონა, რაღაც უნდა ვთქვაო.

— გიკვირთ? — გაიცინა მაღალმა ინჟინერმა. —თბილისი დიდი ქალაქია. დიდ ქალაქში კი არაბუნებრივად ისეთი სიკვდილი გვეჩვენება, როცა ადამიანი თავისი ბუნებრივი სიკვდილით კვდება.

ინჟინერმა ისევ გაგრძელა დავალებების განაწილება. თითქოს მისთვის ეს ტრაგედია კი არ იყო მთავარი, არამედ საქმე, რომელიც მოგვარებას საჭიროებდა.

ოთარი ისევ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და ხმას არ იღებდა. თამაზი მიხვდა, ახლა ისინი გაცილებით მშვიდად იყვნენ, ვიდრე დანარჩენები, ჯერ რომ მეგობრის ვკამი არ ენახათ და მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იქვე, იმ კედლებს იქით, დაღუტული ვაჟა ლაღიძე იყო.

❷

მანქანა კუკიის სასაფლაოს ბოლოს აშენებულ საკუბოე სახელოსნოს მიაღგა. პირველი, რაც თამაზ იაშვილს ჩაესმა ყურში, ეს იყო შტრაუსის რომელიღაც ვალსი: მუსიკის ხმა სახელოსნოდან გამოდიოდა.

თამაზს ჭირის დღესავით ეზარებოდა სახელოსნოში შესვლა, მაგრამ ოთარისა შერცხვა და მანქანიდან უხალისოდ გადმოვიდა.

სახელოსნოში ერთბაშად უამრავი კუბო მოხვდა თვალში. თამაზმა, ჩვეულებრივ, საოცარი სისწრაფით გადათვალა კუბოები. სულ სამოცდაშვიდი კუბო იყო დამზადებული. ზოგს პატრონის სახელი და გვარი ეწერა, ბევრიც კედელზე აეყუდებინათ.

საკეკავო მელოდიები სპორტულმა გადაცემებმა შეცვალა. ალუმინის დინამიკი უზარმაზარი სახელოსნოს შუა დირეზე იყო მიმაგრებული, ზუსტად

**გურამ ფანჯიკიძე**
**თვალი კატიოსანი**

ისეთი, ქუჩებში რომ უნახავს. დინამიკი მთელი ხმით ჩაერთოთ.

ოთარი დირექტორის მოსაძებნად გაიქცა. თამაზი მარტო დარჩა.

უცებ ხელოსნებმა ტაში შემოკრეს, იქაურობა სხარულის შეძახილებმა გაყარა.

— რა მოხდა? — ჰკითხა დაბნეულმა თამაზმა ერთ ხელოსანს.

— ნონამ მოიგო! — უპასუხა მან და მარჯვენა ხელის ცერი მაღლა ასწია.

თამაზ იაშვილი პანაშვიდებზე თვალდასუფული შედიოდა. მასზე საშინლად მოქმედებდა სადარბაზო შესასვლელში მიყუდებული კუბოს თავსახურავი. დღეს კი აქ, ამ სამოცდაშვიდ კუბოს შორის საოცრად მშვიდად იყო. პირიქით, სახელოსნოში გამეფებულმა სასაცილო, კომიკურმა გარემოებამ ღიმილიც კი მოჰგვარა.

ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ, როცა ისინი სახელოსნოში შევიდნენ, შესვენება დაიწყო. ხელოსნების მცირე ნაწილი სადღაც წავიდა სასადილოდ. უმრავლესობა კი სახელოსნოშივე დარჩა. ხელოსნებმა მაწვნის ბოთლები ხელისგულებით დაატრიალეს, შეანჯღრიეს, მერე კუბოებზე ჩამოსხდნენ და ეგმრილად შეუდგნენ ჭამას. ორი ხელოსანი კუბოს გადაჯდა და შაშის თამაში გაეჩაღა. ისინი თან პურსა და ძეხვს ჭამდნენ, თან ფიცრებისგან გამოჭრილ ქვებს ფანერზე ნახშირით დახატულ დაფაზე დააცურებდნენ.

კუბოები, ისევე როგორც საფლავები, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგს მუხის გულისგან გათლილი კუბო ირგუნა ღმერთმა, ზოგს შავ ქსოვილგადაკრული წიფლისა, ზოგსაც უბრალოდ შეღებილი ნაძვისა. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს ჭირისუფლისათვის, მეზობლისათვის, ნათესავისათვის, მტრისა და მოყვარისათვის, ოღონდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვითონ მიცვალებულისათვის.

კუბოების უმრავლესობა სამარქაფო იყო. იგი წინასწარაა დამზადებული ყოველგვარი შეკვეთის გარეშე. ზოგადად-ამიანის საშუალო სიგრძეს ვარაუდობენ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, [illegible] თუ რამდენიმე სანტიმეტრით [illegible] გრძელი მის სამუდამო მფლობელზე. დიახ, ადამიანები დადიან ქუჩაში, სამსახურში, გონებაში აწყობენ გეგმებს, აშენებენ ციხეებს, ემზადებიან სამოგზაურობ, ვიღაცას განადგურებით ემუქრებიან, ვიღაცას აშენებას უპირებენ და აზრადაც არ მოსდით, რომ მათი კუბო უკვე გათლილია და კედელზეა აყუდებული, ან ზედ ხელოსნები გადამჯდარან და გემრიელად ილუკმაზნიან.

ვინ იცის, იქნება რომელიმე ამ კუბოს პატრონი ახლა რესტორანში ზის, ან სახეალეწილი ლუდხანაში არყით ამბობს მოკლე სადღეგრძელოს და არც კი იცის, რომ მის კუბოს მხოლოდ შავი ქსოვილის შემოკვრაღა აკლია. მერე ინფარქტი ან ავტოკატასტროფა, სამსახურში მიმავალს მეზობელი ან ნაცნობი დაუძახებს. სასიკვდილოდ გაწწირული მის ძახილს ვერ გაიგონებს. მერე ან ავტობუსი დაეჯახება, ან მანქანა გიატანს, ან სადმე გადაიჩეხება. მას რომ ნაცნობის ძახილი გაეგო და „ერთი წამით“ შეჩერებულიყო, ან სახინკლეში ერთი კათხა ლუდი რომ ზედმეტი დაელია და სარდაფიდან რაღაც „ერთი წამით“ გვიან ამოსულიყო, ან მეტუფეტეს ხურდის დაპრუნება „ერთი წამით“ მაინც რომ დაეგვიანებინა, იგი ახლა ცოცხალი იქნებოდა. დიახ, მერე საქმეში ჩაერევა „ერთი წამის“ სასაცილო ფილოსოფია. აქ კი კუბოებს ამზადებენ და ამზადებენ. ამზადებენ დიდი გულმოდგინებით, თანდათან უფრო ხვეწავენ ფორმებსა და ხაზებს. რადიოდინამიკი ყოველდღე ასე ღრიალებს, დროდადრო მრავალკომიერის ჰანგებიც ეფინება სიკვდილის სამეფოს, სიმღერას ალბათ ღიღინით აპყვებიან ხოლმე ხელოსნები და ფიცრებსაც სიმღერის რიტმზე აშალაშინებენ.

არსად ისე გამასხრებული არ არის სიკვდილი, როგორც აქ, კუბოების სახელოსნოში. აქ ოჯახების ტრაგედია, სიკვდილის საშინელება დაყვანილია საყო-

ფაცხოვრებო კომბინატის მომსახურებამდე.

თამაზ იაშვილი საზიზღარმა გრძნობამ შეიპყრო, გრძნობამ სიცოცხლის არარაობისა. იგი ზიზღით შეტრიალდა და გარეთ გავიდა. ოთარს აღარ დაელოდა. პირდაპირ მანქანასთან მივიდა და ჩაჯდა. შოფერი იქ არ იყო, ალბათ ჩრდილს თუ შეაფარა თავი სადმე. მანქანა მზისაგან ისე იყო გახურებული, შიგნით ჯდომა არ შეიძლებოდა. თამაზი ისევ გადმოვიდა, შორიახლოს ხე დაინახა და იქით გაეშურა. როცა ხეს მიუახლოვდა, შეჩერდა, ხესთან ბავშვი დაინახა. ბავშვს ხელში კისტის თოფი ეჭირა და წელში მოხრილი ჩიტს უთვალთვალებდა. თამაზი შედგა, შეეშინდა, ჩიტი არ დავუფრთხოო. ბავშვის დაბაბულობა მასაც გადაედო. ვერც კი იგრძნო, მზისგულზე იდგა.

— უკვე ერთი საათია, ეგრე უთვალთვალებს! — ჩაესმა თამაზს ყურში ნაცნობი, ხრინწიანი საზიზღარი ხმა. შებობრუნდა, ელდა ეცა. მის გვერდით ჩაბინძურებული დაბალი კაცი იდგა, იმ საშინელ ღამეს რომ შეხვდა. ჩაყვითლებულ-ჩაშავებული მეჩხერი კბილები უსიამოდ მოუჩანდა. თვალები ბოროტად უბრწყინავდა. ფეხებზე დაცვეთილი ბათინკები ეცვა. თამაზს უეცრად ჩაესმა ყურში რკინის ნალებიანი ბათინკების თანაბარი ხმა.

„ის არის, ნამდვილად ის არის!“ — დაასკვნა თამაზმა.

— მე თქვენ წელან დაგინახეთ სახელოსნოში. ცოტა ღელავდით კიდეც. სახეზე გატყობდით, დაბაბული იყავით. — თქვა ისევ უცნობმა და საშინლად ჩაიცინა.

— პირიქით, პირიქით, სახელოსნოში უფრო დავმშვიდდი, თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ კაპიკია სიცოცხლის ფასი! — დაბნეულად უთხრა თამაზმა და გული მოუვიდა, რა ენად გავიკრიფეო.

— მაგ, თქვენ დარწმუნდით, რომ კაპიკია სიცოცხლის ფასი? — უცნობის თვალებში ბოროტმა ცეცხლმა გაიელვა. — აბა, ამ პატარა ბიჭს დააკვირდით, ერთი საათია ამ საშინელ სიცხეში ჩიტებს შესცუცქერებს, ელდებაა, რომელი გამონდებიან. მაგრამ არ იცის, რომ შუადღისას, ამ პაპანაქებაა სიცხეში აქ ჩიტი არ მოფრინდება. მერე რა, ერთ საათს კიდევ იქნება ჩასაფრებული, საღამომდეც აქ დარჩება, თუ შინ არ წაიყვანეს კინწისკვრით. თქვენ გგონიათ, მაგას მიზანში სროლა აინტერესებს? მაშინ ხომ ასანთის კოლოფს დადებდა სამიზნედ და იმდენს ესროდა, რამდენიც გაეხარდებოდა. მაგრამ ის მაინც ჩიტებს სდარაჯობს. ყმაწვილო, სროლას სულ სხვა ფასი და გემო აქვს, როცა მას სიკვდილი მოჰყვება, სიკვდილი!

თამაზს ისევ ნაცნობი გაბზარული სიცილი ჩაესმა ყურში. თითქოს რაღაც ენიშნა. ბიჭუნა ისევ წელში მოხრილი იდგა, თოფი სასროლად ჰქონდა მომარჯვებული და ჩიტის მოფრენას ელოდა.

— თამაზ! — მოესმა უცებ მეგობრის ხმა.

იაშვილი გამოერკვა. მიიხედ-მოიხედა, უცნობი აღარსად ჩანდა. ოთარ ნიკარაძე მანქანასთან იდგა და ხელს უქნევდა. ახლოდა მიხვდა, მზისგულზე რომ იდგა. ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი ჩამოიწმინდა და მანქანისაკენ წავიდა.

●

სასტუმრო „თბილისის“ ბუფეტში არავინ იყო. გრიშას დაანი მიეტყვებინა და მაგიდასთან თვლემდა. მეორე მაგიდას ოთარი და თამაზი უსხდნენ. ჩუმად ეჯსშმბდნენ. დუმილს არც ერთი არ არღვევდა. დროდადრო თამაზს ჩანგლიანი ხელი ჰაერში გაუშემდებოდა, თვალებს რაღაცას გაუშტერებდა, და ფიქრს მიეცემოდა. „ჰე“, — აღმოხდებოდა უცებ, მერე თავს გააქნევდა და ჭამას აგრძელებდა.

— გრიშას ვენაცვალე! — ოთარმა დანა კონიაკის ცარიელ ბოთლზე მიაკაკუნა და მებუფეტეს ანიშნა, მეორე ბოთლი მოგვიტანეო.

გრიშამ დასისხლიანებული თვალები

გაახილა, ფეხზე მძიმედ წამოდგა, დახლში შევიდა და კონიაკი გახსნა.

— პირველად რომ დავინახე, მეგონა, თვალები ღია ჰქონდა. ვიფიქრე, სადაცაა ფამფალაებს-მეთქი, — წამოიწყო მოულოდნელად თამაზმა.

ნიკარაძემ არაფერი უპასუხა, უხმოდ დალია.

—მაინც რა ღბედური ყოფილა. ვაჟას სიკვდილს წარმოიდგენდი? როგორი მხიარული, სიცოცხლით სავსე კაცი იყო. მე ჯერ მის სახეზე მოწყენილობა არ მინახავს. ყოველთვის მშვრდა, რა ბედნიერი კაცია-მეთქი. არ მეგონა, იმაზე ბედნიერი თუ ვინმე იყო ამ ქვეყანაზე.

— „ბედნიერი!" — ჩაიცინა ოთარ ნიკარაძემ. — ჩემს ეზოში ერთი მემაწვნე ბიჭი დადის. ცხრა წლისაც არ იქნება. წყნეთელი ბიჭია. დილის შვიდზე უკვე თბილისშია. უბრალო გაანგარიშების ამბავია, მშობლებმა ექვს საათზე მაინც უნდა გაადვიძონ, რომ შვიდზე თბილისში იყოს. გესმის, დილის ექვს საათზე. მე, ამოდენა კაცი, დილის ექვს საათზე რომ ვინმემ გამაღვიძოს, შეიძლება მოვკლა. მერე ეს თითისტოლა ბავშვი წამოიკიდებს ძმიმე ტვირთს და დადის ეზოეზო. დედამისს გული სტკივა, კიბეებზე სიარული არ შეუძლია. საცოდავი პატარა ბიჭუნა კი კისრისტეხით დარბის სართულიდან სართულზე. ამ დროს ჩემი მეზობლის ლოყაწითელა, სელაპივით ჩასუქებული მისი კბილა ბიჭი შუა ძილშია. გამოიღვიძებს თუ არა, ინდაურივით ატეხნიან პირში საკმელს, ცივ ნიავს არ აკარებენ. ყოველდღე ახალ, უძვირფასეს ტანსაცმელს აცმევენ, აღარაფერს მოგახსენებ, მის აღზრდაზე როგორ ზრუნავენ, ისინი რომ ერთმანეთის გვერდით დააყენო, გული მოგიკვდება. უნებურად გაიფიქრებ — რატომ უნდა იყოს ერთი ასეთი ბედნიერი, მეორე კი დაჩაგრული? მაგრამ სწორედ მაშინ შეცდები, როცა ამ აზრს გაიკვლებ გონებაში. ამ ორ ბიჭს შორის კაცობრობა იცის, ვინ არის ბედნიერი.

ოთარ ნიკარაძემ თეფში გვერდზე გადგა, საამი უკან დასწია და ფეხი ფეხზე შემოიდო.

— ერთხელ სკოლაში ვიყავი, სპორტულ გადაცემას ვამზადებდით. მესამე კლასის მოსწავლეები მწკრივში დააყენეს. სახეგაბრწყინებული მოგვჩერებოდნენ თეთრ პერანგებში გამოწყობილი ბავშვები. მე ვაკვირდებოდი მათ ბავშვურ გულუბრყვილო გამოხედვას. მათ შორის ალბათ ბევრი იყო ისეთი, სურვილი რომ არ დარჩენია აუსრულებელი, ზოგისთვის კი უბრალო ველოსიპედის ყიდვაც მიუწვდომელი ოცნება იყო. ზოგს მშობლები მანქანებით აკითხავენ, ზოგიერთები კი გულდაწყვეტილი გააყოლებენ თვალს მანქანით მიმავალ, გალღებულ თანატოლებს და გულისტკივილით შეხედავენ საკუთარი მშობლების ღბრალო, მოდაგადასულ ტანსაცმელს, მუშაობით დაკოჭილ ხელებს. თითქოს ყველაფერი ნათელია, თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ არავინ არ იცის, ამ ბავშვებს შორის ვინ არის ბედნიერი. ცხოვრება დანაღმულ ველსა ჰგავს. კაცობრელმა არ იცის, ვინ გააღწევს ამ ველის ბოლოს. ზოგი ადრე დაობლდება და შუა გზაში შემოაკლდება ყოველისშემძლე მშობლის ხელი, ზოგს კი ვინ იცის, სად გასტყორცნის ცხოვრება, სად დაიჩაჩანაკებს, ზოგს ავადმყოფობა მოუღებს ბოლოს, ზოგი საავტომობილო კატასტროფის მსხვერპლი გახდება, ზოგს ოჯახური არეულობა მოუწამლავს ცხოვრებას, დაუკარგავს სიამაყესა და ადამიანობას, ასე რომ, ამ ქვეყანაზე ნურაფერი გაგიკვირდება, ძეხოროცელმა არ იცის, ვინ გავა გაღმა.

თამაზ იაშვილი დფიქრებული იჯდა. თითქოს მეგობრის საუბარს არც კი უგდებდა ყურს. სინამდვილეში არცერთი სიტყვა არ გამოპპარვია.

—გრიშა, ყველაფერი აალაგე და ყაბა

შეუკვეთე. — მიუბრუნდა მებუფეტეს ოთარ ნიეარაძე.

გრიშამ ტელეფონინთ ყავა შეუკვეთა და ხუფრის ალაგებას შეუდგა. მაგიდაზე მარტო კონიაკის ბოთლი და ორი ჭიქა დატოვა.

— ერთი რამე მაოცებს, — დაიწყო თამაზმა, — როცა მორგში ვაკაა ვეგმი ენახე, თვალიდან ცრემლი არ გადმომვარდნია. ცოტა დავიბენი, ჩემი თავისა შემრცხვა კიდეც. ტირილიც კი მოვინდომე. მაინც არაფერი გამომეიდა. სამაგიეროდ, როცა მისი პატარა ბავშვი მამიდასთან წაიყვანე, კინალამ ტირილით გავსკდი.

— ტირილი ისე, უმიზეზოდ წაგსკდა?

— არა, გზაში ცრემლი არ გადმომვარდნია. როცა ბავშვი მამიდასთან მიეყვანე, ერთბაშად არ გამოვქცეულვარ, დიეანზე ჩამოვჯექი. უცებ ზარმა დარეკა. „მამიკო მოიდა“, — იყვირა ბავშვმა და კარისკენ გიქცა. მე ცრემლები ვეღარ შევიკავე.

— საქმეც მაგაშია! — გაიცინა ოთარმა.

— რა გაცინებს? — გაოცდა თამაზი.

— მაგ ამბავზე მეც ბევრი მოფიქრია და იცი რა დასკვნამდე მივედი? ტრაგედიის, უბედურების შესაგრძნობად მარტო ფაქტის საშინელება როდი კმარა. საშინელების გარდა რაღაც ემოცია, ტრაგედიის მხატვრული წარმოსახვაცაა საჭირო. მეც და შენც ბევრჯერ ვყოფილვართ პანაშვიდებზე. მიცვალებულისათვის მოგვიცრავს თვალი — ამ ტრაგედიის მთავარი და ხშირად უცნობი ობიექტისათვის. ჩვენ მტკიცედ ჩამოგვირთმევია ხელი ჭირისუფლებისათვის, არავითარი გულისტკივილი, არავითარი ცრემლი. მაგრამ სწორედ გამოსვლის წინ წამოგვწვევია რომელიმე ბოტრალის გულიდან ამოხეთქილი ფრაზა და იმავე წუთში გვგრძნია, როგორ ვვებჯინება გული ყელში. შენ დაინახე ცემენტის მაგიდაზე გაფატრული მეგობარი. განა ამაზე ტრაგიკული შეიძლება კიდევ რამე ყოფილიყო ამ ცხოვრებაში? თუ საერთოდ ვაკა ბიდლეოთეკის დაღუპვას სულით ხორცამდე უნდა შეეძრწუნებინე, ეს სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მის დაფლეთილ გვამს დასცქეროდი. მთელს ამ ამბავში ხომ ეს გვამი იყო ტრაგედიის მთავარი ქმაკუთხედი. შენ კი მაშინ ცრემლი არ გადმოგვარდნია. არც შენ და არც მე. შენ სულ სხვა რამის გამო იტირე. მე კი იცი როდის ვიტირე? როცა ვაკას ცოლმა ქმრის სისხლიანი პერანგი ჩაისუტა გულში. მაშ, ჩვენ ყველაზე მწარედ რამ შეგვაძრწუნა, თვით ტრაგედიამ თუ ემოციამ? გამოდის, რომ ადამიანის არსებაში არის რაღაც ძალები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებლად აღიქვამენ ტრაგედიას სხვადასხვა სიღრმით და სხვადასხვა ზომით. ჩვენ გონებრივად ყოველთვის ჩაყწვდებით ხოლმე ტრაგედიის მთავარ შინაარსს. მაგრამ მას იმავე დროზით როდი განვიცდით ხოლმე. და ეს იცი რატომ? იმტომ, რომ განცდა ჩვენს გონებაზე და განსჯაზე აღარ არის დამოკიდებული. ადამიანს ხანდახან ტრაგედიის მესამეხარისხოვანი მხარე უფრო გაამწარებს და აატირებს, ვიდრე მთავარი და უმთავრესი. ამაზე ფიქრი შორს წაგვიყვანს. დალრე და გარეთ გავიდეთ, დავიხუთე, მეტი აღარ შემიძლია.

ოთარ ნიეარაძემ ცხვარსახოცით გაოფლილი შუბლი მოიწმინდა, მერე ყავა დალია და ცარიელი ჭიქა გადაბრუნა.

თამაზმა კონიაკი უხალისოდ მოსვა, მერე თითქოს რაღაც გაფაფყეტა, ჭიქა ერთბაშად გამოცალა.

— ჩემმა თამაზ, ერთი მხრივ კარგია, ახალგაზრდა კაცი რომ მოკვდები, ვიღაცას მაინც დაჩწყდება გული, ანა, ბებერს შვილებიც აღარ დარდობენ.

---

**გურამ შანგუალიძე**
**თვალი პატიოსანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახში დიდი რკინის სეიფი და საქაღალდეებით სავსე უბრალო ხის კარადა იდგა. ასევე იაფფასიან საწერ მაგიდაზე მწკვანე მაუდგადაკრული მოგრძო მაგიდა იყო მიდგმული. საწერ მაგიდაზე ათასგვარი ქაღალდი და ფორმულარი იყარა. მარჯვენა მხარეს შავი ტელეფონი დროდადრო წკრიალებდა, იგი პარალელურად იყო ვიდეოკასთან ჩართული.

ოთარ ნიკარაძე უდარდელად იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. ლაპარაკში არავითარ ინიციატივას არ იჩენდა. უკვირდა კიდეც, აქამდე რომ მხოლოდ ერთხელ მოაკითხეს. მაშინ მარტო ის გაამეორებინეს, რაც იმ საღამოს ჩაუწერინა მილიციის გამომძიებელს.

გამომძიებელი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, მაგრამ რატომღაც, ოთარმა იგი ამ საქმისათვის ძალზე ახალგაზრდად მიიჩნია. გამომძიებელს შავი, ეშმაკური თვალები ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ ოთარს მის გულწრფელობაში თავიდანვე ექვი შეეპარა. გამომძიებელი ცდილობდა ოთარისთვის თავი მოეწონებინა. ეს პირველი წუთებიდანვე იგრძნო. „ალბათ ტელევიზიაში რომ ვმუშაობ, ისიტომ“ — დაასკვნა მან. გამომძიებელმა ჯერ ვიდეო თანამშრომლები გამოიძახა, საქმიანი შენიშვნები და დავალებები მისცა, მერე რაღაც საქმეები სეიფში შეინახა. დიდი, ძძიმე სეიფის სახელური მთელი სერიოზულობით გადაატიალა. თითქოს ეს ძძიმე სეიფი და შიფრიანი საკეტი კიდეკ უფრო რთულსა და საიმედო შინაარსს ანიშნებდა უბრალო, ცისფერ საქაღალდეში ჩაკერებულ საქმეებს.

— მაშ, თქვენ ექვი არ გეპარებათ, რომ მანქანის ნომერი ზუსტად ჩაიწერეთ, არა? — ჰკითხა ოთარს.

— ამაში, მგონი, არც თქვენ გეპარებათ ექვი. გარდა ნომრისა, ათასგვარი დამამტკიცებელი საბუთი მოგახსენეთ. თუნდაც მანქანის ფერი, ჩამტვრეული უკანა ნათურა. და თქვენც ზუსტად ასეთი მანქანა იპოვეთ მიტოვებული. ზუსტად ასეთი ნომრით, ზუსტად ასეთი ფერით და თანაც ჩამსხვრეული უკანა ნათურით. განა შეიძლება ყველაფერი დაემთხვეს ერთმანეთს?

გამომძიებელი მიხვდა, რომ უაზრო შეკითხვებს იძლეოდა.

—საშინელებაა! — მხრები აიწურა მან და მაგიდას დახედა. — დაინგრა ერთი ოჯახი, ახლა მეორეც უნდა დაინგრეს. მერე რისთვის, სრულიად უაზროდ და უმიზეზოდ.

ოთარმა გამომცდელად შეხედა, მოეჩვენა, რომ გამომძიებელს რაღაცის თქმა უნდოდა. მხოლოდ ერთს ვერ მიხვდარიყო — თქმას ვერ ბედავდა, ეძნელებოდა თუ გამოცდას უწყობდა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ საეს ანზორ ხელაძე უჯდა?

ოთარმა უკვე იცოდა, ვინ იყო ანზორ ხელაძე. იგი მანქანის პატრონი გახლდათ. მერე ისიც გაიგო, რომ ხელაძეს ქალაქში ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა გაკარგულილი და ადარ გაკკვირვებია, გამომძიება ასე ნელა რატომ მიდიოდა.

— მაგის მტკიცება ძნელია, მაგრამ ერთი კი მჯერა — საეს ან თვითონ უჯდა, ან რომელიმე მისი თანამეინახე.

— ასეთი მტკიცება სასამართლოს არ გამოადგება. — გამომძიებელმა მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფი ოთარს გაუწოდა, მერე თვითონაც მოუკიდა.

— მე არ შემიძლია დავიჩემო ის, რაც არ დამინახავს. სამაგიეროდ, გითხარით ყველაფერი, რაშიც ექვი არ მეპარება. დანარჩენი უკვე თვითონ ხელაძეს უნდა გამოჰკითხოთ.

და თუ ხელაძე საერთოდ არ იჯდა მანქანაში?

— მაშინ კარგად ემახსოვრება, ვინაც ათხოვა მანქანა. — ხმამაღლი თქვა ოთარმა, მერე მაღლა აიხედა და თამბაქოს ბოლი შვეულად დაუშვა.

— თუ მანქანაში სრულიად უცნობი პირი იჯდა, თუ მანქანა ვიღაც ბაცაცამ გაიტაცა? — ისე გამომწვევად გა-

მოიხარა გამომძიებელი, თითქოს ეუბნებოდა, ამაზე რაღას იტყვიო.

— ეგ შეუძლებელია! — დინჯად თქვა ოთარ ნიკარაძემ, გამომძიებლისათვის არც კი შეუხედავს. აშკერად პირდაპირ გიიხედა და სიგარეტს ბოლი რგოლებად გამოუშვა.

— რატომ?

— სრულიად უბრალო მიზეზის გამო. მანქანას იპარავენ არა ბაცაცები, არამედ ბანდიტები. თანაც მანქანას იპარავენ არა სასეირნოდ და საქეიფოდ, არამედ გასაძარცვაად. საეჭვოთან რომ გალეწილი მთვრალი იჯდა, ამას ყველა მონაცემი ადასტურებს და თქვენც ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ. თანაც ხელაძემ მილიციაში მანქანის მოპარვის თაობაზე განცხადება შეიტანა ავარიიდან ორი საათის შემდეგ. განცხადების შეტანის დროს, როგორც მე უკვე ვიცი, იგი ძალზე მთვრალი იყო. განა აქ საეჭვო არის კიდევ რაში?

— დიახ, სამწუხაროდ, ეგ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს! — გამომძიებელმა გაიღიმა და ხელები მაგიდაზე ათამაშა.

ოთარ ნიკარაძე დინჯად შემოტრიალდა, გამომძიებელს თვალი გაუსწორა.

— აბა, მეტი რაღა საბუთი გინდათ? განა თქვენთვის ყველაფერი ნათელი არ არის? დანარჩენი უკვე თქვენი საქმეა. რადის იყო, დამწაშავე მილიციაში მიიყოდა და იძახდა, კაცი მე მოვკალიო?!

გამომძიებელს სახეზე ღიმილი გაუქრა. იგი ახლა სივრცეში იცქირებოდა. ეტყობოდა, რაღაცას ფიქრობდა.

— დიახ! — თქვა მოულოდნელად ბან. ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ბერე ისევ მაგიდასთან მივიდა, სიგარეტის კოლოფს დასწვდა და დინჯად თქვა:

— ხელაძე განცხადებაში წერს, რომ მანქანა რესტორნის ეზოდან მოპარეს. იგი თავის მეგობრებთან ერთად დავითაშვილის ქუჩაზე ქეიფობდა რესტორან „სპრედლოში“. მანქანა იქვე, რესტორნის პატარა ეზოში ეყენათ. როდესაც გამოვიდნენ, მანქანა იქ აღარ დახვდათ. ისინი იმავე წუთში შებრუნდნენ და ტელეფონს ეცნენ. ტელეფონი არ მუშაობდა. ამის შემდეგ პირდაპირ მილიციაში გამოცხადდნენ. თქვენ მიგაჩნიეთ, ეს არა რეალურად ამ ვარიანტისა მესაბამ ლებლობა?

ოთარმა ერთბაშად არაფერი უპასუხა. ჯიბეში ხელი ჩაიყო, სიგარეტი ამოიღო და თითებით დიდხანს სრისა. გამომძიებელსა ასანთი მიაწოდა. ოთარმა თავი ზანტად დახარა, მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— რასაკვირველია, თეორიულად შესაძლებელია ასეთი ვარიანტის არსებობა. — თქვა ბოლოს და გამომძიებელს თვალებში შეხედა.

— მხოლოდ თეორიულად? — გაიღიმა გამომძიებელმა.

— მხოლოდ! მე მჯერა, რომ მანქანის საქმესთან თვითონ ხელაძე იჯდა!

— მეც მჯერა. თქვენ გგონიათ, რომ მე კი არ მჯერა? მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს.

— თქვენც თუ გჯერათ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

გამომძიებელმა მწარედ ჩაიცინა, თითქოს ამბობდა, ეჰ, ძმობილო, აბა, შენ ამ საქმეებისა რა გაგეგებაო. ოთარს არ გამოჰპარვია ამ ჩაცინების ქვეტექსტი.

— თუკი თეორიულად არსებობს ასეთი ვარიანტის შესაძლებლობა, სასამართლოსთვის ეს ბევრს ნიშნავს. — გამომძიებელმა სკამი გამოსწია და ჩამოჯდა.

— აქ უკვე თქვენი მონდომება და დახელოვნებაა საჭირო. აბა, რისი გამომძიებელი ხართ, თუ ამდენი საბუთი ხელზე გაქვთ და საქმე ვერ გაგიხსნიათ?

მაგრამ თუ გამოჩნდა კაცი, რომელიც აღიარებს, მანქანა მე გავიტაცეო, მაშინ?

ამ სიტყვებზე ოთარი შეკრთა, მუშტები მომუჭა და გამომძიებელს თვალი გაუშტერა, თითქოს უნდოდა, მის სახეში ამოეკითხა მთელი ამ საუბრის დაფარული აზრი. ის ჯერ კიდევ ვერ გარ-

---

**ბურაბ ფანჯიკიძე**
თვალი კაბინიანი

კვეულიყო, გამომძიებელი ასე მიკიბულ-მოკიბულად რატომ ლაპარაკობდა.

— დიახ, თუ გამოჩნდა ასეთი კაცი? — გაუმეორა კითხვა გამომძიებელმა.

— მაშინ თქვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტი უკვე აღარ იქნება მხოლოდ თეორიულად შესაძლებელი.

— ახლა მაინც თუ შეგეპარათ თქვენს თავში ეჭვი? — დამცინავად გაიღიმა გამომძიებელმა.

— სრულებითაც არა! — მშვიდად მიუგო ოთარმა და სკამის საზურგეს გადაეწვა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჯერ ასეთი კაცი არ გამოჩენილა.

— და თუ გამოჩნდა, მაშინ?

— მაშინ? — ოთარმა ცალი თვალი მოჭუტა, უეცრად სურვილმა მოუარა გამომძიებლისათვის ყველაფერი მოეყოლა, ეამბნა როგორ ესროლეს, ისიც ეთქვა, დილით და შუადამისას ტელეფონით როგორ ურეკავენ და ხმას არ იღებენ, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა. ჯერ კიდევ ვერ გაერკვია, გამომძიებელი სად უკაკუნებდა, რას ესწრაფვოდა. იგი ხანდახან შეთქმულივით ეღიმოდა. იქნებ ოთარს ეჩვენებოდა, იქნებ ყველაფერი ეს ეშვის ნაყოფი იყო? ყოველ შემთხვევაში, აჩქარება საქმეს არ არგებდა. „ვთქვათ, დავეთანხმე, მაშინ? მაშინ ალბათ ხელაძეც გამოჩნდება მოსაწლაპარაკებლად. მერე ხომ ყველაფერი ნათელი იქნება?“

ოთარ ნიკარაძე წინ გადაიხარა, სკამი ამჯერად წინა ფეხებზე დაყენა და მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო.

— მაშინ მორალური უფლებაც არ მექნება, ეჭვი არ შემეპაროს. ბოლოს და ბოლოს, მე მხოლოდ თვალი მოვკარი იმ კაცის სახეს, ვინც საჭეს უჯდა. მაგრამ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი კაცი არ გამოჩნდება.

— რასაკვირველია, ეს მხოლოდ ვარაუდია. გამომძიებელმა ყველაფერი უნდა ივარაუდოს.

— ხელაძე დაჭერილია?

— თავდებით გავათავისუფლეთ. — გამომძიებელი ფეხზე წამოდგა.

ოთარმა ლაპარაკი დამთავრებულად ჩათვალა და თვითონაც ზლაზვნით წამოიმართა.

სასამართლო მალე იქნება?

— ალბათ მალე. თითქმის ყველა მოწმე დავკითხეთ.

— ისინი, რასაკვირველია, ხელაძის ჩვენებას ადასტურებენ, არა?

გამომძიებელმა გაიცინა. ოთარი ვერ მიხვდა, ეს გაცინება თანხმობას ნიშნავდა თუ არა.

— ამ ზაფხულს სადმე ხომ არ მიდიხართ? — ჰკითხა გამოთხოვებისას გამომძიებელმა.

— არ ვიცი, არა მგონია, კარგად იყავით.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

●

შვიდი იყო დაწყებული, როცა ოთარ ნიკარაძე ტელევიზიის მთავარი შესასვლელიდან გამოვიდა. იგი მზისასთან ერთად მოდიოდა, თან აქეთ-იქით შეჯგუფებულ ხალხს ესალმებოდა.

— ოთარ, ვიღაც გეძახის! — უთხრა მზიამ, როცა ტელევიზიის შენობის გვერდით მანქანების სადგომ პატარა ბაქანს გაუსწორდნენ.

ოთარმა იქით გაიხედა, სათაც მზიამ ანიშნა. გაკრიალებულ „ვოლგასთან“ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი და ღიმილით მიესალმა, თუმცა ერთბაშად ვერც კი გაიხსენა მისი სახელი და გვარი. ეს ის მაღალი, მსხვილი და თავწერილი კაცი გახლდათ, საქმოსნების სუფრას რომ თამადობდა. მანქანაში კიდევ ორი კაცი იჯდა. ოთარმა ვერაცერთი ვერ იცნო. გულმა რეჩხი ეყო. მიხვდა, რისთვისაც იყვნენ მოსულნი. გამომძიებელთან ყოფნის შემდეგ ერთმა კვირამ გაიარა. იგი ელოდა მათ გამოჩენას, ყოველდღე ელოდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, თუ ეს თავწერილი კაციც იყო საქმეში გარეული.

„ვინ იცის, იქნებ ეს ვაკბატონიც იჯდა იმ მანქანაში?“ — გაიფიქრა უნებე-

რად. მერე, ვითომც აქ არაფერიაო, მზიას სიცილით გამოეშვიდობა და „ვოლგასთან“ მივიდა. თავწვრილა გოლიათი ღიმილით შეეგება, ხელი ჩამოართვა და გადაეხვია. ამ დროს მანქანიდან ის ორი უცნობი გადმოვიდა. თავწვრილამ ორთავენი გააცნო ოთარ ნიკარაძეს, ოთარმა ახლა უკვე იცოდა, რომ ერთს გიზო ერქვა, მეორეს არჩილი. მხოლოდ ეს იყო, ვერ იქნა და თავწვრილას სახელი ვერ გიახსენა. ცდილობდა არ გამოჰპარეოდა, გიზო და არჩილი მეგობარს რას დუქმახებდნენ, მაგრამ ისინი ჩუმად იყვნენ და სმას არ იღებდნენ.

ოთარი ვითომ ვერც კი მიხვდა მათი მოსვლის მიზეზს, თავი უდარდელად ეჭირა, ინინდა, გამვლელებს ესალმებოდა, ზოგიერთებს ლაპარაკსაც უბამდა.

— ხომ არ გაგვესეირნა სადმე? — ჰკითხა თავწვრილამ.

ოთარმა პასუხად საათს დახედა.

— კარგი ახლა, როდის იყო საათს უყურებდი?! — გაიცინა თავწვრილამ.

— გადაუდებელი საქმე მაქვს, მხოლოდ საათნახევრით შემიძლია წამოსვლა.

— წავიდეთ და ენახოთ მერე! — პირველად ამოიღო ხმა ერთმა, არჩილი რომ ერქვა.

— არა, ეგრე არ გამოვა. თუ თქვენ ეს ხელს არ გაძლევეთ, ხვალისთვის გადავდოთ.

— არა, კაცო, გადადებული საქმე ეშმაკისაა, — შეიცხადა თავწვრილამ, — აბა, ჩავსხდეთ.

— საით წავიდეთ? — იკითხა ისევ არჩილმა.

— ეგ მანქანაში გადავწყვიტოთ, ისე, მე თუ მკითხავთ, ქალაქგარეთ სჯობია გასვლა.

გიზო ხმას არ იღებდა და ოთარს დაჟინებით მისჩერებოდა. ოთარი კი განგებ ითრევდა ფეხს, თითქოს ვიდაცას ელოდებოდა. მას ამ დროს აპარატებაზამოკიდებული, წვერმოშვებული ჭაბუკი მიესალმა.

— გიას გაუმარჯოს! — ხელი ასწია ოთარმა, — აბა ერთი შენებურად ჩაეკიდეთ ვაკარტიჩეკი.

— მოგიკვდეს ჩემი თავი! — [illegible] რატი მოიმარჯვა.

თავწვრილა შემობრუნდა. ოთარი მანქანის ცხვირთან დადგა, ისე, რომ ნომერი კარგად გამოჩენილიყო. გიზომ უკმაყოფილოდ გაიხედა ფოტორეპორტიორისაკენ. არჩილმა ისეთი პოზა მიიღო, თითქოს მანქანაში შედიოდა, მარჯვენა ფეხი მანქანაში ჰქონდა შეუყოფილი, თვითონ კი მანქანის მოღებულ კარს ზემოდან იცქირებოდა.

გიამ რამდენჯერმე ჩაჰკრა აპარატს.

— ბარემ მეორე აპარატითაც გადაიღე, კაცნი ვართ, იქნებ არ გამოვიდეს.

გიზომ ბრაზიანად ჩაიქნია ხელი.

გიამ მეორე აპარატითაც გადაიღო. ოთარმა მადლობა გადუხადა და მანქანის კარი გამოაღო.

— წინ დაბრძანდი! — შესთავაზა არჩილმა და წინა კარი შიგნიდან გამოაღო.

ოთარმა შეპატიჟება აღარ გაამეორებინა, წინ დაჯდა.

— სურათებს ხომ მოგვცემს? — ჰკითხა თავწვრილამ და კარი მიიჯახუნა.

— სურათებისა ნუ გედარდებათ.

— საით წავიდეთ, ბატონო დავით! — იკითხა არჩილმა მანქანის დაძვრისთანავე და თავწვრილას სარკეში შეხედა.

„დავითი“, — გაახსენდა ოთარს თავწვრილას სახელი.

— სადაც ოთარს ურჩევნია, — თქვა დავითმა.

— ჩემთვის სულერთია, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ მე სულ საათნახევარი მაქვს დრო! — ოთარმა სიგარეტი ამოიღო და საგარეულზე გემრიელად მოკალთდა.

— დიღომში ავიდეთ, სოფელში. მაინც იქ სჯობია ყველას! — თქვა დავითმა.

მანქანა მცხეთის გზაზე გავიდა. სპიდომეტრი ას კილომეტრს უჩვენებ-

და. ოთხივენი ჩუმად იყვნენ, დუმილს არავინ არღვევდა, უხერხული მდგომარეობის გასაფანტად ყველანი სიგარეტს ეწეოდნენ. ოთარ ნიკარაძემ დაასკვნა, გიზოსა და არჩილს შორის ერთ-ერთი მკვლელის ძმა იქნებაო. უფრო კი გიზოზე ეეჭიანობდა. არჩილი გაცილებით უდარდელად იყო. გიზო მთელი გზა დუმდა, სახეც გაფითრებული ჰქონდა. გაცნობის დროსაც კი არ ამოუღია ხმა. მისი სახელი თავწვრილა დავითმა თქვა. ოთარი თითქოს ზურგში გრძნობდა მის მწველ თვალებს. უნდოდა სარკეში ჩახედეთ და მისი სახისათვის მოეკრა თვალი, მაგრამ იცოდა, მღელვარებას გამეძღავნებდა. ოთარი მართლაც ღელავდა, თუმცა არც თუ ისე ძალიან. მხოლოდ ერთი რამ არ ჰქონდა წინასწარ მოფიქრებული, მოლაპარაკების დროს თავი როგორ დაეჭირა. დუმილი თანდათან უხერხული ხდებოდა. ოთარი უცებ შემოტრიალდა და გიზოს თვალი თვალში გაუყარა.

— თქვენ საიდანღაც მეცნობით!

— მეეე... — დაიბნა გიზო, — შეიძლება.

მას ოდნავ ჩახრინწული უსიამო ხმა ჰქონდა.

— ანზორ ხელაძის ძმა ხომ არ ბრძანდებით?

— დიახ, — ნერვიულად თქვა გიზომ და ჯიბეში სიგარეტს დაუწყო ძებნა.

— ჰოო, — ოთარმა სიგარეტი მიაწოდა, მერე საკმაოდ უდარდელად შებრუნდა და ფანჯარაში გაპყო თავი. — ახლა კი მივხვდი, რატომ მოგისურვებიათ ჩემთან პერმარილი.

— რა ბრძანეთ? — ვერ გაიგო გიზომ.

ოთარი ისევ შებრუნდა.

— ახლა კი მივხვდი, ჩემთან პერმარილი რატომ მოგისურვებიათ! თუ მოლაპარაკება გინდოდათ, ამსშორეს რაღას მოვდიოდით.

— სუფრას მაინც თავისი ეშხი აქვს! — ჩაიხითხითა დავითმა; ეტყობოდა, დიდად არ ანაღვლებდა მეგობრის გაჭირვება.

მანქანა პატარა სასადილოს ეზოში ძლივს დაადგენს. იქაურობა ეფეტქალებულიყო სავსე. ოფიციანტი იმაკენ [illegible] გამოეგებათ. ყველაფერზე ეტყობოდათ, ისინი აქ ხშირი სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ და თავს საკმაოდ შინაურულად გრძნობდნენ.

— ადგილი ხომ გაქვს? — იკითხა დავითმა და ცხვირსახოცით ვიწრო შუბლზე მომსკდარი ოფლი მოიწმინდა.

— თქვენთვის ყველაფერი მაქვს, ქვემოთ მიბრძანდით, ფანჯატურში.

დავითმა ფანჯატურს გახედა, არ მოეწონა. გვერდით მაგიდაზე საკმაოდ შეზარხოშებული ბიჭები ისხდნენ. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, იქ არ იყო სასაუბრო ადგილი.

— რას გეტყვი, გერონტი, იცი? ერთი მაგიდა ეზოს იქით გადაიტანე და სადმე ჩრდილში გაშალე მოშორებით.

— ბატონი ბრძანდები.

სანამ სუფრას შლიდნენ, ყველანი ფეხზე იყვნენ და დუმდნენ.

ოთარ ნიკარაძე ჯაჭვით დაბმულ უზარმაზარ ძაღლს მისჩერებოდა. ძაღლი თვლემდა და წითელი ენა გადმოეგდო, კუდით ბუზებს ზანტად იგერიებდა. იქვე, ეზოში უზარმაზარი დუმილი ცხვარი იყო მიბმული. ცხვარი გაეკრიჭათ და დუმა სასაცილოდ ეკიდა. სუფრა ფითრმორეულ მსხლის ძირში გაშალეს. — თვალყური გეჭიროს ჩვენსკენ! — მიაძახა მიმავალ ოფიციანტს დავითმა და ჭიქები შეავსო.

არჩილმა თამადობა დავითს მიუღოცა. ოთარმაც თანხმობის ნიშნად ერთი ხუტეკი თქვა, გაგიმარჯოსო. მერე მხოლოდ ერთი ყლუპი მოსვა და ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა. დავითმა ყოველგვარი მიპატიჟების გარეშე მიიღო თამადობა. ეტყობოდა, ყველაფერი წინასწარ იყო გათვალისწინებული. იგი მაგიდისაკენ ძლივს ირბენდა. მუცელი უშლიდა ხელს. უზარმაზარ სხეულზე მილამბული პატარა თავზე კი ორი უშნაარსო თვალი სასაცილოდ დარბოდა აქეთ-იქით. ბოლოს დავითმა ოთარ ნიკარაძის სავსე ჭიქას გაუშტერა თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირველ ჭიქას ვერ დაგაძალებ, ჩემი საღღეგრძელო იყო, — თქვა დავითმა და ხაშლამის ძვალი თეფშზე დაგდო. — აწი კი უნდა გამოგვყვე სმაში. ჭიქები ისევ აჩრილმა შეავსო.

— მე დღეს ისეთი საქმე მაქვს, წვეთ ღვინოს ვერ დავლევ. რაც შეეხება საქმეს, სჯობია ახლავე მივხედოთ. მე ვიცი, თქვენ ჩემთან უსაქმოდ არ მოხვიდოდით. სჯობია სათქმელი ახლავე ითქვას, თორემ ჩემს განკარგულებაში — ოთარმა საათს დახედა — გზის გარდა ახლო�sა ორმოცდაათი წუთია.

ოთარ ნიკარაძემ ღვინით სავსე ჭიქა მაგიდის შუაგულში გადადგა.

— დიდ სმას არც მე ვაპირებ. თითო ბოთლი მაინც დავლიოთ. ქართველი ხალხი ვართ. უწონ დიდი საქმეები სუფრაზე წყდებოდა. — გაიცინა დავითმა და ჭიქა ასწია.

— ეს კაცი სწორია, — შეაწყვეტინა უცებ გიზომ, — ჯერ საქმეზე ვილაპარაკოთ, ჯერ გავერკვეთ. მე და ეს კაცი მტერები ვართ თუ მოყვრები.

ჭიქა მანაც გვერდზე მისწია და ოთარ ნიკარაძეს ბოროტად შეანათა თვალები.

ოთარს სიბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა, მაგრამ სახეზე მაინც დამცინავი ღიმილი გამოეხატა. სკამი ოდნავ უკან დასწია და კბილებში გასცრა:

— მე შენი არც მტერი ვარ და არც მოყვარე. და საერთოდ, ასი წელიწადი შემძლეq ვიცოცხლო ისე, რომ შენი არსებობაც არ გამახსენდეს.

— რა ამბავი, რაშია საქმე! — წამოხტნენ ერთდროულად დავითი და აჩრილი.

მერე დაკითი გიზოს მიუბრუნდა.

— თუ ჩვენ მოგვიხმე მოსალაპარაკებლად, გვაცალე კიდეც.

ოთარმა საათს დახედა.

— ორმოცდახუთი წუთი კიდევ შეძიძლია ვიჯდე ამ სასიამოვნო სუფრასთან.

— ერთ რამეს გეტყვი, მიუბრუნდა დავითს აჩრილი, —ეს კაცი ბავშვი არ არის, პირდაპირ ვუთხრათ რა გვინდა და აქ რისთვის მოვსულვართ.

ოთარ ნიკარაძე მიხედა, მოლაპარაკებას წამოწყება არჩილმა ითავა.

— უბედურება მოხდა, კაცო, დაიფუჭა, — პირდაპირ დაიწყო აჩრილმა, — შენ კარგად იცი, ის კაცი ძალად არავის მოუკლავს. ახლა მეორე კაციც რომ დაისაჯოს, ამით საქმეს რა ეშველება? მეორე ოჯახიც დაიღუპება. ეს არის და ეს. აბა, მეორე ოჯახის დაღუპვას რა აზრი აქვს. ამ საქმეზე აღრმაზური არავის გამოადგება. მათ შორის არც დაღუპულის ოჯახს. მათთვის ახლა ყოველ კაპიკს მნიშვნელობა აქვს. ესენი იმ უბედურებს დაეხმარებიან, კარგადაც დაეხმარებიან. მკვდარს მაინც არაფერი ეშველება. ერთადერთი მოწმე შენა ხარ. შენს ხელშია ახლა ყველაფერი, საქმეს სათაცაც გინდა იქით შეაბრუნებ. ჩვენთან არაფერი დაგეკარგება. შენ შენი თქვი, უკან არ დავიხევთ. სწორი არა ვარ? — მიუბრუნდა იგი მეგობრებს.

— სწორი ხარ, დასტური რად გინდა. აბა, საქმეს რას უშველის, ანზორ ხელაძის ოჯახიც რომ დაინგრეს. შენ შენი სათქმელი გვითხარი და საქმესაც მოვრჩეთ! — საქმიანად დაუქნია თავი დავითმაც.

ოთარ ნიკარაძე ხან ერთს აკვირდებოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. სიგარეტს დინჯად ეწეოდა, სახეზე აღელვების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. მისი თვალები არც თანხმობას გამოხატავდა, არც უარს.

— უფრო ჭკვიანური არ იქნება, შენ შენი აიღო და გაგზე გადგე?! — დაიწყო ისევ აჩრილმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ოთარი კვლავ არაფერს ამბობდა. ბოლოს სიგარეტის ნამწვი შორს მოისროლა, თავისი ჭიქა აიღო, ღვინო მინდორზე გადააქცია და ბორკომი დაისხა.

გიზო ხელაძეს სიბრაზისაგან ყბა აუცახცახდა, თავს ძლივს იმორჩილებდა, ნიკარაძის ზანტ და უდარდელ მოქმედებას სიგიჟემდე მიჰყავდა, საშინელი

---

**გურამ ფანჯიკიძე**
**თვალი კატიოსანი**

სურვილი ჰქონდა ბოთლისთვის ხელი წამოეკონა და ოთარისათვის თავზე გა-ქაქუფშვნა.

— ერთ რამესაც გეტყვით, — განაგრძო არჩილმა, — საქმე ყველგან ჩაწყობილია. ახლა მხოლოდ შენი ერთი სიტყვა კმარა. თუ უარს იტყვი, ამით მხოლოდ გაართულებ და გაახლაფორთებ საქმეს. ბოლოს მაინც არაფერი გამოგვა, გარდა იმისა, რომ მტრებს შეიძენ.

ოთარმა ბორკომის წყალი პირში გამოიტანა და გადაყფურთხა.

— მე თქვენ უფრო ჭკვიანები მეგონეთ! — გაიცინა უცებ, სკამის საზურგეს მიაწვა და თითები მაგიდაზე აათამაშა. — ასეთ საქმეზე მოლაპარაკებას მიპირებთ და ჩემთან მოდიხართ სამსახურში, თანაც ტელევიზიაში? მერე ჩემთან ერთად სურათსაც იღებთ, სადაც თქვენი კრიალა „ვოლგა“ თავისი ნომრითაა გამოსახული?! იცით თუ არა, რომ ამ სურათს თარიღი დაეწერება და საქმეში ჩაეკერება? მაგრამ თქვენ ამისი არ გეშინიათ, რადგან დარწმუნებული ხართ ფულის ძალაში. — ოთარმა მოკლესახელოებიანი მუქი პერანგი თითქმის ბოლომდე ჩაიხსნა და მზით გარუჯული, დაკუნთული მუცელი და მკერდი გამოაჩინა.

— ბოლოს და ბოლოს გვითხარი, რამდენს ითხოვ? — გიზო ხელაძის ხმა მუქარით იყო გაჟღენთილი.

— ჯერ თქვენ მითხარით ის ერთი სიტყვა, მე რომ უნდა ვთქვა სასამართლოში, მინდა კარგად ვიანგარიშო იმ სიტყვის ფასი, საქმე რომ თქვენს სასარგებლოდ შეატრიალებს.

არჩილმა ღიმილით გადახედა გიზოს. დაეთმა თვალიც კი უყო.

— შენ გიჩვენებენ ერთ კაცს და გკითხავენ, იმ უბედური შემთხვევის დროს ეს ხომ არ მჯდარა მანქანის საკესთან.

— მერე?

— შენც დაეთანხმები და იტყვი, ნამდვილად ეს კაცი იჯდა-თქო.

— მე ხომ უკვე განვაცხადე, შოფრის სახე კარგად არ მახსოვს-მეთქი.

— ძალიანაც კარგი, რომ ეგრე განაცხადეთ. თქვენ დამნაშავეს დაეკიდებით და იტყვით — არა მგონია გვიდე ბოდე, ნამდვილად ეს კაცი უდანაშაულო თქო.

— მერე, უდანაშაულო კაცი ჩავაგდო ციხეში?

— მაგისი ნუ გედარდება! — გაიცინა დავითმა. — ის კაცი უდანაშაულო როდი გახლავთ. სინდისი მშვიდად გქონდეთ. გარდა ამისა, ის თვითონ კრიმინალობს თავის თავზე აიღოს დანაშაული. მან იცის თავის საქმე, თქვენ ნურაფრისა გედარდებათ.

ოთარმა თვალი მოჭუტა, გამომძიებლის სიტყვები გაახსენდა.

— ყველაფერი მოგვარებული გქონიათ. ჩემთან მოლაპარაკება რადაში გჭირდებათ! — ჩაილაპარაკა ბოლოს და გიზო ხელაძეს გამომცდელად შეხედა.

— ეგ მეც გითხარი წეღან. — თქვა არჩილმა, — შენი ჯიტობა მხოლოდ საქმეს გაართულებს?

— განა მარტო გაართულებს? მეტი არაფერი? ნუ დაგავიწყდებათ, სად ვმუშაობ. მე შემიძლია მოვითხოვო გამომძიებლის შეცვლა. თუ საჭირო გახდება, მოსამართლის შეცვლაც. ყველასთან ვერ ჩაიწყობ კარტებს.

— შენ ამას არ იზამ. ანდა რატომ უნდა ქნა, რა აზრი აქვს?! არ სჯობია, შენ შენი აიღო და განზე გადგე? — ისე ჩაიცინა დავითმა, თითქოს ამბობდა, რას ვეაწვალებ ან თავს რაზე იწვალებ.

— ძალიან კარგი, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. ახლა ეს მითხარით, ჩემს თანხმობაში რამდენს იძლევით?

გიზო ხელაძემ შეეხო ამოისუნთქა.

— ათი ათასს! — თქვა მან, ჭიქას ხელი მოაკარა და ღვინო სულმოუთქმელად გამოსცალა.

— რასაკვირველია, ახალ ფულზე არა? — ჰკითხა ოთარმა.

— ძველ ფულზე საქმიანი ხალხი დიდი ხანია აღარ ლაპარაკობს! — დაასწრო გიზოს პასუხი არჩილმა და თან მათკენ მომავალ ოფიციანტს ხელით ანიშნა, საჭირო არა ხარო.

ოთარმა ჩაიცინა და სკამი უკანა ორ ფეხზე შეაყენა.

— გახსოვს, შენი მეგობარი ერთი შტერი ოფიციანტის ნეკა თითში რამდენს იხდიდა? — მიუბრუნდა იგი დავითს.

— მაშინ შენ შენი თქვი, რამდენს ითხოვ? — და გიზომ თვალებში შეხედა ოთარ ნიჟარაძეს.

— რამდენს? რამდენს და ორმოცდაათი ათასს! — დამარცვლა ოთარმა. სკამს ისევ უკანა ფეხებზე აქანავებდა და გიზო ხელაძეს გამომცდელად მისჩერებოდა.

— ორმოცდაათი რა ამბავია! — აღმოხდა არჩილს.

— ორმოცდაათი ათასს კაპიკი არ დააკლდება! — ოთარმა სკამი ისევ ოთხ ფეხზე დააყენა, მომეშტული ხელები მაგიდაზე დადო და გიზოს თვალი თვალში გაუყარა.

— კაპიკს არ მოგცემ და დედასაც გიტირებ! — წამოიჭრა გიზო ფეხზე.

ოთარმა დავითის ღვინით სავსე ჭიქას დაავლო ხელი და გიზოს სახეში შეასხა. გიზო ბოთლს დასწვდა, მაგრამ ნიჟარაძემ დაასწრო, პატარა მაგიდაზე თვალისდასაბნევებში გადაიხარა, მარჯვენა ხელით გიზოს ბოთლი ხელიდან გაადებინა, მარცხენა კი პირდაპირ ყბაში ამოარტყა. გიზო სკამზე დაეხეთქა და საბანაოდ გადაბრუნდა.

დავითი და არჩილი ფეხზე წამოიჭრნენ.

— არ გაინძრეთ, თორემ აგზილეთ ერთმანეთში.

— თუ ძმა ხარ, ნუ ყვირი. ხალხს ნუ შეაყრი! — ხმადაბლა თქვა დავითმა და გიზოს წამოდგომაში შეეშველა. მერე სკამიც წამოაყენა და გიზო დასვა.

ხელაძეს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, ყბა გვერდზე მოჰქცეოდა. ოფიციანტი ისევ გამოჩნდა, მაგრამ ... მოსვლა ვერ გაბედა. შორიახლოს იდგა და იცქერებოდა. დავითმა ისევ ანიშნა ხელით, მარტო დაგვტოვეო.

— მე ჩემი გითხარით და დავამთავრე. დანარჩენი თქვენ იცით. დილიდან სამსახურში ვიქნები, თუ ჩემს მიერ დასახელებული თანხა ჭაუაში დაგიდებათ, თორმეტ საათამდე დამირეკეთ. შენ კი, — მიუბრუნდა არჩილს, — სასწრაფოდ ჩამსვი მანქანაში და თბილისში ჩამიყვანე. ესენი აქ დაგელოდებიან.

არჩილი უსიტყვოდ გაჰყვა, მანქანა გამოიყვანა და ოთარს წინა კარი გაუღო. ოთარმა წინა კარი მიაჯახუნა და უკანა გამოაღო. ის იყო, სასადილოს ეზოს აკერის სვეტებიან ჭიშკარს მიუახლოვდნენ, რომ ნიჟარაძე მოულოდნელად წინ გადაიხარა, არჩილს საკეზე ხელი უტაცა, და ჯიქურ მარჯვნივ მოატრიალა. მანქანამ კუდი მოიქნია და იქვე, მარცხნივ მდგომ წითელ „მოსკვიჩს“ საბარგული გაჰკრა. ფარები წკრიალით ჩაიმსხვრა.

არჩილმა მანქანა დაამუხრუჭა და გაოფეებულმა უკან მოიხედა.

ოთარ ნიჟარაძე ჩუქარაშეპარული ლიმილით მისჩერებოდა.

— ნუ ღელავ, ბატონო არჩილ, შენთვის არაფერია ამ მანქანის შეკეთება. სამაგიეროდ, ეს ფაქტი ჩემთვის ორმოცდაათი ათას მანეთს ნიშნავს.

ოთარმა კარი მშვიდად გააღო და გადავიდა.

მანქანების შეჯახების ხმაზე სასადილოს ფანჯრებიდან ხალხი წამოიშალა.

## მეორე მოთხრობა

გრიგოლი და დავითი ერთმანეთს არ იცნობდნენ. გრიგოლისათვის რომ გეჩვენებინათ დავითი, გეტყოდათ, ამ კაცს არ ვიცნობ და არც არასოდეს მინახავს. დავითისათვის რომ გეჩვენებინათ გრიგოლი, ისიც ზუსტად ასე იტყოდა, ამ კაცს არც ვიცნობ და არც არასო-

---

**გურამ ფანჯიკიძე**
თბილი კატიოსანი

დეს მინახავსო. გრიგოლიც და დავითიც თბილისში ცხოვრობდნენ — ო



სა-ბურთალოზე, მეორე — ნავთლუღში. ერთი მასწავლებელი იყო, მეორე — ინჟინერი. ცხოვრობდნენ თავისთვის. გრიგოლმა არ იცოდა, რომ ამ ქვეყანაზე არსებობდა დავითი. თავის მხრივ, დავითმაც არ იცოდა, რომ ამ ქვეყანაზე არსებობდა გრიგოლი. დავითი ორმოცდასამი წლისა იყო, გრიგოლი — ორი წლით უფროსი. გრიგოლმა არც კი იცოდა, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე იგი შეიდჯერ შეხვდა დავითს და ელაპარაკა კიდეც. არც დავითმა იცოდა, რომ ესიც ზუსტად ამდენჯერვე შეხვდა გრიგოლს და ელაპარაკა კიდეც.

პირველად ისინი ტროლეიბუსში შეხვდნენ ერთმანეთს, გრიგოლი წინ იდგა და გაზეთს კითხულობდა.

— შეიძლება, გადააწოდოთ ბილეთის ფული? — უთხრა მას ვიღაც ქაბუკმა.

გრიგოლი მაშინ ოცდაათი წლისა იყო, დავითი — ორი წლით უმცროსი.

— რამდენი? — ჰკითხა გრიგოლმა და ფული გამოართვა.

— ერთი.

გრიგოლმა თავის მხრივ ფული ვიღაც წვეროსან კაცს გადააწოდა, თან გაზეთისათვის თვალი არ მოუცილებია. მალე წვეროსანმა გრიგოლს ბილეთი და ხურდა მიაწოდა. გრიგოლმა ხელი შემოსასვლელისაკენ გაიშვირა. დავითმა ბილეთი და ხურდა გამოართვა.

სამი გაჩერების შემდეგ ორივენი ჩამოვიდნენ. გრიგოლი მარჯვნივ წავიდა, დავითი — მარცხნივ.

მეორედ სამი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. დავითი ოპერის წინ იდგა და აფიშებს ათვალიერებდა. უცებ მასთან გრიგოლი მივიდა და ჰკითხა, რომელი საათიაო.

დავითმა საათს დახედა.

— ორს უკლია ჩვიდმეტი წუთი! — თქვა ისე, რომ გრიგოლისათვის არც შეუხედავს.

ამის შემდეგ გავიდა ხუთი წელიწადი. გრიგოლი აღარ შეხვედრია დავითს. რაღა თქმა უნდა, აღარც დავითი შეხვედრია გრიგოლს, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, როცა გრიგოლი ტაბილისელ „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩზე ჩრდილოეთის ტრიბუნაზე იჯდა მეორე იარუსის მესამე რიგში. დავითიც იმავე ტრიბუნაზე იჯდა სამი რიგით უკან და თექვსმეტი ადგილით მარცხნივ. მაშინ გრიგოლი არ გამოლაპარაკებია დავითს, არც დავითი გამოლაპარაკებია გრიგოლს, რადგან ერთმანეთს არც იცნობდნენ და ვერც ხედავდნენ.

და აი ხუთი წლის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ავტობუსში.

— შემდეგ გაჩერებაზე ჩახვალთ? — ჰკითხა გრიგოლმა.

— არა! — უპასუხა დავითმა.

— იქნებ როგორმე გამატაროთ?

— თუ შეეძელი, კი ბატონო.

— აბა, როგორმე ადგილები გავცვალოთ.

დიდი წვალების შემდეგ გრიგოლმა და დავითმა ადგილები გაცვალეს.

გრიგოლს არ შეუხედავს დავითისათვის, რადგან დავითი ზურგით იდგა. არც დავითს შეუხედავს გრიგოლისათვის, ისე იყო გაჭედილი, შემობრუნებაც კი ვერ მოახერხა.

თერთმეტი თვის შემდეგ, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველად — დილის თერთმეტ საათზე, სპორტულ მაღაზიაში. გრიგოლი აწკესებს ყიდულობდა და ბამბუკის ჯოხს ამოწმებდა.

— შეიძლება? — ჰკითხა დავითმა და ბამბუკზე ანიშნა.

გრიგოლმა ბამბუკი მიაწოდა და წავიდა.

მეორედ სულ სამი საათის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს, გმირთა მოედანზე. ზოოპარკის წინ. გრიგოლი სირაფიან წყალს სვამდა, დავითი ტროლეიბუსს ელოდებოდა. ამ დროს ვიღაც მსუქანმა, თავგადახოტრილმა გიჟმა ჩამოიარა და ერთ დარბაისელ, ქალარა ქალს გავაზე უპწკინა. ქალმა შეჰკივლა. გიჟმა გადაიხარხარა და გაიქცა.

გრიგოლს გაეღიმა და დავითს შეხედა. დავითმაც გაიღიმა და გრიგოლს შე-

ხედა. ამჯერად ისინი აღარ დალაპარაკებიან ერთმანეთს, მხოლოდ თავები გაიქნიეს. დავითმა არ იცოდა თუ გრიგოლი ის კაცი იყო, სამი საათის წინ რომ ბამბუკის ჯოხს ამოწმებდა. არც გრიგოლმა იცოდა, დავითი თუ ის კაცი იყო, ბამბუკის ჯოხი რომ გამოართვა.

მერე გავიდა ორი წელიწადი და შვიდი თვე. გრიგოლი აღარსად არ შეხვედრია დავითს. რაღა თქმა უნდა, არც დავითი შეხვედრია გრიგოლს, მაგრამ ორი წლისა და შვიდი თვის შემდეგ ისინი მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს.

გრიგოლი დფიქრებული მოდიოდა. ამ დროს თავისდაუნებურად ჩქარი ნაბიჯით მომავალი დავითი წაეკიბა.

— ბოდიში! — თქვა დავითმა და ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა.

— არაფერს, — მექანიკურად უპასუხა ფიქრებში წასულმა გრიგოლმა.

დავითი უკვე შორს იყო, არც გაუგონია მისი ხმა.

გავიდა კიდევ ორი წელი და გრიგოლი და დავითი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მეტროში მოხდა, გრიგოლი წინ იდგა, ესკალატორზე, დავითი — უკან. გრიგოლი, ჩვეულებისამებრ, გაზეთს კითხულობდა. დავითმა მოულოდნელად მოჰკრა თვალი მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ სპორტულ ინფორმაციას, დაინტერესდა, გრიგოლს მოუსვხებულად ამოუდგა უკან და ინფორმაციის კითხვა დაიწყო. გრიგოლს [illegible] არ მოუხედავს, მაგრამ იგრძნო, რომ მის უკან მდგომი კაციც იმავე ინფორმაციას კითხულობდა და გაზეთი ისე დაიჭირა, უცნობსაც რომ კარგად წაეკითხა.

— კარგია, ჩვენებს მოუგიათ! — თქვა გრიგოლის ყურადღებით ნასიამოვნებმა დავითმა.

— მერე თუ არ წაგდნენ, კარგად მიდიან! — თქვა გრიგოლმაც. ამასობაში სადგურშიც ჩავიდნენ. გრიგოლი მარჯვენა მაქანისაკენ წავიდა, დავითმა კი მარცხნივ გადაუხვია.

ამის შემდეგ გრიგოლი დიდხანს აღარ შეხვედრია დავითს, აღარც დავითი შეხვედრია გრიგოლს. კიდევაც რომ შეხვედროდნენ, მაინც ვერ იცნობდნენ ერთმანეთს.

ერთ მშვენიერ დღეს კი დავითმა თავისი ახალი „მოსკვიჩით“ მცხეთისკენ გასწია, სპორტის სასახლის წინ, ტროლეიბუსის გაჩერებასთან სისწრაფის შენელება დაავიწყდა. უცებ კაცს მოჰკრა თვალი. ფეხი უმალვე დააჭირა მუხრუჭს... გვიანღა იყო. მანქანის ქვეშ გრიგოლი ეგდო. დავითი მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა და მასთან მიიჭრა. გრიგოლი აღარ სუნთქავდა...

## თავი მეცამეტე

თამაზ იაშვილი აკადემიიდან დაღლილი დაბრუნდა, ვახშმობის თავიც აღარ ჰქონდა. ის. იყო, პირი დაიბანა და დაძინებას აპირებდა, რომ ოთარმა დაურეკა, ახლავე ჩემთან გაჩნდიო. მეგობრის ხმამ უცებ გამოაცოცხლა, სასწრაფოდ პერანგი გადაიცვა და ქუჩაში გავიდა. პატარა, ვიწრო ქუჩა სწრაფად ჩაირბინა, დავითაშვილზე გავიდა თუ არა, ტაქსიც გააჩერა. ოც წუთში ოთართან იყო.

— ბრავო, მოი მალრიკ! სულზე მოგვისწარი, ოორემ უკვე ვაპირებდით სუფრასთან მისხდომას.

ოთარ ნიკარაძე ნასვამი ჩანდა. თვალებიც უბრწყინვიდა და თითქოს უმიზეზო მხიარულებაც დაუფლებოდა. თამაზი ოთახში შეევიდა. მაგიდასთან ვიღაც უცნობი ქალიშვილი იჯდა.

— გაიცანი, ჩემი მეგობარი, მომავალი მეცნიერი თამაზ იაშვილი. ეს კი, — თამაზს მიუბრუნდა, — საკმაოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილი მაგდა ბრეგაძე.

თამაზი მეგობრის სიტყვაზე შეცბა და სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. თუმცა იგრძნო, მაგდა დიდად არ განაწყენებულა ოთარის სიტყვებზე.

გურამ ფანჯიკიძე
თვალი კაპიოსანი

— პურმარილს ნამდვილად ვერ დაიწუნებ. კარტოფილით და თევზით ვერ გაგაკვირვებ, მაგრამ ღვინო მაქვს იმერული. თუ გშია, ძეხვს შეგიწვავ.

— არ მინდა, ესეც მეყოფა.

— შენ ნუ დამჯდარხარ კაროლნასავით, ხანდახან ამოშაქრე რამე, — ოთარმა ქალიშვილს ნიკაპში ხელი ნაზად ამოჭკარა და ღვინო დაასხა. — აბა, შეგვეწოს მაღალი ღმერთი.

ოთარმა გადაკარა და ცარიელი ჭიქა თამაზს მიუჭახუნა. თამაზმა ჭიქა უხმოდ გამოსცალა და კარტოფილი დააყოლა. იგი მოულოდნელად შეიპყრო სევდამ. ოთარს შეუმჩნეველი არ დარჩენია მეგობრის მოწყენილობა.

— რას ჩამოგიშვია ცხვირი. არ მიყვარს, კაცს რომ ზეთი ჩამოსდის სიფათიდან. ჰო, მართლა, პამიდორიცა მაქვს მაცივარში. აბა, სწრაფად ადექი და სალათა გაგვიკეთე! — მიუბრუნდა მაგდას.

მაგდა ცოცხლად წამოხტა. თამაზს თვალში მოხვდა მისი სწორი, ლამაზი ფეხები და მოქნილი წელი.

— ეჰ, არაფერი არ ყოფილა კაცის ცხოვრება! — ამოიხვნეშა თამაზმა.

— რატომ დადექი ფილოსოფოსობის ხასიათზე?

— ისე, უბრალოდ, კაცს რა მალე ავიწყდება საყვარელი მეგობარიც კი...

— რატომ გგონია, რომ ავიწყდება? — ოთარმა ჭიქა მაგდაზე დადგა და იაშვილს თვალებში შეხედა. — ან რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც ცხვირის ჩამოშვება და მდუმარებაა გლოვის, წუხილის გამოხატულება?

— არა, მაგაში არ გედავები. მაგრამ ვაკა რომ იმ დღეში ვნახე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ადამიანის არარაობაში.

— ცდები, მოი მალჩიკ, საშინლად ცდები. ადამიანი ბუნების ქმნილებაა. იგი შესანიშნავი, დიდებული საინჟინრო ნაგებობაა. შენ მათემატიკოსი ხარ და ამ საკითხებში ჩემზე უფრო კარგად ერკვევი, მაგრამ ადამიანს როდესმე დაჰკვირვებიხარ, როგორც საინჟინრო ნაგებობას? აბა, დააკვირდი, რა ოსტატურად და რაციონალურად არის გადაწყვეტილი კომუნიკაციური თუ კავშირგაბმულობის ბანაგებენ?! მან, ესე იგი ღმერთმა, განგებამ თუ მატერიამ სმენის, მხედველობისა და აზროვნების ორგანოები ერთ მრგვალ ყუთში მოათავსა, რომელსაც ჩვენ თავს ვუწოდებთ. მან, ესე იგი ღმერთმა, განგებამ თუ მატერიამ ისიც კი გაითვალისწინა, ერთ მშვენიერ დღეს ადამიანი სათვალეს გამოიგონებსო და ყურები ისე ოსტატურად განალაგა, სათვალე რომ მარჯვედ მორგებოდა. წარმოიდგინე, ადამიანი რა სასაცილო იქნებოდა, ყურები რომ მკლავებზე ჰქონოდა მობმული. ანდა ერთი თვალი შუბლზე ჰქონდეს ციკლოპივით, მეორე კი ზურგზე. რა დასანახავი იქნებოდა ზურგზე ამოჭრილი პიჯაკი, საიდანაც ადამიანი ერთი თვალით გამოიყურება? ახლა პროპორციებს დაავკირდი, ყველაფერი რა ოსტატურად, ტექნიკურად უზადოდ არის გადაწყვეტილი. ერთი სიტყვით, ადამიანი დიდებული საინჟინრო ნაგებობაა. მეთანხმები თუ არა?

— მაგრამ... — დაიწყო თამაზმა.

— არაგითარი მაგრამ, მეთანხმები თუ არა? ადამიანმა ბევრი რამ ისწავლა ბუნებისაგან, საკუთარი აღნაგობისაგან.

მაგდამ სალათა მოიტანა.

— ძმარი დაასხი? — ჰკითხა ოთარმა.

— ძმარი არ ვიცი, სად არის.

— თარიზე დევს, — ოთარმა ანიშნა, ძმარი სადაც იდგა, მერე ისევ თამაზს მიუბრუნდა და გაწყვეტილი საუბარი გააგრძელა — არაგითარი მაგრამ. განა ავტომობილი ადამიანის პრინციპზე არ არის აგებული? მასაც აქვს ორი თვალი, ფილტვები, კუჭი, ძარღვები. მას ჩვენნაირ უფრო სჭირდება საკვები და წყალი. მანქანას თუ საკვები შემოელია, მოგეჭამა ჭირი, იმავე წუთში მიასვამს ფეხს, იმავე წუთში გაჩერდება. ადამიანი კი, იცი, რამდენ ხანს სძლებს ადამიანი მშიერ-მწყურვალი? თვრამეტი დღე.

დიახ, თვრამეტი დღე. შენ იცი, რას ნიშნავს თვრამეტი დღე იმ კაცისათვის, ვისაც სიკვდილამდე სულ ათას თოხმოცდაათი დღე დარჩა?

— კაცი ვერ გაიგებს, ხუმრობ თუ მართალს ამბობ.

— რა მეხუმრება, ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ. დღეს ერთმა ჩემმა მეგობარმა იმოდენა სისულელე ჩაიდინა, ჯერაც ვერ მომინელებია და ალბათ სიკვდილამდე ვერ მოვინელებ.

— რომელმა მეგობარმა?

— არის ერთი ბიჭი, შენ არ იცნობ. დაგლოოთ, კიდევ გაგვიმარჯოს!

— მაინც რა ჩაიიდინა ასეთი?

— ჯერ დალიე!

თამაზმა დალია და მეგობარს მიაჩერდა. ოთარმა სიგარეტი გაამოლა. ცალ თვალში კვამლი ჩაუვიდა და სასაცილოდ მოჭუტა.

— იმ ვაკატონმა, იმ დიდი ჭკუის კოლოფმა დღეს უარი თქვა ორმოცდაათი ათას მანეთზე. ორმოცდაათი ათას მანეთზე ახალი ფულით! მოგეხსენება, საქმოსანი ხალხი კარგა ხანია ძველ ფულზე აღარ ლაპარაკობს.

— ვინ აძლევდა ამდენ ფულს?

— ერთი ქურდი და მამაძაღლი.

— რაში აძლევდა?

— ერთ სიტყვაში.

— რაში? — განმეორებით ჰკითხა თამაზს იაშვილმა, იფიქრა, ყური ხომ არ მატყუებსო.

— ერთ სიტ-ყვა-ში! — დამარცვლა ოთარმა. — ერთი სიტყვა უნდა ეთქვა და გათავდა. ორმოცდაათი ათასი მანეთი ჯიბეში ჰქონდა.

— რა სიტყვა იყო ასეთი?

— გრძელი ისტორიაა, მაგრამ მოკლედ გიამბობ. მანამდე თითო ჭიქა კიდევ დავლოოთ. — ოთარმა ღვინო დალია, ერთი ნაჭერი პამიდორი დააყოლა და განაგრძო, — ერთმა საქმოსანმა მანქანით გაიტანა კაცი და მოკლა. მან გაიცხადა, საჭისთან მე არ ვმჯდარვარ. ვიღაცამ ჩემი მანქანა გაიტაცა და ის უბედური იმან გაიტანაო. იპოვეს ერთი კაცი, რომელმაც თავის თავზე აიღო ჩადენილი დანაშაული. ალბათ ეს იმისათვისაც ხელსაყრელი იყო, თორემ და-მეთანხმები, მხოლოდ ქველმოქმედებას გულისთვის ასეთი ნაბიჯს არ გადადგამდა. ჩემი მეგობარი გახლდათ ერთადერთი მოწმე, რომელმაც ყველაფერი იცოდა. მას უნდა დაედასტურებინა, რომ მანქანის საჭეს უჯდა არა ნამდვილი დამნაშავე, არამედ ის კაცი, რომელიც დანაშაულს თავის თავზე იღებდა. ეს იყო და ეს. ორმოცდაათი ათასი მანეთი ისე ჰქონდა ჯიბეში, როგორც ორმოცდაათი კაპიკი. მან კი, მან კი იცი, რა გაკეთა? სიმართლეზე თავი დადო და ფულზე უარი თქვა. თანაც ისინი ფაქტზე გამოიჭირა. დანარჩენი უკვე უნდა წარმოიდგინო, რაც მოხდება.

— თუ ძმა ხარ, გამაცანი, ვინაა ეგ ღვთისნიერი კაცი.

— ნეტა მეც არ ვიცნობდე.

— როგორ, შენ დაეთანხმებოდი, რომ ასეთი საზიზღარი სიცრუე ეთქვა და ფული ჩაეჯიბა?

— რასაკვირველია!

— შენ რომ ყოფილიყავი მის ადგილზე, იქნებ ისე არ მოექცეოდი, როგორც შენი მეგობარი მოქცეულა?

— არავითარ შემთხვევაში, მაგრამ მე ვინ მომცა მაგის ბედი.

— კარგი, ოთარ, ვიღაცას ეგონება, რომ მართალს ამბობ.

— მე მართალს ვეუბნები. გინდა დამიჯერე, გინდა არა, ეგ უკვე შენი ნებაა.

თამაზმა გაიცინა და ჭიქები შეავსო.

— ტყუილად იცინი. შენ მათემატიკოსი ხარ და ჩემზე უკეთ იცი ციფრების ყადრი. ორმოცდაათი ათასი! ესე იგი ნახევარი მილიონი ძველ ფულზე. თანხა რომ შენთვის დაედოთ წინ, თანაც რისთვის, მხოლოდ ერთი სიტყვისთვის! განა გაუძლებდი ცთუნებას? განა სული არ წაგძლევედა? მით უმეტეს, რომ იმ დაღუპული ამხანაგისათვის სულერთია, ვინ ჩაჯდება ციხეში.

---

გურამ ფანჯიკიძე
თვალი კაციერსანი

კიდეც გეკითხები, გაუძლებდი ამ ცთუნებას?

— ჩემი მეგობარი რომ არ იყო, ამ შეკითხვასაც კი შეურცხყოფად მივიღებდი.

— ესე იგი გაუძლებდი. მე კი მეგონა, მარტო ის ჩემი ძმაკაცი იყო ასეთი ჭკუის კოლოფი.

— ეგ ძალიან იოლად დასაძლევი ცთუნებაა პატიოსანი კაცისთვის. მე უფრო სხვა რაღაცისა მეშინია. რაღაც-რაღაცეებზე მიფიქრია და ჩემს თავში ეჭვიც შემპარვია. თუ არ დამცინებ, გეტყვი.

— თქვი, თქვი, პირიქით, ეს ძალზე საინტერესოა!

— ხშირად დავფიქრებულვარ იმ ადამიანთა ნებისყოფაზე, ომში რომ თავს სწირავდნენ და ათასგვარ ჯოჯოხეთურ წამებას უძლებდნენ. დავფიქრებულვარ და შიში დამუფლებია. მე მგონია, რომ ძალიან მშიშარა ვარ, ალბათ ვერასოდეს ვერ გავწირავ თავს და ვერ გავუძლებ ტანჯვა-წამებას. რა დამემართებოდა, რას მოვიმოქმედებდი, მტრის ხელში რომ ჩავვ-რდნილიყავი?

ოთარ ნიკარაძემ ხმამაღლა გაიცინა.

— ჯერ შენ არა გყავს მტერი, სერიოზული მტერი. შენ ჯერ არ გიგრძვნია მტრის სიძულვილი, ზიზღი. ჯერ შენ არ შეუპყრიხარ შურისძიების გრძნობას. ამიტომაც გგონია, რომ თავს ვერ გაანწირავ. მაგაზე ფიქრს შეეშვი. თავის გაწირვაზე წინასწარ არავინ ფიქრობს. კარგად დაიმახსოვრე, თავს მხოლოდ გამწარებული კაცი სწირავს. აბა, კაცს თუ დარი არ აწუხებს და გულში ბოდა არ უტრიალებს, შინ თუ ლამაზი ცოლი ჰყავს და სამსახურში ციდეკ უფრო ლამაზი საყვარელი, ეზოში თუ კრიალა „ვოლგა“ ელოდება და ჯიბე ფულით აქვს სავსე, ხოლო მისი გაქსუებული ტვინის უჯრედები სხვა არავითარი სულიერი მოთხოვნილებებით არ არის გადატვირთული — ის გასწირავს თავს? ასე, რომ მაგისა ნუ გედარდება. თუ მომენტი დადგა, თავსაც გასწირავ და მეტსაც იზამ. ამაზე ფიქრს შეეშვი და მათემატიკას [illegible]ფიდე. მათემატიკაში უფრო [illegible] მოგდის საქმე. ეს მაგდას [illegible]!

— ოთარმა ჭიქა პირთან მიიტანა, მაგრამ დალევა გადაიფიქრა, თამაზს თვალებში ჩააცქერდა და ჭიქა მაგიდაზე დადგა. — იქნებ გგონია, რომ კაცსაც არ მოკლავ?

თამაზმა ჩაიცინა, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც კი ზედმეტად ჩათვალა, ჭიქა ასწია და მაგდას სადღეგრძელო დალია. მაგდამ მადლობის ნიშნად ნაზად დაუკრა თავი.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, თამაზ! იაშვილო, იქნებ გგონია, რომ კაცსაც არ მოკლავ? ან იქნებ გგონია, რომ ჯერ კაცი არ მოგიკლავს?

თამაზი მიხვდა, ოთარი არ ხუმრობდა, თვალებიც უცნაურად უელავდა, თითქოს სადღაც დაჰკარგა თავისი ჩვეული სიზანტე და ფლეგმატურობა.

— შენც ძალიან ბევრი კაცი გყავს მოკლული, ისევე როგორც მე. — განაგრძო ოთარმა, — თორმეტი წლისა ვიყავი, პირველად რომ მოვკალი კაცი. დღევანდელი დღესავით მახსოვს, კინოში „რომეო და ჯულიეტა“ ვნახე. მე რატომდაც ყველაზე უფრო მერკუციომ მომხიბლა, თავი შემაყვარა. და როცა მერკუციოს მოკვლით გამწარებულმა რომეომ მისი მკვლელი ტიბალტი განგმირა, მასთან ერთად მეც გავუყარე დაშნა ტიბალტს, მეც ვიგრძენი ცხელი სისხლის სუნი და მეც დავიოკე შურისძიებით აღგზნებული სხეული. გაიხსენე, რამდენჯერ შემხტარხარ აღტაცებული კინოში, როცა საძულველი კაცი მოუკლავთ, როცა მკვლელთან ერთად შენც გიძიებია შური. აღტაცება კი მით უფრო მეტი ყოფილა, რამდენადაც უფრო ლამაზად მოჰკლავენ შეხვთვის საძულველ პიროვნებას. რატომ გაჩუმებულხარ, მითხარი, განა მართალი არა ვარ?

— სამწუხაროდ, მართალი ხარ!

— შენ კი გეგონა, უცოდველი იყავი, ჯერ ადამის შვილის ცოდვა არ გედო კისერზე.

ოთარი სკამის საზურგეს მიაწვა. ერთბაშად ჩაუქრა ის ნაპერწკლები, წეღან რომ აღგზნებულ იერს აძლევდა მის თაფლისფერ, ლამაზ თვალებს. იგი ახლა ისევ ძველებური ოთარ ნიკარაძე იყო, ზანტი და უდარდელი, ფლეგმატური და ყოველ წუთს ასაფეთქებლად გამზადებული. მან ჭიქა აიღო და წეღან წამოწყებული სადღეგრძელო გააგრძელა.

— მაგდა, გაგიმარჯოს! დიდხანს იცოცხლე.

ოთარმა ღვინო დალია. მაგდა მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს დასწვდა და გააბოლა. ოთარმა შეხედა და ჩაიცინა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა განაწყენებულმა მაგდამ.

— ამ უბედურს ჰგონია, სიგარეტს თუ მოსწევს და კონიაკს დალევს, ნამდვილი თანამედროვე და ცივილიზებული ქალი იქნება.

— კარგი, ოთარ, მე თავი დამანებე.

— მერედა შეხედე, რა მარტივი სახე აქვს. ამას რომ ვეუფლებ, ასე მგონია, ერთმარცვლოვანი რითმებით დაწერილ ლექსს ვკითხულობ.

— ოთარ, რა მოგვიდა, ასე რამ დაგბოღმა? — იწყინა მაგდამ.

— სისხლის გათეთრება მჭირს და გიკვირს, რომ დაბოღმილი ვარ?!

— ჯვარი გწერია, რკინას ხელი მოჰკიდე! — მაგდამ ოთარს ჩანგალი მიაწოდა.

— ეხ, მაგდა, ამ სამქმეს რომ რკინაზე ხელის მოკიდება შველოდეს! — გაიცინა ოთარმა.

— დღეს მართლა რაღაც უცნაურად ლაპარაკობ! — უკმაყოფილოდ გაიქნია თავი იაშვილმა.

— მაშ, არც შენ გჯერა, რომ სისხლის გათეთრება მაქვს, არა?

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ!

— მართლა არ გჯერა? შენ წარმოიდგინე, არც მაგდას სჯერა, არც მე მჯერა. მაგრამ პროფესორ ჯანდიერს რომ სჯერა?! იცით, მე კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ? ათას ოთხმოცდაათ დღეს. შენ კი ბევრი-ბევრი, ორმოცდაათი წელიწადი კიდევ იცხოვრო. იცვალ სისხლის გათეთრებას ლათინურად — ra ჰქვია? „leikus“. აი, რა წერია წიგნში სისხლის გათეთრებაზე! — ოთარი წამოდგა, საწერი მაგიდიდან რაღაც სქელი წიგნი გადმოიღო, დანიშნულ ადგილზე გადაშალა და წაიკითხა: „ლეიკოზი — სისტემური დაავადებანი, რომლებიც ხასიათდება რეტიკულარული სტრომის საწყისი უჯრედების ჰიპერპლასტიკური და მეტაპლასტიკური ზრდით და მათი გარდაქმნით სისხლის პარენხიმის სხვადასხვა უჯრედებად. ლეიკოზის დროს ამ პროცესს აგრესიული ხასიათი აქვს, რაც იწვევს სისტემებისა და ორგანოების გენერალიზირებულ დაზიანებას. ეს პროცესი ვითარდება სისხლის შემქმნელი უჯრედების მალიგნიზაციის ხარჯზე. ამასთან ხსენებული უჯრედები ჰაკარგავენ დიფერენციაციის უნარს“.

ხედავთ, რა ყოფილა სისხლის გათეთრება? სულ მარტივად, ლამაზად და ელემენტარულად არის აღწერილი. მერე და რა გულცივად. თითქოს ადამიანი კი არ კვდებოდეს, არამედ რაღაც ერთეულერედიანი ცხოველი. — ოთარმა წიგნი მაგიდაზე მოისროლა. ხომ ხედავთ, ასეთი რთული პრობლემა რა იოლად და უბრალოდ არის გადაწყვეტილი. საერთოდ კი, ერთი პრობლემის რამდენიმენაირი გადაწყვეტა არსებობს. მაგალითად, ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციოლოგიური. მაგრამ საკითხი ყველაზე იოლად მაინც მილიციის ენით წყდება: კაცმა კაცი წინასწარ განზრახულად მოკლა? — დახვრეტა! ბიბოს, კარტოფილი უკვე გათავებულა. მაგდა, ბარემ გადი და ძეხვი შეგვიწვი.

მაგდა სამზარეულოში გავიდა.

— როგორ მიდის შენი საქმეები აკადემიაში? — ჰკითხა მოულოდნელად იაშვილს.

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი კატიოსანი

— შენ ისევ ხუმრობ თუ სერიოზულად მეკითხები?

— სრულიად სერიოზულად.

— საქმეები კარგად მიდის. ასე მშვიდად არასოდეს მიმუშავნია.

ტელეფონმა დარეკა. ოთარი არ წამომდგარა, სკამი გადაუწვინა და ისე მისწვდა ტელეფონის ყურმილს.

— გისმენთ. არა, სხვაგან მოხვდით! — ოთარმა ყურმილი დადო და ისევ გასწორდა.

— დიდი ჭიქით ხომ არ დაგველია?

— არა, ისედაც შევთვეერი.

— ღვინო მოგეწონა?

— ძალიან.

— ურთმა ჩემმა მეგობარმა გამომიგზავნა.

მაგდამ თეთრი ალუმინის ტაფით შემწვარი ძეხვი შემოიტანა და მაგიდის შუაგულში ჩადგა.

ოთარმა ღვინო დაასხა, მერე მაგდას ცარიელი ბოთლი გაუწოდა.

— შენ ალბათ მოგეწყინა, ძვირფასო. გაცილებით სჯობდა ვინმე ბრიოლინით თმებაპრიალებულ ბიჭთან ათვედე ღამეს, ნახევრადმიმქრალ შუქზე ტანგოს ცეკვავდა და კონიაკს წრუპავდე, არა?

— გეყო დაცინვა! — მაგდამ ცხვირსახოცი ამოიღო და ოთარს გაოფლილი შუბლი მოსწმინდა. მერე ღვინის მოსატანად გავიდა.

— ჩუ! — ყურები ცქვიტა ოთარმა.

— რა იყო? — დაინტერესდა თამაზი. მაგდაც შეჩერდა და ოთარს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

— ხმაური გაიგონეთ? ეს ჩემმა მეზობელმა ჩარეცხა თავისი ტუალეტი. ამ ბოლო დროს სულ ტექნიკური აზრები მიტრიალებს თავში. შენ როდესმე გიფიქრია, რამოდენა გამოგონებაა კედელი? ჩემი მეზობელი ახლა ტუალეტში იჯდა და ძალიან სერიოზული საქმეებით იყო გართული. ის ტუალეტი ჩვენგან სულ ოთხი მეტრის მანძილზეა. ჩვენს შორის კი ერთი თხელი, შვიდი სანტიმეტრის სისქის კედელია აღმართული, რომელიც ხმასაც კი დაუბრკოლებლად ატარებს. წარმოგიდგენთო, რა მოხდებოდა, სტუმარში რომ გყოფილიყავით? იმავე საქმის მოსაგვარებლად ჩემს მეზობელს ოთხი კილომეტრის გავლა მაინც მოუხდებოდა, რომ შეეფიარადებერ თვალს მოჰრიდებოდა. ჩემის აზრით, ადამიანის მიერ შექმნილ საკვირველებათა შორის კედელი ერთ-ერთი უპირველესია.

— შენთან სერიოზული ლაპარაკი არ შეიძლება, — გაეცინა თამაზს, — — უკვე გვიანია, მე წავალ.

●

ოთარ ნიკარაძემ მეგობარი ქუჩამდე ჩააცილა.

მანქანა იოლად დაიძრიეს. ჩაჯდომის წინ ოთარმა თამაზს მხარზე დაკრა თავისი ლონიერი ტორი.

სანამ მანქანა მოსახვევს მიეფარებოდა, გამომშვიდობების ნიშნად მაინც ასწია ხელი, თუმცა ვერ ხედავდა, თამაზ იაშვილი მისკენ იცქირებოდა თუ არა. მერე დინჯად აუყვა კიბეს. როცა კარი შეაღო, მაშინლა გაახსენდა, რომ მაგდა იქ იყო. ქალიშვილს მაგიდა უკვე აელაგებინა. ოთარმა თვალი შეავლო მაგდას მაღალ ფეხებს და მოქნილ მკლავებს. მერე სავარძელში ჩაჯდა და სიგარეტი ამოიღო.

— ბევრს ეწევი, ოთარ! — თქვა მაგდამ.

— ყავა მოადუღე! — ოთარს არც კი გაუაზრებია, მაგდამ რა უთხრა.

— ძილის წინ რად გინდა ყავა?

— თუ არ გეზარება, მოხარშე!

მალე ოთარს ელექტროწისქვილის გაბმული ზუზუნი ჩაესმა ყურში. მაგდა ყავას ფქვავდა. ოთარს ათასი ფიქრი დაეხვია ყოველი მხრიდან. ბოლოს ხელი ჯიბეში ჩაიყო და კონვერტი ამოიღო. წერილი ნატასაგან იყო.

სამსახურიდან რომ დაბრუნდა, წერილი მაშინ ნახა საფოსტო ყუთში. როგორც კი კონვერტს დახედა, იმავე წამს იცნო ნატას ხელი. გული შეე-

კუმშა, ვერ გადაეწყვიტა, წერილი გაეხსნა თუ არა. ბოლოს კონვერტი შეაზე გაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. აი, ახლა ხელში ეჭირა ჯერაც გაუხსნელი კონვერტი.

— ოთარ, მე შენნაირ ყავას ვერ მოვადუღებ, — გამოაფხიზლა უცებ მაგდას ხმამ.

— როგორსაც მოადუღებ, მოადუღე!

ოთარმა კონვერტი გახსნა. წერილი სულ რამდენიმე წინადადებისაგან შედგებოდა. სწრაფად გადაიკითხა გაკრული ლამაზი ხელით დაწერილი სტრიქონები.

ო თ ა რ!

ეწერ ისე, როგორც შენ გიყვარს, მ ო კ ლ ე დ და ბ ე ს ტ ნ ი ო ვ ნ ა დ. ვრცლად რომ მოგწერო, რასაც შენზე ვფიქრობ, მაშინ მეცადინეობას თავი უნდა დავანებო. დილიდან საღამომდე ვმეცადინეობ და შენზე ვფიქრობ, მერე ისევ შენზე ვფიქრობ და ვმეცადინეობ. შენ რას აკეთებ? მომწერე ვ რ ც ლ ა დ და გ ა რ კ ვ ე ვ ი თ. გკოცნი, შენი ნატა.

წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა, მაგრამ გაკრული ხელით დაწერილ სტრიქონებს მაინც დაეინებით დასჩერებოდა. თუმცა წერილს უკვე ალარ კითხულობდა, ასოებს ვეღარც კი არჩევდა. გულზე სევდა შემოაწვა, სევდა, რომელიც ასეთი უცხო და უჩვეულო იყო ოთარისათვის.

მაგდამ ყავა მოუტანა. ოთარმა წერილი კონვერტში ჩადო, მერე ისე, რომ არ წამოწეულა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და შიგ ჩააგდო.

— იქ საღდაც კონიაკი უნდა იყოს დარჩენილი.

— რად გინდა, ოთარ, ისედაც ნასვამი ხარ.

— ცოტას დავლევ, ყავას უხდება. მაგდამ კონიაკის ბოთლიც შემოიტანა და ყავა თავისთვისაც დაისხა. ოთარმა კონიაკი დალია, ყავა დააყოლა და ჭიქა ისევ შეავსო.

— ოთარ, მეტი მოგივა.

ოთარმა გაიცინა.

— აწი რა მნიშვნელობა აქვს.

მეორე ჭიქაც დალია. თვალ-მაგდას მისჩერებოდა, თუმცა ვერც კი ამჩნევდა და სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. რა უცხო იყო ახლა მისთვის ეს ქალიშვილი, რა უინტერესო და ცარიელი, თანაც რა უბადრუკი და საცოდავი.

მაგდამ იგრძნო, იგი ახლა სრულიად ზედმეტი იყო ამ ოთახში. აქ ყველაფერს თავისი დანიშნულება ჰქონდა, სკამსაც, მაგიდასაც, საწოლსაც, რადიოსაც. მხოლოდ მას, მაგდას არ ჰქონდა არავითარი დანიშნულება. იგი ოთარისათვის არაფერს არ წარმოადგენდა, მოსაუბრესაც კი. ქალიშვილმა საათს ახედა. სამი დაწყებულიყო.

მერე სევდიანი თვალები უმწეოდ მიაპყრო ვაჟს.

— მე წავალ. — თქვა ბოლოს გაუბედავად.

— სად წახვალ? — გამოერკვა ოთარი.

— შინ.

— რა დროს შინ წასვლა. ახლავე დაგიგებ ლოგინს. შენ ჩემს საწოლზე დაწექი, მე დივანზე დავიძინებ.

— სჯობია, შინ წავალ, გაცილება არ მინდა.

— მორჩი სისულელეს.

ოთარმა ლოგინი წამოშალა. მაგდა შეეშველა.

— დივანზე მხოლოდ ზეწარი გადააფარე, ზემოდანაც ზეწარს დავიხურავ. ამ სიცხეში სხვა არაფერი მინდა.

მაგდამ ლოგინები გაშალა.

— მე შევალ, ვიბანავებ, კარგი? — ჰკითხა მაგდამ.

— როგორც გენებოს. პირსახოცი იქვეა.

მაგდა აბაზანაში შევიდა. ოთარმა სინათლე ჩააქრო. ფანჯარაში ერთბაშად გამოიკვეთა ზეებში შემალული მკრთალი სინათლეებით განათებული

---

**ვ ა ჟ რ ა მ ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე**
**თ ვ ა ლ ი კ ა ტ ი ო ს ა ნ ი**

ქუჩა. კონიაკი ისევ დაისხა. ძლივს გამოვიდა კიდევ ერთი ჭიქა. სასმელი მოეკიდა. გრძნობდა, მთვრალი იყო. არ უნდოდა ნატაზე ეფიქრა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

„ნატას ახლა სძინავს. თმები გაშლილი ექნება. ტუჩები ოდნავ ღია. ალბათ ძალიან სუფთად, მშვიდად სუნთქავს. იქნებ სიზმარსაც კი ხედავს. ძალიან ცუდ სიზმარს და არ იცის, რომ ამ სიზმარს ნამდვილად უწერია ახდენა. არ იცის, რომ უკვე კარგა ხანია ყველაფერი დამთავრდა“.

ქალაქს დიდი ხანია ეძინა. მყუდროებას ძალზე იშვიათად დიდი სისწრაფით მიმავალი მანქანის საბურავების შრიალისმაგვარი ხმა თუ დაარღვევდა.

მაგდა აბაზანიდან ფრთხილად გამოვიდა და ლოგინში ჩაწვა.

— შენ ისევ ფეხზე ხარ? დაწოლილი მეგონე. — თქვა ვან.

ოთარმა პასუხის ნაცვლად სიგარეტის კოლოფი მონახა. ხელში ცარიელი ციფრები შერჩა. წამოდგა. უჯრა გამოაღო და ახალი კოლოფი ამოიღო.

— დაწექი, ოთარ! უკვე გვიანია. ცადაცაა გათენდება. ადრე ხარ ასადგომი.

ოთარს ერთბაშად შეეკოფა მაგდა, ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა და მის მშვენიერ, ჯერ კიდევ სელ თმებში თითები შეაცურა. მერე ხელისგული ლოყაზე მოუსვა და თვალებში ჩააჩერდა. მაგდა კატასავით გაიტრუნა. ფანჯრიდან შემოსულ მკრთალ შუქზე თვალები უცნაურად უბრწყინავდა. ოთარი ნელ-ნელა დაიხარა და ტუჩებში დაეკონა. სულ მალე მიხვდა, მაგდა კოცნითვე არ ჰპასუხობდა. თავი მკვირცხლად ასწია, ქალიშვილს დახედა. მაგდას თვალები გახელილი ჰქონდა და ოთარს მისჩერებოდა.

— არ გინდა, ოთარ, ზრდილობის გულისთვის ნუ გაირჯები. არც ისეთი სულელი ვარ, შენ რომ გგონია. შენ ახლა სულ სხვაგან ხარ, არაფერი არაა საჭირო. წადი, დაიძინე.

ოთარ ნიკარაძე შეცბა. მერე სახეზე ისეთი თბილი ღიმილი გამოეხატა, მაგდას შეეშინდა, არ აბერებულიყო, და თვალები დახუჭა. ოთარი დაიხარა, ქალიშვილს შუბლზე აკოცა, მერე ფრთხილად წამოდგა და დივანს მიაშურა.

## თავი მეთხუთმეტე

თამაზ იაშვილს დილიდანვე საოცარი განწყობილება დაეუფლა, ადგილზე ვერ ისვენებდა. რამდენიმეჯერ სცადა, ზუპირად ამოეხსნა დიფერენციალური განტოლებები. ეს მისი საყვარელი ვარჯიში იყო. მაგრამ ოთახში შემოფრენილი ციფრები ისევ უკან მიფრინავდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. მერე თვალი მოხუჭა. ჩვეულებისამებრ აღარ დაუნახავს მტრედისფერი ცა და გუნდ-გუნდად წამოფრენილი ციფრები. თვალი ისევ გაახილა.

„რა მემართება, ავად ხომ არა ვარ?“ — ფიქრობდა იგი, მაგრამ ეს დაუჯერებლად ეჩვენებოდა. პირიქით, საუცხოო გუნებაზე იყო. ასე ლაღად და მხიარულად არასოდეს უგრძნია თავი. ერთი სული ჰქონდა, სამუშაო დღე როდის დამთავრდებოდა. ეს დროც მოვიდა, მაგრამ აკადემიოსმა დავით ბოკუაძემ რაღაც საწარმოო თათბირი წამოიწყო. თამაზ იაშვილი გარინდული იჯდა. მის სულსა და გულს არაფერი ეკარებოდა. როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა. ახლა კი ქუჩაში დინჯად მიაბიჯებდა და ასფალტს დასცქეროდა. ის საოცარი განწყობილება, დილიდანვე რომ დაეუფლა, კიდევ უფრო გაუძლიერდა. არ ახსოვს, რამდენი ხარა. ბოლოს მიხვდა, რომ სახლს მიუახლოვდა და გული შეეკუმშა. ნუთუ ამით დამთავრდა ყველაფერი? ახლაღა მიხვდა, რაღაცის მოლოდინის გრძნობას

ჰყავდა შეპარობილი. თავი ასწია, ირგვლივ მიმოიხედა, გაოცდა. ქუჩაში კაცაშვილი არ ჯაბანებდა. საათს დახედა. ჯერ რვაც არ იყო. საათი შეამოწმა, ხომ არ გაჩერებულაო. მზე სულ ახალი ჩასული იყო. მერე თითქმის ერთბამად ჩამოწვა ბინდი. სიჩუქე ჩამოვარდა. ცაზე მთვარე სავსებით ნათლად გამოიკეკთა. თამაზს მთვარე გადიდებული და დედამიწასთან უფრო მოახლოებული მოეჩვენა, როგორც ერთ საღამოს, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან რომ მოდიოდა, წვიმიან ამინდში. ნელა მიაბიჯებდა, უჩვეულოდ ნელა. ფეხსაც რბილად ადგამდა, მაგრამ რკინის ლურსმნებიანი ქუსლი მაინც საკმაო ხმაურს გამოსცემდა. ნუთუ ყოველთვის ასეთი ხმაურით დაბიჯებდა? არასდროს არ შეუჩნევია და ცოტა გაოცდა.

უცებ ვიწრო, ვრძელი ქუჩის თავში ქალაშვილი გამოჩნდა. ქუჩის ოდნავ ანათებდა მოყვითალო შუქი. ლამპიონები მხოლოდ ალაგ-ალაგ ბეტონებდა. ვინ იცის, რამდენჯერ გაევლო ამ ქუჩაში და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ამსიგრძე ქუჩაზე ერთი ხეც არ იდგა. ადრე არც ის შეუნიშნავს, რომ ქუჩა გრანიტის ოთხკუთხედი ქვებით იყო მოგებული. მიუხედავად სიბნელისა, სრულიად ახალგაზრდა ქალის კონტური საოცრად ნაცნობი ეჩვენა. ქალი ნელა მოდიოდა. მათი ნაბიჯების ხმა ზუსტად ემთხვეოდა ერთმანეთს. მათ შორის იცა ნაბიჯიღა რჩებოდა. უცებ ქალი გაჩერდა. თავისდაუნებურად თამაზიც ადგილზე გამქვდა. ერთხანს ასე შორიდან უცქერდნენ ერთმანეთს. თამაზმა იგრძნო, მუხლი ეკვთებოდა. მის წინ მედეა ზამბახივე იდგა. უნდოდა ერთი ნაბიჯი კიდევ გადაედგა წინ, მაგრამ არც ტანი ემორჩილებოდა და არც მუხლი. ზუსტად ისე, როგორც სიზმარში, მოსაკლავად რომ მოგდევენ და ადგილიდან ვერ იძვრი, გაქცევას ვერ ახერხებ. იფიქრა, სიზმარში ხომ არ ვარო. მაგრამ ფიქრის დროც აღარ იყო, მედეა, ნელ-ნელა წამოვიდა მისკენ. მათ შორის ორი ნაბიჯიღა დარჩა. მედეა ისევ შეჩერდა. რა თამაზი და რა გატანჯული სახეა ეტყობოდა. რა მომზიბვლელი და მოდელილი თვალები! თამაზს უნდოდა მიეარდნოდა, ხელში აეტაცა და სადღაც შორს, ძალიან შორს წაეყვანა.

— მედეა! — თითქმის ჩურჩულით თქვა ან.

— თამაზ! — ქალიშვილმა ის ორი ნაბიჯიც გადადგა და ვაჟს მკერდზე მიაყრდნო თავი.

— გამარჯობა, მედეა!

— გამარჯობა, თამაზ.

— მე ვიცოდი, რომ შეგხვდებოდი.

— მეც ვიცოდი, თამაზ.

— წავიდეთ, სადმე წავიდეთ. თუნდაც ჩემთან ავიდეთ, თუ არსად გეჩქარება.

— მე არსად არ მეჩქარება და არც წასასვლელი მაქვს სადმე, თამაზ.

ისინი ჩუმად მიდიოდნენ. თამაზ იაშვილი ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. ისევ ეშინოდა, არ გაღვიძებოდა და ყველაფერი ეს სიზმარი არ აღმოჩენილიყო. არა, ეს სიზმარი არ იყო. გვერდით მედეა მოჰყვებოდა. ესმოდა მისი სუნთქვა, გრძნობდა მისი ტანის სიმხურვალეს. თითქოს წლები არც კი გასულიყოს, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, თითქოს ეს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო.

ძველებურ, განიერ კიბეზე ისე ავიდნენ, მედეას თავი არ აეღოდა თამაზის მკერდიდან. თამაზმა კიბეში ფრთხილად ჩაიყო ხელი. ეშინოდა, მედეას თავი არ აეწია. როგორც იქნა, კარს გასაღები მოარგო და ფრთხილად გადაატრიალა. გაისმა მელოდიური, ზარისმაგვარი ყორიალი. დიდი მუხის კარი ისე ნელ-ნელა გაიღო, თითქოს რაღაც საიდუმლო გამოქვაბულის ჯადოსნური კარი იღებაო. ოთახში ფრთხილად შეაბიჯეს. თამაზმა სინათლე ანთო. მედეამ თამაზს ხელი უშვა,

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი კატიოსანი

წინ წავიდა და ოთახი მოათვალიერა. მერე ცალი ხელით უზარმაზარ, მოჩუქურთმებულ, ძმიმე ხის კარადას მიეყრდნო.

ღმერთო, რა ლამაზი გახდა უცებ ის კარადა, კარადა, რომელიც თამაზს ასე ეზიზღებოდა თავისი Sიძველისა და სიტლანქის გამო. ახლა კი... თითქოს ქალიშვილი უზარმაზარი ორღანის წინ იდგა ეკლესიაში.

უცებ ოთახი ჯადოსნური ხმებით გაივსო. თითქოს, სადღაც შორს ზარები აწკრიალდნენ. თამაზი მიხვდა, ეს საათი რეკავდა. ყური მიუგდო, დარეკა ზუსტად ცხრაჯერ.

„რა ადრე ყოფილა! ნეტავ რატომ იყო ქუჩები ცარიელი?“

მედეამ შეკრული თმები გაიხსნა. მერე დაიხარა, ფეხსაცმელები გაიხადა და ძველებურ, დიდ სავარძელთან მივიდა, თითქოს ეშინოდა ფეხის ხმას არ ჩაეყლაპა პატარა ზარების სასიამო წკრიალი.

თამაზი ისევ ერთ ადგილზე იდგა გამშებული, წინ ნაბიჯი ვერ გადაედგა, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. მედეა სავარძელში იჯდა და გრძელი, ლამაზი ხელები სახელურებზე გადაეწყო. თავით საზურგეს მიეყრდნო. მშვენიერი თმები ორთავე მხარეს ჩამოეშალა მკერდზე. ღმერთო, რა ლამაზი იყო და რა სევდიანი. თამაზს იაშვილმა არ იცოდა, თუ სილამაზეც შეიძლებოდა სევდიანი ყოფილიყო.

მედეამ მხარი იცვალა და სავარძლის საზურგეს ლოყით მიეხუტა. იგი უცბად დაემსგავსა პატარა, სულ პატარა ბავშვს.

თამაზს ქალიშვილი შეებრალა. თვითონაც არ იცოდა, რატომ შეებრალა, მაგრამ ძალიან შეებრალა. უნდოდა მის წინ მუხლებზე დამხობილიყო და ლამაზი ხელის თითები დაეკოცნა. ძალიან დიდხანს იდგა ასე, გაძრევისა ეშინოდა. ნაბიჯი ვერ გადაედგა. ვაითუ ფეხის ხმაზე გამოღვიძებოდა და ყველაფერი მოჩვენებასავით გამქრალიყო. ნუთუ მართლა ეძინა? ნუთუ მედეას მშვენიერ თმებს საზურგეში ხედავდა? ოთახში ჩამობნელდა. ქალაქი ფანჯარაში გამოჩნდა საკმაო მანძილზე, უზარმაზარი, ყვითელი მთვარე. იგი თითქოს უჩვეულოდ მოახლოვებოდა დედამიწას.

უცებ მშვიდი სუნთქვა გაიგონა, მედეას ჩაეძინა.

თამაზი ფრთხილად მიუახლოვდა, ჯერ სახეზე დაეჩერდა, ვერ გაებედა გაეღვიძებინა თუ არა. მერე ნელა დაიხარა. ცალი ხელი იღლიაში ამოსდო ნაზად, მეორე მუხლებთან და ქალიშვილი ფრთხილად გადაეწვინა ლოგინზე. კარადასთან ფეხაკრეფით მივიდა, საზაფხულო ზოლიანი სპანი გამოიღო და ქალიშვილს რაღაც ენით აუწერელი მზრუნველობით გადააფარა. მედეა შეიძძრა, ცალი ხელი სპანს ზევით ამოიღო. თამაზი ერთ ადგილზე გაქვავდა. შეეშინდა, მედეას არ გაღვიძებოდა. მერე ძალიან ფრთხილად, ფეხაკრეფით მივიდა დიდ სავარძელთან, სადაც წეღან მედეა იჯდა. სავარძელს ისევ შერჩენოდა მედეას თმების სურნელება.

საათმა თორმეტჯერ დარეკა. თამაზი გაოცდა, ასე სწრაფად როგორ გაფიდა სამი საათი? და აი, როცა საათმა უკანასკნელად ჩამორეკა, უზარმაზარი ზარის ხმას აჰყვა ათასი პატარა ზარის წკრიალი. თეთრი ეკლესიიდან გამოეფინენ თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები და ბავშვები. მერე ეკლესიას მოადგნენ თეთრცხენებშებმული თეთრი ეტლები, ეკლესიის ეზოში ბავშვებთან ერთად მზიარულად დაკუნტრუშებდნენ თეთრი, თოვლივით თეთრი ბატკნები. მერე ყველანი თეთრ ეტლებში ჩასხდნენ, თეთრმა ცხენებმა თავები დააქნიეს და სადღაც წავიდნენ. ზარების ხმაც ნელ-ნელა მიწყდა. მიწყდა ცხენების ფეხების თქარათქარიცა და ზანზალაკების ჟღარუნიც. ახლა ყველაფერს ნაცრისფერი გადაეკრა და შორს, შორს დასალიერში ჩიტების უზარმაზარი გუნდები წამოშალნენ.

უზარმაზარი გუნდები ნელ-ნელა ახლოვდებოდნენ. არა, ისინი ჩიტები კი არა, ციფრები იყვნენ. ციფრები ყოველი მხრიდან მოისწრაფვოდნენ და მოისწრაფვოდნენ. თამაზ იაშვილს ჯერ არ ახსოვს ამდენი ციფრი წამოფრენილიყოს ერთდროულად. ახლა იგი გაცილებით იოლად უსწორდებოდა ყოველ ჯგუფს, გაცილებით იოლად ეალერსებოდა თვითეულ მაიგანს. ერობაშად უსაზღვრო ძალა იგრძნო, თითქოს გათმაგდა მისი შესაძლებლობანი, თითქოს მისი გონება ახლა უფრო სწრაფი და მოქნილი გახდა. ციფრები ნელ-ნელა შეცვალა გამოსახულებებმა. გამოსახულებები — დიფერენციალურმა განტოლებებმა. შემდეგ ჰორიზონტზე ნელ-ნელა წამოიმართნენ გრაფიკული ფიგურები. ისინი თრთოდნენ, იწყლებოდნენ, ერთმანეთში იგრიხებოდნენ, როგორც გამოსახულება იგრიხება ხოლმე ტელევიზორის გაუსწორებელ ეკრანზე. მერე უცებ ვიდაცის უხილავმა ხელმა თითქოს გაასწორა ეს უზარმაზარი ეკრანი. თამაზ იაშვილმა სიხარულისაგან კინაღამ შეჰყვირა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. მან დაინახა ის, რის დასანახადაც ამდენ ხანს წვალობდა, დაინახა ნათლად და ცხადად. ხელიც კი შეახო ამ ლამაზ გრაფიკულ ფიგურებს. თითქოს მიეალერსა კიდეც. რა იოლი, რა ცხადი და ნათელი ყოფილა ყველაფერი. საოცარია, აქამდე რატომ არ მოსვლია აზრად ამ თეორემის დასამტკიცებლად გამოეყენებინა მაქსიმუმის პრინციპი. განა ჯერ კიდევ კუშისთვის მეცხრამეტე საუკუნეში, შემდეგ კი მინდინგისათვის, რომელმაც პირველად წამოაყენა ჰიპოთეზა სფეროს ცალსახა განსაზღვრულობისა, ასე ძნელი იყო ამის ამოხსნა? ნუთუ ვერც მათ, ვერც ამ პრობლემებზე მომუშავე სხვა მეცნიერებმა ვერ დაინახეს, რომ თუ ორი იზომეტრული ამოზნექილი ზედაპირი მოთავსებულია რაიმე სიბრტყის ზემოთ, მაშინ მისი ცალსახა დაგეგმილებაც შეიძლება ამ სიბრტყეზე? მაშინ ხომ ფუნქციის რომელიმე ორი ალიკატის სხვაობამ არ შეიძლება მიღოს არც უკიდურესი მაქსიმუმი, ეროვნული ბიბლიოთეკა SAKARTVELO NATIONAL LIBRARY

გაოცდა. საფერფლეს დახედა. საფერფლე ნამწვავებით იყო სავსე.

„ამდენი როდის მოგწევ?“ — ძალზე გაუკვირდა, სინათლე გამორთო და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

უცებ საკეტის საიდუმლო ელარუნი გაისმა და კარი ნელ-ნელა გაიღო. თამაზმა კინაღამ შეჯიკვლა. ნახევრად ღია კარში კაცი იდგა. მისი მუქი სილუეტი ოდნავ გამოირჩეოდა სინათლეშეპარული ცის ფონზე. კაცი თითქოს დამცინავად იღიმებოდა. თამაზმა იცნო იგი. ეს ხომ ის ჯუჯა, მეჩხერკბილებიანი, სახედასიებული კაცი იყო. აღარ იცოდა რა ექნა, ტანზე ცივი ოფლი ასხამდა. უცებ კაცი სადღაც გაქრა. მხოლოდ კარი ირწეოდა შემოკრილ ნიავზე. თამაზი ფრთხილად წამოდგა, კარი მიხურა და საკეტი გადაატრიალა. ახლა გაახსენდა, რომ შემოსვლისას კარი ჩაუკეტავი დარჩა.

ფანჯრებში უკვე იგრძნობოდა შორეული ცისკარი. მთები და ცა საგრძნობლად გამოჰყოფოდნენ ერთმანეთს.

●

თამაზი უთენია მიეჯრა ოთარ ნიკარაძესთან. ოთარს ისევ ეძინა. თვალი გაახილა თუ არა, იმავე წუთში მიხვდა, თამაზის თავს რაღაც ამბავი იყო. ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, მაგრამ მაინც ზანტად გაიზმორა, ადგომას არ ჩქარობდა. ოთარმა მხოლოდ აფეთქება იცოდა. რაღაც საშუალო ფლეგმატურობასა და აფეთქებას შორის მას არ გააჩნდა. ლოგიზნე ნელა წამოჯდა, ისევ გაიზმორა, ვარჯიშისმაგვარი მოძრაობა გააკეთა და აბაზანას მიაშურა.

თამაზმა სამზარეულოს მაგიდაზე მაწვნის ქილებს მოჰკრა თვალი.

— შენ რომ მაწონი არ გიყვარდა? ამდენი მაწონი რა ამბავია?

— ამ ბოლო დროს მაწონზე გადავედი, თუ გინდა ჭამე.

— არა, არ მინდა.

— უკვე ისაუზმე?

— არ მისაუზმია, მაგრამ არაფერი არ მინდა.

— შენ რაღაც სხვანაირად ეჩვენებიანავს თვალები.

თამაზი გაწითლდა, უცანაურად ამოიმუშნა, სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით დაუწყო წმენდა. ოთარ ნიკარაძე გაოცდა, მის წინ ვიღაც სხვა, გამხდარი, არცთუ სასიამოვნო შესახედაობის ბიჭი იჯდა. მეგობარი უსათვალოდ ვერც კი წარმოიდგინა. დარწმუნებული იყო, რომ თამაზი სათვალიანი დაიბადა. ახლა, როცა იაშვილმა სათვალე მოიხსნა, ოთარს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს თამაზს ხელი, ფეხი ან რაღაცა აკლდა.

თამაზმა სათვალე გაწმინდა და გაიკეთა. უცნობი, უსიამოვნო შესახედაობის ბიჭი სადღაც გაქრა. მის წინ ისევ თამაზ იაშვილი იჯდა, ჭკვიანი და მომზადებული ჭაბუკი.

თამაზი ცმუტავდა, ადგილზე ვერ ისვენებდა. რამდენი წელია ოთარს იგი ასეთი გამოცოცხლებული აღარ ენახა. მიხვდა, მეგობარს მისთვის რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლო უნდა გაემხილა.

— ოთარ, ცოლი მომყავს! — გაბედა ბოლოს თამაზმა.

— ცოლი? რას მელაპარაკები, როდის?

— დღესვე. უფრო სწორად ხვალ. ხვალ ვაპირებთ ხელის მოწერას.

— მოგილოცავს! — გულწრფელად გაუხარდა ოთარს. მას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა, თამაზს ცოლი მოეყვანა. იცოდა, ამ დანებეულ, უმწეო და პატიოსან კაცს ერთგული მეგობარი და მხარში ამომდგომი ადამიანი სჭირდებოდა. — ვინ არის, მე ვიცნობ?

— ძალიან კარგად იცნობ! — დაიბნა უცებ თამაზი.

ოთარ ნიკარაძეს ცუდად ენიშნა ეს დაბნეულობა.

— მაინც ვინ არის? — დააგვიანა კითხვის მიცემა.

— მედეა, მედეა ზამბახიძე! — თქვა თამაზმა და მეგობარს თვალებში შეხედა.

ოთარი გაშრა. გული შეეკუმშა. ერთ-

ხანს ჩუმად იყო. ბოლოს ჯიბიდან სიგარეტი ზანტად ამოიღო და მოუკიდა. ღრმა ნაფაზი დაარტყა, ბოლი ჭერისკენ გაუშვა. ფეხი ფეხზე შემოიდო და ცეცხლმოკიდებული ასანთი ხელში მამინდდე ეჭირა, სანამ სულ არ დაწვა. მერე ნამწვავი სოფერფლეზე დაადო.

— როდის გადაწყვიტე ეგ ამბავი? — ჰკითხა ბოლოს.

— გუშინ! — იმავე წუთში მიუგო თამაზმა.

ახლა მას ლაპარაკი სწყუროდა. უნდოდა მეგობრისთვის დაწვრილებით მოეყოლა, მედეა როგორ შეხვდა ქუჩაში. რა ლამაზი და უმწეო იყო, რა საცოდავი. მაგრამ თავი მოთოკა და პაუსები ისევ გიმეორა ნერვიულად.

— გუშინ, გუშინ გადავწყვიტე.

— რატომ ღელავ? დაწყნარდი. შენი გადაწყვეტილება საბოლოოა?

— საბოლოო! სიგარეტი მომაწვეინე.

ოთარმა სიგარეტი გაუწოდა, თამაზმა გაბოლა. დუმილი ჩამოვარდა. ოთარი შას აღარ უყურებდა, კედელს დაყინებით მისჩერებოდა და რაღაცას ფიქრობდა. თამაზს გული საშინლად უცემდა. განაჩენივით ელოდა მეგობრის აზრს.

ოთარმა სიგარეტი საფერფლეზე დაგდო, მეგობრისკენ შემობრუნდა და მუშტებად მოკუმშული ხელები მაგიდაზე ენერგიულად დაალაგა, თითქმის დაჰკრა კიდეც.

— შენ მედეას არ მოიყვან, თამაზ!

— ოთარ, გესმის, რას მეუბნები?

— რომ არ მესმოდეს, არც გეტყოდი. შენ მედეას არ მოიყვან. მედეა არაა შენი ღირსი. ვიცი, შენ ის გიყვარს. ძალიან დიდი ხანია გიყვარს, მაგრამ თუ ვაჟკაცი ხარ, უნდა მოთოკო შენი თავი. რაღაცას ხომ უნდა გაუწიო ანგარიში.

— ამ „რაღაცაში“ შენ აღბათ ხალხს გულისხმობ, არა?

— უპირველეს ყოვლისა, შენს თავმოყვარეობას ვგულისხმობ, თუ მართლა გინდა იცოდე! მერე კი ხალხს.

— ჩემს თავმოყვარეობაზე შენ ნუ ზრუნავ. რაც შეეხება ხალხს, მე ვიცი წინაშე არ ვარ ვალდებული. ჩემს პირად საქმეზე ვინმეს ანგარიში გავუწიო.

— ნუ ყვირიხარ! — მშვიდად მიუგო ოთარმა, — ტყუილად ფიქრობ, რომ ყვირილი მეტ დამაჯერებლობას მიანიჭებს შენს სიტყვებს. მაგრამ იცოდე, ზამშახიძის ქალს მაინც არ მოიყვან. თავი დავანებოთ მის ბიოგრაფიას, თავი დავანებოთ მის არც თუ ისე სასახელო ეპიზოდებით აღსავსე წარსულს. ჯანდაბას ყველაფერი. თუ გინდა თვალი დახუჭე და უარყავი ყოველივე ეს! მაგრამ იგი საშენო მაინც არ არის, თამაზ! შენ მეგობარი გჭირდება, ერთგული მეგობარი. შენ არა ხარ ისეთი კაცი, რომელსაც ბრძოლა შეუძლია. შენ უნიჭიერესი კაცი ხარ, წინ დიდი მომავალი გაქვს. შენ მეგობარი გჭირდება, რომელიც მხარში ამოგიდგება, გაგამხნევებს, სითბოს მოგანიჭებს. შენ ფანატიკოსი მეუღლე გჭირდება, რომელიც შენს ღირსებებს ბოლომდე ჩასწვდება და გაგაღმერთებს. მედეა ზამბახიძე შენ არ გამოგადგება.

— ოთარ! — ფეხზე წამოიჭრა თამაზი.

— შენ გამონაკლისი არა ხარ. არავის არ სიამოვნებს სიმართლის მოსმენა.

— არა, მე შენი დაბალი, მენტორული და აუღელვებელი კილო მაგიჟებს. ისე მაჯელმ , თითქოს, საპალტოეს ყიდვას ვაპირებდე.

— არა, შენ სიმართლე გაგიჟებს. შენ თვითონაც ხომ ბევრჯერ დარწმუნდი, ადამიანები როგორ განიცდიან პირში მიხლილ სიმართლეს. მე რომ შენი არჩევანი გამემართლებინა, მომილოცნა, მედეა შემექო, გახარებული გადამეხვეოდი, გადამკოცნიდი, შენთვის ყველაზე საყვარელი ადამიანი ვიქნებოდი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილს გეტყოდი, ტყუილს, შენ რომ ასე გე-

ზიზღება. მაგრამ მე შენ ვერ მოგატყუებ. სად არის ახლა მედეა?

— ჩემთანაა.

— ახ, უკვე შენთანაა? — ოთარი ერთ წამს ჩაფიქრდა. — თვითონ მოვიდა?

— არა, ქუჩაში შემხვდა და წავიყვანე. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, თვითონ მოვიდა თუ მე მივიყვანე?

— საქმისთვის არაფერი. ოღონდ მე ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი გითხრა, რომ მედეა შენ არ გამოგადგება. მისი ამოყირავებული ტვინი ვერასადროს ვერ გაიგებს, ვინა ხარ შენ. ზამბახიძის ქალის თვალში თამაზ იაშვილი ყველაზე ნაკლები იქნება იმ ბიუებს შორის, ვისთანაც დღემდე ჰქონია საქმე.

— ოთარ! — შეჰყვირა თამაზმა და მეგობარს საკინძები ხელი ჩაავლო. აწყვეტილი ღილი იატაკზე გაგორდა.

ოთარ ნიკარაძეს წარბი არ შეუხრია, სკამიდანაც არ წამომდგარა. თამაზი შეკთა, გამოფხიზლდა და მეგობარს ვედრებით შეხედა:

— ოთარ, მაპატიე. თუ ჩემი ძმა ხარ, მაპატიე. ვიცი, ცუდად მოვიქეცი, უსინდისოდ გაწყენინე.

ოთარს მწარედ გაეცინა.

— პირიქით, ჩემო თამაზ, პირიქით. მე ძალიან გახარებული ვარ. უსაზღვროდ გახარებული, ბოლოს და ბოლოს დავინახე, პროტესტის ნიშნად როგორ აღმართე ხელი, როგორ გაიბრძოლე და ძველებურად არ გაიპარე, უსამართლობას არ გაექეცი. ეს უკვე დიდი პროგრესია. მართალია, ამჯერად სიმართლის წინააღმდეგ გაიბრძოლე, მაგრამ არ შეიძლია არ აღვნიშნო შენს არსებაში მომხდარი ეს სასიამოვნო ცვლილება.

— დამცინი, არა?!

— მე სრულ სიმართლეს გეუბნები.

ოთარი მიხვდა, თამაზთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

თამაზი ერთხანს მეგობარს მისჩერებოდა, მერე უცებ კარი გამოაღო და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ზარმა დარეკა.

მედეა დივანზე იყო წამოწოლილი და წიგნს კითხულობდა. ზარის ხმაზე თავი ასწია და კარებს შეხედა. თამაზს ჯერ არ ელოდა.

„ვინ უნდა იყოს“.

ზარმა ისევ დარეკა. მედეა დინჯად წამოდგა, გაშლილი წიგნი დივანზე დადო, შიშველი ფეხები მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გაუყარა და კარი ნელა გაიღო.

— ოთარ, შენ?! — აღმოხდა გაოცებულს.

კარებში ოთარ ნიკარაძე იდგა. მან საკმაოდ უცერემონიოდ, მოეპატიჟებლად შეაბიჯა ოთახში და კარი მიხურა.

— თამაზი შინ არ არის! — უთხრა შეშფოთებულმა მედეამ. გულმა უგრძნო, ოთარი რისთვისაც იყო მოსული.

— ეგ მეც კარგად ვიცი და იმიტომაც მოვედი. მე შენთან მაქვს საქმე. — ოთარი დინჯად მივიდა სავარძელთან და მოხერხებულად დაჯდა.

— დაბრძანდი! — შესთავაზა მედეას და სავარძლისკენ გაიშვერა ხელი.

მედეა სავარძელზე ჩამოჯდა. იდაყვებით მოშიშვლებულ, ზღვაზე ბრინჯაოსფრად გარუჯულ ლამაზ მუხლებს დაეყრდნო და სახე ხელებში ჩარგო.

ოთარმა სიგარეტი ამოიღო, დინჯად მოუკიდა. საუბრის დაწყებას აკვიანებდა. თან მედეას დამცინავად მისჩერებოდა.

— მეც მომაწევინე! — უთხრა მედეამ.

ოთარმა სიგარეტის კოლოფი და ასანთი ისე გადაუგდო, სავარძლიდან წელი არ წამოუწევია.

— თავაზიანობისათვის გმადლობთ! — თქვა ჩუმად მედეამ და სიგარეტს მოუკიდა.

მედეა მართლა ლამაზი იყო. თუმცა ოდნავ უაზრო გამოხედვა ჰქონდა, მაგრამ ისეთი არა, ვიდრე იგი სინამდვი-

ლეში იყო. უნაკლო, გრძელი ფეხები საცთუნებელს მიუგავდა.

— გისმენთ! — დაარღვია ბოლოს დუმილი მედეამ.

— აქ რატომ მოხვედი? — ჰკითხა ოთარმა.

— ეგ შენი საქმე არ არის, მთელი ჩემი ცხოვრება, სადაც მინდოდა იქ დავდიოდი! არც ახლა ვაპირებ გამოსწორებას. — წეღანდელმა წუთიერმა დაბნეულობამ სავსებით გაუარა.

— შენ მგონი, ძალიან კარგად იცი, რომ თამაზი ჩემი მეგობარია.

— მე მგონი, შენც შესანიშნავად იცი, რომ თამაზი ჩემი ქმარია.

— იგი ჯერ კიდევ არ არის შენი ქმარი.

— ეგ ფორმალურად, — მედეამ საათს დახედა, — ზუსტად ოცდაოთხი საათის შემდეგ ის ჩემი ქმარი იქნება.

— ოცდაოთხი საათი საკმარისი დროა იმისათვის, რომ კაცმა შესცვალოს გადაწყვეტილება.

— თამაზ იაშვილი არ შეცვლის გადაწყვეტილებას! — თვითდაჯერებულად წარმოთქვა მედეამ. მერე წამოდგა, კარადიდან ორი პატარა საფერფლე გადმოიღო, ერთი ოთარს მიაწოდა, მეორე კი თვითონ დაიდგა სავარძელზე.

— თამაზი გიყვარს?

— რომ გითხრა მიყვარს-მეთქი, დამიჯერებ?

— თამაზის მეტი ვერავინ იპოვე, რომ ცოლად გაჰყოლოდი? მე რამდენადაც ვიცი, ერთ საქმოდ მდიდარ ბიძას უნდოდი ცოლად.

— ჰო, ვუნდოდი, მაგრამ მას ერთი ფაეტონი ცოლ-შვილი ჰყავს. მე დავიღალე, წყნარი ცხოვრება მინდა, გესმის, წყნარი ცხოვრება.

— აღტაცებული ვარ შენი გულწრფელობით.

მედეამ მწარედ გაიცინა.

— ტყუილს აზრი არა აქვს, ახლა ვერავის მოატყუებ.

— მერე შენი გადაწყვეტილება სამართლიანად მიგაჩნია?

— შენს ირგვლივ მეტი უსამართლობა ვერაფერი დაინახე? მარტო ჩემს წინაშე იმადლებ ხმას?

— აქ ქვეყნის განსაკითხავად არ მოვსულვარ. მე ჩემი მეგობრის ბედი მაღელვებს.

— „ჩემი“! — გაბარაზებულმა წარმოსთქვა მედეამ. ლამაზ თვალებში რისხვა ჩაუდგა, სახეზე მძვინვარება დაეტყო. — ხომ ხედავ, საბოლოოდ ყველაფერი „ჩემამდე“, პირადულამდე დადის. შენც იმიტომ შეშფოთდი, რომ შენი მეგობრის ბედი გაფიქრებს. სხვასთან რომ მივსულიყავი, მაშინ ხომ არ აღელდებოდი. ყველა თავის თავზე ან თავისიანზე ფიქრობს და ზრუნავს. აბსტრაქტულად სიმართლის ცნება არავის აინტერესებს. მეც რომ ჩემს თავზე ვზრუნავდე, რატომ გიკვირს ასე ძალიან? ახლა არავითარი სურვილი არა მაქვს განვსაჯო როგორ ვიქცეოდი. მე დავიღალე და წყნარი ცხოვრება მინდა.

— შენ იცი, რომ თამაზი დიდი მეცნიერი იქნება.

— მით უკეთესი...

— შენ იცი, რომ ის შეიძლება დაილუპოს შენს ხელში? შენ იცი, რომ...

საათმა დარეკა. ოთარს აზრი გაუწყდა და დაელოდა, საათი როდის გაჩუმდებოდა.

— შენ იცი, რომ მას ერთგული მეგობარი სჭირდება? — გაგრძელა ოთარმა, როცა საათმა უკანასკნელად ჩამორეკა.

— ერთგული მეგობარი ახლა მე უფრო მჭირდება, მე ხომ არასდროს არ მყოლია ერთგული მეგობარი.

— ვიცი, მაგრამ თამაზს თავი უნდა დანებო. შენ სხვასაც ბევრს იშოვი. ამ კაცს კი ნუ დაღუპავ. — ოთარი ფეხზე წამოდგა, მედეასთან მივიდა და თვალებში ჩახედა. — შენ მაგის ბუნება არ იცი. შეიძლება სრულიად უბრალო რამემ გაანადგუროს, ყველაფერზე ხელი აიღებინოს.

— მე აქ მოსვლა არ მითხოვია, მან თვითონ მომიყვანა. შენც ტყუილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღლი ლაპარაკით თავს. მე ბევრი უბედურება ვნახე ცხოვრებაში. არავის შევბრალებივარ. არც მე ვარ ვალდებული ვინმეს ანგარიში გავუწიო. მეც მინდა ცხოვრება, მშვიდი ცხოვრება, ისევე როგორც მილიონობით ადამიანს. ყველა თავისებურად იბრძვის ამ ცხოვრების მოსაპოვებლად. და, შენ გგონია, ყველა სიმართლის ბჭით მიდის დასახული მიზნისაკენ? მე შენს დარწმუნებას არ შევდგები. ჩემზე უკეთ იცი, რომ ბევრი უპატიოსნო, აკრძალული ილეთებით იკაფავს ცხოვრების გზას. მეც ერთი იმათთაგანი ვარ. უფრო მეტიც, მე მათზე უკეთესიცა ვარ, სხვებივით არ ვინიღებები, პატიოსნებაზე და სიმართლეზე არ ვდებ თავს.

ოთარი მოულოდნელად წამოიჭრა, უნდოდა ქალს ყელში სწვდომოდა, მაგრამ უმალვე გონს მოეგო და თავი დაიმორჩილა, თუმცა ტანი ერთთავად უცახცახებდა.

— იცოდე, დღესვე წახვალ, დღესვე აიბარგები აქედან!

მედეა ფეხზე წამოდგა, სიწითლე ერთბაშად შემოწვა სახეზე.

— გაეთრიე, ახლავე გაეთრიე, ჩემი ფეხი არ ვნახო ჩემს ოჯახში.

ოთარმა სისუსტე იგრძნო, მუხლი მოეკვეთა. სახეზე ნაცრისფერმა გადაჭკრა და წაიფორხილა. მედეა შეაშინა ვაჟის მიტკლისფერმა სახემ და სასწრაფოდ სკამი შეაგება. ოთარი სკამზე მოწყვეტილი დაეშვა, მძიმედ სუნთქავდა. თვალებში სხივი გაჭეროზოდა.

— ოთარ, ოთარ, რა გემართება! — იყვირა მედეამ და სახეზე ხელი მოუტყაპუნა.

ოთარი ხმას არ იღებდა. მედეა სამზარეულოში გავარდა და წყალი მოიტანა.

ოთარი მიხვდა, რომ ავადმყოფობამ გაახსენა თავი. წყალი მოსვა. ერთხანს ასე იყო. მერე ლოყებზე ნელ-ნელა მოუვიდა ფერი. მედეა დამშვიდდა.

— ახლა უკეთ ხარ, არა? — ჰკითხა და ჰიქა მაგიდაზე დადგა.

ოთარი ნელა წამოდგა, ოთახიდან უკანმოუხედავად გავიდა და კარი გაიჯახუნა.

## თავი მეთექვსმეტე

ოთარ ნიკარაძე შეგუებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ტელევიზიას უნდა გამოსთხოვებოდა. იცოდა, მალე უწევდა მანანა გავაშელის რისხვა. მას შემდეგ თითქმის თვენახევარი გავიდა. არჩილს ერთხელაც არ გამოუძახნია. რამდენჯერმე დერეფანშიც შეეჭეხა თავის უფროსს. გავაშელმა თავი ყოველთვის ისე მოაჩვენა, თითქოს თანამგზავრთან საუბარში იყო გართული და ოთარი ვერ შენიშნა. ერთხელ ოთარმა დერეფანში მარტოდმარტო მომავალი არჩილი დაინახა და პირდაპირ მისი მიმართულებით წავიდა. უნდოდა საბოლოოდ დარწმუნებულიყო. მანანა გავაშელმა ჩაწვეთა თუ არა ზხამი მეუღლეს. არჩილს, ჩვეულებისამებრ, სახეზე სასიამოვნო ღიმილი არ ეამოსახვია, მისალმებაზეც მკაცრად და ოდნავ შესამჩნევად დაუქნია თავი. ოთარი მიხვდა, ყველაფერი დამთავრებული იყო. არჩილ გავაშელი ალბათ პირველსავე შემთხვევას ელოდა. სიბრაზე უნებურად შემოაწვა. გადაწყვიტა, იმავე წუთში დაეწერა განცხადება და ტელევიზია მიეტოვებინა. უმალვე უარყო თავისი გადაწყვეტილება — ეს ხომ ერთდაგვარად საკუთარი დანაშაულის აღიარებას ნიშნავდა, დანაშაულისა, რომელიც მას არასოდეს ჩაუდენია.

ოთარს დიდად არ ენაღვლებოდა ტელევიზიიდან წასვლა, ამას უკვე შეგუებული იყო, მაგრამ ძალიან მოუნდა, მოსახდენი მალე მომხდარიყო.

რაც დრო გადიოდა, ცდილობდა ავადმყოფობაზე არ ეფიქრა. მაგრამ არ გამოსდიოდა, თავს ვეღარ იმორჩი-

ლებდა. უნებურად შეეჩვია სარკეში ცქერას. ცდილობდა სახეზე ავადყოფობის ნიშნები აღმოეჩინა, მაგრამ ვერც გამოხედვაში, ვერც სხეულში ჯერ ვერაფერ ავისმომასწავებელ ნიშნებს ვერ ხედავდა. მხოლოდ ხანდახან საშინელი დაღლილობა და მუხლის მოკვეთა ახსენებდა, რომ უკურნებელი სენი ძალიან ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ღრღნიდა მის ორგანიზმს.

ტელევიზიის დერეფანში ხალხი ჩვეულებისამებრ აჩქარებული ნაბიჯებით, თითქმის სირბილით დადიოდა. მხოლოდ ოთარ ნიკარაძე დაბიჯებდა დინჯად და აუღელვებლად, თავისი გრძელი, ოდნავ მოხრილი ფეხებით. სახეზე ყოველთვის მომზიბლავი ღიმილი დასთამაშებდა, თანამშრომლებს მშვიდად, ხელის აწევით ესალმებოდა. ბევრს აღიზიანებდა კიდეც მისი უდარდელი გამომეტყველება.

ოთარმა დინჯად შეაღო ოთახის კარი.

— გამარჯობათ! — თქვა ხმადაბლა, მაგრამ საკმაოდ მხიარულად და თავის მაგიდას მიაშურა. ჩვეულებისამებრ, სიგარეტს მოუკიდა. სკამის საზურგეს ნებიერად გადაწვა, გრძელი ფეხები მაგიდის ქვეშ გაშალა და სკამი უკანა ორ ფეხზე შეაყენა. მერე ასანთის კოლოფს უდარდელად დაუწყო თამაში. ცდილობდა ისე ესროლა, რომ კოლოფი ყირამალა დამდგარიყო.

მის პირდაპირ მზია იჯდა და ჩვეულებისამებრ რაღაცას წერდა. ოთარს ყოველთვის უკვირდა, რა ჰქონდა ამდენი საწერი მზია ახობაძეს. მისი დაწერილი ჯერ არსად არაფერი ენახა და მოესმინა. მერე უმცროს რედაქტორს გიგი ჯოლიას მიუბრუნდა. ჯოლიას თავისი შუშის თვალები რაღაცისთვის გაეშტერებინა და ფიქრობდა. მაგიდაზე იდაყვით დაყრდნობილ მარჯვენა ხელში კალმისტარი ეჭირა. ალბათ ახლა, ჩვეულებისამებრ, რაიმე ჩატკბილებულ, ჩაშაქრებულ ფრაზას ალაგებდა. მისი თვალები და სახის გამომეტყველება, როგორც ყოველთვის, კი არ ემთხვეოდნენ, ერთი ტაქტით ჩამორჩებოდნენ ერთმანეთს, რაც მის გამოკრებულ სახეს კიდევ უფრო სასაცილო გამომეტყველებას აძლევდა.

ოთარს ამ წუთში მართლა სჯეროდა, რომ ადამიანს ტვინი უამრავი პატარა ნათურისაგან შესდგებოდა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ გივი ჯოლიას თავში ამ ნათურების უდიდესი უმრავლესობა გადამწვარი იყო.

ოთარი არასდროს არ ეჩქნობდა ზიზღს მის მიმართ, პირიქით, ეცოდებოდა ხოლმე ჯოლიას მსგავსი ადამიანები. ეცოდებოდა მზია ახობაძეც, რომელიც ყოველთვის ასე სერიოზულად, მთელი მონდომებით წერდა და წერდა. ბუცაშვილმა კარ იცოდა, რას წერდა. მზიამ ინგლისური ენა საკმაოდ კარგად იცოდა და ნაკითხიც იყო, უფრო ნაკითხი, ვიდრე ბევრი მისი თანატოლი. თავს ყოველთვის ვალდებულად თვლიდა, ყოველგვარ კამათში ჩარეულიყო, ყოველი საკითხის ირგვლივ თავისი აზრი გამოეთქვა. ვის არ მოიშველიებდა, ვის არ დაიმოწმებდა — ფილოსოფოსებით დაწყებული, მწერლებით დამთავრებული. ყურმოკრული ფრაზების დაჭერისა და გამოყენების საოცარი უნარი ჰქონდა. ყველაფერს ათასგვარ მეცნიერულ და ლიტერატურულ კატეგორიებად დაალაგებდა, კლასიფიკაციას გაუკეთებდა. მაგრამ ოთარს მისი არაფერი სწამდა. სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მისი თხეკადი ტვინის ზედაპირზე ტივტივებდა.

ოთარ ნიკარაძე კვლავ ჯოუტად აქანავებდა სკამს უკანა ფეხებზე და აანათის კოლოფს ათამაშებდა. იცოდა, ეს როგორ მოქმედებდა მზიას ნერვებზე. თითქოს სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა. მისი გაღიზიანება.

ოთარი ვერ იტანდა, როცა ადამიანები ყველაფერზე უტიფრად მსჯელობენენ და უბადრუკი, ყურმოკრული ან სადღაც წიგნის ანოტაციებში ამოკითხული ფრაზებით კეკლუცობდნენ.

გურამ ფანჯიკიძე
თბილისი კატიოსანი

უნებურად გაახსენდა, ერთხელ მზია ახობაძემ ვაგნერის ცოდნით როგორ მოიწონა თავი. ილაპარაკა კომპოზიტორზე, მის შემოქმედებაზე, მის ადგილზე და სიმაღლეზე მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურში. მზიას მუსიკალური შვიდწლედი ჰქონდა დამთავრებული, ნოტების გარჩევაც შეეძლო და ორიოდე დაზეპირებული საფორტეპიანო ეტიუდის შესრულებაც. ოთარს მისი არაფერი სწამდა, რადგან ერთი რამ იცოდა, მზიას სმენის ნიშანწყალი არ გააჩნდა. ყველაზე მარტივ სიმღერაში პირველზე მეორეს ვერ გეტყოდა.

„ფუსუს, მუსიკაში რა ადგილია კაცს თავისი უმწეობა დაუმტკიცო?“ — სინანულით გაიფიქრა ოთარმა.

კამათი სისულელედ მიაჩნდა. თვითონ არასდროს არ კამაობდა. მხოლოდ თავის აზრს გამოთქვამდა ხოლმე და სრულებით არ აინტერესებდა, მოპაექრემ გაიზიარა თუ არა მისი შეხედულება.

„რა აზრი აქვს კამათს, — ფიქრობდა იგი, — ვთქვათ, ერთი შტერი დავარწმუნე, რომ ეს ასე კი არ არის, ასეა-მეთქი. ვითომ ამით ეშველება საქმეს? ჭუჩა-ჭუჩა ხომ არ ვივლი და არ შევუდგები ჩემი დებულების მტკიცებას?!“

ერთხელ მაინც იძულებული გახდა, მზიასთვის კბილი გაეკრა. ოთარს ყველაზე უფრო ადამიანის თავხედური თვითდაჯერება აცოფებდა. ეს მოხდა რომელიღაც თანამშრომლის ბავშვის დაბადების დღეზე. იუბილარმა გოგონამ მოცარტის ნანა შეასრულა. ყველამ ტაშით დააჯილდოვა პატარა მუსიკოსი, თუმცა უმრავლესობას სრულებითაც არ ენაღვლებოდა არც მისი ნიჭი და არც მის მიერ შესრულებული ნაწარმოები. მზიამ თავისთავს მაშინვე მისცა უფლება ბავშვისთვის რამდენიმე რჩევა-დარიგება მიეცა. ეს რჩევა ძირითადად ორი ნაწილისაგან შესდგებოდა — პრაქტიკულისა და თეორიულისაგან. პრაქტიკული ნაწილი თავისთავად ხელის დაყენებას შეიცავდა. მზიამ პატარა ბავშვი ავტორიტეტულად იცმო და მისი პატარა ხელის მტევნები თავზე ხელისგულზე ათამაშა.

— თავისუფლად, რაც შეიძლება თავისუფლად! — ეუბნებოდა მოფერებაშეხვევებული მენტორული ტონით. შემდეგ კი რამდენიმე თეორიული მოსაზრება გამოთქვა შესრულების ბუნებრიობაზე, ძალდატანლობაზე, შემოქმედებით ელემენტზე, იმპროვიზაციაზე... მერე საუბარი ოსტატურად მოცარტზე გადაიტანა. ოთარ ნიკარაძემ ეს კი ვეღარ მოითმინა და ღიმილით უთხრა — მზია, გაჩერდი, თორემ შენი მუსიკალობის გამოსარკვევად „ქეკელო და მაროც“ მეყოფა.

ოთარს გაახსენდა, მზიამ სუფრა როგორ მიატოვა და გაეღიმა. რატომღაც ახლაც მოუნდა ყველასათვის სიმარილე ეთქვა პირში. უნდოდა გივი ჯოლასათვის ერჩია, ტელევიზია შენი საქმე არ არის და სადმე სხვაგან მოეწყვეო. ის ორი მპჭუტავი ნათურა, რომელიც შენს ტვინში ჯერ კიდევ არ გადამწვარა, იმ საქმისათვის იქნება საკმარისი გამოდგესო.

ძალიან მოუწდა მზია ახობაძისთვის ეთქვა, საკუთარი არაფერი გაგაჩნია, არც თმის ვარცხნილობა, არც ლაპარაკის მანერა, არც სიარული, არც სიგარეტის მოთხოვნილება, არც კონიაკის სმა, რომლის გემოს საერთოდ ვერ იტან, არც აზრები. არც შეხედულებანი. მზია აზრებს ისე გამოთქვამდა, თითქოს სარკე ირეკლავდა სხვებს. ქმარსაც თითქოს მოდის გულისთვის გაეყარა. ოთარი თავი ძლივს შეიკავა, ხმამაღლა არ ეთქვა მისთვის, სხვადასხვა მარკის მანქანების ნაწილებისაგან აწყობილ ავტომობილს ჰგავხარ, არაფერი საკუთარი არ გაგაჩნია, მხოლოდ ეგ არის, სიარული შეგიძლიაო.

ოთარმა ახლა ნანა აბესაძის გატანჯულ სახეს მიაპყრო თვალები. მისთვისაც უნდოდა ეთქვა, რა შენი საქმეა ტელევიზიაში მუშაობაო. შენ ხომ ოჯახის ქალად, დედად ხარ დაბადებუ-

ლი. შენ ბაზარში სიარული, პამიდვრითა და ბადრიჯნით სავსე ხელჩანთები უფრო დაგშვენდება, ვიდრე აქ რაღაც სიუჟეტების წერა, რომლისგანაც ისე შორსა ხარ, როგორც ცა დედამიწისაგან. შენ თეთრი კაფელით გაქთქმეებული სამზარეულოში ტრიალი და საღამოს ეზოში ამოსვრილი ბავშვების აბაზანაში ყივილ-ხივილით შეყრა უფრო მოგიხდება, ვიდრე ტელეეკრანალისტის აფორიაქებული ცხოვრებაო.

მაინც რამდენი რამ არ დგას ცხოვრებაში თავის ადგილზე. ეს მაშინ, როცა სამყაროში, უმცირესი პოზიტრონიდან უდიდეს სისტემებამდე და გალაქტიკებამდე ყველაფერი საოცარ კანონზომიერებას ემორჩილება. არასდროს ერთი მემილიარდედი წამითაც კი არ ირღვევა კოსმოსური ჰარმონია. ეს მაშინ, როდესაც ამდენი არაკანონზომიერებაა მოაზროვნე ადამიანებს შორის. იქნებ ადამიანებისათვის ერთადერთი კანონზომიერება ისაა, რომ იბადებიან და მერე აუცილებლად კვდებიან? მაგრამ ესეც ხომ ბუნებრივი, ბუნების მიერ დადგენილი კანონზომიერებაა?

„დიახ, ყველანი მოკვდებით. ამ ჭეშმარიტებას იმ დღიდანვე ეგუება ადამიანი, როგორც კი ცოტად თუ მეტად აზროვნების უნარი განუვითარდება. მაგრამ იშვიათად თუ ვინმემ იცის, როდის მოკვდება. მე კი ვიცი. დაახლოებით. მაგრამ მაინც ვიცი. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ათეულ დღეში შევცდე. · იქნებ ამან გამამწარა? იქნებ ამან დამაყენა ასეთი გულახდილი საუბრის ხასიათზე? იქნებ სიკვდილის მოლოდინმა დამიკარგა იუმორის გრძნობა? იქნებ მხოლოდ ახლა გავიგე და შევიგრძენი, რა შემოხვევითობაზეა დამყარებული ადამიანის ბედი? იქნებ ახლა, როცა განგებამ სიკვდილის დღე დამიდგინა და ფინასწარ შემატყობინა კიდეც, იმიტომ მეჩვენება სასაცილოდ რაღაც მიზნისადმი ლტოლვა და ბრძოლა? დავიჯერო, ადრეც ასეთი ფიქრები მომდიოდა, ასე ვმსჯელობდი? დავიჯერო, ყველაფერს არარაობად თვლიან [illegible] [illegible] და ხორციელად ჯანმრთელ [illegible] მიანები? იქნებ არარაობაზე ფიქრი მხოლოდ განწირული ადამიანების ხვედრია? ვინ იცის, იქნებ ყველაფერი არარაობად ჩანს იმ კარიერისტის თვალში, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, კარტი ჩაწყო სასურველი თანამდებობის ხელში მოსაგდებად, მაგრამ უნებურად უეცარმა ინფარქტმა საბოლოოდ გამოთიშა ბრძოლის ველიდან? ვინ იცის, იქნებ ყველაფერი არარაობად ჩანს იმ შურით ავსებული ადამიანის თვალში, რომელმაც თავისი კოლეგის დასაღუპად ქალაქგარეთ საქეიფოდ გასულ თანამეინახეებთან ერთად ათასგვარი გეგმა დასახა და გაუვალი ბაღე მოქსოვა, მაგრამ თბილისში დაბრუნებისას საავტომობილო კატასტროფამ ხერხემალდამტვრეული სამუდამოდ მიაჯაჭვა ლოგინს? იქნებ მე და ჩემისთანებს, რომელთაც განგებამ უკვე დაგვიდგინა სიკვდილის საათი, არ გვაქვს უფლება ჩავიროთ იმ ადამიანების ცხოვრებაში, სიკვდილს რომ რაღაც აბსტრაქტულად და შორეულად უყურებენ?

ადამიანი ფუტკარსა ჰგავს, ფუტკარს, რომელიც მხოლოდ ორმოცი დღე ცოცხლობს და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შეუსვენებლად შრომობს. ყოველდღე იხოცებიან და ყოველდღე იჩეკებიან ახალი ფუტკრები. ვერც ერთი ფუტკარი ვერ იგებს, ვინ მოკვდა და როდის მოკვდა. ვინ იცის, ფუტკრების რამდენი თაობაა საჭირო, რომ ფიჭები ბოლომდე აივსოს თაფლით. ვინ იცის, რამდენი თაობა იყო საჭირო, რომ ადამიანს ცა გაეხვრიტა და უახლოესი ციური სხეულისათვის მიეღწია. ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ ჰაერს მარტო ცხოველის ან ადამიანის პირიდან ამოსული პატარა ტალღა თუ შეარხევდა. ეს პატარა, უმ-

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ
თᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲢᲘᲡᲘ

წეო ტალღაც უახლოესი მთის მკერდზე თუ დაეცემოდა და აირეკლებოდა ექოდ. დღეს კი, ჭეუაში რომ დადიხარ, შენს ირგვლივ ათასგვარი ტალღები დაქრიან საშინელი სისწრაფით. შენს სხეულზე ათასგვარი რადიო და ტელეგადაცემა ირეკლება. შენი პიჯაკის თხელი ქსოვილი სავსეა ათასგვარი მუსიკით, საუბრით, რადიოსიგნალებით და ავიოსალოკაციო ტალღებით. შენს თეთრ პერანგს ერთდროულად ეჯახება ათას ენაზე გადაცემული ინფორმაცია, ლიტერატურული ნაწარმოები. შენი სხეულის ირგვლივ ეთერი სავსეა კლასიკური თუ მსუბუქი მუსიკის მელოდიებით, რიტმებით. ადამიანი მაინც კი ცხრება, იქნებ იმიტომ, რომ სინათლის მსგავსად აზრის შეჩერებაც არ შეიძლება? იქნებ იმიტომ, რომ ცხოვრების მთავარი არსი ჭეშმარიტების ჩაწვდომაა, რაც ფუტკრებივით თაობებს ითხოვს? იქნებ ჭეშმარიტებაც ფიქსაციითაა, რომელიც თაფლით გაივსება თუ არა, ხელის ერთი მოსმით შეიცვლება ახალი ფიქით?

მე ახლა შორიდან ვხედავ ხალხსაც და ჩემს თავსაც. მე ხომ უკვე განსაზღვრული მაქვს სიკვდილის დღე. მაგრამ ვინ იცის, ეს კია ჩემი ბედი? ვინ იცის, ვიცოცხლებ კი იმ ორ წელიწადსა და ათ თვეს, რომელსაც ეს ავადმყოფობა მადროვებს? იქნებ სიკვდილი სადღაც აქვეთ, ახლოს მყავს ჩასაფრებული? იქნებ ერთი კვირის შემდეგ, ან ხვალ, ან სულაც დღეს ვიღაც მთვრალი ხულიგნის მოქნეული დანის მსხვერპლი გავხდე? იქნებ მანქანამ გამიტანოს ან ბრმა ტყვიამ მომიღოს ბოლო? იქნებ კონსერვმა მომწამლოს ან გადაბრუნებულმა ამწემ მომსრისოს ტრამვაიმი? ეს ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ამაზე სულაც არ ვფიქრობ. მე მხოლოდ ერთი ვიცი, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში სამ წელიწადს კიდევ ვიცოცხლებ. ამიტომ მე, ოთარ ნიკოლაძე, რომელიც ცალკე ვდგევარ თქვენგან, ხვალის იმედით ალსავე ადამიანებო, ეოგიწოდებთ, გიყვარდეთ ერთმანეთი, ნუ მოიწამლავთ ცხოვრებას შეურაცხყოფითა და მტრობით, ნუ იბრძოლებთ უსაქციოსნო გზებით, ნუ გათელავთ ყველაზე ლამაზსა და წმინდას. თქვენ რომ ჩემი თვალებით ხედავდეთ ცხოვრებას, იმ ადამიანის თვალებით, რომელსაც ძალიან მცირე დრო დარჩა სასიცოცხლო, დარწმუნდებით, რა ლამაზი ყოფილა ქვეყნიერება, რა საოცარი ყოფილა სიცოცხლე, ადამიანები. შეამჩნევდით ბევრ მშვენიერებას, რაც შეუმჩნეველი გრჩებათ დღეს, რადგან არა გაქვთ სიკვდილის დღე განსაზღვრული და დანიშნული. არ დაკარგავდით არცერთ წუთს ბოროტებისათვის, უწმინდური საქმისათვის, არ დაანგვიანებდით გულსა და გონებას ღვარძლითა და ბინძური ფიქრით...

ოთარი გამოერკვა, თვითონვე ეუცხოვა, ეს რა აზრები მომდის თავშიო და გულწრფელად ჩაფიქრდა, ჩემს არსებაში ვიღაც სხვა ადამიანი ხომ არ ალაპარაკდაო. მას ხომ თვით საყვარელი ადამიანისადმი ყველაზე ნაზი და სასიყვარულო ფრაზის გამოთქმაც კი არ შეეძლო იუმორის გარეშე.

სწრაფად გასწორდა, გრძელი ფეხები მოკეცა და სკამი ისევ ოთხ ფეხზე დააყენა. სიჩუმე არავის დაურღვევია. გივი ჯოლია იმავე პოზაში იყო, როგორც წეღან. კალმისტარი ხელში ეჭირა და შუშის თვალები რაღაცისთვის გაეშტერებინა. ახლა მისი გონებიდან ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად იფონებოდა რომელიღაც ჩაშაქრული წინადადება.

ოთარმა უნებურად ჯიბეში ჩაიყო ხელი და ფულს დაუწყო ძებნა. სულ ათი მანეთი აღმოაჩნდა, სამი სამმანეთიანი და ერთი მანეთიანი. ის იყო, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ბუღალტერის ნომერიც აკრიფა, რომ ამ დროს ოთახში მირონ ალავიძემ შემოჭყო თავი. ოთარს არც კი გაუხედავს მთავარი რედაქტორისაკენ. ყურმილი ბეჯითად ჰქონდა მარცხენა ყურზე მიბჯენილი. თან ასანთს ათამაშებდა, ცდილობდა ყირამალა დაეყენებინა, არავინ უპასუხა. ყურმილი ისევ ბერკეტზე

დადო და რაღაც ვარჯიშისმაგვარი მოძრაობა გააკეთა. მირონ ალავიძემ თითქოს ვერც შენიშნა ფეხზე წამოჭრილი გივი ჯოლია, პირდაპირ ოთარს მიმართა:

— ამხანაგო ნიკიფარაძე, როგორ არის ტელეინტერვიუს საქმე?

— ძალიან ცუდად! — ცივად, ოდნავ აგდებულად მიუგო ოთარმა, ეწყინა, უფროსმა რომ ძველებურად გვარით მიმართა, თანაც ყოველგვარი მისალმების გარეშე.

— სცენარის?

— უფრო ცუდად, ვიდრე ტელეინტერვიუსი! — უდარდელად გააბოლა ოთარმა.

— მე ამდენს ვეღარ ავიტან. წავალ, ბატონ არჩილთან შევალ. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაირკვეს — ან მე, ან შენ!

მირონ ალავიძემ კარი გაიჯახუნა. ოთარი ჯოლიას მიუბრუნდა:

— აბა, ლამაზო, ერთი ფურცელი მომაწოდე. თუმცა არ მინდა, აგერ მქონია.

ოთარმა განცხადება დაწერა და მზიას გაუწოდა, გავაშელს შეუტანეო.

მზიამ განცხადება გადაიკითხა და გაოცებულმა ოთარს შეხედა.

— ოთარ, დაფიქრდი, რას აკეთებ.

ნანა და გივი მიხვნენენ, განცხადებაში რაც ეწერა და თვალები უმწეოდ ააფახულეს.

— ტყუილად ღელავ, საყვარელო, მე თვითონ ამომავიდა ყელში ამ მუშაობა. დღეს ან ხვალ მაინც უნდა წავსულიყავი. აბა, ხუ დამზარდები და ბატონ არჩილს სთხოვე, ამ განცხადებას თავისი კრიალა ხელით რეზოლუცია დაადოს, თორემ, — ოთარმა საათს შეხედა, — ბუღალტერი გამექცევა სადმე და ანგარიშის გასწორებას ვეღარ მოვასწრებ.

— ოთარ, იქნებ კიდევ დაფიქრებულიყავი! — ამოღერღა ნანა აბესაძემ.

— კარგით ახლა, არ გრცხვენიათ, ღირს ეს ამბავი სალაპარაკოდ? — გაიცინა ოთარმა და მზია ძალით გაგდო დერეფანში, მერე გივი ჯოლიას მაგიდაზე გაზეთს მოჰკრა თვალი და გაახსენდა, რომ ჯერ არც ერთი გაზეთი გადაეთვალიერებულიც კი არ ჰქონდა.

— სწერია რამე ხვირიანი? — ჰკითხა გივის და გაზეთი გადაშალა.

— არაფერი მაინდამაინც. — ჩაილაპარაკა ჯოლიამ.

— „არაფერი მაინდამაინც“, — გაიმეორა ოთარმა და მოულოდნელად თვალი ერთ ინფორმაციას დაასო. გული უცნაურად აუგეგრდა, ინფორმაცია სამჯერ გადაიკითხა. პირველად თვალი გადაავლო, ნახტომებით ჩაიკითხა, ერთი სული ჰქონდა, ბოლოში როდის ჩავიდოდა. მერე თავიდან ბოლომდე წაიკითხა, ოღონდ ძალიან სწრაფად. მესამედ კი დინჯად ჩაათვალა.

— მაშ, შენ ამბობ, რომ ამ გაზეთში ხვირიანი არაფერია დაბეჭდილი, არა?

გივი ჯოლიამ მაღლა აიხედა და თვალები თოჯინასავით გაახილა.

— ეხ, მოი მალრიკ!

ოთარმა მოღელვარება დაიოკა, გაზეთიდან რაღაც ინფორმაცია ამოჭრა და ჯიბეში ჩაიდო.

საინფორმაციო ცნობა

**ფრანგი მეცნიერის გამარჯვება.**

როგორც ფრანს პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, იუგოსლავიის თერმოატომგულის ინსტიტუტის ოთხი თანამშრომელი მეგატრონზე მუშაობის დროს რადიაციული გამოსხივების შედეგად დაავადდა სისხლის გათეთრებით. ავადმყოფები ფრანგმა ექიმებმა მიიწვიეს პარიზში და ჩაუტარეს მკურნალობის კურსი ახალი მეთოდით, ხერხემლის ტვინის სისხლში შეყვანით. მეცნიერულმა ექსპერიმენტმა გაამართლა, ადამიანმა ძლია საშინელ სენს. იუგოსლაველი ფიზიკოსები სავსებით გამოჯანმრთელდნენ და სათანადო სამედიცინო დაკვირვების შემდეგ დაბრუნდებიან სამშობლოში.

---

**გუნამ ფანჯიკიძე**
**თვალი კატიოსანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს უდავოდ დიდი აღმოჩენაა, დიდი მიღწევაა სამედიცინო მეცნიერებისა.

— ბატონო პროფესორო, ვითომ საბოლოოდ დაამარცხეს სისხლის გათეთრება?

— ეგ ექსპერიმენტები ადრეც იყო ჩვენთვის ცნობილი. ჯერ კიდევ შარშან, მოუნიშვნის სიმპოზიუმზე ფრანგმა ექიმებმა ნაწილობრივ გაგვაცნეს კიდეც თავიანთი ძალზე უმნიშვნელო შედეგები.

— გამოდის, რომ ამ მოკლე დროის განმავლობაში გიგანტური ნაბიჯია გადადგმული.

— ეეთანხმებით, გიგანტური და ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ გიგანტური შარშანდელთან შედარებით. ისე კი მცირე საქმის საბოლოოდ დასაგვირგვინებლად.

— ბატონო პროფესორო, მე მგონი თქვენ აქეთ უნდა მიკეთებდეთ გულს.

— თქვენ უცნაური ყმაწვილი ბრძანდებით, — მწარედ ჩაიცინა პროფესორმა, — როცა თქვენთან ვსაუბრობ, მავიწყდება კიდეც, რომ ავადმყოფს ველაპარაკები.

— მაშ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჯერ ყველაფერი წინაა?

— მართალია, ჯერ ყველაფერი წინაა, მაგრამ ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ ადამიანმა მიაგნო ავადმყოფობის სათავეს. ფრანგი ექიმების მიერ იუგოსლაველი ფიზიკოსების განკურნვის ამბავი ჩვენ მთელი ორი კვირით ადრე ვიცოდით. სამედიცინო წრეებში უფრო ადრე გავრცელდა ხმა, კიდევ გაზეთში გამოქვეყნეს. ფრანგებმა მანამდე არაფერი გაუმხილეს პრესას, სანამ არ დარწმუნდნენ სრულ გამარჯვებაში. ჩვენთვის მაშინვე გახდა ცნობილი, რომ ამ მეთოდით მხოლოდ იმ ავადმყოფებს ჰკურნავენ, რომლებსაც გაწეულ მიზეზებით, მაგალითად, რადიაციული გამოსხივების შედეგად დაემართათ ლეიკემია, მაგრამ თუ სხვებს თავიდანვე აქვს მიდრეკილება სისხლის გათეთრებისადმი, მაშინ მასთან ბრძოლაში მედიცინა ჯერ კიდევ უძლურია.

— თქვენ ამბობთ „ჯერ კიდევ“?

— დიახ, ჯერ კიდევ. მაგრამ არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს „ჯერ კიდევ“.

— მე ზომ დიდი-დიდი ორი წელიწადი და ათი თვე ვიცოცხლებ. ეს დრო იკმარებს ამ სენის საბოლოოდ დამარცხებისათვის?

— აბა, რა ვიცი, შეიძლება ათმა და მეტმა წელმაც არ იკმაროს, შეიძლება ათი თვეც იყოს საკმარისი. ფრანგების შემთხვევაში ჩვენ შემოჭრილ სენთან გვაქვს საქმე, რომელსაც ორგანიზმი ბრძოლას უცხადებს. თქვენი ავადყოფობა კი...

— გასაგებია, რისი თქმაც გინდათ. მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი გამამხნევებელი სიტყვებით, ბატონო პროფესორო.

— არა, მე მინდა გაგამხნევთ კიდეც. აბა, დაფიქრდით. თქვენ ზომ ჩემთან თვენახევრის წინ იყავით. დღეს მაშინდელთან შედარებით რამდენად უფრო რეალური პერსპექტივაა თქვენი გადარჩენისა. ბოლოს და ბოლოს, ჯერჯერობით ამ სენს თუ ვერ დამარცხებენ, იქნებ ისეთი წამალი მაინც შექმნან, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის ორგანიზმის ბრძოლის უნარს და გაიორმაგებს, ან გაასამმაგებს კიდეც ავადმყოფის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მაშინ თქვენ სამ წელს კი არა, გაციელებთ მეტხანს იცოცხლებთ. იქნებ ამასობაში დაამარცხონ კიდეც ლეიკემია.

— ეგ უკვე იმედიანი სიტყვებია, გმადლობთ, ბატონო პროფესორო!

— პენსიაში ზომ არ გასულხართ?

— „პენსიაში“! — გაიცინა ნიჟარაძემ.

— ტყუილად იცინით, თქვენ სისტემატური მკურნალობა გჭირდებათ, მტკიცე რეჟიმი, სიმყუდროვე...

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პროფესორო!

— მე ხომ გირჩიეთ მოსკოვში წასვლა, რატომ არ წახვედით?

— ალბათ ნოემბრის ბოლოს წავალ.

— არ ღირს გადადება. წასვლის წინ ჩემთან მოდით, მიწერილობას გაგატანთ. — მოხუცმა პროფესორმა კარებამდე მიაცილა ოთარ ნიკარაძე.

— აუცილებლად გინახულებთ. ისე, საექსპერიმენტო ავადმყოფი თუ დაგჭირდეთ, ჩემი იმედი იქონიეთ.

— თქვენ მართალს ამბობთ? — თქვა ლეზში ჩახედა პროფესორმა.

— სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მოვკვდები თუ ორი წლის შემდეგ?!

— ჰმ... — ჩაახველა პროფესორმა, არ იცოდა რა ეპასუხა.

— კარგად იყავით, ბატონო პროფესორო!

ოთარ ნიკარაძემ კარი გაიხურა.

## თავი მეთოთხმეტე

ტელეფონმა დარეკა. თამაზ იაშვილს თავი არ აუღია. იცოდა, მას არავინ დაურეკავდა. თითქმის ყოველთვის რეფერენტის ნაცნობ-მეგობრები რეკავდნენ. ეგი ყველას გულდასმით უხსნიდა, რეფერენტი ჩვენთან აღარ მუშაობსო. რაც დრო გადიოდა, ტელეფონი უფრო და უფრო ნაკლებად წკრიალებდა. ბოლო ორ დღეს კი საერთოდ არავის დაურეკავს. ახლა ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ანგარიშში გართულმა ყურმილი მექანიკურად აიღო. უნდოდა გაზეპირებული ფრაზა ეთქვა, რეფერენტი ჩვენთან აღარ მუშაობსო, მაგრამ ვიღაც ქალის თუ ქალიშვილის უცნაური ჩაქირქილება ცუდად ენიშნა.

— ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა თამაზმა.

— თქვენ თამაზ იაშვილი ხართ?

— დიახ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— თქვენი კეთილისმსურველი.

— გისმენთ.

— გთხოვთ სასწრაფოდ წახვიდეთ სასტუმრო „კოლხიდაში“. იქ, 402-ე ნომერში, თქვენს მეუღლეს ნახავთ ერთ ჭაბუკთან ერთად...

ტელეფონში დიდხანს ისმოდა წყვეტილი ზუმერი. თამაზ იაშვილი ისევ პოზაში იჯდა გაქვავებული, ყურმილი ყურთან ჰქონდა მიტანილი, მარმარილოს ძველ საფერფლეს დასჩერებოდა. მერე თითქოს გამოერკვაო, ყურმილი ნელა დადო და თავი ხელებში ჩარგო, მკერდში ყრუ ტკივილი იგრძნო, თითქოს რაღაც ჩასწყდა. არაფერს არ ფიქრობდა, არ აზროვნებდა. ბოლოს მედეა წარმოუდგა თვალწინ. სამსახურში წასვლის წინ როგორ გაუღიმა, ლოყაზე ხელი როგორი სიყვარულით მოუსვა. ნუთუ ატყუებდა, ნუთუ ის თბილი, მომხიბვლელი ღიმილი ყალბი იყო? ნუთუ შეიძლება ასეთი ლამაზი იყოს ბოროტება?

თამაზი უკვე ქუჩაში მიაბიჯებდა, გეზი სასტუმროსაკენ ჰქონდა აღებული. კი არ მიდიოდა, თითქოს ვიღაც მითრევდა, თორემ აუცილებლად ემახსოვრებოდა, როგორ გადაიარა ამოდენა ქუჩა, როგორ გადაჭრა გმირთა მოედანი, როგორ ჩაჯდა მანქანაში, და როგორ აღმოჩნდა სასტუმრო „კოლხიდის“ მეოთხე სართულზე. მხოლოდ მაშინ მიხვდა სადაც იყო, როცა ადმინისტრატორმა ჰკითხა, ვინ გნებავთო.

თამაზი გამოერკვა და აიბნა. რაღაც ამოილუღლუღა. თვითონაც არ ახსოვს, რა წაიბურტყუნა. მგონი, „აქ ერთ ჩემს მეგობარს უნდა დაველოდოო“. ბედად, პირდაპირ, ნახევარწრიულ ნიშაში, შეუმჩნეველად მიდგმული სავარძელი დაიჯახა.

თამაზმა არ იცოდა, 402-ე ნომერი რომელ მხარეს იყო, მაგრამ აქედან სა-

---

**გურამ შანჯიანიძე**
თბილისი პატიოსანი

სტუმროს ორთავე დერეფნიდან გამოსული ხალხი კარგად მოჩანდა. თვითონ კი მოფარებულში იჯდა. კაცი თუ საგანგებოდ არ დაკვირდებოდა, ვერც კი შენიშნავდა. მაინც რა ნელა მიიწევნებოდა ყოველი წუთი. საათს გამუდმებით დასცქეროდა. მხოლოდ ხუთი წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც იმ დივანზე ჩამოჯდა, მას კი ეგონა, დილიდან აქ ვზიავარო. ყოველი ადამიანის გამოჩენაზე სხეულში თავიდან ფეხებამდე დაუვლია ხოლმე რაღაც უცნაური, ცივი ტალღა. მერე, როცა გამვლელი უცნობი აღმოჩნდებოდა, გულში ერთი წამით რაღაც იმედი აუჭიატდებოდა.

„იქნებ მომატყუეს, განა ცოტაა შურიანი ადამიანი. იქნებ რომელიმე მაგისმა ძველმა მეგობარმა მოინდომა ჩემი გამასხარავება. ღმერთო, ნეტავ ასე იყოს, ნეტავ ასე იყოს, ნეტავ ყველაფერი ტყუილი. ბორორტი ადამიანის მონაჩმახი იყოს. რა ბედნიერი ვიქნები მაშინ... მაგრამ ვაითუ ყველაფერი მართალია. ვაითუ იგი მართლაც აქ არის, საბედისწერო 402-ე ნომერში, ჩემგან რაღაც სულ ოციოდე ნაბიჯს იქით...“

თამაზ იაშვილს არ უნდოდა ამაზე შორს წასულიყო, ამაზე მეტი წარმოედგინა. იმავე წამს სხვა აზრს გაედევნებოდა, რომ გულშიც კი არ ეთქვა, რა ხდებოდა ამ „ოციოდე ნაბიჯს იქით.“

იმედი და უიმედო ფიქრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ერთმანეთს ებრძოდნენ და მერე რაღაც უხილავი არსით საღღაც მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ საშინელი სისწრაფით.

დრო კი უმეტოროდ ნელა მიდიოდა.

მერე ყველაფერი ელვისებურად მოხდა. თამაზმა ნაცნობი სიცილი გაიგონა. სიცილს კარის გამოჯახუნების ხმა დაერთო. დერეფანში მედეა და ვიღაც უცნობი, ოქროსფერთმიანი ჭაბუკი გამოჩნდნენ. ჭაბუკი მთელი თავით მაღალი იყო მედეაზე. მარჯვენა ხელი ქალისთვის მხრებზე მოეხვია და თვალებში ღიმილით ჩასცქეროდა. სპორტულად ეცვა. ეტყობოდა, სასტუმროდან გასვლას არც აპირებდა. ისინი კიბეზე დაეშვნენ. თამაზი ახლა მათ ზურგებს ხედავდა. უფრო სწორად, ჭაბუკის ორნიერი მხრებს და მის იღლიებში [illegible] ტყვიით შეაუჟეულ მედეას სხეულს.

მერე თამაზს აღარაფერი ახსოვს. როცა თვალი გაახილა, ერთბაშად ვერ მიხვდა სად იყო. თავზე თეთრხალათიანი ექიმი ედგა. გაოცებულმა მიიხედ-მოიხედა. აგერ ადმინისტრატორიც, აგერ მეორე ექიმიც, აგერ... თამაზი ერთბაშად გაერკვა, სად იყო. თავზე ის ოქროსფერთმიანი, ლამაზი ჭაბუკი დასჩერებოდა. ჭაბუკი შეწუხებული ჩანდა. ჭკვიან, ცისფერ თვალებში შეშფოთება ჩაჰკბენებოდა.

ჭაბუკმა იგრძნო, რომ თამაზი დაყენებით მისჩერებოდა და უნებურად ძალზე ხმადაბლა ჰკითხა:

— ხომ არავის შევატყობინო?

თამაზს ხმა არ ამოუღია. შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ოღონდ ჭაბუკს ისევ დაეინებით მიაჩერდა.

— ხომ არავის დავურეკო? — გაუმეორა კითხვა ჭაბუკმა.

პასუხად თამაზი ექიმს მიუბრუნდა:

— წამომაყენეთ!

ექიმს ჭაბუკმა დასცქერა. ძლაკრი, დაკუნთული მარჯვენა ხელი წელზე შემოხვია. მეორე ხელი მკლავში ამოსდო იღლიისქვეშ და წამოაყენა. თამაზ იაშვილს ტანში ელექტრონმა დაუარა, როგორც კი ვაჟის შეხება იგრძნო.

— ხელი გამიშვი! — თქვა მოულოდნელად.

ჭაბუკმა ცივად გაუშვა ხელი. თამაზი ერთხანს ასე იდგა, თავბრუ ეხვეოდა. შეეშინდა არ წაქცეულიყო, მაგრამ უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და თავი შეიკავა.

— თუ გნებავთ, შინ წაგიყვანთ, — უთხრა ექიმმა.

— გმადლობთ, არ მინდა! — თამაზი ადმინისტრატორის მაგიდასთან ნელი ნაბიჯით მივიდა და სკამზე ჩამოჯდა.

ექიმებმა ხელსაწყოები აკრიფეს და წავიდნენ. ოქროსფერთმიანმა ჭაბუკმა აღარ იცოდა რა ექნა, თამაზის დასახ-

მარგალად დარჩენილიყო თუ ნომერში შებრუნებულიყო.

თამაზმა ყურმილი აიღო.

ჭაბუკმა თავისი იქ ყოფნა უკვე ზედმეტად ჩათვალა და ნომერს მიაშურა.

თამაზი ნომრის ნელ-ნელა კრეფდა, თითქოს გაჭირვებით, თანდათანობით ოგონებდა მომდევნო ციფრს.

ოთარ ნიკარაძემ გააგონა. თამაზმა იმავე წუთში იცნო მეგობრის ხმა. სხეულში სითბო ჩაუწვა, მღელვარებისაგან გული შეეკუმშა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— გისმენთ, გისმენთ! — უკვე მერამდენედ გაიმეორა ოთარ ნიკარაძემ.

თამაზს ხმა ვერ ამოეღო, კრიჭაშეკრული იდგა და ცრემლებს ყლაპავდა.

●

სასტუმრო „თბილისის“ ბუფეტი მეოთხე სართულზე სადამოს თითქმის ყოველთვის ცარიელია. ამ დროს ხალხი რესტორანში შესვლას ამჯობინებს. ალბათ ამიტომ უყვარდათ მეგობრებს ამ მყუდრო ოთახში ვახშმობა. ისინი თავის ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ მაგიდასთან ისხდნენ ოთახის განაპირას.

თამაზ იაშვილი ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა. კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ სამიოდე საათის წინ ასეთი უბედურება გადაატანა. ოთარი სიყვარულით მისჩერებოდა მეგობარს, უკვე სამი კვირა იყო არ ენახა. მტკიცედ სჯეროდა, ადრე თუ გვიან თამაზი შეურიგდებოდა. კმაყოფილებას ვერ მალავდა, რომ ეს დღე ძალიან მალე დადგა.

თამაზ იაშვილს უხაროდა, მეგობარმა რომ ვერაფერი შეატყო. თუმცა თვითონაც უკვირდა, ასეთი სიმშვიდე რომ დაეუფლა.

— რამდენი ხანია არ მინახიხარ, როგორ მომენატრე! — მშვიდად თქვა ოთარმა და მეგობარს მხარზე დაადო ხელი.

— მეც მომენატრე, ძალიან მომენატრე. შენ შეიძლება არც კი დამიჯერო, ისე მომენატრე. — თქვა სევდიანი ღიმილით თამაზმა და მეგობარს თვალი გაუსწორა. რამდენი სითბო იყო ოთარ ნიკარაძის თვალებში. უეცრად სინდისის ქენჯნა იგრძნო და ყელში ბურთი მოაწვა. მაინც რა მომხიბვლელი, რა თბილი ღიმილი ჰქონდა ოთარ ნიკარაძეს. რამდენი სითბო და სინაზე იფრქვეოდა მისი ჭკვიანი, თაფლისფერი თვალებიდან. უნებურად მედეა გაახსენდა. ამ დილით განა მისი ღიმილი კი არ იყო თბილი და უმანკო, ალერსით, სინაზითა და სისათუთით აღსავსე? ნუთუ კეთილისა და ბოროტის, პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანის ღიმილში განსხვავება არ უნდა იყოს?!

— ვერც კი წარმოიდგენ როგორ გამიხარდა, შენი ხმა რომ გავიგონე. მაინც რა იყო, ყურმილი რომ დამიკიდე, და ლაპარაკი აღარ მაცალ?

— ავტომატიდან ვრეკავდი, უამრავი ხალხი მელოდებოდა, ჩვენი ტელეფონების ამბავი ხომ იცი, ორი წუთი მარტო ნომრის აკრეფას მოვუნდი! — იცინა თამაზმა და თავის ტყუილზე მწარედ გაიღიმა, — „ეტყობა ბოლომდე მაინც ვერ იცხოვრებ ისე, ერთი ტყუილი თუ მაინც არ თქვი, თუნდაც უმტკივნეულო“. თამაზს უნებურად გაახსენდა ტყუილების ოთარისეული კლასიფიკაცია.

ოთარმა შამპანური დაასხა და თამაზს ჭიქა მიუჭახუნა.

— გაგვიმარჯოს.

— როგორ მიდის შენი რომანის საქმე?

— მიდის ნელ-ნელა.

— სამსახურის?

— სამსახურისა რა მოგახსენო, ორი დღის წინ ანგარიში გავასწორე.

— უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა?

— ცოტა მეტი, ვიდრე უსიამოვნება. ამ ერთი კვირის წინ მაიძულეს სამსახური მიმეტოვებინა. დღეს იქ შემთხვევით შევიარე და იმ დროს შენც დარეკე.

გურამ ფანჯიკიძე
თბილი პატიოსანი

— რას მელაპარაკები! მერედა შენ, შენი ბუნების პატრონმა, ეს საქმე ასე იოლად დათმე?

— შენ კარგად იცი, მე იოლად დათმობა არაფრის მჩვევია. მაგრამ ახლა ცოტა სხვანაირ ამბებში გავერიე. ერთი სიტყვით, არ ღირდა ალიაქოთის ატეხვა. აბა, დავლიოთ..

როცა მარტონი სკამდნენ ხოლმე, საღღეგრძელოებს არასდროს არ ამბობდნენ. ჭიქები ხელახლა შეავსეს და ბოოლიც თითქმის დაცარიელდა. ოთარმა ბოთლი გვერდზე გადადგა და გრიშას ანიშნა მეორე ბოთლი მოიტანეო. გრიშა ხვნეშით წამოდგა ფეხზე და შამპანური მოიტანა. ოთარმა ბოთლს ხელი დაავლო, ცივია თუ არაო. არ მოეწონა. გრიშას შეხედა და თავი გააქნია.

— ეეს, გრიშა, გრიშა, ვეკადრება შენ ეს?

— შვილებს ვეფიცები, ახალი მიღებული მაქვს. ჯერ ვერ მოასწრო გაცლება.

— ყინული მაინც მოგვიტანე.

— ყინულს ამ წუთში მოგართმევთ.

გრიშამ ყინული მოიტანა. ოთარმა ერთი ნატეხი თამაზის ჭიქაში ჩაადგო, მეორე თავისაში.

— შენ როგორ ხარ, როგორ მიდის შენი საქმეები? — ჰკითხა თამაზს.

— არა უშავს, ძველებურად! — მოიღრუბლა უცებ იაშვილი, მერე შეეშინდა, საუბარი ამ მიმართულებით არ გაგრძელდესო და შეეცადა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაეტანა. — ჰო, მართლა...

თამაზმა ვერ მოასწრო წინადადების დამთავრება, ბუფეტში ორი ბიჭი შემოვიდა. ერთი, საკმაოდ მოსული, ზღვაზე გაშავებული თმახუჭუჭა ჭაბუკი პირდაპირ ოთარისკენ წამოვიდა.

— ოთარს გაუმარჯოს! — შორიდანვე იყვირა მან და ნიკარაძეს გადაეხვია. — რას შვრები, სად ხარ, როგორ ხარ, сколько лет, сколько зим. გაიცანი, ჩემი მეგობარი.

თმახუჭუჭამ თამაზსაც ჩამოართვა ხელი და მერე თავისი დაბალი, კუზიანი მეგობარი წარადგინა.

თამაზ იაშვილი არ იყო უცხო ადამიანებთან საუბრის ხასიათზე და უცნობების შემოსწრება არ ესიამოვნებოდა, თავისი გრძნობა აშკარად გამოხატა კიდეც, მოიღუშა და ძეხვს დაუწყო კრიჭკნა. თმახუჭუჭას, რომელსაც ოთარმა გივი დაუძახა, არც შეუმჩნევია თამაზის განაწყენებული გამოხედვა. ხელად ორი სკამი მოიტანა, ერთზე ოვითონ დაჯდა, მეორეს ხელი დაჰკრა და კუზიანს ანიშნა დაჯექიო.

— გრიშა, თეფშები! — გასძახა მებუფეტეს ოთარ ნიკარაძემ.

— თეფშები არ გვინდა, მარტო ჭიქები მოგვიტანე, ჩვენ ახლავე უნდა წავიდეთ! — იუარა თმახუჭუჭამ და კუზიანს მიუბრუნდა, — მიშა, სანამ მიხედე. შამპანურები და ქარაფული ამბავი!

კუზიანი გრიშასთან მივიდა.

— ჩემი პაციენტია, — ხმადაბალი თქვა თმახუჭუჭამ და კუზიანზე ანიშნა, — ორი წუთით შემოვედით, რაღაც პატარა ვალი მქონდა გასასტუმრებელი, გუშინ ერთი მოსკოველი სტუმარი ყავდა.

კუზიანმა, ეტყობა, ანგარიში გასწორა და მებუფეტემ ოთხი ბოთლი შამპანური მოიტანა.

— ერთად რომ მოგაქვს, ხომ გათბება. თითო-თითო მოიტანე! — უთხრა მებუფეტეს გივიმ და ხუჭუჭა თმებზე ხელი გადაისვა, მერე ოთარს მიუბრუნდა. — ამ დროს აქ რა გინდა, კაცო, ზღვაზე გოგოები კენჭებივით ყრია. — მერე ისევ გრიშას შეხედა, — ხაზეინ, ჭიქები დაგავიწყდა?

— სიკვდილსამდე დავიწყებიხართ! — გრიშამ ჭიქები მოიტანა, გივიმ დაასხა და ოთარს თვალი ჩაუკრა.

— ესეც ჩემი პაციენტი იყო. ჰო, რას გეუბნებოდი, ზღვაზე რატომ არა ხარ-მეთქი, მთელი თბილისის შანტრაბა გაგრაშია. შენ კარგი ციგანი ხარ, დეიდების სეზონს ელოდები, არა?! გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ, თქვენს პურის-

ჭამას გაუმარჯოს. მიშა, აბა დაილოცე. — ხუჭუჭამ ჭიქა მიიყუდა.

მიშამ რაღაც წაიბურტყუნა და ღვინო ოდნავ მოსვა.

— ამ ზამთარს მოსკოვში მივდივარ. გინდა, ერთად წავიდეთ. ზამთარში მოსკოვში ქალაშვილების გაცნობაზე ადვილი არაფერია.

— როგორ, ზაფხულში ჭირს? — დამცინავად ჰკითხა ოთარმა.

— რას ამბობ, ზამთარი სულ სხვაა, — დაცინვას ვერ მიუხვდა ხუჭუჭა. — წახვალ საცგუროაოზე და კარგ მონადირესავით ხარ ჩასაფრებული. როგორც კი ვინმეს ფეხი დაუცდება და წაიკეცავ, ხელად მივარდები, ფეხზე წამოაყენებ, თოვლიან ჯიმპრს ჩაუფერთხავ, რაღაც მზრუნველობას გამოიჩენ და ეოგოც გაცნობილია. აბა, თავს აღარ შეგაწყენთ, თუ რამეს გადაწყვეტ, დამირეკე, ისევ იქა ვმუშაობ. კიდევ გაგიმარჯოთ, ჩვენს წასვლას და თქვენ დარჩენას გაუმარჯოს! — ვივიმ კუჩიანს მიუპახუნა ჭიქა.

— მაცალე, ერთ საღღეგრძელოს მე ვიტყვი, ეს თქვენ გაგიმარჯოთ. ჩემი არ იყოს, შენც მარტოხელა ხარ. ამ პატიოსან კაცს გაუმარჯოს, ცოლ-შვილი ვუღღეგრძელოთ.

კუჩიანი აილაწა, ჯერ თითქოს სიამოვნება გამოეხატა სახეზე, მერე უხერხულად დაიგრიხა.

— მე მეუღლე არა მყავს! — თქვა უხერხულად და გაწითლდა.

გაოცებულმა ოთარმა მის საქორწინო ბეჭედს დასსო მზერა.

— ეს ისე მოკეთია! — მიუხვდა მიშა.

— მაშინ შენც ჩვენი კლუბის წევრი ყოფილხარ! — უცბად განმუხტა უხერხული მდგომარეობა ნიკარაძემ.

ყველამ დალია, გიგი და მისი კუჩიანი მეგობარი წავიდნენ. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გრიშამ ზედმეტი ჭიქები და ცარიელი ბოთლები წაიღო.

— თბილისში ხომ ვერასად შეხვალ, საუბარი რომ გაცალონ. — თქვა უცებ თამაზ იაშვილმა.

— მაგას ამდენხანს კიდევ ვერ შეეგუე! — გაიცინა ოთარმა და მეგობრის სიგარეტი გაუწოდა.

— როგორ შემეცოდა ის კუჩიანი.

— დარწმუნდი ხომ, ხალხი როგორ ცხოვრობს. თავისი პაკეტენტი მოიყვანა და ვალი გადაახდევინა.

— არა, მე უფრო სხვა რამის გამო შემეცოდა.

— მივხვდი, რატომაც შეგეცოდა. მას მარჯვენა ხელზე ტყუილად უკეთია საქორწინო ბეჭედი.

— ძალიან სასტიკი ხარ, ოთარ!

თამაზმა ღვინო არ დალია. იგი დროდადრო სათვალეს ისწორებდა და სიგარეტს ხარბად ქაჩავდა.

— მაინც რა არის ცხოვრება, რისთვის იბრძვის ადამიანი, ვის ეჯიბრება, რატომ ტკივრობს ფეხსა და გონებას ათასგვარი შურით და ჯიბრით. არ სჯობია, თავისი ცხოვრება მშვიდად განვლოს, თავისი საკუთარი გზა ინოვოს?

— ფილოსოფოსობას გაცილებით სჯობდა ღვინო დაგვალა. და უფრო მსუბუქ თემებზე გვესაუბრა. მაგრამ რა გაეწყობა. მაგ საკითხზე მეც ბევრი მიფიქრია და ერთ ბრძნულ დასკვნამდე მივედი. — ოთარმა ჭიქას ოხრახუშის ღერი ამოურია. ჭიქა გაზის ბუშტუკებით გაივსო.

— ამიტომ არ მიყვარს შამპანურის სმა! — დაანახა ბუშტუკები თამაზს. — მაშ, შენ გაინტერესებს, რა არის ცხოვრება, არა? ეგ რთული საკითხია. გაცილებით უფრო რთული, ვიდრე მათემატიკა. ვიცი, შენც ბევრი ფილოსოფიური წიგნი წაგიკითხავს და გისწავლია, მაგრამ ამ საკითხზე მეც შემიძლია ჩემი საკუთარი აზრი და შეხედულება გამოვთქვა. სწორი არ არის, გრიშაჯან?

— რა ბრძანე, შენი ჭირიმე! — ყურები ცქვიტა გრიშამ.

— რა და ერთ წუთს გვერდით მომიჯექი, თან შენი ჭიქაც წამოიღე.

— არ ივარგებს, შეშოვა ვინმე, შენი ჭირიმე.

---

**გურამ შანჯიკიძე**
*თვალი კატოლსანი*

— მე რომ გეუბნები, გვერდით მოგიჯექი.

გრიშამ ჭიქა მოიტანა და სკამზე ხვნეშით ჩამოჯდა. ოთარმა შამპანური დაუსხა.

— ძია გრიშა, რამდენი წლისა ხარ?

— სამოცდაშვიდს აღარაფერი მიკლია.

— რამდენი წელია ბუფეტში მუშაობ?

— რაც თავი მახსოვს, შენი ჭირიმე, პატარა ბიჭუნა ვიყავი, მამაჩემმა რომ საშოვარში წამიყვანა.

— შვებულებაში რამდენჯერ ყოფილხარ?

გრიშამ ჩაიცინა.

— რა გაცინებს.

— ეხ, შვებულება ჩემისთანა კაცისთვის არ მოუგონიათ, შვილო. აგერ ფეხები როგორ დამისივდა. ერთი კვირა ვიწექი საავადმყოფოში. ვერ გავძელი და გამოვიქეცი. საქმეს ვერ ვუღალატე.

— როგორ, ბუფეტში უშენობა საქმეს გააფუჭებდა?

— საქმეს არ გააფუჭებდა, მაგრამ ჩემს ოჯახს რა!

— მაშინ დაახუსტე და თქვი, ოჯახს ვერ ვუღალატე-თქო.

— ჰო, თუნდაც ეგრე იყოს.

— ძია გრიშა, თეატრში ან კინოში დადიხარ?

— თეატრის კარიც არ ვიცი, როგორია.

— შენი სმენის ამბავი რომ ვიცი, ოპერის ხმირი სტუმარი იქნები!

მსუქანი მებუფეტე სიცილისაგან ჩაბქირდა და შამპანური მოსცა.

— კეთილი და პატიოსანი. წიგნებს მაინც თუ კითხულობ?

— წიგნები ჩემისთანა კაცისთვის არ იწერება.

— ყველაფერი დღესავით ნათელია! — ოთარი მეგობარს მიუბრუნდა. — შენ როგორ გგონია, ჩემო თამაზ, ამ კაცს არ შეეძლო ყოველ წელს ესარგებლა თავისი შვებულებით, დაესვენა, ცოტა თავისი ჯანმრთელობისთვისაც მიეხედა? შეეძლო, მაგრამ ეს აზრადაც არ მოსვლია. დღეში 18 საათი ზის ამ მოსაწყენ ბუფეტში, დღეში 18 საათი შესაქცერის, როგორ ჭამენ და როგორ სვამენ, და ეს გრძელდება ათეული წლების მანძილზე. მაგრამ ამ საქმესაც აქვს თავისი რომანტიკა, გრიშას მთელი რომანტიკა ის არის, რომ ხალხს ატყუებს და ფულს აკეთებს.

— ხალხს რავა ვატყუებ, შენი ჭირიმე! — იწყინა მებუფეტემ.

— გრიშა, ერთ წუთს ყური დამიგდე. ჩვენ აქ ფილოსოფიურ საკითხებზე ვმსჯელობთ. შენ იცი, რა არის ფილოსოფია? ფილოსოფია სულგუნის სიფრიფანად დაჭრის ხელოვნება არ გეგონოს! — ოთარმა სულგუნის სიფრიფანა ნაჭერი ცხვირთან მიუტანა გრიშას. — შენ აქ ხელფასზე კი არ ზიხარ, ფულს აკეთებ. ხელფასზე რომ იჯდე, მაშინ შვებულებაშიც წახვიდოდი. ფულის კეთებამ თანდათან გაუმაძღარი გაგხადა, ისეთი გაუმაძღარი, რომ არცერთი დღის გაცდენა აღარ გინდა. ფულმა ჩაორევა იცის, ჩემო გრიშა, და ახლა ხელი არ შემიშალო, ოორემ ხომ იცი! — დაუქნია თითი მუქარით, მერე თამაზს მიუბრუნდა, — მთელმა ამისმა გონებრივმა და ფიზიკურმა მოთხოვნილებებმა მხოლოდ ფულის ირგვლივ მოიყარა თავი. ამიტომაც აღარ აწუხებს სხვა მოთხოვნილებები და პრობლემები, რომლებიც ჩემთვის და შენთვის აუცილებელია. მერე ამ კაცმა კარგი სახლი აიშენა, მერე ის სახლი კარგი ავეჯით გაავსო, ოჯახში მუსიკალური განათლებაზე ცოტა უკაცრავად არიან, მაგრამ ინსტრუმენტიც შეიძინეს. მერე იმ როიალის თავზე ბროლის ვაზებმა იწყო მომრავლება. მერე მოდასაც ეჰყვნენ და წიგნებით დაამშვენეს მოჩუქურთმებული კარადები. ერთი სიტყვით, ოჯახი აყვავდა. აგერ ძმა ესტუმრა, აგერ ნათესავი, აგერ თანასოფელი, ნაცნობი და მეგობარი. გამართული ოჯახი ყველამ უქო, თუმცა გულში შურიც შეეპარათ. მერე ნელ-ნელა დაირხა ხმა, ჩვენი გრიშა ზღაპ-

რულად ცხოვრობსო, ისეთი ოჯახი აქვს, აკ თვალს არ დაენახვებაო. მოი მალჩიკ, ახლა გთხოვ, ყური დამიგდო. მე მივადექი ჩემი ფილოსოფიური დაკვირვებების დასკვნით ნაწილს. მაგრამ სანამ ამ დასკვნას გაგაცნობდე, მოდი, ჩვენი გრიშა ვაღდეგძელოთ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩემი თეორიის ექსპერიმენტულ ნაწილში.

ოთარ ნიკარაძემ ჯერ თამაზს მიუჯახუნა ჭიქა, მერე გრიშას.

— ძია გრიშა, გაგიმარჯოს, კარგად იყავი. ფულს ნამეტანი ნუ გადაჰყვები. ცოტა ხანს კიდევ იცოცხლე ამ ქვეყანაზე. სიბერის ჟამს მაინც გიხიდ-გამოიხედე პატარა! — ოთარმა ჭიქა დასცალა.

თამაზმა მხოლოდ სამი სიტყვა თქვა, გაგიმარჯოს ჩემო ბატონო, ჭიქა ზრდილობის გულისთვის მიიტანა ტუჩებთან და ისევ მაგიდაზე დადგა.

ბუფეტში ვიღაც სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი კაცი შემოვიდა, ალბათ ამავე სასტუმროს ბინადარი.

— ძია გრიშა, დაილოცე და იმ კაცს მიხედე.

— გაგიმარჯოთ, შვილებო, კარგად იყავით! — გრიშა წამოდგა, შამპანურით სავსე ჭიქა თან წაიღო, მოფარებული დადგა და ვიტრინის დათვალიერებით გართულ ახალშემოსულის ბრძანების დაელოდა.

— გრიშა ჩვენ ჯერჯერობით აღარ გვჭირდება, — ოთარმა ისევ შეავსო თავისი ჭიქა, — საღ ვიყავი? ჰო, მოველენ ძმები, ნათესავები, თანასოფლელები, ნაცნობ-მეგობრები, ნახავენ მის გაუწყობელ ოჯახს და მოკრძალებით განიმსჭვალებიან. სწორედ ამ დროს იგრძნობს ჩვენი გრიშა ამდენი წუალების დიდ ჯილდოს — უპირატესობის გრძნობას. იგი კვლავაც მოიკლავს თავს, დღე და ღამეს გააყრრებს, სიცოცხლეს შეიმოკლებს, ოღონდ ნაცნობ-ნათესავებში ყოველთვის ჰქონდეს უპირატესობა, ყოველთვის დატკბეს პირველობით.

ოთარმა მაგიდაზე მიგდებული სიგარეტის კოლოფს ხელი მოაკარა. „ბიგინით ერთ სიგარეტზე მეტი ალბათ არ მოჩნდა. ისიც თამაზს მიაწოდა.

— არ მინდა, ახლა მოვწევ! — იუარა თამაზმა.

ოთარ ნიკარაძემ სიგარეტს მოუკიდა და თან ცარიელა კოლოფი გრიშას დაანახა. გრიშამ სიგარეტი მოიტანა.

— ხომ არ მოგეწყინა? — ჰკითხა ოთარმა მეგობარს.

— პირიქით! — გაიღიმა თამაზმა.

— წინა კვირას მწყურნი ვიყავი სანადიროდ. ჩემთან ერთად კიდევ ოთხი კაცი იყო, ჩვენ ყველას ტულის თოფები გვქონდა. ერთ მათგანს კი, მოდი, უფრო დავაზუსტებ, მანქანის პატრონს — „ჰოლანდ-ჰოლანდი“. მან ამ თოფში ორი ათასი მანეთი მისცა. 20 ათასი ძველ ფულზე! მერედა, რატომ? განა ერთი გაჩხინკული მწყერის მოსაკლავად სულ ერთი არ არის, რა თოფი ვეექნება, რომ ამდენი ფული არ გადაყარო? მაგრამ მან ეს თოფი იმიტომ იყიდა, რომ უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა უპირატესობის გრძნობა. აქ მთავარი მარტო ის კი არ იყო, რომ მას ჰქონდა „ჰოლანდ-ჰოლანდი“, არამედ ის, რომ ჩვენ არ გვქონდა ისეთივე თოფი. დანარჩენ ოთხ კაცსაც რომ „ჰოლანდ-ჰოლანდები“ გვქონოდა, მაშინ რაღა ფასი ექნებოდა მის თოფს? გასაგებია?

— გასაგებია! — გაიღიმა თამაზმა.

— რატომ გეღიმება.

— მოაცებს შენი უნარი, თუმცა უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ მშურს შენი. მე ხომ ვერასოდეს ვერ შევძლებ, ყველაფერზე ასე იუმორით ვიმსჯელო.

— არავითარი იუმორი, მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა თბილისში სულ ასშვიდი ტელეფონი იდგა. და მაშინ იცი, ტელეფონი რამოდენა უპირატესობას ნიშნავდა? ეს წესით შენც კარგად უნდა გახსოვდეს.

---

**გურამ ფანჯიკიძე**
**თვალი კატიოსანი**

— მახსოვს! — თავი დაუქნია თამაზმა.

— კარგად მოგეხსენება, ტელეფონს მაშინ აქვს ფასი, როცა იგი ყველას უდგას, როცა შეგიძლია იმას დაურეკო, ვინც მოგესურვება. მაგრამ მაშინ, როცა თბილისში სულ ასშვიდი აპარატი იდგა, მისი მფლობელები სიამოვნებით წავიდოდნენ ახალი სატელეფონო სადგურების აშენების წინაღმდეგ. მათ ტელეფონის აპარატები ისეთი სასოებით ედგათ მოპრიალებულ ძვირფასი ხის მაგიდებზე, თითქოს უძვირფასესი ჩინური ვაზები ყოფილიყოს. მათ ფეხებზე ეკიდათ ტელეფონის დანიშნულება, მათთვის მთავარი იყო უპირატესობის გრძნობა, ხოლო გაპრიალებული აპარატი ამ უპირატესობის გამოხატულება, ამ უპირატესობის სიმბოლო იყო! იქნებ არ გენიშნა ჩემი საუბარი?

— ბევრ რამეში მართალი ხარ, მაგრამ...

— არაგითარი მაგრამ. მე უფრო შორს წავალ, ვთქვათ, შენ კუნძულზე ცხოვრობ, გაქვს სასახლე, მანქანები. ერთი სიტყვით, გაქვს ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე. შენ ეს ყველაფერი ორ კვირაში მოგებეზრდება, თუ კუნძულზე არ ცხოვრობს მეორე კაცი, რომლის წინაშეც უპირატესობას იგრძნობ, უპირატესობას, რომელიც ასე აპრმავებს, ადიდგულებს და ნეტარებით აღავსებს ადამიანს.

— ოთარ, გეყოფა!

— ასეა ძმობილო, სიმართლე ძნელი მოსასმენია.

— არა, მე სხვა რამე მინდოდა მეთქვა. ჩვენ ამდენ ყურადღებას არ უნდა ვუთმობდეთ ასეთ ადამიანებს. ეს ხომ წვრილმანია. საშინელი წვრილმანი.

— ეხ, ჩემო თამაზ, სწორედ ასეთი წვრილმანები გვიშხამავენ ცხოვრებას ყოველდღე.

— გაჩერდი, ოთარ!

თამაზ იაშვილი გაფითრდა, თითქოს ყბაც აუკანკალდა. ოთარმა მხოლოდ ახლა შენიშნა, მის მეგობარს თვალები როგორ ამღვრეოდა. გულმა ტენი უყო. არასოდეს ენახა ასე თვალებამღვრეული და გაფითრებული თამაზი. თითქოს რაღაც ენიშნა. მტკიცედ სჯეროდა, თამაზის სასთუთი ბუნება მედეას ვერ აიტანდა, ადრე თუ გვიან კრიზისი დაიწყებოდა, მაგრამ ნუთუ უკვე აემღვრათ წყალი? იქნებ დღესაც ამის გამო მიაკითხა? თუ, უბრალოდ, მოენატრა ერთადერთი მეგობარი? ოთარ ნიეარაძე თავის ცხოვრებაში პირველად დაიბნა. მიხვდა, თამაზს უჭირდა, ძალიან უჭირდა, მაგრამ კითხვა ვერ გაბედა. ეშინოდა, უფრო არ გაეღიზიანებინა ისედაც წონასწორობიდან გამოსული მეგობარი. თამაზმა ჭიქა ტუჩებთან მიიტანა. ჭიქამ გაიწკრიალა მოცახცახე კბილებს შორის. ოთარმა თვალი აარიდა, თითქოს ვერც კი შეამჩნია მეგობრის მღელვარება.

— ერთი ბოთლი კიდევ გავახსნეველნოთ? — ჰკითხა თამაზს უდარდელად.

— არა, არ გინდა!

— რა მოგივიდა, ცუდად ხომ არა ხარ?

— ჰო, თავბრუ დამეხვა! — თამაზმა თავს ძალა დაატანა და გაღიმება სცადა.

— გინდა, ჰაერზე გავიდეთ?

— კარგი იქნება, თუკი შენ არ გამინაწყენდები.

— გრიშა, ანგარიში!

●

ერთმანეთს კიროვის ქუჩის თავში გამოეშვიდობნენ. თამაზს დიდხანს ეჭირა მეგობრის მძიმე, დაკუნთული ხელი და ლამაზ, თაფლისფერ თვალებში შესცქეროდა. უნდოდა, სამუდამოდ გამომშვიდობებოდა ერთადერთ მეგობარს, რომელსაც იგი ნამდვილად უყვარდა, რომელსაც მისი ყველაფერი ესმოდა და აფასებდა. ხმის ამოღება ეშინოდა, იცოდა, ცრემლს ვერ შეიკავებდა. საშინლად მოუნდა მისთვის ყველაფერი ეამბნა. ეამბნა დაწვრილებით. ეამბნა დღევანდელი უბედურებაც, გაჩერებული საათებისა და იმ საზიზღა-

რი, შეჩხერკილებიანი კაცის ამბავიც, უნდოდა ეფიარებინა, რომ იგი ამ ქვეყანაზე დარჩა ყოველგვარი მიზნისა და მისწრაფების გარეშე. ახლა, აქვე უნდოდა მეგობარს გამოსტეხოდა, რომ თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ისიც უნდოდა განემარტა, თავს იმიტომ კი არ ვიკლავ, რომ ცოლმა მიღალატაო. უბრალოდ, ეთხეულ კიდევ დავიწყვეტდი, არაფერი წმინდა არ ყოფილა ამ ქვეყანაზეო. უნდოდა ოთარ ნიკარაძე დაერწმუნებინა - საკუთარი პიროვნების არსებობის უაზრობაში, თავის უმეცრებაში. როგორ უნდოდა, ახლა მედეას სულში ჩაეხედა. მერედა, როგორ ეფიმოდა ამ ღილით სამსახურში წასვლის წინ, თვალებში როგორ შესცქეროდა, ნუთუ მის ნატიფ სხეულში მხოლოდ ავხორცობა იყო ჩაბუდებული? ნუთუ ერთ უჯრედში მაინც არ ჰქონდა სიწმინდის ჩანასახი? ნუთუ ამ მომღიმარე, სათნო თვალების უკან ბოროტებით, ღალატით დამუხტული ტვინი იმალებოდა?

ოთარი აშკარად ხედავდა, თამაზი რა ცეცხლში იწვოდა, მაგრამ დუმილის დარღვევას ვერ ბედავდა. შეიძლება ერთ უადგილო ფრაზას საქმე სულ გაეფუჭებინა.

თამაზ იაშვილმა თავი მოთოკა და გაღიმებაც მოახერხა.

— ოთარ, კარგად იყავი. ხომ მაპატიე მაშინდელი გაფიცხება?

— შენ ცოტა სენტიმენტალური გამხდარხარ, ყმაწვილო!

— აბა, ღამე მშვიდობისა.

— ხვალ დამირეკე, მთელი დღე შინ ვიქნები.

„ხვალ“, — მწარედ გაეღიმა თამაზს. შეღმართს ნელა აუყვა. გასტრონომთან გაახსენდა, რომ პაპიროსი არ ჰქონდა.

— „ოვერია“ მომეცით! — გაუწოდა სამმანეთიანი გამყიდველს.

— რამდენი? — ჰკითხა ქალმა და ფული გამოართვა.

თამაზს თვალში მოხვდა გამყიდველის არაბუნებრივად მსუქანი ხელი.

— რამდენი მოგართვათ? — გაუმეორა კითხვა ქალმა.

— ჰო, სამი! — გამოერკვა უცებ.

— ასანთიც?

— კი ბატონო, ასანთიც იყოს.

გამყიდველმა ჯერ სიგარეტი მისცა, მერე ასანთი და ხურდა.

თამაზ იაშვილი დიდხანს დასჩერებოდა სამ კოლოფ სიგარეტს და გულში მწარედ ეღიმებოდა, მისთვის ხომ ერთი კოლოფიც საკმარისი იყო, სამი მხოლოდ ძველი ჩვეულებისამებრ წამოსცდა. გამყიდველი ქალი გაკვირვებული მისჩერებოდა ჩაფიქრებულ ბატკან!

— ხურდა სწორი არ არის? — ჰკითხა დაბნეულმა.

— სწორია, სწორი! — შერცხვა თამაზს, ხურდა და სიგარეტები სასწრაფოდ ჯიბეში ჩაიდო.

გაოცებულმა ქალმა მხრები აიჩეჩა და გამხდარ, სუსტ ახალგაზრდას დამცინავი მზერა გააყოლა.

თამაზმა მაღაზიიდან გამოსვლისთანავე გააბოლა. მერე ერთ წყნარ ქუჩაზე გადაუხვია. ვიწრო ქუჩის კუთხეში, ხილის მაღაზიის წინ წელში სიმძიმისაგან მოხრილი მუშა დაინახა. მას ზურგზე ვაშლით სავსე ყუთები ჰქონდა მოდებული. თამაზმა შენიშნა, ბოლო ყუთზე თოკი აცურებულიყო და სადაცაა გადმოვარდებოდა. მუშა ამას ვერძნობდა და საოცარი ტანჯვით ამაოდ ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას. თამაზმა სიგარეტის ნამწვავი მოისროლა, მუშასთან მიიჭრა და ბოლო ყუთი გაჭირვებით გადმოიღო.

— შენ აგაშენა ღმერთმა! — მოესმა ნაცნობი ხმა.

თამაზს გულმა რეჩხი უყო. გაუკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო.

ქუჩის სინათლის მკრთალ შუქზე შეუძლებელი იყო წელში მოხრილი მუშის სახის დანახვა. მუშა ქოშინით მივიდა მაღაზიის კიბესთან, დინჯად შე-

---

**გურამ შანჯიკიძე**
თბილისი კატიოსანი

მობრუნდა და ისე ჩაჯდა, რომ ზურგზე შემოდებული ყუთები კიბის პატარა ბაქანზე ჩამოდო. მერე თოკი მოიშორა და წელში ძლივს გაიმართა.

თამაზი გაშშდა. მას ის მეჩხერკბილებიანი კაცი შერჩა ხელში. ჩაყვითლებულ-ჩაშავებული კბილები უსიამოდ უელავდა.

— აჰ, ეს თქვენა ხართ, მეზობელო? ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დროზე მომისწორიო! — ხალათის სახელოთი ოფლი მოიწმინდა და ჯიბიდან ცარიელი სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

თამაზმა სიგარეტი გაუწოდა.

მუშამ ერთი ცალი ამოაძვრინა.

— სულ გქონდეთ, მე კიდევ მაქვს!

— გმადლობთ, დიდი მადლობა. — სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და კიბეზე ჩამოჯდა.

თამაზი გაოცებული იყო, ახლა მასზე სრულებით აღარ მოქმედებდა გაბურძგნული კაცის საზიზღარი სახე. პირიქით, შეეცოდა კიდეც ძმიმე ტვირთისაგან აქოშინებული, გაოფლილი მუშა. დამჭკნარ სახეზე დაეკვირდა, ორმოცი წლისა იქნებოდა, მაგრამ ძმიმე ცხოვრებას თუ ავადმყოფობას საბოლოოდ გაეტეხა. გადეღილი ხალათიდან გამხდარი, ძვლებადქცეული მკერდი მოუჩანდა.

— ასანთი გაქვთ? ასანთსაც დაგიტოვებთ.

— გმადლობთ, მეზობელო.

— თქვენ რა, აქ ცხოვრობთ?

— აქვე, თქვენი სახლიდან სულ სამოცი ნაბიჯზე, — სიგარეტი ხარბად მოქაჩა და საიდუმლოდ დაუმატა. — თქვენ რომ ცხოვრობთ, ეგ მამაჩემის სახლი იყო. მე დედა არ მყავდა და ბებია მზრდიდა. მერე მამაჩემმა თავი ჩამოიხრჩო. ეს ოცდაათი წლის წინათ მოხდა. ბებიაჩემმა თქვა, დაწყევლილი სახლიაო.

თამაზი გაშშდა. მერე ისევ ნაცნობმა, შემზარავმა ხითხითმა გამოაფხიზლა. ცხვირაწოლილებულ მუშას ჩაშავებული, ჩამტვრეული კბილები მოუჩანდა, გამხდარი მკერდი საზარლად აუდ-ჩაუდიოდა.

— ღამე მშვიდობისა! — თქვა ჩუმულოდნელად თამაზმა და წავიდა.

— რომელი საათია, ხომ ვერ მეტყვით? — მიაძახა მუშამ. იგი აღარ იცინოდა.

თამაზ იაშვილმა საათს დახედა. საათი გაჩერებულიყო.

●

თამაზმა თვალი ნელა გაახილა. სითეთრეს თანდათანობით გამოეყო რაღაც გაურკვეველი, მოშავო-მონაცრისფრო გამოსახულება. მერე თითქოს ვიღაცამ ფოკუსი გაასწორაო, მკვეთრად გაარჩია თეთრხალათიანი და თეთრქუდიანი ექიმის სახე. იგი სამოცი წლისა მაინც იქნებოდა, შავგვრემანი და სათვალიანი. ექიმი დასჩერებოდა და იღიმებოდა. პირველად ეგონა, თავზე მარტო ერთი ექიმი ადგა. თანდათანობით სხვებიც გაარჩია, ერთი ახალგაზრდა კაცი და ორი ქალი. სახეზე ყველას ღიმილი გადაჰკვროდა.

თამაზმა თვალი სწრაფად დახუჭა. მის ფონებაში ელვისებურად აღსდგა ყველაფერი. პირველი, რაც დაეუფლა, ეს იყო უხერხულობისა და სირცხვილის გრძნობა. ის, რაც იმ საბედისწერო საღამოს აუცილებლად და გარდუვალად ეჩვენებოდა, დღეს რაღაც სასაცილო მელოდრამას ჰგავდა. აღიზიანებდა ისიც, რომ ახლა საავადმყოფოში ყველა ექიმის, ექთანის, მომვლელისა თუ ავადმყოფის საქილიკო და მოწყურებული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი საგანი იყო. თუმცა ახლა სხვას კი არა, თვითონაც სასაცილოდ, უბადრუკ პროტესტად მიაჩნდა თავისი გადაწყვეტილება, მაგრამ მაინც გულწრფელად ნანობდა, რომ ცოცხალი გადარჩა. რა ბედნიერი იქნებოდა, მანქანა რომ დასჯახებოდა, მაშინ ხომ არც მის მკვლელს და არც მოსამართლეს აზრადაც არ მოუვიდოდათ, ეს სიკვდილი როგორი შვება იქნებოდა იმ ადამიანისათვის, რომლის პასპორტ-

შიც თამაზ იაშვილს ამოიკითხავდნენ.

ნეტავ რამდენი საათი ან რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ? იქნებ ეს ყველაფერი წუხელ იყო?

თამაზს გახსენდა, როგორ მიუახლოვდა თავის სახლს. არეკლილი მთვარის შუქზე ფანჯრები ისე ციმციმებდა, პირველად ისიც კი გაიფიქრა, ოთახში სინათლე ანთიაო. კიბეზე ფრთხილად ავიდა. ირგვლივ მამოიხედა. ჩამიჩუნი არ ისმოდა. მთელს ქალაქში სიცოცხლე ჩამკვდარიყო. საკეტს ფრთხილად მოჭკიდა ხელი და ფრთხილად გადაატრიალა, ისე ჩუმად და ისე ნელა, თითქოს ქურდი ყოფილიყოს. ძველებურმა საკეტმა საიდუმლოდ დაიღღიარუნა და დიდი, მძიმე მუხის კარი ნელ-ნელა გაიღო. ოთახში ბნელოდა. თამაზმა ხელი მექანიკურად წაიღო იქვე, კედლის მარჯვენა მხარეს მოთავსებული ელექტროლიკისაკენ, მაგრამ სინათლის ანთება უმალვე გადაიფიქრა. სიბნელეს თანდათანობით შეაჩვია თვალი. მიხედა, ოთახში არც ისე ბნელოდა, როგორც პირველად მოეჩვენა. უცებ სინათლემ იმატა. თამაზი მიხვდა, რომ მთვარე ისევ დაუძვრა ღრუბლებს. ორი ნაბიჯი წინ წადგა. კარი ნელა ჩაიკეტა თავისთ. ძველებურმა საკეტმა მხოლოდ ერთხელ გაიკიდარუნა და ოთახში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. მერე სუნთქვის ხმა გაიგონა. ძალიან მშვიდი, თანაბარი ხმა. ეს მედეა იყო. იგი იქვე, სულ ახლოს, ფანჯარასთან იწვა. თამაზი გაქვავდა, ნაბიჯის გადადგმისა ეშინოდა. საოცარმა დუმილმა შებორკა და დაიმორჩილა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა, ფეხისწვერებზე შედგა, მეუღლის საწოლს ფრთხილად მიუახლოვდა, დახედა და გული შეეკუმშა. მედეას მშვიდად ეძინა, ისე მშვიდად, თითქოს არც სუნთქავდა. მშვენიერი მუქი წალბისფერი თმა ახლა რომ მთვარის შუქზე რაღაც მოშავო-მოწითალოდ ბზინავდა, ბალიშზე გაშლოდა. ლოყით მარცხენა ხელისგულს დასწოლოდა. პირი ოდნავ დაეღო და სქელი, გამოყვანილი ტუჩებიდან ორი ლამაზი კბილი მოუჩანდა. უცებ იგი შეიშმუშნა, თითქოს იგრძნო ვიღაცის დაკონებული მზერა. თამაზი სწრაფად მოშორდა საწოლს, შეეშინდა, არ გაიღვიძოსო. სამზარეულოში ფრთხილად გავიდა. სარკმლიდან მთვარეს გახედა. მთვარე, თითქოს სადღაც გარბოდა, მაგრამ როგორც კი ღრუბელი თვალს მიეფარა, მთვარეც გაჩერდა.

თამაზ იაშვილი სკამზე ჩამოჯდა. სრულებით არ ღელავდა. პირიქით, სავსებით მშვიდად იყო. თითქოს შვებაც კი იგრძნო. ახლა იგი თავის გადაწყვეტილებას არაფრის გულისთვის არ შეცვლიდა. ამაზე ფიქრიც კი ზედმეტად მიიჩნდა. მერე ფრთხილად წამოდგა. თეთრი კარადის უჯრიდან თოკი ამოიღო. მწარედ გაეღიმა. ეს იყო პირველი საოჯახო ნივთი, რომელიც მედეას მოყვანის შემდეგ შეიძინა. თვითონ მედეამ გაგზავნა რკინეულობის მაღაზიაში, სარეცხის გასაფენად თოკი მიყიდეო. მერე რა სიამოვნებით იყიდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მაღაზიაში შესვლამ სიამოვნება მოჰგვარა, რაღაც ოჯახური სითბო და სიმყუდროვე დაეუფლა. კინაღამ გაეცინა, ტანში რაღაც საოცარი სიმსუბუქე იგრძნო. ახლა იგი რაღაცით ჩამოჰგავდა ოთარ ნიკარაძეს.

„მაინცდამაინც თავის მოკვლა უნდა გადამეწყვიტა, რომ ჩემს არსებაში იუმორის გრძნობა გაღვიძებულიყო?“ — გაიფიქრა უნებურად.

თოკი გაჭიმა, თითქოს შეამოწმა, თუ გამიძლებსო. მერე ყულფი გააკეთა, მაგიდაზე სკამიანად აძერა, სკამზე ფრთხილად შედგა და თოკი ძველებური, მაღალჭერიანი საკუჭნაოს გარდიგარდმო გადებულ დირეზე ჩამოაბა. მერე ასევე ფრთხილად დაბლა ჩამოვიდა. დაიღალა, გული გამალებით უცემდა. ისევ სკამზე ჩამოჯდა და თოკს თვალი

---

**გურამ შანგუტიძე**
**თვალი პატიოსანი**

შეავლო. თოკი ჯერ კიდევ ქანაობდა. ბოლოს სულ გაჩერდა.

„ნუთუ ამის მეტი არაფერი უნდა იგრძნო თავის მოკვლის წინ?" — უკვირდა თამაზს. ერთ დროს კი დარწმუნებული იყო, თავს ვერაფრის დიდებით ვერ მოვიკლავო. ათასჯერ, ასი-ათასჯერ უფრო საშინლად ჰქონდა წარმოდგენილი სიკვდილის შიში. ახლა კი მშვიდად იჯდა და საკმაოდ აუღელვებლად შესჩერებოდა სიბნელეში თეთრად მოკიაფე რგოლს. მერე დინჯად წამოდგა, კართან მივიდა და მედიას საწოლს გახედა. თხელი საბანი სანანეცროდ გადახდოდა. თითის ტარიეთი გამოყვანილი გრძელი წვეები ზოკოოლიისფრად ლაპლაპებდა მთვარის შუქზე. საოცარი სინანული შემოაწვა. დღეს ისე, როგორც არასდროს, იგრძნო როგორი უმწეო იყო. იქნებ მედეას გულისთვის იკლავდა თავს? იქნებ ეს ცოლის დალტეთ შეურაცხყოფილი თავმოყვარე კაცის რეაქცია იყო მხოლოდ და მხოლოდ? იქნებ ოთარ ნიკარაძისათვის რომ დაეჯერებინა და მედეას არ გადაჰყროდა, თავის მოკვლა აზრადაც არ მოსვლოდა? არა, ამ გადაწყვეტილებამდე აუცილებლად მივიდოდა, შეიძლება ცოტა უფრო გვიან, მაგრამ მაინც მივიდოდა. გრძნობდა, ცხოვრებისათვის ძალა არ შესწევდა, მედეამ კიდევ უფრო დარწმუნა თავის უსუსურობაში, მედეამ მხოლოდ დაიჩქარა, ძალიან დაიჩქარა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. ეს იყო და ეს.

ოთახში ისევ ჩამობნელდა. თამაზმა ფანჯარაში გაიხედა. მთვარეს ისევ აედგა ფეხი და პატარა ღრუბლისაკენ მიისწრაფვოდა. მალე პატარა ღრუბელიც უკან მოიტოვა და უზარმაზარი შავი ღრუბლისაკენ აიღო გეზი. უზარმაზარმა ღრუბელმა ერთბაშად შთანთქა მთვარე. ღრუბლის კონტურები ერთხანს კიდევ იყო მოოქვრილი მთვარის სხივებით, მერე უკანასკნელი სხივიც ჩაქრა და უკუნი სიბნელე ჩამოწვა.

თამაზ იაშვილმა სათვალე მოიხსნა და იქვე, პატარა მაგიდაზე დადო. მერე ხელის ფათურით მაგიდაზე აკიდა, სკამზე ფრთხილად შედგა და ყურსაფი ხელით მონახა. მერე კოშმარივით ახსოვს ქალის კიბილი. ალბათ მედეა იყო. როდის გაიღვიძა? ალბათ მაშინ, სკამი რომ ფეხით დადაგდო დაბლა. ბუნდოვნად ახსოვს, საათის ზარის ხმაც რომ ჩაესმა. საათმა სამჯერ დარეკა. თითქოს დაელოდა კიდევ, მეტჯერ ხომ არ დარეკავსო. არა, საათი დადუმდა. მხოლოდ სამჯერ დარეკა. მერე აღარაფერი ახსოვს.

მაჯაზე ექიმის ხელი იგრძნო და თვალი ისევ გაახილა. ექიმი ამჯერად სკამზე იჯდა და ხელში მისი მაჯა ეჭირა.

— თავს როგორ გრძნობთ? — ჰკითხა ღიმილით.

თამაზმა თვალებში შეხედა.

„ალბათ ვიჟი ვგონივარ. ან იქნებ ფიქრობს, რომ ჩემი გადარჩენით დიდი საქმე გამიკეთა".

— თავს როგორ გრძნობთ? — გაუმეორა კითხვა ექიმმა.

— ჩემმა მშობლებმა ხომ არაფერი იციან? — შეებრუნა კითხვა თამაზმა.

— არც მშობლებმა და არც თანამშრომლებმა. თქვენმა მეგობარმა არ დაგვანება ვინმესთვის შეგვეტყობინებინა.

თამაზი ოდნავ დამშვიდდა. მიხვდა, ეს „თქვენი მეგობარი" ოთარ ნიკარაძე იყო.

— ძალიან გთხოვთ, ნურაფერს ნუ მკითხავთ და ჩემთანაც ნურავის შემოუშვებთ.

— არც თქვენი მეუღლე შემოვუშვათ?

„ჩემი მეუღლე", — თვალები დახუჭა უნებურად თამაზმა.

— დიახ, არც ჩემი მეუღლე.

ექიმი წამოდგა და სკამი გვერდზე მისწია.

— შინ როდის გამიშვებთ? — იკითხა ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

— ალბათ ორი დღის შემდეგ, ჯერ სიცხე ვაქვთ. გარდა ამისა, კიდევ უნდა გამოვიკვლიოთ ზოგიერთი რამ.

ექიმი წავიდა. კარის გაჯახუნებისა-

ნავე თამაზმა თვალი გაახილა, ვიწრო, გრძელი ოთახი შეათვალიერა. ჭერზე უბრალო, რძისფერი ჭაღი ეკიდა. ფანჯარა რკინის ბადით იყო ამოჭედილი.

თამაზ იაშვილს მწარედ გაეღიმა.

„ეს ოთახი ალბათ ჩემისთანა ხალხისთვის არის განკუთვნილი, ფანჯრიდან რომ არ გადახტნენ“.

მერე შეეცადა გვერდზე გადაბრუნებულიყო. აქამდე რატომღაც ეგონა, რომ გაუჭირდებოდა, გადაბრუნებას ვერ შესძლებდა. გაუკვირდა, ისე იოლად იცვალა მხარი, მხოლოდ ყელის ტკივილი იგრძნო და გუნება ისევ მოეშხამა. ყელი თეთრი ბინტით ჰქონდა შეკრული. კედლისკენ გადაბრუნდა თუ არა, თვალი ისევ დახუჭა. მერე ნელ-ნელა თავი დაუშმიდა და ჩაძინნა. როცა გაეღვიძა, დილა იყო. ნუთუ მას მერე სულ ეძინა? ან რა რიცხვი დღეს?

ოთახში მომგელელი ქალი შემოვიდა და წამალი დაალევინა.

— თავს როგორ გრძნობ, შვილო! — ჰკითხა მზრუნველად ქალმა.

— კარგად, გმადლობთ!

— კარგად იყავი, შვილო, შეიბრალე შენი თავიცა და შენი მშობლებიც.

თამაზზე იმოქმედა ხანში შესული ქალის მზრუნველობით. გულისტკივილით სავსე ხმამ და უცებ საშინლად მოუნდა ოთარ ნიკარაძესთან საუბარი.

— ჩემთან ხომ არავინ არის? — იკითხა გაუბედავად.

— ერთი მაღალი, ლამაზი ბიჭია, შვილო. რაც შენ მოგიყვანეს, ფეხი არ მოუცვლია აქედან.

— დღეს რა რიცხვია, ქალბატონო?

— ცხრა სექტემბერი.

„ცხრა სექტემბერი, მეორე დღე ყოფილა, რაც აქ ვარ“.

— ხომ არ შემოვუშვა, შვილო?

— შემოვიდეს! — თამაზმა თვალები დახუჭა.

ქალი გავიდა და კარი გაიხურა. მალე კარი ისევ გაიღო. თამაზმა იცნო გრძელი, დინჯი ნაბიჯების ხმა. ოთარმა კედელთან მიდგმული სკამი საწოლთან მოსწია და ჩამოჯდა. დაფლორდა. სანამ თამაზი თვალს გაახელდა, თამაზს სირცხვილი სწვავდა, უკვე ანანებდა, რატომ შემოვაშვებინეო, თვალის გახელას აგვიანებდა. არ იცოდა, საუბარი საიდან დაეწყო. ეშინოდა, ვაითუ ჭკუის დარიგება დამიწყოსო. უსიამოვნო ლაპარაკის მოლოდინში გული შეეკუშშა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა თვალის გახელა. ოთარი ღიმილით დასჩერებოდა.

თამაზ იაშვილს გული ყელში მოებჯინა და ლოყაზე კურცხალი ჩამოყოგორდა.

— კაცმა რომ თქვას, კიდევ დიდხანს აპირებ აქ დარჩენას? — მხიარული ხმით ჰკითხა ოთარმა და ვითომც აქ არაფერიაო, ცხვირსახოცით ცრემლიანი უპეები ამოუშრალა.

— მე რომ მეკითხებოდეს, ახლავე წავიდოდით შინ! — გაიღიმა თამაზმა და გულზე მოეშვა.

— ექიმების ხელში ჩემი მტერი ჩავარდა, რომ არაფერი გიჭირდეს, მაინც მოგიგონებენ რამეს. თუ ძმა ხარ, სათვალე გაიკეთე, ასე მგონია, ვიღაც უცხო კაცს ველაპარაკები. — ოთარმა მეგობარს იქვე, ტუმბოზე დადებული სათვალე მიაწოდა.

თამაზმა ფრთხილად იცვალა მხარი.

— შენ რა ნაოპერაციებივით შეშინებული მოძრაობ. სწრაფად შებრუნდი-შემობრუნდი. მართლა კი არაფერი გჭირს. — ოთარმა თავისი მძლავრი ტორებით შეარხია მეგობარი. — დროზე წამოდექი, სანამ რაიმე საზოგადოებრივ დატვირთვას მოგცემენ.

— რა საზოგადოებრივ დატვირთვას? — გაოცდა თამაზი.

— რა და შეიძლება კედლის გაზეთის რედაქტორად დაგნიშნონ. კოლეგიის წევრობა ხომ ნაღდვილად არ აგცდება.

თამაზმა გაიცინა.

— ტყუილად გეცინება. მე ერთხელ,

**გურამ ფანჯიკიძე**
თვალი პატიოსანი

ფეხი რომ მოვიტეხე, საავადმყოფოში სტატია დამაწერინეს მოწინავე ავადმყოფებზე. შენ იცი, ვინ ითვლება მოწინავე ავადმყოფად?

— ალბათ ვინც ექიმებს უჯერებს, რეჟიმს იცავს, წამლებსაც სვამს და საჭმელზეც არ ამბობს უარს.

— არა, ყმაწვილო, ეგ მხოლოდ ერთერთი თვისებაა მოწინავე ავადმყოფისა. შენ ხომ იცი რას ნიშნავს მოწინავე მუშა ქარხანაში, ან თუნდაც საქმოვ ფაბრიკაში? მუშა, რომელიც რამდენიმე დაზგაზე ერთდროულად მუშაობს, არა? აქედან გამომდინარე, მოწინავე ავადმყოფი ჰქვია იმას, ვისაც ერთდროულად რამდენიმე ავადმყოფობა აწუხებს. მაგალითად, კუჭის ტკივილი, ღვიძლის დადაგვარება, სისხლძარღვების გაფართოება. თუ ყველაფერ ამას სტენოკარდიასაც დავუმატებთ, მაშინ ხელთ გვექნება მოწინავე ავადმყოფის ტიპიური ნიმუში.

თამაზმა ტუჩებზე საბანი წაიფარა, არ უნდოდა ოთარს დაენახა როგორ იცინოდა.

— ჰო, იცი, რა გადავწყვიტე? როგორც კი აქედან გამოეწერები, დედაჩემის სოფელში წავიდეთ, მთებში. ვითომ მფრინავივთ გადავფრინდებით. მე მაინც აღარ ვმუშაობ, შენც დასვენება გჭირდება. ჩემს ბიძაშვილებს დღესვე შევუთვლი. შაბათს წავიდეთ. ბოლოებსაც დღესვე ავიღებ. წავიდეთ, არა?

— ჰო, წავიდეთ! — დაუქნია თავი თამაზმა. ძალზე ეესიამოვნა მეგობრის წინადადება. ახლა მას თბილისში დარჩენა აღარ შეეძლო. ცოტა ხნით მაინც უნდა გასცლოდა აქაურობას, სანამ ჭორები და მითქმა-მოთქმა მიწყდებოდა.

— ბიღეთებს შაბათისათვის ავიღებ, დღეს ოთხშაბათია, მანამდე ალბათ გამოგწერენ კიდეც საავადმყოფოდან.

— ნეტავ დღესვე წავიდოდე აქედან! — ოთარ ნიკარაძეს უცებ თავში რაღაც აზრი მოუვიდა და თვალები გაუბრწყინდა.

— ბოლო-ბოლო, შენ მართლა ავადმყოფი ხომ არა ხარ, კაცმა რომ თქვას, რა გინდა საავადმყოფოში?

— ხომ გეუბნები, რომ გამომიშვებდნენ, ახლავე წამოვიდოდი.

— მაშინ იცი რას გეტყვი? — მოჭუტა თვალები ნიკარაძემ. — გინდა გაგაპარო?

— როგორ?

— სრულიად უბრალოდ. ღამის ათ საათზე ან თერთმეტზე მანქანით მოგადგები. შენ დაბლა ჩამოხვალ. იმ დროს ექიმები აქ აღარ არიან. ჩაესვამ მანქანაში და პირდაპირ ჩემთან აგიყვან. ხომ არ გგონია, ამათზე ნაკლებად მოგივლი.

თამაზმა გაიცინა.

— რა გაცინებს?

— მერე, ექიმები რომ შეშინდნენ?

— აბა, ბიჭო, შეიძლება გული გაუსკდეთ შიშით. აგერ საწერ-კალამი, მგონი ფურცელიც მაქვს საღღაც...

ოთარმა ჯიბიდან საწერ-კალამი და ფურცელი ამოიღო.

— შენ პატარა წერილს დაწერ და ექიმებიც მშვიდად იქნებიან. მაშ, შევუდგეთ არა, გეგმის ზუსტად დამუშავებას?

თამაზმა ისევ გაიცინა.

— რა გაცინებს, თანახმა ხარ თუ არა?

— თანახმა ვარ.

— მაშინ თერთმეტი საათისათვის მზად იყავი. ჩვენ ქვემოდან სამჯერ მოგცემთ სიგნალს. შენ წახვალ დერეფნის მარჯვენა მხარეს, ტუალეტისაკენ. იქიდან კი ვიწრო, სამარქაფო კიბე ეშვება პირველ სართულამდე. იმ კიბით დაბლა ჩამოხვალ. მე კარისკაცი უკვე შეკერილი მეყოლება. ტანსაცმელიც მანქანაში მექნება. ახლა მთავარია ექიმებს დაუჯერო და ცოტა ნდობა მოიპოვო. მთელი დღე შენს განკარგულებაშია. ხომ იცი, შენზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა იქნება დაწესებული.

— მაგისი ნუ გედარდება. — გაეღიმა თამაზს.

— Я доволен тобой, мой мальчик! — ოთარმა მეგობარს თმებში ხელი შეუყო, შეაჯანჯარა, თვალი ჩაუკრა და ფეხზე წამოდგა.

პატარა თვითმფრინავი, როგორც იქნა, დაუძვრა ღრუბლებს და მთებს თავზე მოექცა. ქედებს შუა ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ღილის რძისფერი ნისლი.

ოთარი და თამაზი დაახლოებით შუა ადგილას ისხდნენ, ფრთის ცოტა უკან. თამაზს შავი სათვალე ეკეთა. ოთარი უდარდელად გაშოტილიყო ქვეი თვითმფრინავის მორყეულ სავარძელზე. ილუმინატორში ხანდახან თუ გაიხედავდა. მისთვის ამ ტრასაზე ყველაფერი ნაცნობი იყო. მხოლოდ დროდადრო თუ ეტყოდა მეგობარს, ეხლა ეს მდინარე ან ეს ქედი გამოჩნდებაო.

თვითმფრინავის წინა ნაწილი მთლიანად ალპინისტებს ეჭირათ. ყველას სპორტული ტანსაცმელი ეცვა. უკან, სპარგული მათი ტომრებითა და ყუშებით იყო სავსე. ისინი კარტს თამაშობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ზოგიერთებს კი ყოკეის ფერადი ქუდები თავლებზე ჩამოეფხატათ და ეძინათ. ილუმინატორში ისე, შემთხვევით თუ გაიხედავდნენ. თვითმფრინავიდან მათთვის ალბათ სრულებით არ იყო საინტერესო მთები.

უკან ჭრელთავსაფრიანი სოფლელი დედაკაცები და ამ სიცხეში რატომღაც თბილად ჩაცმული კაცები ისხდნენ. არცერთი ხმას არ იღებდა, ძალზე სერიოზული გამომეტყველება ჰქონდათ და პირდაპირ მფრინავის კაბინისაკენ იცქირებოდნენ.

თამაზისა და ოთარის წინ ერთი წიოურთმებიანი წვერმოშვებული კაცი იჯდა. მის გვერდით, სავარძელში, ფანჯრის მხარეს, ჯორფლიანი ქერა ბიჭუნა სხმარტალუბდა, თან სულმოუთქმელად ტლიკინებდა.

— მამიკო, როგორ ჩერდება თვითმფრინავი ჰაერში? — მკონი ეკითხებოდა თავგაბეზრებულ წვეროსანს.

— ვერ ხედავ, შვილო, ორი ფრთა აქვს, ხან ერთს ეყრდნობა, ხან მეორეს.

ოთარს თვალი არ გაუხელია ისე ჩაეცინა. თამაზმაც ჩაიღიმა, დაიხედა მეგობარს ჩასჩურჩულა, უკეთეს ვერ ... კაცი ვერ მოიფიქრებდაო. მერე ისევ ილუმინატორისაკენ მიბრუნდა, ქვემორთ, ქედებს შუა პატარა სადგური გამოჩნდა. დაქსელილი ლიანდაგები და რკინის თავმოკუბეული ელექტრონის ბოძები ზემოდან ნოტებს ჰგავდა.

მალე სადგური უკან დარჩა. დაბლა, ჭალაში, სიყვითლეშეპარული ტყის თავზე თამაზმა თვითმფრინავის ჩრდილი დაინახა. ჩრდილი უცებ ხეებში გადაეშვა და თეთრ რიყეზე გაეფინა.

ოთარმა თვალი გაახელი და წინა საკვარძლის ქვეშ გაყოფილი გრძელი ფეხები მოკეცა. სოფლელები ძველებურად გაეშიმეტი ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. ალპინისტებს ისევ გაჰქონდათ ხორხოცი.

ქვემოთ ეკლესია გამოჩნდა. ფერდზე აშენებული წითელი კრამიტით გადახურული თეთრი ეკლესია გაფოფრილ კოხს ჰგავდა. საფლავის ქვები კი მინდორში გაბნეული პატარა წიწილებივით მოჩანდა.

ოთარ ნიკარაძემ მარცხენა ხელი მეგობარს გადახვია და შუბლი ილუმინატორს მიადო.

— ეკლესიას გადაფუფრინეთ? ... წუოში დავეშვებით.

ფანჯარაში უკვე მოჩანდა თოვლით დაფარული მთები.

მალე თვითმფრინავმა რყევა დაიწყო და ნელ-ნელა დაბლა დაეშვა. ბოლოს გამოჩნდა აყირავებული ,ეროფლოტი და პატარა, წითელი აგურით აშენებული აეროპორტი.

თვითმფრინავი აბიბინებულ მინდორზე გასრიალდა. ალპინისტები აურზაურით აიშალნენ. სოფლელები ისევ გაუნძრეველად ისხდნენ სანამ თვითმფრინავი სულ არ გაჩერდა და ძრავების გუგუნიც არ მიწყდა.

---

**გურამ ფანჯიკიძე**
**თბილი პატიოსანი**

თვითმფრინავში ერთბაშად ჩამოცხა. ალპინისტებმა გასასვლელს მიაშურეს, ტომრები და ყუთები ზურგზე მოიგდეს.

ოთარი არ იძვროდა.

—რა გეჩქარება, ჩავიდნენ, — უთხრა თამაზს და გერჩიელად გაიზმორა.

თვითმფრინავი დაცარიელდა. ოთარი წამოდგა, სპორტულ ჩანთებს ხელი წამოავლო და პატარა ტრაპზე ჩაადგა. იმავე წუთში დაინახა თავისი ზონეზრობა ბიძაშვილები. ისინი თვითმფრინავის შორიახლოს იდგნენ, ჩექმებზე მათრახს ტეტლაშუნებდნენ. ოთარმა მისალმების ნიშნად ჩანთიანი ხელი მაღლა ასწია, ბიძაშვილებთან ჩვეულებრივ დინჯად, ფეხის აუჩქარებლად მივიდა, ჩანთები დაუდევრად დაყარა მინდორზე და ორთავეს სათითაოდ გადაეხვია. მერე მათ თამაზზე წარუდგინა.

— რა არის, ბიჭო, ამ ჩანთების მეტი არაფერი გაქვს?

— ორი ყუთი ჩეხური ლუდი დგას საბარგულში, ადით და ჩამოიტანეთ.

— ოო, ვატყობ შენგან ნელ-ნელა გამოვა კაცი! — მოწონების ნიშნად ხმარზე ნიჩბისოდენა ტორი დაჰკრა ერთმა ბიძაშვილმა.

მეორე ბიძაშვილი, რომელიც ეტყობა უმცროსი უნდა ყოფილიყო, თვითმფრინავში ავიდა და ორთავე ყუთი ამოიიღლიავა.

— ცხენები სად არიან? — იკითხა უცებ ოთარმა.

— იქით! — ხელით ანიშნა უფროსმა ბიძაშვილმა. ჩანთებს ხელი დაავლო და ყველანი აგურის პატარა შენობისაკენ გაემართნენ.

ცხენები იქვე გზისპირას გამოებათ, ვერხვებზე.

— ბიჭოს, შენი ჯაგლაგი კიდევ ცოცხალია? — ოთარმა გავაზე შემოჰკრა ხელი ერთ წაბლისფერ, ტანმორჩილ ცხენს.

— ჩემს ჯაგლაგზე მე თვითონ შეეჯდები. შენ რომელიც მოგწონს, ის აირჩიე.

ერთ ცხენს ტკბილი აჰკიდეს.

— ეს ცხენი ვისია? — ერთი ცხენი ვერ იცნო ოთარმა.

— ეგ ის კვიცია, ბიძაშენი რომ [illegible] დვას უპირებდ[illegible]ია შენ არ დაანებე.

— რას მელაპარაკები. აბა, ამაზე მე შეეჯდები.

— შენი ნებაა, ოღონდ ფრთხილად იყავი, შენსავით გადარეულია.

— შენმა მეგობარმა თუ იცის ცხენზე ჯდომა? — ჰკითხა ოთარს უფროსმა ბიძაშვილმა და თამაზის სათვალეს ეჭვით შეხედა.

— ნუ გედარდება, ჩემმ როსტომ, ძველი ცხენოსანია.

„როსტომი“, — თქვა გულში თამაზმა. უმცროსს ამირანი ერქვა. ეს უკვე იცოდა.

როსტომმა მაინც ყველაზე თვინიერი ცხენი შეურჩია სტუმარს.

— აბა, წავიდეთ! — შეათამაშა მათრახი როსტომმა და ცხენოსნები დაიძრნენ.

მზე უკვე მაღლა აწეულიყო, ცხელოდა. სულ არ ეტყობოდა, სექტემბრის შუა რიცხვები რომ იყო.

ცხენოსნებმა მთავარი გზა გადაკვეთეს და მოკლეზე აუყვნენ ფერდობს. წინ როსტომი მიდიოდა, მერე ოთარი, თამაზი და ბოლოს ამირანი, რომელსაც მარცხენა ხელში ბარგგადაკიდებული ცხენის ალვირი ეჭირა. ერთხანს ასე იარეს, მერე ფერდი აათავეს და ისევ გაიგაკეს. ოთარ ნიკარაძე ბიძაშვილს გაუსწორდა. როსტომმა თავი გვერდზე მოატრიალა და ოთარი ჩაათვალიერა.

— რას გაფითრებულხარ, თვითმფრინავმა ხომ არ გაწყინა.

— სისხლის გათეთრება მჭირს და აბა რა გამაწყალებს.

— ფუ, ჯვარი გწერია! ქალაქში ხუმრობაც დაგვიწყნია.

ოთარმა გაიცინა და ცხენს კისერზე ხელი მოუტაპაუნა.

— რა კარგი ცხენი დამდგარა.

— კიდევ კარგი, ჩამოხვედი! — ხმამაღლა წამოიწყო უკან მომავალმა ამირანმა. — როგორც ძველმა მოკრივემ, იქნებ რაიმე ახალი ილეთი მასწავლო.

— რაც გასწავლე, გამოგადგა? — მოიხედა ღიმილით უკან ოთარმა.

— დიდად არაფრად გამომდგომია. ამ ორი კვირის წინ სანამ ერთ ჯეელს სიფათში ჩვენებურად თავი არ ვაჭამე, არაფერი გამომივდა. ვერ მიშველა შენმა ნასწავლმა ამბერკოტებმა.

თამაზი მამიდაშვილ-ბიძაშვილების საუბარს ყურს უგდებდა და გუნება უკეთდებოდა. დროდადრო როსტომსა და ამირანს თვალს შეავლებდა. ცოტა სასაცილოდ გამოიყურებოდნენ მთის ტანმორრილი ცხენებზე გადამჯდარი უზარმაზარი ვაჟკაცები.

— სანადიროდ როდის წავალთ? — იკითხა ოთარმა და როსტომს შეხედა.

— თუ გინდა ხვალვე, მაგრამ ვაი რომ ქალაქში თოფის სროლაც დაგავიწყდებოდა.

— იქნებ გავკიბრებოდით.

— რომელი თოფით, შენ რომ მაჩუქე? — დამცინავად უთხრა როსტომმა.

— ნუ გეშინია. თუ დაიმსახურებ, თოფსაც გაჩუქებ. აგერ იმ ჩანთაში გალალაპებული „ზიმსონი“ მიდევს.

— ეჭვი აღარ მეპარება, შენგან ნამდვილად გამოვა კაცი, — გაიცინა როსტომმა და თან გრძელი ტყვიის ჩანთა შეათვალიერა, სადაც თოფი ეგულებოდა.

ხეობა ნელ-ნელა დავიწროვდა. თამაზმა მთას ახედა. დათოვლილი მწვერვალი თითქოს სულ ახლო იყო, რაღაც ორ ნაბიჯზე.

— მოგწონს? — ჰკითხა ოთარმა.

თამაზმა თავი დაუქნია და მარჯვენა ხელის ცერი ასწია. მერე ისევ მთას ახედა. მწვერვალი თეთრად ლაპლაპებდა. მის გაგრძელებაზე ზოლი სამკუთხედად იყო შეჭრილი მწვანე, ალპურ ზონაში. მწვერვალს თითქოს თეთრ პერანგზე სამკუთხედად ამოჭრილი მწვანე ჯემპრი ჰქონდა გადაცმული.

მალე კრამიტით დადახურული ოდები გამოჩნდა. თამაზ იაშვილს თვალში მოხვდა აქაური კრამიტის წითელი ფერი.

უცებ ოთარმა და როსტომმა ცხენები შეაჩერეს. თამაზის ცხენიც თვინიერად გაჩერდა მათ გვერდით.

— აბა, იმ სახლს შეხედე! — უთხრა ოთარმა მეგობარს და ხელი გაიშვირა.

გზის გადაღმა მწვანეში ჩაფლული, ახლად შეღებილი ცისფერი სახლი იდგა. აივანზე სამი ახალგაზრდა ბიჭის შავ ჩარჩოში ჩასმული სურათი იყო გადმოკიდებული.

— ობლად გაზრდილან, უმამოდ. სამთავენი ჯარში წაუყვანიათ და აღარ დაბრუნებულან. დედა მაგათ ჯავრს გადაჰყოლია. ახლა ამ სახლს სოფელი უვლის! — ნაღვლიანი ხმით თქვა როსტომმა და თავი სინანულით გაიქნია.

— უფროსი ოცდაორი წლისა ყოფილა, — ჩაუთო ამირანმა, — უმცროსი ცხრამეტისა...

— მერე რა, მაგას არა აქვს მნიშვნელობა, — შეაწყვეტინა ოთარმა, — მთავარია მოასწრო შენი სათქმელი. ამ ბიჭებმა თავისი უკვე თქვეს!

თამაზს თითქოს ყელში რაღაც გაეჩხირა. სურათებს დააკვირდა. იქიდან ჯანით და ღონით სავსე მოცინარი ბიჭები შემოჰყურებდნენ.

ოთარ ნიკიანაძე სურათებს ჩუმად შესცქეროდა. ვინ იცის, რამდენჯერ ეუვლია ამ სახლთან, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა, ერთი წუთით მაინც შეჩერებულიყო და ნაცნობი სახეებისათვის თვალი შეევლო. თითქოს მისი მეგობრები იყვნენ, თითქოს ბავშვობა მათთან ჰქონოდეს გატარებული.

ის იყო წასვლას აპირებდნენ, რომ უცებ ომახიანი არმიული სიმღერა მოისმა. უკან მოიხედეს. უზარმაზარი კლდით გადახურული მოსახვევიდან ასეული ისე გამოდიოდა, როგორც გვიანადან მატარებელი დამოდის ხოლმე. ბოლოს ასეული სწორ გზაზე გაიეშმა. მძლავრი სიმღერის ხმა გადმა-გამოდმა კლდეებს ასდებოდა და იქვე იმსხვრეოდა.

— Отставить песню! — გაისმა ოცეულ ოფიცერის ხმა — смир-но!

---

**გურამ ფანჯიკიძე**
**თბილი კატიოსანი**

სიმღერა ერთბაშად შეწყდა. ახლა ხეობაში მოხრეშილ გზაზე მწყობრად გადადგმული ნაბიჯების ხმა ისმოდა.

— **Равнение направо!** — გასცა ბრძანება ოფიცერმა, როგორც კი სახლს მიუახლოვდნენ.

ასეულმა მწყობრი, გაჭიმული ნაბიჯებით ნაუარა სამი ვაკაცის სურათს და სამხედრო პატივი სცა ომში დაღუპული ბიჭების ხსოვნას.

თამაზმა ვერც კი შენიშნა, ლოყაზე ცრემლი როდის ვადმოუგორდა. ოთარს ქვედა ტუჩი კბილებშუა ჰქონდა მოქცეული, კაცს ეგონებოდა, მოკვნეტას უპირებსო. როსტომსა და ამირანს ხანე დასძაბვოდათ, თითქოს ეშინოდათ, ცხენები არ განძრეულიყვნენ.

თამაზი ხან სურათებს მისჩერებოდა, ხან მხედრული ნაბიჯებით მიმავალ ჯარისკაცებს. მწყობრში დაღუპულთა ტოლი ბიჭები იყვნენ, სულ ახალგაზრდები, თითქმის ბავშვები. ისინი მოკრძალებით, სამხედრო წესით სცემდნენ პატივს თავისი თანატოლი ბიჭების ხსოვნას, რომლებმაც ტყვიას მკერდი შეაგებეს და საფლავებში ჩაიტანეს პირველი სიყვარულის ყველაზე უმანკო და სუფთა გრძნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსი საქართველოზე

იქნებ წინანდლის ვაზებს აღვიძებთ,
ან საინგილოს მთვლემარ ბულბულებს,
ან თმოგვის ციხის გადაძახილზე
მესხეთს რუსთველის ხმა დაუბრუნეთ.
და მთათუშეთის ელვა არწივებს,
იქნებ ყაზბეგის ახლოს დანებდით.
ენგურის ტალღა ისე ასწიეთ,
რომ ჯიხვის რქებზე შედგა სვანეთი.
სად ხართ, ეს გული თქვენსკენ დავძარი,
ლეკსი შევაბი, როგორც ბარათი,
გვეძახის დედა — წმინდა ტაძარი,
წელთა გვირგვინი ორმოცდაათი.
მოდით, გამზრდელის დიად ზეიმზე,
ერთად შევაღოთ ყველამ ჭიშკარი.
დიდი ხნის შემდეგ, თუ კი ვერ მიცნობთ,
საქართველოზე ლექსით მიცანით.

●

არწივი გაცვდა ამდენი ფრენით,
ფრთა დაუკეცა ქარმა.
ზღვის ღელვას შერჩა ის შორი გემი,
სისხლი კი იმ ჭრელ დანას.
შენც გაგეპარა ალერსი სიზმრის
და გული აღარ გერჩის,
ორგულად გატყდა ერთგული ფიცი,
ირემი მოჰკლეს მთებში.
მისი ცრემლები ბალახებს ნამავს,
ცა კი ლურჯია, ლურჯი.
ასე იქნება დალატი ხვალაც,
რადგან ეს იყო გუშინ.
დღეს კი რაც არი, ეს უნდა იყოს,
სიმღერა იქცეს ლოცვად.
და გაუმარჯოს იმ ნეტარ სტრიქონს,
თავს რომ ავიწყებს მგოსანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მცირე მხრებზე დიდი ტვირთით
დე, გაგეკლოს ბეწვის ხიდი.

ძნელი არი, მაგრამ მაინც
უნდა გაიარო.
გამოისხა ქედი ხარის
გადრეკილო ბწკარო.

ზღვა ღელვისებრ მომიქციო,
ძალა გქონდეს ზვავის.
სულ მისწრებდე და სულ გდიო,
როგორც მთვარეს მტკვარი.

სიყვარულის ცეცხლით მძლიე,
დამეც მისი დაშნა.
ელვასავით შემამსხვრიე
თეთრი მთების ჯაგშანს.

მერე ფეხზე დამაყენე,
უკვდავების ზარო.
და სიკვდილის გზა მიყელე,
ვაღუნულო ბწკარო...

## ძნელი არი...

ძნელი არი, ძლიერ ძნელი
თან ილაღო, თან იბრძენო.
დაამოკლო შორი გზები,
ლექსში სუნთქვა გაიგრძელო.
წუთისოფლის განცხრომანის
ჯამიც გედგას სავსე დარდით,
თან რაღაცა საშოვარი,
თან ვიღაცა საძებარი.
ძნელი არი, მაგრამ მაინც
ტკბილი — მწარე წამლებივით.
სააქიმო შორი გზაი,
ღრუბელივით დაღვრემილი.
ბედისწერის ავგაროზის
რხევით მკერდი გაცვეთილი.
აკრძალული, რასაც კოცნი,
და სიმწარე ასე ტკბილი.
მოსვლის ცრემლის გაშრობამდე
განშორების შორი მიჯნა.

კარგი გოგოს ნაშოვნ წამლებს
მეასედ რომ მოისინჯავ,
და თბილისის გაცისკრებას
ჩაადნები მწველი ლოცვით.
როცა არ გდევს კაცის ფერი
და როცა გდევს ფერი მგოსნის.
ძნელი არი, დასტყვილი
ოცნებები გაგიურჩდეს
და სიცოცხლის ვაზნებივით
სულ ეფერო წამლის შუშებს.
ძნელი არი, ძლიერ ძნელი,
თან ილაღო, თან იბრძენო.
დაამოკლო შორი გზები,
ლექსში სუნთქვა გაიგრძელო.
წუთისოფლის განცხრომანის
ჯამიც გედგას სავსე დარდით.
თან რაღაცა საშოვარი,
თან ვიღაცა საძებარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ა რ ა ბ ვ ი

**მეგობარ პოეტს გივი ძნელაძეს**

იქნებ დაჭრილი ვეფხი ხარ
ან ლომი ისარგაყრილი,
კლდეებზე რისხვით შეხლილხარ,
ბრდღვინავ და ისე გაპყვირი.
შესწვდი და ცისკრის ვარსკვლავი
მოსწყვიტე ზეცის უბესა.
ცისა და მიწის ზანზარი
თითქოს მოგესმის ნუგეშად,
გიმზერ და აბა, ამ ქვეყნად
განა სიკვდილსაც ვინანებ?
ოღონდ შენსავით აღელდეს
ჩემი ცხოვრების მდინარე...

●

ლექსო, ისევ გამიხსენე
და მიმაგდე სათამაშოდ.
დღევ — ჭაღარა დედის ხელო!
ღამევ — მამის წვერულვაშო!
ლექსო, ერთხელ მაინც მითხარ,
რა ელდა ხარ, რა გოდება.
მომჩქეფარე ბადაგი ხარ,
თუ პური ხარ მახობელა!
თუ ხმალი ხარ გაბასრული,
ან ნასროლი შმაგი ტყვია!
ერთი რითმის საფასურად
სიცოცხლე რომ წაგიღია!

იქნებ ზღვა ხარ, დასასრჩობად
შემიტყუე, შემითვისე
და ცრემლების გასაშრობად
არ გამრიყავ მზის ნაპირზე!
იქნებ გინდა ეშხი მიწის
ისევ აღარ დამანახო.
მაშ, სტრიქონის რძის გულისთვის
რად გამიშვი საბალახოდ!
ლექსო, კიდევ გამიხსენე
და მიმაგდე სათამაშოდ.
დღევ — ჭაღარა დედის ხელო!
ღამევ — მამის წვერულვაშო!

●

ის იყო ქალი გედივით ნაზი
და სიყვარულით ავსილი თასი.
ვარდებს, მიმზეებს უვლიდა მარტო
და მერე გული მსახიობს ანდო.
ასე გაფრინდა უმანკო ლოცვა,
სახეზე გრიმი გადისვა მორცხვად
და ისიც ფარდის მიენდო შრიალს,
მსახიობობა დაიწყო გვიან.
ბოახლე გოგოს როლი ხვდა წილად,
იწვოდა მეფე — მეუღლის წინა...
და ერთხელ როცა შეირხა ზარი,
თეატრში აღარ მოვიდა ქმარი.
ალ დაიკარგა, ყველანი წუხდნენ
და გვიან ისევ დუბლიორს უხმეს,
სულმოუთქმელად მოვარდა იგიც,
ხარბად ირგებდა სამეფო გვირგვინს.
ბოახლე გოგოც აფრქვევდა ღიმილს
და არ იცოდა, რომ იყო ქვრივი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი

ლიანდაგებზე მაზუთი წვეთავს,
დალაქულია გზა და რელსები.
ბოძებზე შავი ყვავები სხედან
და უადგილოდ წუხან მერცხლები.
გზას ელმავალი მიბღავის ისევ,
გადიგრიალა ველები სწრაფად.
არ ჩერდება და ძახილით მისდევს
ხელებგაწვდილი პატარა დაბა.

ის კი გულცივად მიქრის და მიქრის,
მიქრის და აპობს მიწის ოხშივარს.
მცირე პლატფორმებს ჩაუვლის რიხით,
დიდ სადგურთან კი დგება მორჩილად.
დგება ქუდმოხდით და სალამს უძღვნის
ჩახჩახა ფერებს ქალაქის თავზე
და მლიქნელურად გართხმული უცდის
დიდ ჩემოდნიან პატარა კაცებს...

# ორბელიანი ახალ წლის ღამეს

ნაწყვეტი პოემიდან

შუქდაფრქვეული კრთიან ჭაღები,
გარეთ ჩინჩხლები ცვივა ჟინჟღილებს.
ნინიკა რკინის კარებს გაუღებს
მწვრის წელიან თავადიშვილებს.

და მარმარილოს ბუხრის ტკრციალი
ქალებს უბრწყინვებს ლალს და ბრილიანტს.
ვეფხვივით დადის ორბელიანი,
ახალ წლის ღამით კმაყოფილია.

ძელქვის გულმკერდი გადაუშლია,
ეპასუხება ლამაზ კნეინებს:
„ვინა, შამილი? თუმცა ურჩია,
ამაყ ქედს მაინც მოვახრევინებ“.

„მისი ნაიბიც არის გულადი?“ —
მორცხვად იკითხა ალის ღაწვებამ.
„ისე გამირბის ჰაჯი-მურადი,
კურდღელს არ ძალუძს·მისი დაწვა.“

ასტეხს გრიგოლი ხარხარს ვნებიანს,
თანაც რაინდულ იერს იფერებს,
თუმც სიჭაბუკე ჩახუტებია, —
შორს ყინულივით დაძრულ სიბერეს.

მაინც ღრეობის ეშხზე მოსულა,
ამდენი ხოტბით ნაალერსები,
ისმის კისკისი რჩეულ ასულთა
და წკარაწკური ვერცხლის დეზების.

გარეთ კი თეთრად ქათქათებს თოვლი
და ბეღურები კენკავენ ფიფქებს,
თავაწყვეტილი ცხენები ჩოქვით
ანთებულ კართან გაკრულან პირქვე.

ოგია იოსელიანი
ეარეფნელი
ბინელიოთეკა



# მანჭანის ტატაცება

ანდროს შვილები ღვთის ანაბარა არ გაზრდილან, რომ მამას ახლა ეგრძნო მშობლის მოვალეობა, როცა ზარალის ასანაზღაურებლად მოაკითხეს. მისი შვილებიც ისეთები იყვნენ, როგორც სხვები. ისინიც ისე ამსხვრევდნენ მეზობლის ფანჯრის მინებს, როგორც სხვა ბაკშვები, ისე იყვლეფდნენ იდაყვებს და კინკლაობდნენ, როგორც ასი და ათასი.

ანდრომ იცოდა, დანაშაული, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა გეჩვენოს, დაუსჯელი არ უნდა დატოვო, თუ გინდა ის აღარ განმეორდეს, ან უარესი არ მოხდეს. დასჯას დაუსჯელობა ჯობია, თუ ხელაღებით აყვირდი, ან კიდევ უარესი — წაუთაქე.

ანდრო შვილების ცხოვრებაში ყოველთვის ფრთხილად და წინდახედულად ერეოდა, მათგან არავითარი სიცელქე და უცნაურობა არ უკვირდა. მაგრამ იმას, რაც გუშინ ზალიკომ ჩაიდინა, მაინც არ ელოდა. ამას რომ თავი დავანებოთ, მამისთვის ყოველად გაუგებარია, წარმოუდგენელია, რომ ზალიკომ არ იცოდეს, რა დააშავა.

აი, რა აშფოთებს ანდროს, აი, რაა, რომ გულს უხეთქავს მამას: ასე როგორ

უნდა გაეღო მეზობლის გარაჟი? რასაკვირველია, ის მეზობელი შენთვის უცხო არაა და არც მისი მანქანა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ვიღაც უცნობის გარაჟს არ გატეხავ, ან გზაში დაყენებულ მანქანას არ მოატტები, თუ არ იცი, რა ჩაიდინე.

მამას აუცილებლად უნდა გაეგო, რა ამოქმედებდა შვილს, როცა დანაშაულს სჩადიოდა (მას ხომ უცაბედად ნაღმზე ფეხი არ დაუდგამს და არ აფეთქებია). იფიქრა, იფიქრა, უთავლთავლა, სანამ მეზობელ ეზოდან არ გავიდა, წინდაწინვე იცოდა, სად ინახავდა პატრონი გასაღებს, (მიაქცია ამას ყურადღება, დაიმახსოვრა) მეზობელს უყვარდა, ხშირად იყო მათთან, ქალაქგარეთაც არა ერთხელ ახლდა, საჭესთან დაუსვამს და ყველაფერი ბოროტად გამოიყენა.

გუშინ ადგა, გაიღო გარაჟი, დაჯდა მანქანას, გამოიყვანა, დადგა გზას, მაშინვე კინაღამ საბარგოს შეასკდა და მოსახვევში იმავე საბარგოს ისევ ბეწვზე გადაურჩა. როგორღაც გააღწია გარეუბანში, ახალი გზის მშენებლობამდე მივიდა, მობრუნდა, თითქოს იმ ველოსიპედის გამოჩენას ელოდაო, რომელზეც გოგო და ბიჭი იჯდა, მერე პირდაპირ მთავენ გაექანა, გვერდის აქცევის საშუალება არ მისცა, დაახნა და დამფრთხალნი ტროტუარზე გადაყარა. ბიჭი გოგოს დაშავებას მოერიდა, ფეხი ტროტუარის შემაღლებასა და ველოსიპედს შორის მოუყვა და წვიის ძალი აეტეხა. ხალიკომ, როცა ძირს დაცემული ველოსიპედისტი და შიშისაგან გაფითრებული გოგონა დაინახა, გაიცინა, ხელიც კი დაუქნიაო ირწმენებოდა. დამსწრე. იმ წუთს წამოვიდა და, როცა იქაურობას გასცდა. სადაც ყველაზე ნაკლებად იყო მოსალოდნელი ხიფათი, იქ გაექცა საჭე, ბეტონის მაღალი ძაბვის ელექტროობს მიაფშვნა მანქანის წინა მარჯვენა ფრთა და ორივე კარი შეტყლიეა. ერთი კი შემოუტყაპს თავში ხელი, მერე უფრო მშვიდად წამოსულა. დაბრუნებულა გარაჟში, დაუყენებია/ მანქანა, დაუკეტავს კარები, გასაღები თავის ადგილას შეუნახავს, მეზობლის ეზოდან სხვა ეზოში გადამხტარა და მიმალულა. წუხელ, ღამით მისულა პატრონთან და ყველაფერი თავისი პირით უამბნია: უკან მომყავდა, მანქანა აღარ მჭირდებოდა, ბოძს რომ დავეჯახე, უბრალოდ, გამოუცდელობით მომივიდა, ეს სულ არაა გასაკვირი, მე ხომ ხეირინად სიჩქარეების გადართვაც არ ვიცი...

მაგრამ არც მეზობელთან და არც მერე მამასთან თავი არ დაუდანაშაულებია, რატომ გავაღე და უკითხავად სხვისი მანქანით რატომ წავედიო. არც იმაზე შეწუხებულა, კინაღამ ორი ადამიანი რომ იმსხვერპლა. თავი იმართლა: არ ვიკითხე იმიტომ, რომ ნებას არავინ მომცედა, რაკი მართვა არ ვიცი.

მეასედ ჰკითხეს:

— რატომ წახვედი? რა ჭკუაზე იყავი?

— ჩემი იყო მანქანა, თუ სხვისი, ვიცოდი მართვა თუ არ ვიცოდი, უნდა წავსულიყავი, მაგრამ, რაც შეეხება ველოსიპედისტთან ხიფათს, ის უნდა მომხდარიყო, რაც მოხდაო.

— კი, მაგრამ ის ახალგაზრდები რომ დაგიზოცა?

— კიდევ უფრო ცუდადაც რომ მცოდნოდა მართვა (მუხრუჭის სატერფულზე ფეხის დაჭერა ყველას შეუძლია), იმაზე უარესი არ ელოდათ, რაც შეემთხვათ. მაგრამ ჩემი შეცდომა ესაა, რომ მერე, როცა იქაურობას გავცდი, უნდა დამეყენებინა, დამეკეტა, პატრონთან გავქცეულიყავი და მეთქვა: მანქანით რომ არ წავსულიყავ, არ შეიძლებოდა, მაგრამ არაფერი მოწეეია და შინ წამოიყვანე-მეთქი

ანდრომ რამდენი არ უტრიალა, რა არ მოსინჯა, მაგრამ ამაზე მეტი ვერაფერი გაიგო. მამა იქ კი არ ხედავდა დანაშაულს, რომ როცა ბიჭს შინ მოყავდა მანქანა ხიფათი რატომ შეემთხვა. უბედურება ის იყო. რომ წაიყვანა

და შვილისათვის ვერაფრით ვერ გაეგებინებია, პატრონისათვის გაუკაწრავადაც რომ ჩაებარებია, ამით არაფერი არ შეიცვლებოდა. არ უნდა ეხლო ხელი, ფიქრადაც კი არ უნდა მოსვლოდა, რომ ასეთი რამ ჩაედინა.

მამას სისხლი აუვარდა თავში. შვილი კი არა ვიგინდარაც რომ იყოს, როგორ ვერ უნდა გიგოს, რომ მანქანა, თუნდაც მამაშენის იყოს, არ შეიძლება ქურდულად გიიყვანო, როცა მართვაც არ იცი. აქ მარტო გატაცებაზე კი არაა საქმე, ან ის, რომ მამას არ გაუხარდება, თუ მუშობელს ეწყინება. რა ღირს ბოლოსდაბოლოს წინა ფრთა და ორი კარი... აქ ადამიანების სიცოცხლეზეა ლაპარაკი. წყენა გაუვლის მეზობელს, მით უმეტეს მამას, მანქანა შეკეთდება თუ არ შეკეთდება, ახალს გამოუშვებს ქარხანა, მაგრამ ადამიანი?

შვილი მამის საწერ მაგიდას უზის, ხელები ცივ მინაზე უწყვია და მკლავებზე თავით დამხობილი უსმენს გაცხარებულ შეკითხვებს. პასუხის დროს აიღებს თავს, თორემ შუბლით მაჯაზე დაყრდნობილი უძრავადაა. მამამ იცის, რომ იქ, ზალიოს ცხვირპირთან მისი ამონასუნთქისაგან ცივი მინა შეიორთქლა, დაინამა და ახლა წვეთებიც კი გაჩნდა.

ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, რაც მერე მოხდა, როცა მანქანა გარაჟიდან გავიდა, მაგრამ მანქანა უნდა წაგიყვანა თუ არა?

ბიშმა თავი აიღო.

— ჰო, მითხარი, მე ეს მინდა ვიცოდე და მითხარი!

— ყველაფერი ისე მოხდა.... ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, მერე რომ....

— არა, მერე რა მოხდა ჩემთვის საინტერესო არაა, — ბიშმა ისევ ჩაკიდა თავი, — მერე რაც მოხდა, მე თანახმა ვარ ყველაფერი უსიტყვოდ გადავიხადო. კარგი მართვაც იციან, საჭესთან ბერდება ხალხი, ავარიები მოსდით, ამისგან არავინ არაა დაზღვეული. ეს მარტო კარგ მართვაზე არაა დამოკიდებული, მაგრამ როცა ვიცით სხვის დაკეტილ გარაჟში დგას მანქანა, რომ არ გავალოო, არ დავჯდეთ და არ მოვუსვათ, ეს არის თუ არა ჩვენზე დამოკიდებული?..

ბიჭი მაშინვე გასწორდა.

— მიპასუხე.

— მამა...

— მე ხომ არ მოვითხოვ მაინც და მაინც გადაჭრით მიპასუხო, ან ჰო, ან არა. მაგრამ პასუხი მინდა!

— მერე რომ...

— მერენდელზე, გითხარი, არ მაინტერესებს, მერენდელი სულერთია ჩემთვის.

— მანამდე...

— ჰო, მანამდე.

— მანამდე მე ხომ კინაღამ ორჯერ შევასკდი საბარგოს და ორივეჯერ გადავრჩი. ველოსიპედი რომ წაიქცა და მე გვერდი აეუქცევ, ეს ასე უნდა ყოფილიყო, მერე კი რა მოხდებოდა არ ვიცოდი და უნდა დამეყენებია...

— მოიცა, ეს ისევ მისას გაიძახის!.. მე არ ვიცი მანამდე რატომ არ უნდა დაჯახებოდი საბარგოს, ან ველოსიპედს და მერე რატომ შეასკდი უძრავ ბოძს, ან მანამდე ამას როგორ მიხვდი და მერე რატომ არ იცოდი რა მოგელოდა. ეთქვათ ეს ასეა, არ გედავები, მაგრამ შენ თუ წინდაწინ ივარაუდე, რომ ორჯერ საბარგოს დაჯახებას აცდებოდი, ველოსიპედიან გოგოსა და ბიჭს ტროტუარზე გადაყრილი, ერთ-ერთს წვივის ძვალს აუტეხეო, საკმარისია კაცს ამდენი წინათგრძნობა გაგაჩნდეს. სულაც არ მიკვირს, ამის შემდეგ რა მოხდებოდა, რომ არ იცოდი. მე, მაგალითად ისიც არ ვიცი, დილით რომ გავალ სახლიდან, სადამოს დავბრუნდები თუ არა... მაგრამ ის გესმის თუ არა, მანქანის გაყვანა რომ არ შეიძლებოდა?!

მამა გაჩუმდა. ზალიკომ მაშინვე თავი აიღო. სოფრად დაბნეული სახე ჰქონდა, თითქოს ამდენი ლაპარაკის

შემდეგ მთავარი მაინც გაუგებარი დარჩა.

— როგორ ფიქრობ, უნდა წაგეყვანა?!.

ბიჭი კვლავ შეაჩერდა მამას, თითქოს კითხვა ისევ ვერ გაიგოო.

— მანქანა, რომელიც პატრონს ჰქონდა გარაჟში ჩაკეტილი, უნდა წაგეყვანა?

— უნდა წამეყვანა.

ანდროს ეგონა, რომ ზალიკოს სხვა უნდოდა ეთქვა და სხვა თქვა.

— არ უნდა წაგეყვანა ხომ?

— ხომ ვთქვი, უნდა წამეყვანა.

მამა სკამიდან წამოვარდა, მერე ხელები მაღლა შეისროლა, მაგრამ მალე მოკრილივით ჩამოცვივდა. ისევ ჩაჯდა და ხმაწართმეულმა მარცვალ-მარცვალ განაგრძო:

— კარგი, ასე იყოს, დავანებოთ თავი მანქანა ვისიაცაა. ვთქვათ, არც ამას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ შენ ხომ მართვა არ იცოდი, იმ ბოძის ადგილას რომ ადამიანი ყოფილიყო?!

— ეს მერე მოხდა...

— რის მერე!.

—როცა აქეთ მოვდიოდი.

— შენ იქეთ რომ მიბრძანდებოდი უფრო ცუდად იცოდი მართვა, ვიდრე „მერე“, და რატომ არ შეიძლებოდა „ადრე“ ის ველოსიპედიანი ბიჭი და გოგო გაგეტანა?

— არ შეიძლებოდა.

— რატომ, რატომ, საიდან იცოდი!

— როგორ არა, მამა, ვიცოდი...

სასოწარკვეთილი ანდრო ადგა. შვილს ხელი ნიკაპში ამოსდო, ერთხანს თვალებში უცქირა.

— შენ მანქანის დაჯახების დროს შეშინდი...

— არა, მამა...

— ანდა, როცა ისინი კინალამ გაიტანე, მაშინ.

— მაშინ სულ არა, მე ხომ ვიცოდი.

— რა იცოდი, რა ჯანდაბა იცოდი... წადი დაწექი!

ბიჭი ადგა. მაგიდას მოუარა.

— კი, მაგრამ ასე ხომ შეიძლება ხვალაც „იცოდე“ რა მოხდებაო. ადგე, დაჯდე ვიღაცის მანქანაზე და ... ველოსიპედისტებს ან მოტოციკლისტებს.

—არ ვიცი, მამა...

— რა არ იცი... — სისხლი გაეყინა მამას — რა არ იცი, ბიჭო!

— მამა, ტყუილს ხომ არ ვიტყვი.

ანდრომ თავზე ორივე ხელი მოიკრა, არ გახეთქოდა და ხვეწნით ხმადაბლა ჩაილაპარაკა, რომ ცოლს არ გაეგონა:

— წადი დაწექი, შენ ჭკუაზე არა ხარ, უბედურო...

ზალიკომ ფრთხილად გამოაღო კარები, ფეხაკრეფით გავიდა თავის ოთახში, სადაც უმცროს ძმას უკვე ეძინა. გიიხდა „შარვალი, ნაკეცებში გააყორა, საწოლის თავს გადაადო. პერანგს საყელო გაუსინჯა, ისე ხომ არ გამიჭუჭყიანდა, რომ ხვალისთვის არ გამოდგესო და ლოგინში ჩაწვა.

ზალიკოს მამა მგონი იმიტომაც უყვარდა და პატივს სცემდა, როგორც მამაკაცს, რომ მასთან ოღონდ არ გეცრუა და ყველაფერს გაამართლებდა. როგორი უმნიშვნელო დანაშაულის დაფარვაც არ უნდა გეცადა და სიმართლე დაგემალა, მაშინვე იგი მის თვალში ჯოჯოხეთად იქცეოდა. შვილებს არ შეეძლოთ ეცრუთათ, რაკი მათი ჩადენილი დანაშაული არასოდეს არ იქნებოდა იმაზე დიდი, რაც თვით სიცრუეა.

ზალიკოს ტვინი არ იყო ისე მოწყობილი, რომ მამისთვის თვალი აეხვია და იქნებ სულელურადაც კი გამოვიდა, რომ მას არ შეეძლო მანქანა არ გაეყვანა, რომელიც მეზობლის გარაჟში იყო ჩაკეტილი. არ შეეძლო არ მისულიყო მანქანით იქ, სადაც ცაგო, მისი თანაკლასელი გოგო, თვალები რომ ჭინკებით აქვს სავსე, სხვა კლასელ ბიჭთან ერთად ველოსიპედით ისეირნებდა. ზალიკოს რომ ეთქვა მასთან არ იაროო, დამუქრებოდა, ან საერთოდ, ცაგომ იცოდეს, რომ ზალიკოს არაფრით არ უნდა იმ ბიჭის სახსენებელიც

კი, მაშინ იქნებ არ წასულიყო. ერთხელ მაინც რომ ეთქვა გოგოსთვის ისე, რომ არ დამუქრებოდა, არც გაჯავრებოდა, უბრალოდ მაინც რომ ეთქვა არ მსიამოვნებს სხვას ველოსიპედზე რომ უზიხარო, იქნებ მაშინაც არ წაეყვანა ვიდაცის მანქანა. მაგრამ ზალიკომ ეს ხომ ვერაფერით ვერ უთხრა, ცაგოს თვალები ეშმაკებით აქვს სავსე და ენას უფრო იოლად მოიჭამ, ვინემ რაიმეს ეტყვი.

არა და, გუშინ, ნაშუადღევს, როცა აგრილდებოდა, ცაგო და ის ბიჭი შეთანხმებული იყვნენ (ეს თვითონ ცაგომ უთხრა ზალიკოს) შეხვდებოდნენ ერთმანეთს იქ, სადაც ახალი ფართო გზაა და მაღლა ისევ მშენებლობა გრძელდება, ბოლომდე არაა გაყვანილი ასფალტი, ქუჩა გადაკეტილია და სულაც არაა მოძრაობა. მათ არაფერი ხელს არ შეუშლიდათ, ღამეც რომ ექროლათ ველოსიპედით. იმ ველოსიპედს უკან სპბარგო არა აქვს, რომ გოგო ზედ ჩამოჯდეს, მაინცადამაინც წინ უნდა წამოსხედეს. ცაგომ მართვა ხომ არ იცის და საქვე იმ სხვა კლასელმა ბიჭმა უნდა დაიჭიროს, წინ უნდა დაიხაროს, ცხვირი გოგოს ყურთან უნდა ექნეს. ცაგო უკან ვერც კი მოიხედავს... ბიჭს შეუძლია შეუჩერებლივ, ძალიან ჩქარა ატაროს ველოსიპედი და რაც უნდა ის თქვას...

ცაგო ხომ მისკენ ვერ მიიხედავს. ჰოდა, სხვაკლასელიც რაც უნდა იმაზე ეტყვის...

და ზალიკოს ხომ არ შეეძლო მანქანა არ გამოეყვანა იმიტომ, რომ ის მეზობლის იყო, ან მართვა არ იცოდა, როცა იმ ბიჭს ცხვირი ცაგოს ყურთან ექნებოდა მიდებული, ძალიან ჩქარა გაქროლებდა ველოსიპედს. ცაგოს თმები პირში ჩაუცვივდებოდა და რაც უნდოდა. იმას იტყოდა. წინ ხომ მანქანა არ შემოეფეთებოდათ, გაქროლებულ ველოსიპედს რატომ შეაჩერებდა? თვითონ ზალიკოც რომ დახვედროდა, ის ბიჭს ფეხებში ეშმაკის ქარი ექნებოდა შემდგარი და გვერდს მაშინვე აუქცევდა. იმ სხვაკლასელს რომ სულ არაფერი ეთქვა, ბოლოსდაბოლოს თუ არ დაიღლებოდა, მაშინაც ხომ აუტყდებოდა, ცაგოს ყურს, კისერს, მხარს, თმებს ხომ სულ დაურთქლავდა, დაესველებდა? მერე, როცა ცაგო სახლში წავიდოდა, დაღლილი გოგო მაშინვე ხომ თავს არ დაიბანდა? დაწვებოდა და მთელი ღამე ვერ მოიცილებდა სხვაკლასელი ბიჭის სუნს.

მერე რა, რომ ზალიკომ ხეირიანი მართვა არ იცოდა, იქამდე მაინც მივიდოდა, გზაზე რაც არ უნდა გადაღობებოდა, ასფალტის დასასრულამდე მაინც მივიდოდა, და როცა ძალიან გამოქროლებულ ველოსიპედს დაინახავდა, როგორ ვერ შეხვდებოდა. იმ ბიჭს წინ ცაგო უზის და მუხლებში ეშმაკის ქარი უდგას, მაშინვე წაეფერდებს ველოსიპედს გვერდის ასაქცევად. გოგოს კიდევ უფრო მაგრად შემოუჭერს მკლავებს. ნიკასს კისერთან, მხრის ჩაღრმავებაში ჩაეჭერს და ზალიკოს რა ღმერთი გაუწყრება, რომ მანქანა იქით ვერ მიმართოს, საითაც მათ დააპირეს გადახვევა. ველოსიპედი ორ ბორბალზეა და მაშინვე ტროტუარისკენ მიტრიალება გაჭირდება. ორ კაცს გაქანებული ველოსიპედის მუხრუჭი ვერ დიმაგრებს. ზალიკოს ფეხი მანქანის მუხრუჭზე ექნება. როცა ველოსიპედი წასაქცევად გადაიზნევება, ცაგოს ფეხები ცალ მხარეს ექნება და მაშინვე „სკუპ“ — შენი ველოსიპედი პატრონნინად გადაყიროდა. ზალიკო მაშინვე გვერდს აუქცევს და ხელს დაუქნევს ცაგოს: ველოსიპედზე რომ უჯდები, ხომ უნდა იკითხო, თვითონ პატრონმა იცის თუ არა ტარება. მე კი აგაცილეთ მანქანა, მაგრამ ყველა ჩემსავით მარჯვედ ხომ ვერ ხმარობს საქვე. სულ არ გამოვიყლიდი აქეთ, რომ ასე მგონებოდა, კი მითხარი. მაგრამ შენ რასაც მეუბნები ყველაფერს ხომ ვერ დავიმახსოვრებ.

---

**ოტია იოსელიანი**
მანქანის გატაცება

ეს ზალიკომ იცოდა, მაგრამ იმის შემდეგ, როცა ცაგოს ჭინკებით სავსე თვალები მიიმალებოდა, ხომ უნდა ეფიქრა, რომ მანქანა სხვისია, უნებართვოდ წამოიყვანა, ტარება არ იცის და ქუჩა სავსეა ადამიანებით.... ადამიანები კი ცაგოსავითაა... მანამდე ერთსა და იმავე საბარგოს ორჯერ კინაღამ შესკდა, იცოდა არაფერი არ მოხდებოდა. იქაც, ის სხვაკლასელი რომ არ დაბნეულიყო და უფრო ახლოსაც მოსულიყო მანქანასთან. ზალიკო მაინც მოასწრებდა გვერდის აქცევას, მაგრამ მერე?.. ზალიკომ ხომ არ იცოდა ისე კარგად მართვა, რომ უკან, მეზობლის საბლამდე უხიფათოდ მისულიყო, როცა ქუჩა ადამიანებითაა სავსე და ადამიანები ხომ ცაგოსავითაა...

და მამისთვის გაუგებარია, გაუგებარია ის სიმართლე, რომ არ შეიძლებოდა არ წაეყვანა მანქანა და მანამდე ყველაფერი იცოდა, მაგრამ აბა საიდან უნდა გაეგო მერე რა მოხდებოდა.

ხვალ რა მოხდება, არც ის იცის ზალიკომ. როცა მეზობლის ფანჯრის მინა გაგიტყდება, შეგიძლია თქვა, ალბათ ეს აღარ განმეორდება რაკი იცი, რომ იმ ახლომახლო ბურთს არ ითამაშებ. ისე კი, აბა, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება, ახლა იმ ბიჭს თუ წვავის ძალი აეტაცერჩა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორი კვირის შემდეგ ისევ ველოსიპედს არ მოაჯდება. ცაგო ისევ წინ არ წამოუსკუპდება და სხვაკლასელი ისევ მის ყურთან არ მიადებს ცხვირს, ნიკაპს მხრის ჩაღრმავებაში არ ჩაუჭერს და იმდენს იქშენს, ყურს, კისერს, მხარს და თმებს არ დაუორთქლავს და დაუსველებს, ან ქარისაგან გაფრენილ ნაწნავს პირით არ მიწვდება და კბილებით არ დაიჭერს.

ვინ იცის ხვალ რა იქნება და ხომ არ შეიძლება მამას ტყუილი უთხრა, რომ მანქანა სხვისია, ან მართვა არ იცი, არ დაჯდები და არ წახვალ...

ხვალ რა იქნება წინდაწინ არავინ არ იცის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირინე

ვერცხლისფერ ფიცრულში ჯერ ისევ სძინავს ძია ვასოს. რა ენაღვლება რა, მე შენ ეტყვი ცოლ-შვილი უტირის. შებინდებისას რომ ჩაუწვება, როცა უნდა მაშინ ადგება. მიმქრალ კერაში გაქექავს დილით. სულს შეუბერავს ცერა ნაკვერჩხალს და დვეის ბუხარივით გაღუღუნდება ერთბაშად მთელი ოთახი. მერე რომც იწვიმოს, რა შეაწუხებს, კარში არ იქნება გასასვლელი. ყავარზე ატეხილ წვეთების ტკაპუნს კი ტკბილი ჭუნირივით დაუგდებს ყურს.

უთენია მიცუცქდება დედის საწოლთან ირინე. ბებია ქალივით გაიდებს კნაჭა მუხლზე ავადმყოფის მძიმე მარჯვენას, ხალდეშურას* წყალს გადაავლებს სიცხისაგან გაფუთქულ მტევნებზე, ცდა თითებით გამოსწურავს მუჭში მომწყვდეულ მთვარისფერ ლიმონს და დახეთქილ ტუჩებს აცმაცუნებს ავადმყოფი. აფითქინდება ასეთ დროს ირინე:

— დეილ, თქვი რამე, შენი ჭირიმე, ერთი სიტყვა მაინც თქვი, დედიკო!...

* ხალდეშურა — ენგურის შენაკადი სოფ. ხალდეში.

ქალი ვერ იტყვის მაინც ვერაფერს.

კვირაში ერთხელ თუ მოიხედა, დიდი საქმეა. მაშინაც მწვავედ გაახსენდება უღვთოდ გატანჯული ქმარ-შვილი. ზოგჯერ ისიც გაახსენდება, ირინეს კბილა გოგონები ჭრელ, სიფრფფანა კაბებს რომ იცმევენ, ასკილის ყვავილს რომ იწნიან თმაში და ლიციირეს* სლიპინა დერებით კარვების აგებას სწავლობენ. ამას კი ბავშვობა დაჰკარგვია. ყველის ამოყვანა, პურის დაცხობა, სამოსის დაკერება თუ დავრდომილის მოვლა, ყველაფრის სწავლა მოუსწრია უდროოდ დაქალებულ ირინეს.

ჯაფამომატებული ბავშვის შემხედვარეს ყრუდ ჩაეღვრება მარცხენა თვალში თხემიდან წამოსული ტკივილი. მერე ფუფაინი ლოდივით დაიწვება კენჭად გალეული გული და შემოპარულივით ფრთხილად მოიკითხავს ათასჯერ განცდილი სატკივარი.

— სად მიხვალ, მამა ბაჯუ?

— ქალაქში მივდივარ, ირინე.

— რა საქმე გაქვს ქალაქში, მამა ბაჯუ?

— უცხო წამალს ამზადებსო ექიმბაში.

— მერე მოარჩენსო ეგ წამალი დეილს?

— უთუოდ მოარჩენსო, ძია ვასომ.

— ყველა ექიმბაში კეთილია, მამა ბაჯუ?

— ყველა კეთილია, ირინე.

— ყველა კაცი თუა კეთილი?

— ყველა კაცი არა, ირინე.

— რატო მერე თუ იცი, მამა ბაჯუ?

— ზოგს თეთრი მოზვერი უბია გულში, ზოგს კიდევ ეშმაკი შავი.

— აბა რაზე ეცოდება ჩვენი დეილი სხვებს, მამა ბაჯუ?

— სიკვდილის ყველას ეშინია და იმიტომ.

— მართლა ასე საშიშია, მერე, მამა ბაჯუ, სიკვდილი?

— ჰო, საშიშია, ირინე.

— მაშინ, რატომ ნატრობს დეილი ყოველ-ღამე?

— ძალიან აწუხებს ალბათ ტკივილი.

— რომ მოკვდეს აღარ შეაწუხებს, მამა ბაჯუ.

— ვერაფერს გაიგებს მაშინ დეილი.

— სულ ვერაფერს, მამა ბაჯუ?

— სულ ვერაფერს, ირინე.

— მაინც არ მინდა დეილის სიკვდილი, მამა ბაჯუ. ეტკინოს, ოღონდ ნუ მოკვდება.

— რა გატირებს, ხომ თქვა მორჩებაო.

— ნეტაი მაცოდინა, რა ქვია იმ ბალახს.

— მაგას არ გაამხელს ექიმბაში.

— აკი კეთილიაო, რატო არ გაამხელს, მამა ბაჯუ?

— ღმერთის სახელი უნდა როგორმე დაირქვას და იმიტომ.

— მერე შენც ღმერთო-თქო, რომ ჩახვალ უთხარი.

— რას ამბობ, გოგო, შენ თუ იცი, უბრალო კაცს ღმერთო-თქო რაფერ დავუძახო?

— მოარჩინოს დეილი და დედას გეფიცები, ქვეყნის გასაგონად თუ არ დავუძახო მაშინ მე...

აუ, როგორ მონატრებია კალიების ადევნება ირინეს. თეთრი აფრებივით ატკაცუნებს გაჩხინკულ მკლავებს გოგო. ასკინკლა ხტუნავს და ბზრიალებს აბრდღვინებულ სათიბში. ძლივსღა იბრუნებს საბუდარში აფითქინებულ გულს და ატმისფერ ცაზე გაბუშტულ ღრუბლებს რაღაცას უყვირის მთელი ხმით...

ნაწვიმარზე სამყურა ბალახივით უზიზიბებს სიზმრით დაწინწკლული წამწამები ირინეს.

კვირიკობას* მოსული მზე აღარ მიატოვებს კალას. ცასმიბჯენილი ზვინებით ივსება გადაპარსული სათიბები. წვეთი-წვეთ იქღინთება თივის სურნელით აპარპარებული აგვისტო.

---

* ლიციირე — მაღალღეროიანი მცენარე.

* კვირიკობა — წმინდა კვირიკეს დღესასწაული სვანეთში.

ფიცრულის კარი აჭრიალდება სისხამზე. მოჩვენებასავით გარეთ გამოვა ხალხს გადაჩვეული მოხუცი. მერე მთელი დღე სხვა კაცებივით მეზობლის ბალახს თიბავს ძია ვასო.

ბეთქილისა და დალის სიყვარულს ახლა უკვე ეშვით ისმენენ სოფლის ბავშვები. ამიტომ თუ ფრთხილობენ დედაკაცები ეშმას მიაწერონ კაცის ასე შეცვლა. ურცხვად უგონებენ ძია ვასოს — ბაჯუს დედას ყვარობდაო ბიჭობაში.

უფრო გულღრძოები იმასაც ამბობენ, — რა ქნას, რით იშოროსო ეგეა დამარხაკი.

მოხუცი კი გუმანით ხვდება, რომ აღარ დაბრუნდება მამა ბაჯუ. მოხუცი იმასაც ხვდება გუმანით, რომ აწი დიდხანსაა მისი ყოფნა საჭირო.

ჰოდა, უხარია ძია ვასოს. მისი სიპატრონო და მისახედი ციცქნა გოგო რომ მაინც გაჩენილა ამ უშველებელ მიწაზე.

# ᲓᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ

— ისე პატარა ხარ და ისე ერთიციცქნა, რომ კიდეც მიკვირს თუ როგორ გატან, ან როგორ ზდავ ამხელა სითბოს.

— მე კი დამფრთხალ ბაჭიასავით ჩავიმალები შენს ვეება, ფართო მტევნებში და სითბოშეყრილს ქვეყნად ყველა მონადირე დამავიწყდება.

●

ხათუნას ფრჩხილი არ ეტკინოსო და ცისფერი თვალები არ დაენამოსო. ტერფი არ გაუცივდესო უნაზეს ხათუნას. ამას რომ ცდილობდა, სასაცილოდ სათუთი ჩანდა დევვივით დათუნა.

ჰაერი არ ეყოფაო და პატარა ფაცხა სასახლედ იქცა. ბედმზიან ხათუნაზე თუ ითქვა, ობლის კვერი ცხვა, ცხვაო და გვიან გამოცხვაო.

ვაჟი უფლისწული არ იყო და ქალს დედოფლობა მოუნდომა. ცოტა ხანს აცალა ჭკვიანმა ხათუნამ. მერე თითისწვერებზე აწეულმა ნიკაპქვეშ აკოცა ქმარს, უბრალო ქალი ვარო აუხსნა და ღიმილმორეულმა ძლივს დააბრუნა ზღაპრიდან ცხადში.

ტყუპი გაგორდა ქათქათა ზეწარზე. ტყუპმა მიწისძვრამ სასახლეები აყარა კინაღამ. სხვა მამრებივით შორს, საშოვარზე გავიდა დათუნაც.

სხვაგან წასულ კაცს გული გადუსხვაფერდებაო — იმედი ჩაესახაო ვარსკვლავმოთამაშე და მოშურნე ქალებს.

ღრძილებაქავებულებს ტოვებდა და ჩლექებგამაგრებულნი ხვდებოდნენ ბიჭები. მეორედ დაბრუნებულმა შორიდან შეასწრო ბოკვერებივით აღრენილებს და მოჩხუბრებს თვალი. აილუწა და რა შესძლებიაო დედის რძეს — გაიკვირვა.

ვნება და შიში ერთად მიეძალა ქალს და ნუღარ წახვალო, გადაკვდა ქმარს.

არ დაიჯერა დათუნამ და ცხელი კოცნით ბაგეზე მომდგარი სათხოვარი პირველად გაუწბილა ქალს.

ტყუპები იშვიათად რჩებიანო ერთმანეთს...

გადაკრულ სიტყვას მიუხვდა მეზობელს. სისხლი მოასკდა შუბლზე და სიმწარემ ტუჩი გაუხეთქა ერთბაშად. დამფრთხალი თვალები გააყოლეს ჩია კაცებმა გონებაამღვრეულ გოლიათის ზურგს.

ხათუნას გამომშრალ სახეს შეეფთა პირველად და მერეღა დახედა ხარბად მომზირალ კენტად მდგარ ბოკვერს.

---

ᲒᲘᲠᲘ ᲯᲘᲜᲯᲘᲫᲔ
ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲘᲐ

ზეკაში აიტაცა შვილი დათუნამ და კინალამ დაახრჩო ცრემლით და ფერებით.

●

— ნუ იზამ, დათუნა.

— ხომ არსად წასულხარ და უზოოდ მომმანატრე თავი, ხათუნა.

— არ გინდა, ნუ მომეკარები ცოტა ხანს კიდე.

— ხომ გცივა, მითხარი?

— მცივა ძალიან.

— სულ არ გცოიდა წინეთ, ხათუნა.

— წინეთ არ მცოიდა, მარა...

— ჰოდა აბა რაია აწი, რა ვუყოთ მერე შე ქალო, სულ პატარა ხარ ისევე.

— არ მინდა, დათუნა.

— ჩუ, ჩემო ხათუნა, ჩუ, შენი ჭირიმე!

ბავშვივით ჩაეძინა დასიცხულს.

რა უცებ მოითენთაო — გული ეტკინა და ნეტარი ღამე გაიხსენა, სარეცელი რომ გაუყო პირველად ხათუნას.

ვნება და ცეცხლი დაჰკარგვიაო, არა კი არ დაჰკარგვიაო... ამ ერთ თვეში ქმრის ფერებას გადაჩვეოდა შვილზე მგლოვიარე ქალი.

●

დადარდიანდა დათუნა და ძალაწართმეულ დათვს დაემსგავსა, ტყეში მობანდალეს. ულრანში მთვლემარეს შავტუხა ბიჭი ეზმანა, წითელპერანგი:

— ბაბაია, ვეღარ მიცანი?

— მოდი გენაცვალოს, ბაბაია, სად დამეკარგე, ბიჭო, ამდენ ხანს?

— აგი პერანგი ჩემია ბაბაია, დიდმა ბატონებმა მომართვეს წუხელის.

— ბატონებმაო, სად გყავს, ბიჭო, შენ ბატონები?

— ჩუ ბაბაია, არ გამიბრაზო.

— დავიხოცეთ, ბიჭო, და მოგვწყინდა უშენოდ, ყურებჩამოყრილი დადის შენი ტყუპი ქუცენია, არ მოგენატრა ხათუნა დედიკო?

— კი, მარა შენ მომენატრე ყველაზე უფრო.

— წამო, წევიდეთ ახლა სახლში.

— აჰ, რავა იქნება მაგი, ბაბაია.

— სად მიხვალ აბა?

— უნდა წევიდე, გამიწყრებიან ხანში.

— ვინ გაგიწყრება, ბიჭო, შენ ჩემს მეტი?!

— ხელი ბაბაია, მარტო შენი აღარ ვარ აწი.

— არ გაგიშობ იცოდე.

— ხელი ბაბაია, არ დამიხიო წითელი პერანგი.

— არ გიხდება მაგი პერანგი შენ, უკეთესი აქვს ხათუნას შენთვის.

— ხელი ბაბაია, გამიშვი თუარა სულ ვეღარ ნახავ ხუტუნიას აწი.

მთლად დაილია კაცი, წამხდარი და გალახული დაბრუნდა სახლში.

წუხელის დათუნა გოლიათს დამწვარ მუხასთან თაფლისფერი დათვი გაუგუდავსო უიარაღოდ — ამბავს ყვებოდნენ სოფლად ჩამოყრილი ხისმჭრელი ბიჭები.

●

სახადი სჭირს კაცს და თავს ანაცვალებს ქალი. წითელი ფიფქები აყრია გოლიათს და წითლად უღვივის ხარიკით თვალები.

ბავშვივით ჭირვეულობს ავადმყოფი:

მოდი, ხათუნა, და დამიწყნარე დიდი ბატონები. მაგი რას მეყოფა, ხედავ რამდენია, ცალ-ცალკე დამიმშვიდე ცხელი ბატონები. ჩემიცაა და ხუტუნისიცაა, ამიტომაა, შე ქალო, ასე ბევრი. მოდი ხათუნა და სულ თითო-თითოოდ დამიკოცნე მზისფერი ბატონები.

ალერსი მოგაკელი, სითბოს დაგანატრე, მოგიკვდა ჩემი თავი შენო — იკოცნება და იკოცნება დამნაშავესავით ხათუნა. სულ ერთი წამით დნებიან წითელ-წითელი ფიფქები. ველური მარწყვივით მოჩითული ძმისფერი კაბა აცვია ხათუნას. ბროწეულის კაკალივით დატენილი და გემრიელია მისი ტუჩები. რამდენი ხანია ასე ბედნიერი აღარ ყოფილა დათუნა.

ფირუზისფერი ჟღარუნა ეტლებით წაბრძანებულან ზვიადი ბატონები.

ეღალა ყვავილები დარჩენიათ სანაცვლოდ. დრომ კი დაჭკნო, გაახმო ისინი. ვეღარ გაუძლეს საშინელ წყურვილს, ერთბაშად აიქარცლენ და აიყარნენ.

ახლა დათუნა ტუჩშეპმული და დაკენკილი აქვს სახე სახადისგან. ოღონდ დათვივით ზორბაა და ღონიერია ისევე.

ხათუნას რომ ხელებს მოხვევს, კი არ მინაბავს, მყისვე დახუჭავს თვალებს ქალი, არ შეეხედოო ეგების სახეზე.

ვნებით დატენილ ბაგეს რომ დაკონება უხოროკო ტუჩებით, შეაყრაღლებს და შეაცივდება ცოლი ხელებში. უცაბედად ნაპოვნი მსხვერპლივით დაეტაკვირება ხათუნას აბრეშუმივით ფაქიზი სახსრები.

ხელს გაუშვებს და აღარ ვუნდივარო, საწოლზე მიგდებულ ქალს დაბარალებს.

ფიქრს მიუხვდება და ქვითინდაქცეული სიტყვას ვერ იტყვის ხათუნა მაინც.

და ნადირივით უტყვი ხდება ადამიანი.

როგორ სჭირდება ამ დროს ქალს სიტყვა. მაგრამ უტყვია ხათუნა და ვერ ეუბნებაო ქმარს, რომ მილიონჯერ გაზრდილია მისი სიყვარული.

გაურყვნელი ქალია ხათუნა და აწონილ სიტყვას ვერ შეჰკადრებს სიყვარულს.

და მაინც როგორ სჭირდება ქალს სიტყვა. შეუძლებელს შეიძლებდა, გაუღებელს გაიღებდა, ოღონდ ამ წუთში ხათუნას მაგიერ სხვა დედაკაცი ჰყოლოდა ცოლად.

●

მწიფედ დასტყობია ღინღლი სახეზეო და აღსარება გაუმხილა გაზრდილ შვილს მამამ:

„მზე დაუბნელა დათუნამ და ნიშნობიდან ქებული პაპუნას კერკეტა ქალი გადარეულ ზვირთივით მოსტაცა.

ამაოდ დაეწყოდა ამღვრეული ძარღვები შერცხვენილ ნეფეს და ამაოდ დაეტკვლიცათ ფერდები ნესტოებგამმშრალ წაბლისფერ ულაყებს.

ქალი უკვე სხვისას იყო.

უცხო დიაცთა შესახედად ახლეს იხოკდა ეშმაკი ხათუნა.

რამე არ ვატკინო და არ შევაშინოო — ერთბაშად დაერიდა ფითქინა ძუძუმკერდს.

ჩალისფერი, დამყოლი თმა ჰქონდა გოგოს და დათუნამაც კეფიდან დაუწყო ფერება.

უწყალოდ გაიპარა უმშვიდესი ღამე. რიბ-რაბაზე ქალმა ცრემლი დაანახა. აქედან გავიქცეთო შეეევედრა...

ხუტუნია რომ ეზმანა იმ ღამეს ტყეში, ცხადად წამოსდგომოდა პაპუნა თავზე.

— რამ გადმოგაგდო აქეთ, თუ აღარც ტყე გინდა დამანებოო.

ჰო ბაბაია, სულ ტყეულ იყო, შენი ბავშვობის ზღაპარ იყო და სიზმარ იყო ყვავილა ბატონება.

ჭეშმარიტად კი ორ კაცს ერთი ღმერთი ჰყავდა ზიარი. ჰოდა, ვერ გეიმეტა, ბაბაია, ტყუპი ძმის ხორცი პაპუნამ. ზიარი ღმერთის ნახევარმა ვერ გამიმეტა მე. ხეირიანი ტყვია რაა, იგიც დეინანა ღვიძლმა ძმამ ჩემთვის. ჩიტის საკლავად ჩაყრილმა საფანტმა წაჭამა ტუჩი და სახე დაუკენკა დათუნა გოლიათს. ჰოდა, მას მერე მკვდარი დეიარება ასე საჯაყად მოკლული დათუნა. მას მერე ტანჯულ დედაშენს სითბო არ ღირსებია კაცის.

მტერი ჰყოლია და ამიტომ არ დაპკლებია დათუნია გოლიათს შფოთი და ზვირთითქო ვერ დეიკვეხნი. ნადირის ხოცვისა და ერთადერთი ქალის სიყვარულის მეტი არაფერი მიკეთებია ამ გაჭიმულ ქვეყანაზე. კაცი მაინც მომეკლა, ცოდო ედოო იტყოდნენ მარა, ახლა ბაბაია, მეორე ცხოვრება რომ მაჩუქოს ვინმემ, ა, წეიღე გქონდესო — არ მინდა. ვერაფერს დოვუმატებ ვიცი და ნიტო.

შენ ჩემი კუბოს ასაწევად რომ დეიჩრები, გაგიკვირდება მისი სიმძიმე და მხრებს გატკენს ცოტა.

---

**მაკა ჯოხაძე**
მოთხრობები

ოღონდ ნუ გეშინია, ბაბაია!

ტყუვდებიან, ცხოვრებას ერთი კაცი რას ეყოფაო — როცა ამბობენ. ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, სად გევეძებენ ამას, მარა მე ჩემი ცხოვრება მჭონდა და შენ შენი უნდა დეიწყო აწი. ყველაფერი იკადრე სხვისი ზიარი და ღმერთი არ იკადრო მარტო. იცოდე, ბაბაია, ჩემი ღმერთი ვერ იქნება შენიც. დამიჯერე, არაფერი გრძელდება ქვეყნად. აბა რატოა რო მტყუნდება და მართლდება კაცი. გაგრძელება რო იყოს, მყარალი სიტყვა არ დაგცდებოდა არა კაცზე. მეიცდიდი პაწა ხანს, იქნება ამის ამღერეული ცხოვრება იმან დაწმინდოს და გააპატრონოსო, მარა, არა, ღვთის გლახა იყოო რომ იტყვიან, კაცზე, მორჩა, აღარაა იმისი საშველი.

ჰო, ბაბაია, სასაცილო და განწირულია ცარიელ გრძნობაზე შემჯდარი კაცი.

გაუხედნავს ჰგვანებია ეს დავლოცვილი. ლაგამით ლაშებს რომ ვერ აუხევ ვერაფრით. და თუ შემთხვევით მოაწერხე მისი შებორკვა, შენთვისაც ნუ იტყვი, გმირი ვარო აწი.

დაიმახსოვრე, ბაბაია, გმირები სიფრთხილეს არ თაკილობენ. ჰოდა შენც რა იცი სად წამოუვლის თავისუფლება წართმეულს ყინდაქეეული ღვარძლი და სად მოგიზღავს სამაგიეროს“.

კვირისთავზე მამამგლოვიარე ბოკვერა ბიჭი ღოღნაშოსფერთვალება მეზობლის გოგოს უჩურჩულებდა:

— ისე პატარა ხარ და ისე ერთი ციცქნა.

# აპა, ბაჩანა, მზე

დღეობა მიატოვა იმ ღამით მახარემ. თავს გამოუტყდა, სიცხე მომცაო ქალის თვალებმა. ეუცნაურა — ასე ვხედავდი ამდენი წელია, რაღა დღეს მეჩვენა ის გოგო ანგელოსად.

დედა მოენატრა მახარეს უცებ. საყდარი გაახსენდა მერე რატომღაც. მერე ისიც გაახსენდა, ცარიელი კოჭიც რომ არ ებადა ქვეყნად.

გადაიკრაგა ბიჭი. სულ დაითეთქვა ხელის გულები. თვის თავზე დანგრეული სახატე ადადგინა და გულცხელი დაბრუნდა მაშინვე უკან.

— სად დაიკარგე, მახარე, ამდენ ხანს? — ვიღაცას გაუხარდა მისი დანახვა.

— შენ რომ დაეძებ, სხვამ წაიყვანა.

— ერთბაშად დაგესლა ვიღაცამ.

ძველი მთვარე გამოვიდა საგანგებოდ მერე ცაზე, მთელ ქვეყანას დავანახებ მახარეს სველ ლოყებსაო. ბავშობის მერე არ უტირია და რამ გადარია ახლა.

„იმ გოგოს ისეთი თვალები ჰქონდა, რას დაიცდიდა ერთ თვეს...“

ექვსი ზამთარი ცხრა მთას იქით ხელობას სწავლობდა მახარე. აღარო და მაინც დაბრუნდა მეშვიდე გაზაფხულს. ფერი დაუბრუნა შესაწირ ბატკნებს და რძისფერ კედლებში მიმალული ღვთისმშობლის ფრესკები დააღვიძა ერთბაშად.

ოჭროს ხელი აქვს მახარეს, ღვთის ნიჭი აქვსო მაგ კაცს დანათლული — თოფფვით გაუვარდა ხალხში სახელი და ათასმა ლამაზმა გულში ინატრა მისი ბეჭების სითბო.

გიორგობა თვეს, დღეობაში, ისევ თვალებით შეიყვარა ქალი. შუაღამისას სულმოუთქმელად წამოიყვანა იყალთოდან მარწყვივით თინიკო.

— მიდიხარ, ბაჩანა?

— მივდივარ, ნათელა.

— ნუ წახვალ, რა მოხდება!

— ხომ გინდა შენ, ნამდვილი მხატვარი გავხდე?

— ახლაც ნამდვილი ხარ, ბაჩანა.

— არ მეყოფა მარტო ეგ, ნათელა.

— შენ არაფერი არ გეყოფა მაგე თუა.

— შენ მეყოფი, ნათელა.

— უკაცრავად, არ დაგიცდი მე შენ.

— კი დამიცდი, ვიცი.

— ჩემი ბრალია, მაგი რომ იცი, არ უნდა გჯეროდეს და მაშინ ვნახავდი, რასაც წარმოიდგენდი.

— მაშინ კი არ წავიდოდი, გავიქცეოდი, ნათელა, გავიქცეოდი და სულ აღარ ვიფიქრებდი დაბრუნებაზე.

— ახლა ხომ იფიქრებ, ბაჩანა?

— ახლა კი, ნათელა, ყოველდღე შენზე ვიფიქრებ იცოდე.

— ჩემზე და კიდევ...?

— კიდე კვეტრაზე.

— ძალიან გიყვარს კვეტერა, მოგენატრება ვიცი.

— შენც ხომ მოგენატრები, ნათელა?

— მე უფრო ძალიან, ბაჩანა, უფრო ძალიან. მალე ჩამოდი, ბიშო, იცოდე, გუშმაინ დავადგათ ტაძარს. მერე საკანთან დამხატე, კაი?

— ჰო, კარგი, ნათელა, დაგხატავ.

— მერე იმ სურათს „ჩვენი კვეტერა“ უნდა დავარქვა, გამოფენაზე უნდა წავიღო ერთ, ქვეყანამ გიგოს რაჰხელა მხატვარი ყოფილა ბაჩანა.

— მაგი არა და სხვა რომ გაიგონ?

— სხვა აბა კიდევ რა?

— რა ლამაზი ცოლი ყოლიაო ამ საწყალ მხატვარს.

— ჩუ, ბაჩანა, აღარ თქვა მაგი მეორედ.

ახალი მთვარის გაქრობას ძლივს შეელია იმ ღამით მახარე. სხვა ხმაზე იყივლა მამალმაც. აღარ მოსულა მეორე დილა თონეს მიკრული პურის ტაცუნით...

ვერ მიაჩვია ბიშის უშველებელ ჩექმას მამამ ერთ ღამეში ვერაფრით თვალი.

„რას ისწავლისო ბაჩანა კაცის მოკვლას, სად შეუძლიაო მაგდენი...“

აღარ დარბოდა ფეხზშიველა და აღარ ატარებდა თხილის ჩურჩხელა ნაწნავებს გოგო. გაშლილ თმაზე ბროწეულის დამსკდარ ყვავილს იბნევდა უკვე და ზკვრივი კერტები ექავებოდა თაფლა აკვნების დანახვისას.

მერე ის გოგო დაქალდა და სამი ბიჭი გაუჩინა გვარს. შენებას გადაჰყვა კაცი და სულ არ გაუგია, როგორ გადთეთრდა თინიკო. ახლა ერთბაშად გაიკვირა — ეს რა უქნია, წითელი კაბა გაუხდია და შავი ჩაუცვამს, კოპლებიანი. მერე იმ კოპლების ხელა ფიფქებით ჩუმად უტირია იმ ღამით ზეცას და გამთენიისას შეუნიშნავს მახარეს გაციებული თინიკო.

მერე რძლის კიკილიც გაუგონია და დაბადებული იმ ზამთარს თოვლივით თეთრი შვილიშვილი. მისთვისაც ბაჩანა დაუძახია უსაშველოდ დაბნეულ ბებუას.

გადარეული მახარე, ბოდვა დაუწყია სიცხიანს. მრავალძარღვა ვარო გინდა თუ არა, ასი გული მაქვსო ერთის მაგივრად. აბა ერთი რას გაუძლებდაო ამდენ სიხარულს და ამდენ წვალებას.

მთელი ღამე ცოდოკიდებულივით დაწრიალებდა. ცოლს მისტიროდა მალულად და ბაჩანას დაბადებას უჩურჩულებდა უმადურ ბებიას.

გასვენება დღეს გაახსენდა:

ვანთის ტაძრისთვის ლოდების თრევით წელს რომ იწყვეტდა, შინ მობრუნებულს გაჯავრებული დაუხვდა თინიკო. მეზობლის კაცებს ცის გახსნა დაეწყოთ უკვე ვაზისთვის.

— არ გედარდება, მახარე, ოჯახი, სულ არ იყურები, კაცო, შინ. პურს რომ არ გაჭმევს ეგ ძველი ქვები ვეღარ გაიგე აწი. ვენახს მიხედე დროზე, ჯობია. აღარ გვექნება ვაზი, მახარე, და დავიღუპებით იცოდე.

შუაღამეზე დამდურღრულივით წამოუხტა გულგასიებული კაცი ცოლს, ადექი ახლა და ჩაიცვი დროზე.

— რა დაგემართა, მახარე?!

— ჩაიცვი-მეთქი, რომ გაუბნები!

— სად მიხვალ, კაცო, გადაირიე შენ?

— გადავირიე იცოდე და აღარ მათქმევინო მეტი!

— ე, ბიშო, მახარე, დაწყნარდი როგორმე.

ფაკა ჯოხაძე
ვოთხროგები

— ვერ დავწყნარდები ახლა მე, ვერ დავწყნარდები ვერაფრით.

გაყვა მაშინ ქალი თავის გაფარეულ ქმარს. ცივაბიზე სულის მოთქმა არ აცალა მახარემ ცოლს, ისე შეიყვანა გაბადრულ ტაძარში.

ხელის გული აასმევინა თვალდახუჭულს მარჯვენა კედელზე. ერთბაშად დასცხა თინიკოს. თითებმა იუცხოეს ახლად ნაკვეთი ჩუქურთმა და მზერა ააყოლა გარეჯულ ხელს. აღმოსავლეთით ფერწმასულ კედელზე მზისფერი ვაზი ზეიმობდა თინიკოს მტევნის სითბოს.

ენიშნა ქალს. კართან იდგა მისი გადარეული ქმარი და საყვედურობდა უხმოდ: „არ გამაგონო მეორედ, თინიკო, აღარ გვექნება ვაზი...“

●

დაბინდებისას მიუკაკუნა მიქელ-გაბრიელმა მეთვეზეს.

— შენი ჭირიმე, სამი დღე მაცალო იქნება როგორმე, — მევალესავით დაუთქვა ვადა.

შეეზარა ერთ კაცთან ორჯერ მიბრუნება მიქელ-გაბრიელს, ოღონდ გაუკვირდა, რას უშველის ეს სამი დღეო და წამოვიდა ხელცარიელი.

მთელი ღამე ქოვდა ცეცხლივით ბადეს მეთვეზე, იისფერ რიყრაყზე გადწერა პირჯვარი. ფერზე მოსვლა რომ დაატყო ზეცას, მაშინ გაშალა ბადე. მოიქნია ღონივრად და ისროლა იქ, საცა ზღვა უერთდებოდა ცას. სისხლისფერი მზე აფართხალდა ბადეში და ისე მისუსტდა, ზურგიც ვერ აუწვა მოხუცს.

გამოუშვა ფიცრულში დამწყვდეული უფროსი ვაჟიშვილი მეთვეზემ და აჩუქა მზე. მეორე ღილით შუთანა ვაჟიშვილი გამოუშვა და ამას აჩუქა მეორე მზე.

ზის ახლა დაღლილ-დაქანცული და ელოდება მესამეს. ებრძვის ღამენატეხი მოხუცი თავს და წყლიან სიცოცხლეს მოცილებული ლიფსიტა თევზივით ხტუნავს ქუთუთოზე მომდგარი ძილი.

აცრემლდა უმცროსი ვაჟიშვილიც, რაღა ჩემზე მოგდისო მამა. ის-ისაა მოქაჩოს უნდა ბადე და დარჩება გაწბილებული. სამშვიდობოს გასულა ძნათობი, ტყუპისცალი დარჩენია ზღვის ზედაპირზე სანაცვლოდ.

ერთი კაცის სიზმარი ახდენია ქვეყანას. მეორე ღილით საკუთარ მზეს ჩემულობს ყველა ცალ-ცალკე. კაცის კვლა დამთავრებულა და იმდენი მზე მოსულა ქვეყნად, რამდენიც ცოცხლად დაბრუნებულა.

მზდაკარგული მეთევზის ბიჭი ცხადში იგლოვა მახარემ:

„რას ისწავლიდა ბაჩანა კაცის მოკვლას, სად შეეძლო მაგდენი“.

●

ზაფხულში ქალაქი ბოღმასავით ჩაიხვევს სიცხეს და სულის მოთქმა დამფრთხალ მწყერივით გაუჭირდება. მთელი წლით ნაჯაფარ ადამიანებს ძვირად ქცეული მიწის სიგრილე მოენატრებათ. მერე ზურგჩანთააკიდებულებს რატომღაც ერთბაშად გაახსენდებათ ციცქნა არქიეში სასწაულად ჩატეული ქვეყნის წარსული. მერე დიდის ამბით დაიწყება მისვლა-მოსვლა, ისტორიულ ძეგლთა მონახულება.

მაშინ ჩვენთან თვალ-ამრეკი სიკრელეა და ძალიან ჭირს მუშა ფუტკრის უქნარასაგან გარჩევა.

საერისთაო აუზთან ხმაურით ვახშმობენ ხელოსნები. ქვის ოსტატს წილ ლუკმას უნახავენ მოწიწებით.

დგას მახარე ხარაჩოზე და ცისკენ გაქცეულ გუმბათს ელოლიავება ბაშვივით.

აუ, რამდენი წელი უძეგნია ტაძრის მოსახდენი ფერი მახარეს. წამლად აღარ ჩარჩენია შავი ღერი თმაში.

შორს, ჰორიზონტზე აქლემებივით მოლაყუნობენ ქანცგაწყვეტილი ტურისტები. მათი დანახვა ჭირის დღესავით აღიზიანებს მახარეს.

„ისე დამადლებული ყურება იციან, თითქო ამ ყამისფერი ჩანთის მაგიერ შესაწირი მოზვრები ჰქონდეთ ბეჭზე მოგდებული...“

●

ცხრა სარკმელი დაუტნიეს შენებისას. ცხრა ანგელოსის სუფთა თვალი მიუჩინეს მფარველად. რიყის ქვები აზიდვინეს მზეაცრილ კაცებს ციცაბოზე, დევის სისქე გალავანი შემოარტყეს კვეტერას.

გალავანს გარე, მუხნარში, კოცონი დაადგეს სანადიმო. გავარვარებულ თონეში შოთები დააცხვეს მთვარისხელა. მდუღარე რძით სავსე ქვაბებში შუბლ-ატლეკილი ხბოები ჩახარშეს და ძუძუ-წართმეული საქონლის ბღავილზე მთაში ნადირი გადარიეს.

მაჯის სიმსხოდ დაწნულ სანთლის შუქზე რქაწითელს სვამდნენ ხარებივით, ქართლის მზეს ფიცულობდნენ წამდაუწუმ და კვეტერას ამენებას ზეიმობდნენ თურმე მთელი ღამე.

გავიდა ხანი და გამოჩნდა ხატგამწყარალი, უშნოდ რომ დაადგა თვალი კვეტერას.

მწეავირივით გეში აიღო და მოსვენება დაჰკარგა სოფელმა. იქედან მოკიდებული კურდღლის ძილს დაეჩვია აქაური კაცი. მას მერე ათასჯერ დაინგრა ქართლი და მას მერე ათასჯერ დაინგრა კვეტერა.

— რა ცოდო გვაქვსო ასეთი ჩადენილი.

— რად გვაღვრევინებო სისხლს ასე უმოწყალოდ, — შავი თმა გაიშალეს კოჭებამდე ქალებმა. უსაშველოდ იმარხულეს ცხრა დღე და ცხრა ღამე. ფერი დაიკარგეს საჰაო და ტუჩები დაიხეთქეს ლოცვით.

შარაზე გადგა ლაზარე მღვდელი:

— მე ვარ თქვენი გადამრჩენი მარტო...

შეჯგუფულ ხალხში ქვრივი კეკეს ზორბა ბიჭი აარჩია მაინცდამაინც. ახედა მერე გაკვირვებულს და ხეთქა მარჯვენა ყბაში:

დასიცხა ობოლს, ნაბიჯი წადგა წინ. დროზე გაქაჩეს მეგობრებმა, მღვდელიაო, დაგავიწყდა!

მღვდელი კი არა და ღმერთიც აღარ ახსოვდა მაშინ ვატიას.

— ა, ასეთები ხართ, ბატონო, სუფეკელა. მიტომაა თქვენი საქმე აწყობილი, — იქით გაბრაზდა ლაზარე მღვდელი და მოყვა მაშინვე ქადაგს:

„ხოლო მე გეტყუ თქვენ: არა წინააღდგომად ბოროტისა; არამედ რომელმან გცეს შენ ყურიძალსა შენსა მარჯუენესსა, მიუპყარ მას ეროკერძოიცა... და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა...

— ცხვრებივით წავიდოთ აბა თავები და დავიხოცოთ ხომ კაკალ-კაკალა, — სისხლი აუჩქარდა მოხუც მამუკას.

ყურები ცქვიტეს დანარჩენებმაც, ხომ არ გვატყუებსო სმენა.

ავად ენიშნა მამუკას ხმა ლაზარე მღვდელს, არ შეიმჩნია მაინც:

„... ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნეთ თქუენ...

— რომდენი მოგიგდეს ემაგ ლაყბობისთვის, ძაღლო...

იკადრა მაშინ დაჩუმება მღვდელმა და აბრამის ბატკანივით შეეცალა ფერი.

ვერ უშველა მაინც ვერაფერმა. საამოსი შემოაზიეს და შუკა-შუკა დაატარეს დედიშობილა.

— ტყუილად მკლავთ, ცოდვითსავსეებო, ქრისტემა თქვა ეგ პირველად. — ღმერთს ფიცულობდა ლაზარე მღვდელი და ბავშვივით მისტიროდა უშავეს ანაფორას.

●

— ბაბუ, რა ლამაზი ფერია იცი შორიდან?!

— აქედან ცუდია თუ?

— აქედანაც, ოღონდ ახლოს ისე ვერ გრძნობს ხოლმე კაცი ფერის სილამაზეს.

---

**მაია ჯოხაძე**
მოთხრობები

— უყურე ერთი ამას, ვინ გასწავლა, ბიჭო, შენ მაგდენი?

— ყველაფერს კი არ ასწავლიან, ბაბუ...

— ამთავრებ ხომ მემრის?

— ვამთავრებ, ბაბუ, კვეტერა მინდა სადილომოდ დავხატო, კიდევ, თუ არ გამიწყრები. შენც, გუმბათს რომ ხურავ იმ დროს.

გაკვირვებულმა მოხედა შვილიშვილს: „ყოველდღე იზრდებოდა თურმე ბაჩანა...“

— რატომ გაგიწყრები, ბაბუ, პირიქით, ტაძარი არც ივარგებს უკაცოდ.

წამით გაირინდა კვეტერას ტყე და საოცარი სისწრაფით მოციქციქდნენ ბრჭყვიალ-ბრჭყვიალა ბუშტები. ერთბაშად დაიჭირა მოხუცის მზერამ გუმბათზე დაკეცილი პირველი სხივი და ზღვასავით ახმაურდა მთელი ქვეყანა.

მერე ამ უსაზღვრო ცის ციდან სხივს მოყოლილი ხმა ეუცნაურა ბაბარეს. მერე ამ ლოცვასავით გამბულ ძახილზე მეთევზის გაქცეული ბიჭი დაინახა და ჩუმად, სულ ჩუმად დაადევნა:

— ბაჩანაა...

— რა იყო, ბაბუა, ცუდად ხომ არ ხარ?

უცებ გამოერკვა.

— არა, ბიჭო, დავიღალე ცოტა, შენ დარჩი, მოუარე აქაურობას.

დაკარგულივით იდგა ბაჩანა გაჩახჩახებულ გუმბათზე, ოღონდ დასიცხულ გულში უხაროდა მისთვის დატოვებული საზრუნავი.

ნელა, სულ ნელა მიდიოდა ქვევითკენ მახარე და როგორც არასდროს, ისე ნატრობდა ზევით მიმავალი კაცის შეხვედრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის ნაფიქრი და ნახელავი

ენგურჰესის მშენებლებს

კარგად ვიცოდი, რისთვის ვღელავდი,
მე ამ დღეების მედო ბეგარა;
ხალხის ნაფიქრი და ნახელავი
უნდა მენახა და გამეხარა.

ლურჯი ნაძვების შუქო კეთილო,
თეთრი ხეობის თეთრო ნაპრალო,
მდინარის ფსკერო ამოშრეტილო,
თქვენი გაჩენა ვის დავაბრალო...

ამ დარჩეული ბიჭების ოფლით
სულ სხვანაირად გამოვაშუქებთ,
კიდევაც ვნახავთ ლოდებს მოფლეთილს
და ახალ მნათობს მიწას ვაჩუქებთ.

გადაიჯაჭვა ათასი მკლავი,
ერთად ანათებს ათასი სახე.

შენს გახელებას, ენგურო, კლავენ,
მალე დაგხუთავს ბეტონის თაღი.

გიცავდა ჩრდილი მაღალი ნაძვის,
ქვაბს მიადექი,
გუბდები მდორედ...
მღვიმეში ტანი ბინდივით გაწვა,
ილოკავ ჯიქი გასისხლულ ტორებს.

და მიხარია შენ — საოცრება —
ცემენტის სალტით რომ ხარ შეკრული,
რომ იტოტება ჩვენი ოცნება,
რომ ისევ ბოლავს ფაცხა მეგრული.

ქართულო მიწავ, მადლით ქებულო,
დღეს ვეღარ იტყვი — ხელი ამაღეს,
ენგურო, მთიდან დაქანებულო,
ჩვენი ძალა ხარ და სიამაყე.

# წ ე რ ი ლ ი

თუ გაგახსენდი ანდა დაგჭირდი
(რაც საჭვოა), თუ გაიფიქრე,
რომ ცოცხალი ვარ და შენი სახე
მომნახავს ხოლმე მარტო დარჩენილს,
ჩაკეტილ გულზე თუ რამე იცი,
უთუოდ ისიც გეცოდინება —
ძნელი არ არის ჩემი მოძებნა.
დაყრუებული შადრევნის ქვაზე
მთელი საღამო უსიტყვოდ ვზივარ.
აღარ მწყინდება და ჩემი ბიჭი
პატარა, მწვანე ველოსიპედით
ღამურასავით მივლის გარშემო;
წრეშია მისი კისერი, თავი...
ეს ალბათ მიკვირს და თვალს ვაყოლებ
სიცოცხლეს, ჩემი ტანიდან დაძრულს.

მერე ღამდება და ჩემზე ბევრად
სერიოზული ხალხი შემოდის
პატარა ბაღში. დაქანებული
ბილიკი ყველას იტევს და ნელი
იწყება ბრუნვა. ბევრს ნაბიჯზე ვცნობ,
მოხაზულობაც მეცნობა ზოგის;
აი ისინიც.. მოაბიჯებენ...
კარგად ჩადგმული და შენახული
დაბალი კაცი (ასე, შუახნის)
რაღაცას უსსნის მეორეს, მაღალს
და მასზე ხნიერს, ჩაჩიანს, ისიც
არაფრით არ გავს უბრალო მოკვდავს.
და ტახებივით უტევენ ბნელში
დაგრაგნილ ბილიკს, იქანცებიან.. .
შუქი ჭრის აღმართს და მანქანები

ხეებს დროდადრო შეახსენებენ
დაკარგულ ჩრდილებს. სხვა არაფერი
არ ხდება აქეთ, მოწყრად ღირდეს.
მოსეირნენი ახლოს მოდიან და მშორდებიან,
ვიდრე ჩანთქავდეთ ცალგვერდა ხრამში
ჩაკერებული წყვდიადის ხახა.
სხვა რა გაცნობო, რით შემიძლია
დაგწყვიტო გული ან გაგახარო?
არაფრით. თანაც არ მიყვარს გრძელი
წერილის წერა.
არ მიყვარს, თავს რომ ვაბეზრებ ვინმეს,
ანდა ვაცოდებ.
დარწუნებული იყავი, შენი
ბედნიერება არ მეწყინება,
პირიქით, მეტიც... ბრუნდება ის დღე...
და ისევ იმ შავ პალტოში გხედავ,
მოყვები ქუჩას ამაყი, ფრთხილი,
სუსტი ფიფქები გადნება მხრებზე.

●

თუ შეგიძლია იცხოვრე ისე,
აღარ დაგჭირდეს ბოლოს შენდობა,
არ დიჯერო, ადვილად, სხვისი,
ადვილად თავსაც ნუ მიენდობი.

იმედი გვქონდეს შენი მარჯვენის,
რაც გულმა გითხრას, ის უნდა ხატო.
დრომ იცის — რისგან რა შეგარჩინოს,
თითონ გაარჩევს ფქვილსა და ქატოს.

●

მოვიდა, ვისიც მეშინოდა, უკვე მოვიდა...
და მეც ველოდი, ჩემზე ერთგულს ვის იპოვიდა.

გამაგდებინა ხელებიდან სველი მათარა,
ზაფხულის მთები მშიერ-მწყურვალს გადამატარა.

სვეტზე აკრული ვიდექი და ტანში მამტვრევდა,
მაშინვე მიცნო, ჩემზე დამყოლს ვის ინატრებდა.

არ მახსოვს, ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ.
თვლა აღარ ჰქონდა გზაზე ტანჯულთ და მგლოვიარეთ.

სახეზე არც კი მეტყობოდა, რომ ის მოვიდა,
სიმარტოვეში წამიყვანა სიმარტოვიდან.

●

ქალებს, რომლებიც მესიზმრება,
მზე მიაქვთ ჩემი.

რა მოთმინებით ნაქარგია
თქვენი ფარდები.
რა თეთრია და გაუტეხელი
თქვენი საწოლი.
ქვის ტყეში ხშირად მეკარგებით
და ეფარებით სილისფერ კედლებს.
ყველგან დაგყვებათ ჩემი თვალი
და ვერ გელევათ.
ღამე არ გავა,
რომ არ ავდგე და ამოვიპარო,
სასთუმალთან რომ არ ჩამოვჯდე.
სარკის თავიდან მიმზერს —
სურათი თქვენი ქალიშვილობის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუზარადივით დაყრილია თქვენი სამკული,
გადასდილია თქვენი სიმარტოვე.
წითლად გალაქულ იატაკზე ფეხი მიცურდება
და ვიპარები...
თქვენ, ვისაც დღისით თვალს გარიდებთ
და გემალებით: —
გადასასვლელზე, პანაშვიდებზე...
სინამდვილეში თქვენთან ყოფა: სიცოცხლედ მიღირს.

ქალებს, რომლებიც მესიზმრება,
მზე მიაქვთ ჩემი.
პატივისცემა უნდათ იმათ — ეს კარგად ვიცი
და დრო იმდენი,
არცერთ სხეულში რომ არ ჩერდება.

შემიმჩნევია: — ზოგ მათგანს
ცალი მუხლი ჩახრილი აქვს ოდნავ
და ისე დგას გაჩერებაზე.

●

ისინი ვეღარ დაბრუნდებიან,
ვერ გახედავენ გზასა და მიზანს,
სახესაც ვეღარ დახრიან ქარში,
არ გაოცებთ სიმაღლე ცისა.

არავის ესმის ვაება მათი,
ვი მას, ვინაც პირი დამუწა...
რამდენი ვინმე ამ ქვეყნად დადის,
იმდენი მზეა და დედამიწა.

## წლისთავი

ნაძვებში გაკრთა თავშალი
და შინდისფერი ტუფლები...
მზეს და ქარს შერიგებიან
ნარჩევი ჭირისუფლები.

ცას უყურებენ. რაც ხდება,
არ ენაღვლებათ სრულებით,
საფლავთან გამწკრივებულან
ამოსასვლელი სულებით.

## ძ ი ლ ი

უმდიდრესია სამეფო ძილის,
უმდიდრესი და უნეტარესი.
რას, რას ინატრებ, აქ რომ არ ნახო.
გაქვავებული მზით დაწყებული,

გათავებული უბრალო კენჭით,
ყველაფერია. ისურვე მხოლოდ
და დახსნის კარებს საკვირველება.
უკვე შეირხა ტალღების ფარდა,

შეკუმშულია მკლავები, მხრები,
დროა შეუდგე მოგზაურობას.
წამიც და ვეღარ ხედავ ზედაპირს,
ფსკერზე ეშვები ვეება ლოტი.
...და ლხვება ტვინში ჩალაგებული
ზოდები ტყვიის და მღვრიე ნისლი
ფრთხილად ეცლება ღორღიან თხემებს.
მიმოიხედე და დაინახე —
თეთრი სვეტები და ნიჟარები
როგორ ხატავენ დაწმენდილ სილას.
მიმოიხედე და დაინახე:
თუ კარგად გახსოვს, ეს არის ველი —
რძისფერი, მშვიდი და უსასრული...
ეს კლდეა შავი, შავი ცრემლებით
ჩამოღარული... ეს ბაზრობაა;
ირევა ირგვლივ მილეთის ხალხი...
უყურებ მრავალს, ვერავინ გამჩნევს,
არავის ესმის შენი ძახილი
და შენი გულის გახშირებული
ფეთქვა, ღონდები... მაგრამ სულ წამით.
ყოველსშემძლეა სამეფო ძილის.
არაფრად უღირს კვლავ შეგახვედროს
ათი წლის წინათ, ოცი წლის წინათ
ან უფრო ადრე წასული კაცი,
გალაპარაკოს და მერე ისევ
გააქროს, როგორც გამოგიჩინა.
ყველაზე მეტად შემშურებია
ერთი თვისება — ის არ ცნობს საზღვარს,
რადგან არა აქვს; სად არ ირხევა
მისი დროშების გრილი ფარფლები,
გადმოკიდეული ქვის კოშკებიდან
დაკვირვებივარ, მისთვის ერთია
ქალი და თევზი. დიდად არ არჩევს
ზღვასა და მინდორს. მის ხელში დანად
იქცევა კოვზი და ერთმანეთში
ხშირად ერევა თეთრი და შავი...
სხვა მხრივ, აქ სრული წესრიგი სუფევს.
უძლეველია სამეფო ძილის.
ბედნიერია, ვისაც თვალები
ატკინა მისმა გრძნეულმა შუქმა.
მაგრამ სიფრთხილე გმართებს, მნახველო.
ვაი თუ ერთხელ გაგიწყდეს თოკი
და სამუდამოდ ამ ფსკერზე დარჩე.
მაშინ ყველაფერს დუმილი გიჯობს.
ნუ გაირჯები, არვის მიწვდება
თეთრ ბურთულებად ამოსროლილი
შენი ძახილი.
ნურც დაღონდები, იმ წუთის მერე
არ იარსებებს შენთვის საზღვარი
დღისა და ღამის. არ იარსებებს
ყინვა და ქარი. აღმოსავლეთი
თუ დასავლეთი. ივლი, სულ ივლი
გზაზე, რომელიც არსად თავდება
და... არც იწყება. ამაზე მეტი
რა შეიძლება ინატროს კაცმა.

## ბედნიერება

ჩემს გოგოს,
მოხარშულ სიმინდს რომ ჩაფრენია,
კალიასავით უბრწყინავს თვალები.
ინაბება,
თითქოს ფრთებს ისწორებს ვეება ტაროზე...
წამიც და გაიელვებს
ლურჯად დაწინწკლული კაბა,
წამიც და მიიმალება
ქათქათა ღრუბლებში.

## შ ვ ი ლ ი

შუაგულ მზეში არწივი მკორტნის,
ქვას ღებავს ჩემი სისხლი და ტვინი...
მეყრება სული და ამდის ორთქლი,
დნება სიზმრების ყვითელი ზვინი.
და ვეღარ ვარჩევ ნათელს ბნელიდან,
ვერც ფრთებს, სახეში უღვთოდ რომ მცემდა.
შენს გარდა ახლა ვინ მიშველიდა,
შენ — ჩემი შვილი — მოდიხარ ჩემთან.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი სდგას ანგელოსი...

ეს მე ვარ. ჩემი მამულისა და ქარიშხლიანი ეპოქის შვილი, ივანე ჯავახიშვილის ნამოწაფარი, ნამარი კაცი... გინდათ, გაგაცნოთ ჩემი თავი?

დავიბადე 29 ოქტომბერს, განთიადისას, პატარა მდინარის პირას, დედულეთის ქოხში. ბებიაჩემის ხელში დავბადებულვარ, სხვა არავინ ყოფილა ახლოს. ახლა მაგ ენას რომ არ ასვენებ, რომ დაიბადე, ხმას არ იღებდი, ასე მეგონა ცოცხალი აღარ იყავიო, მიამბო ბებიამ. პატარა ფეხებში ხელი ჩაგიგლეჯ, თავქვე დაგკიდე და მაშინღა იყვირეო. შენი დაყვირება და აბუაშენის თოფის გასროლაც ერთად მოხდაო და სოფელმაც გაიგო, ბიჭი რომ დაიბადე, გვარის გამგრძელებელიო. მამაშენი მაშინ მცხეთაში მუშაობდა და შენც იქ წაგიყვანეთ ჩვილი, სამი თვისა თუ იქნებოდი, ხოლო იმ ზამთარს სოფლად დიდი თოვლი მოვიდა, ასეთი თოვლი ჩვენში არც არავის ახსოვდაო.

მერე რა მოხდა მნიშვნელოვანი ჩემს პატარაობაში არავის უამბია, ხოლო რაც მე თავს მოვესწარი და გამახსენდა, იმას თავად მოგიყვებით.

მამა მცხეთაში რკინიგზის საფეხურზე მეფურნედ მუშაობდა და იქვე, „დიდი ხაზეინის" სახლში ცხოვრობდა. ალბათ ოთხი წლისა თუ ვიქნებოდი, ამ სახლიდან ჩემზე ბევრად უფროს მამიდაშვილთან ერთად რომ გამოვიპარე და პომპეუსის ხიდზე გავედი. ხიდის მოაჯირის ტუჯრუტანაში თავი გავყავი და მტკვარში ჩემი თავი დავლანდე, სიხარულისაგან შევყვირე და ის იყო უნდა მეხტუპა, რომ მამიდაშვილმა

სული წამავლო, გულში ჩამიხუტა და შინისაკენ მოკურცხლა.

ასე გადამარჩინეს ოთხი წლისა პირველ ფათერაკს...

ბავშვობიდან დამეგნალა ფათერაკი და ჩემი ცხოვრება, ფათერაკებთან და ხიფათთან სავსე, ეგეთ არც არაგინასთვის იყოს საინტერესო, მაგრამ მაინც უნდა მოვყვე, რადგან ჩემს გულს ასე უნდა და რაც გულს უნდა, იმას არც არასოდეს უნდა ვეუბრო ხოლმე...

1914 წელს მსოფლიო ომი დაიწყო. მამაჩემი ფრონტზე გაიწვიეს. მე და დედამ ისევ სოფელს მივაშურეთ, მამის სახლს. მეხეთიდან გამოსული მატარებელი ჩემი სოფლის მახლობელი სადგურზე გაჩერდა. აქ, სადგურზე, ეტლში ვიღაც ნაცნობებმა ჩაგვსვეს ჩვენი ბაღი-ბარანით და ნახევარი დღე ვიარეთ. მერე ეს ეტლი რომელიღაც სოფლის ეკლესიის წინ შეჩერდა და ძირს ჩამოშვეს. აქედან ჩემი სოფლის აღმართი იწყებოდა. ამ გზაზე სიარული ფეხით, ურმით ან ცხენით შეიძლებოდა. ბაბუამ ურემი დაგვახვედრა. მეურმემ, ახალგაზრდა კაცმა, დედაჩემს დიდის ამბით ხელი ჩამოართვა, მე ამიყვანა და თავზე მაკოცა, მერე ბარგი დააწყო. დედამ ურემზე მოიკალათა, მეურმემ მხრებზე შემისვა და ურემს კაუდეგა წინ. ასე მხრებით მატარა აღმართ-დაღმართი ჩემი სოფლისა, სახლამდე. მამის შემდეგ ის ბიჭი დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. მაღალი იყო, ტანადი, შავგვრემანი, თმა ზაბლისფერი, მოშვებული. როცა ქაიღიმებდა, მთელი სახე უბრწყინავდა. ღიმილი კი არასოდეს ზორგბოდა მის კეთილ სახეს. ორი თვის შემდეგ ის ბიჭიც ფრონტზე გაიწვიეს.

ბაბუას სახლში დიდის ამბით შეგვიხვდნენ. ჩემი ნათლია, სოფლის მასწავლებელი ვიორკი, ამაგე სოფლის მღვდელი თეგლორე, ქოსა დიაკვანი ნაფეთ, მნათე გიგო და კიდევ სამიოდე მეზობელი მოეწვია ბაბუაჩემს ჩვენი ჩამოსვლის აღსანიშნავად ვამართულ ნადიმზე. თამადად ბაბუა დადგა და დიდად მოიღინინა. მე ადრე დამეძინა და აღარ შემიტყვია სტუმრების წასვლა. მეორე დღეს ბაბუამ მითხრა: ნახე, როგორ ბატის ბუკიეთი გამოთვრა ის ბედდამწყარი მათეო, მე ვერაფერი გავიგე ამ სიტყვებისა და გაოცებული შეკვეთრებდი ბაბუაჩემს. შემატყო, შუბლზე შეამჩნია, ჯარაკეზე ჩამოჯდა, ვვეფიდით მომისვა და ამიხსნა, რას ნიშნავდა ბატის ბუკიეთი: აი, შეხედე ბატის ბუკს, ბატს ქათმისოდენა ბუკეა არა აქვს, ბატის ბუკეი კი ბატზე უმკვლია, ჰოდა, როცა არაყს გამოეხდით, აი მაშინ ნახავ, ეს ბუკეები მიეტანებიან ნაბოხდეთ ბაკას და მერე მთელი დღე გამორტყანებული დაბრონიალობენ. ასევე ერთი ბიჭი ღვინო კორობს ის ჩვენს საცოდავ დიაკვანს. ბედდამწყარია, აბა რა ეთქმის უეიოლშეიღლიდ გადაშენებულ კაცს. კაცი ფრონზე წასვლა მოეკიდოს ოჯახს ხითბო და ბედნიერება მოაკვს, ბაბუ, სითბო, შვილები და შვილიშვილები. ეს თქვა და ისევ მაკოცა შუბლზე...

აღდგომა დღეს ეკლესიაში წაველეი ბაბუას, ისევ ენახე მღვდელი, დიაკვანი და მნათე გიგოთა, ამის შემდეგ ყოველ კვირა დღეს დავდიოდი ჩვენი სოფლის ეკლესიაში და შევიჩვიე მნათე გიგოს. ეკლესიაში ყველაზე მეტად ზარების რეკვა მიტაცებდა.

ასე იყო მცხეთაშიაც, მაგრამ სვეტიცხოველის კუბეში ბერაზი ზარები შიშსა მგვრიდა და ახლოს არ ვეკარებოდი. ამ ზარების შემდეგ არად ვიგდებდი ჩემი სოფლის პატარა ზარების ზკარუნს, ეკლესიიდან გამოვეპარებოდი ბაბუას და ეზოში იქ ჩავეკეცქდებოდი, სადაც მაღალი ცაცხვის ხეზე დაკიდებული ზარეს მიწამდე ჩამოშვებული ბაზრებით არისხებდა მნათე გიგოია.

ჩვენი უბნიდან მამაზე კიდევ 6 კაცი გაიწვიეს: უბანში სულ 12 კომლი ცხოვრობდა, მე ყველა იმათგანი გავიცანი. ჩემი ეონება უბანს კარგად ეწყობოდა, ხოლო იმის სათავლაოში ვერ შევდიოდი ჯერ კიდევ 6 წლის ბავშვი, თუ რა ხდებოდა ქვეყანაზე. ეს ამბავი განსაკუთრებით ინტერესს დამამახსოვრდა, რომ ჩვენთან მოვიდა ის ხუთი ყმაწვილი კაცი, რომელნიც ჩვენს ოჯახში გაზრდილ ობოლთან ერთად ომში მიდიოდნენ. ბებია ტრიფოლა, ბაბუა არიგებდა ყმაწვილ კაცებს, მერე სუფრა გაშალეს და გზა დაუღოცეს. ყმაწვილკაცები ქეიფში გაერთვნენ, გამბიარულდნენ და სიმღერა დასცხეს ის სევდიან გულზე. ამ სიმღერით გაგიდნენ ჩვენი სახლიდან...

ჰო, რას მღერდნენ?

დი დოუ, დი დოუ, დი დოუ ნანა
მა ჯარაში მიონანა,
მა ჯარაში ვამაინე
რუსიაში თოფი ვამალინე
დი დოუ, დი დოუ, დი დოუ ნანა...

ეს სიმღერა დამამახსოვრდა და ჩემს უბნელ ბიჭებთან ერთად ამღერეოდი, ვიდრე ომი არ დამთავრდა.

ომი დასრულდა, 6 ჯარისკაციდან მხოლოდ ორი დაუბრუნდა სოფელს. მათგე ჩამოიტანეს დანარჩენთა სიკვდილის ამბავი და ოთხი ოჯახი ერთდროულად ატირდა. მთელი უბანი მოგროვდა ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე და ხან მეოთხე ოჯახშია და ერთი ზარით ტირილი გაადეს.

ბებიას ეს მეზობლის ობოლი, შვილიეიი გაზრდილი, შვილზე ნაკლებ როდი უყვარდა. ბებიაჩემმა შვილობილის მოკვლის ამბავი საოცრად შეიჩხაკა. დიდი ზალიდან ის ობოლი ბიჭის ტანისამოსი აიკიდნეზე გამოიტანა, ტახტზე დაალაგა, თმა ჩამოიშალა და კიბეილი მორთო. ბებიას ტირილზე და კიბილზე მეზობლები მოეკვიდნენ, ამას ახლა ის სამი ოჯახიც აკყვა, მეზობლები გამოეხმაურნენ და სოფელი გლოვამ და ტირილმა მოიცვა, მოსთქვამდა კაცი და ქალი, საშინლად ყმუოდნენ სოფლის ორღოვში ძაღლები...

გული ჩამწყვიტა იმ ბიჭის სიკვდილმა. მთელი კვირა უბნის ბავშვებს გავგებუტე და „ომობანაში" არ მითამაშია, ეს მაშინ ჩვენი ყველაზე საყვარელი თამაშობა იყო. მე მაშინ ბებიასთან ერთად დავწყვეტე ყველა ის მეფე, ვინც ომს იგონებს და ომში წყვეტს უდანაშაულო ხალხს.

იმ საშინელ ღამეს მუხლებზე დაჩოქილი ბებია

რაღაცას ბუტბუტებდა და თან სწყვეტდა რუსის მეფეს, ნიკოლოზ მეფეს, რომელმაც ჩვენს ოჯახში გაზრდილი კაცი მოგვიკლა — მე ფეხზე ვიდექ და ბანს ვაძღვებდი ბებიას—ამინ!

მაღე მთელმა სოფელმა გაიგო, რომ ნიკოლოზი ჩამოაგდეს და მთელი ოჯახით ამოწყვიტეს. ბებიამ ეს ამბავი ჯერ შეიცხადა—მეფის დახვრეტა ვის გაუგონია, მერე თითქოს გონს მოგვი და თქვა, — ღიაბაც კარგად უქნიათ, აბა რა ეგონა, ამდენი უდანაშაულო ხალხის სისხლი რომ დაიღო ვალადო!?

მაღე მამაც დაბრუნდა ფრონტიდან და სულ სხვანაირი ცხოვრება დაიწყო. ბაბუას ცხრა შვილი ჰყავდა, ხუთი ვაჟი და ოთხი ქალი, და სამი ამდენი შვილიშვილი. ეს დიდი ჯალაბობა ჩონგურივით იყო აწყობილი. ბაბუას დაუკითხავად არც არაფერი გაკეთდებოდა ჩვენს ოჯახში, ხუთრა რა არის, ხუთრაც არ გაიშლებოდა და უცდიდა ბებია, დედა და გამზადებული პურ-მარილი ბაბუას ვანკარნუულებას... თუ სტუმრები არ გვყავდა, ხუთრა სამზარეულო სახლში იმლებოდა, შუა ცეცხლის პირას. ორი ტაბაკი გვქონდა. უფროს დიდს უფროსები მიუსხდებოდნენ ბაბუას მეთაურობით. მეორეს, პატარას—ქალები და ბავშვები. ოჯახში მე უფროსი შვილიშვილი ვიყავი და ამიტომ ბაბუა ვეკრძალი მომისვამდა ხოლმე. პირველ სადღეგრძელოსაც ჩემსას სვამდა, მანგებიერებდა. მაღალ ხვეზზე აყოცაებული ადესის ღვინო კი მუდამ გამოუფეთქელად ჰქონდა სადღეგრძელოში. სადღეგრძელოში ვეფეთქამ მე ჩამრთავდა, დიდ მომავალს მიწინასწარეტყველებდა... მეც თავი მომქონდა ამით. სადამოობით, თუ კარგ გუნებაზე იყო, თავისთან დაგვიყენებდა. ბაბუა კი ოდა სახლის დიდ ზალაში მარტო იწვა მუდამ. იმ საღამოსაც ბაბუას ფეხებთან ვიწექი. ღიღით ადრე კარზე დაკაკაუნეს. ვინა ბარო, ჩკითხა ბაბუამ. მე ვარო, იყო პასუხი. ბაბუა ადგა, კარი გაიღო და საუბარი გაუბა, რაღაც დაკალებები მისცა მოსულ სტუმარს, ისევ გამობრუნდა და ფრთხილად დაწვა. ეგონა, მე მეძინა. მე უცბად ბაბუას მოვეწეკი, კაკოცე და ვკითხე: ბაბუ, სახელი რატომ არ კკითხე-მეთქი ის კაცს, ვინც კარზე დაკაკაუნა. ჩვენ მეცხოთნი, რკინიგზის პირას ვკვნილა სახლი და ფედაქში სანამ არ გამოკითხავდა სახელს, გვარსა და ვინაობას, მანამდე კარს არავის გაუღებდა. კარგ კაცს უკითხავდაც იცნობენო, შვილო, კარები კაცის ხმაც ნაცნობია და სახელიც. ეცადე შენც კარები კაცი იყოო — მითხრა ბაბუამ... მე არაფერი ეუპასუხე. ამეკვიატა ეს სიტყვები, მაგრამ გონებაში ღრმად ალმბეჭდა ის კაცის პასუხი: ეს მე ვარ.. მთელი დღე ამ სიტყვებს ვიმეორებდი.

ბაბუას სახლში მუდამ უამრავი ხალხი ირეოდა. სტუმრებსა და მომსვლელებს ბოლო არ უნახდა. საქმეცა და გასაკეთებელიც აუარებელი იყო. მე კი მეტწილად სამზარეულო სახლში ვტრიალებდი. ქალები და მოსული სტუმრები კ იყრიდნენ თავს. პირველი ჭორსაც აქ გაიგონებდით და სოფელში მომხდარ უბედურებასა თუ ფათერაკსაც აქ შეიცხადებდნენ, მე კითხვებით არ ვასვენებდი ამბის მთხრობელთ, რის გამოც დედა ხშირად მიწყრებოდა.

შაბათი საღამოს მოსცოა მიხარიდა! სოფელში შაბათობით ჩვენი სახლის პირდაპირ, დიდ ეკრანზე იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და ბავშვები, გასართობელებიც და ცოლშვილიანებიც. მთელი კვირის შრომით უზომოდ დაღლილ-დაქანცულნი ზაფხულის ცხელ დღეებში, საღამოობით აქ ისვენებდნენ. ტამფანდურას, ცეკვა-თამაშს, ზღაპრებსა და ჭორებს, გაბმულ სოფლურ სიმღერებსა და სერიოზულ ამბებს აქ უყრიდნენ თავს. მე გაოცებით და გაგატაცებით შევცქერიდი მათ თვალებს, მათ ყოველ მოძრაობას, ქალებს დაუსრულებელ ტკარაცას და ვაჟებს ნორხოცს. ოღონდ, საწყენად ის მრჩებოდა, რომ ყველაზე ადრე უნდა დადგრეგებინა ეს გორაკი, ჩემი საყვარელი გორა. ღედასთან დათქმული პირობის თანახმად ადრე უნდა დავბრუნებულიყავი შინ. შუა ძილში ისევ მესმოდა გორაკიდან მოგარდნილი სიმღერები და ტამ-ფანდურას ხმები. სიზმარშიაც ხან მათთან ვიყავი, ხან ამირანივით ცხრათვალა და ცხრათავა მაკბაყ ღევებს ვებრძოდი და მზეეთანხავებს ვანთავიანუფლებდი...

ყველაზე უფრო სიმინდის რჩევა მიყვარდა. იდგა ბაბუას დიდი ცაცხვის ძირას სიმინდის გორა. ჩვენანები ეი ნადზე მოწყვეული მუზოლებები გარს შემოუსხდებოდნენ ამ გორას და იყო ერთი სიცილი და ტკარცალი. ზეიმობდა კაცის შრომით მონაწყვი დოელათი და ბარაკი, ზეიმობდა შემოდგომა, მიწაზა და ოფლის ნაწური სიმინდეკის გორა, მაჭრით სავსე ქვევრები, მოხარშული სიმინდი და კვახი, დარჩეული კაკალი და თხილი...

მახსოვს, ერთ წელიწადს დიდი მოსავალი მოგვივიდა. სახლის წინ, ბეოლის ძირას, სიმინდის ორი გორა იდგა. პირველ გორასთან ათითოდ ქალიშვილი, ამდენივე ჭაბუკი იყო თავშეყრილი. ბავშვებიც აქ ვტრიალებდით, მაგ ტოლებად მოგვქონდა თავი, სიმინდის რჩევაშიაც ვემსახურებოდით და ლაპარაკშიც ვეიოდით. ერთმანეთთან შელაზღანდარებულები, ნუოკახსნილები, დაუფარავად ამბობდნენ, რაც პირზე მოადგებოდათ. ჯერ ერთმანეთის წკიპურტებსა და ბაკალულას მოუნდნენ:—არა, თქვას შალოკომ როგორ აუოსნა სიყვარული თალიოსა.—თქვას, თქვას... ახლა ირინგმ დაიძახა, მაშინ ისიც თქვას, თალიოსაგან რა პასუხია მიიღო. თალიომ რომ უარი უთხრა უიმეღოდ შეყვარებულ შალოკოს, ეს ცნობილი იყო, ამიტომ იწყინა ეს შეხუმრება შალოკომ და თავის მხრივ შეუტია ირინეს. — არა, ამას ისა სჯობია ის გვითხრა, შე წრეწუნა, შენა, მამაშენმა ბასვამ სახლიდან როგორ იოჭინნა შენი ხელის სათხოვრად მოსული მაკანკალი ბესა... ეს ამბავი სოფელში არავინ იცოდა და ერთბაშად გაიტრენინენ. უსიამოვნება რომ ბაკეფანტა, სოკრატეს ერთბაშად სიმღერა წამიიწყო და აკავა სიმღერას მთელი ვუნდი, მერე ორად გაიყო ეს ვუნდი. ერთ ჯგუფს შალოკო ჩაუდგა სათავეში, მეორეს თალიკო და ახმიანნდა მეგრული მელოდია ჩაინერბინა. დიდებულო რამ იყო ეს მელოდიები,

სერგი ვილარია
ეკ და ჩემი პროფესორი

გულისმემფფფფფფფ, ცრემლი ამოვლებული, სიყვარულით დამშვარი... ისე ღრმად ჩამბეგბეგდა მეხსიერებაში ის პაეროვანი მეღოდიები და ჰანგები, რომ არც არასოდეს დამავიწყდება.

მე ამ ახალგაზრდებში ვტრიალებდი, მაგრამ უცბად ისეთი ხორხოცი და ხარხარი ატყდა მეორე გოჩანთან, ცაცხვის ძირში, რომ უმალვე იქ გავჩნდი. იქ კი უმთავრესად გათხოვილი და ხანშიშესული ქალები იყვნენ თავმოყრილები.

მეგზორეგბის, ენაჭარატალების, მოარშიყეგების, სხვათა განქექებაში განთქმულთა სალაყბო ალაგი—სოფელში ღამისთვეა და სიმინდის რჩევა იყო. ისე იყო იმ საღამოსაც, მოიქსოვა ჭორეგბის ბადე და შიგ მოყვა არაერთი ნადის წვეერი. ახლა ბადეში მოყოლილი ბადის გარეთ დარჩენილს იირეედა შიგ და ვალში არც არაგინ რჩებოდა. მე ცნობისმოყვარეობით ყველას ვაკვირდებოდი, ტულის ფიცარზე ვიწერდი მათ ნათქვამს. მომწონდა ეს ენამსგიელი და ენაჭარატალოა ხალხი. ბაბუას კი ჭირის დღესაგით ეზარებოდა ეს ჭორიკანები, მიხსნიდა, მარიგებდა, ვისი მომესმინა, ვის სახლში მეკლო, ვისთან მემეგობრა, ვის ოჯახს ხა სახლს განგრიდებოდი. მე კი განურჩეველად ყველას ვუსმენდი და ყველასთან დავდიოდი. იმ საღამოსაც ერთხელაც არ შეგბრუნებულვარ ქალიშვილებისა და ჭაბუკების გუნდთან. ვიყავი ამ ჭორიკანების კუთხეში სიმინდებში მიმალული და გაფაციცებით ვუსმენდი მათ ნათქვამს.

უცბად ლიზამ წამოიძახა.

— აბა, თუ გაიგეთ, რა მოსცია ბახვას ოჯახს?

— რა, რა, — ერთმხად გასსმა ჭორეგბის მოყვარულთაგან.

— რა და, მოუტაცნიათ მისი ლამაზი ეკა. აი, იმ ბომბოლთე ბიგსა, აკ რომ დაეთრეოდა. სამი დღე ყოლია სახლში და მერე უკან მოუყვანია, ასე მემოუთვლია, ქოთანს ძირი ჰქონიაო გატეხილი.

— ეს რა თქვი, შე შეშეგნეულო, — დაუცაცხანა ვიღაც მეზობელმა ლიზას და სიცილმა გადაუარა მთელ ბუნდს...

ჭორეგბის წოსქვიღი ფქვავდა და ფქვავდა. დარჩუღული სიმინდის ტარიები კი ტარეგბს ემატებოდა, ახალი სიმინდის ზვინი დგებოდა. ამ გაწამაწიაში და ჭორეგბის წოსქვეღის ბრუნვაში ჩამბიბნებოდა კიდეც.

დღოდან ბაბუამ თეთრად და ყვითლად, ყვითლად და თეთრად, ვერცხლისფრად და ოქროსფრად მოლიღოვეგ ტაროგბით ავსებული ეზოს რომ გადასხედა, პირჯვარი გადაიწერა და მოწიწებით წარმოთქვა, ღმერთო, შენ შეგვეწიე...

ასე ვიზრდებოდი სოფლის ჭორეგბისა და ზღაპრების, ლეგენდებისა და თქმულებების, შეღოცვებისა და ანდაზების ფანტასტურ იდიღიაში, შრომის, სიკეთის, ვაჟკაცობის, პატიოსნების გარემოცვაში. იმ წელს 7 წლისა გავხდი და გამოვემზადოდაზე კეთილი ბებიაჩემის წარმტაკი ზღაპარებს, სოფლის გორაზე ამინანსის ამბების მთხრობელს პაპა ივანეს და მეზობელ სოფელში შრომის სკოლას მივაშურე. მცხეთაში ბიძია ენანატეს ნაჩუქარი გოგგბაშვილის დედაენა თან წამოვიღე სოფელში. სკოლაში მიბარებამდე მამაჩემი მაჩვევდა, მიხსნიდა ქართული ასოების და ნახატების. მე მინინგ ქალაქელი ბიჭი ვიყავი და სოფლის სკოლაში სულ მალე გამოვიჩინე ეროვნული ზეპირსა და არითმეტიკაში ეროვნული მზრთნდა. ცოტა წერა მიმეძრა, ვერა და ვერ ვიხმენდე რთული ქართული ასოების ლამაზად გამოყვანა.

სკოლიდან რომ დაგბრუნდებოდი, პირველი ბაბუა შემეკითხებოდა, რა ქენი, ბიჭოო? — ხუთი მივიღე, ბაბუა-მეთქი, მოვასხარებდი. ბაბუას ეკიღიმებოდა:—არა, ყოველ დღე ხუთს როგორ იღებ, ბიჭო?

ბაბუაჩემი ნაგალი კაცი იყო და გონებაგაბსნილი, სოფლის ერთ-ერთი თავკაცი. ყველა მას უამბობდა სოფლის გასაჭირს და დასალხინს. ბაბუაც გულდინჯად უსმენდა და უსხნიდა ყველას:

— ხასელი, ხასელი ამშვენებს კაცს, აჭაც და იქაც, საკმაშოსაც და საიქიოშიაც, ოღონდ, ხასელის მოპოვება უნდა შრომით, გარჯილებით და ვაკაცობით, მერე მოპოვებული ხასელს გაფრთხილიკა, რომ სირცხვილის ქვამ არ გასრესოს. ხასელი შრომის ტკეცნი ძმაა. სიკეთის, პატიოსნების, სინდისის, ნამუსის დუდაბი...

მიყვარდა ბაბუას ლაპარაკის მოსმენა, გულზე ყალვიბეგდე ეს სიტყვები და ასლაც ყურში ჩამესმის მისი ტკბილი საუბარი. ერთხელ ნათქვამს ასეთ მამეორებდა, მარიგებდა, მინერვადგი ამ სიკეთეს, რომელიც თვითონ სწამდა. მეც ამ რწმენით მზრდდა. შემოყვარდა ბაბუა და ჩემი სოფელი. გულმა ჩაგიხედა და ერთად ვიყავით, ერთი საერთო აზრით ვცხოვრობდით.

თვითონ უსამეკეო მშრომელი იყო. სახედამწვარი, ნაჯაფარი, ვეღა შინ და ვეღა ბარეგი ვერ იტანდა მცონარეს და ზარმაცს. ეს ჩვენ კარგად ვიცოდით და ჩრდილში მინეზიერე არასოდეს ვყოფილვარო. არიან ადამიანები — სიმართლით, პატიოსნებით, სინდისით და სიმშვიდით ყელამდის სავსე. შეუძლებელია მათთან სიასოლოვანის ან ანანეადო ადამიანის სულის ათუწონვა სიმდიდრის ძალა და გაგელვნა. ასეთი იყო ბაბუაჩემის გაგელნაგი. რაც გინდა ბორტი ყოფილიყო ადამიანი, არ შეეძლო ბაბუას წინაშე სინდისის ქნეჯნა არ ეგრძნო.

ბაბუას არ ჰქონდა ციხე-დარბაზი, არც ქონგურეგბიანი სასახლეები ედგა, მაგრამ გლეხის პირობაზე კარგად ცხოგრობდა. მიწები, რაც მამასისხლად ეყიდა, ყოფნიდა ჩვენს ოჯახს. დიდი ეზო სეხიილთა და ხეზე ვასული ალეხის ვენახებით, ეზოს წინ მწვანედ მობიბინე კოინდარი. გორაკებით თოხმხრივ შემოღობილი, ადამიანის სულის დამამშვიდებელ პეიზაჟ ქმნიდა...

დაუდგრომელი და მოძრაგი ვიყავი. ტოლ-ამხანაგებს ავიყოლიეგდი, ავასმიანებდი სასხეს, კარეზოს, სოფლის შუკებსა და მოედნებს. გავეკრთობოდი... ხან მოვიწყენდი, არც ამსნანაგებს გავეკარებოდი და არც ანლობლებს, ვიფიქრე მარტოა, ერთ ამოჩემებულ ალაგას და საკუთარ თავში ღრმად ჩაძირული, ზეკეს შეეჩერებოდი, სანამ ფიქრით და ოცნებით არ დავიღლებოდ და არ გამოვფიქსლდებოდი. ეშმოლეგბისა და მასწავლებლების წინაშე ყოველ-

თვის მორიდებული ვიყავი. ყველაზე უფრო მაინც ბაბუასი მერიდებოდა.

დღლით ადრე ავდგებოდი, უსათუოდ მზეს ავასწრებდი, მერე აიენდან ვეკუნებოდი: მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასს. დედა მასაუზმებდა და წითნის ჩაგფარინდებოდი, ვიმორებდი წუხანდელ შესწავლილს. სკოლისკენაც პირველი გავრბოდი... ასე იყო ყოველ დილას, ვიდრე ანდადეგები დაიწყებოდა. ანდადეგების ჟამს საქონელს დავდევდი, შუადღისას ჩემი სოფლის პატარა მდინარეში ვბანაობდი, მზის ჩასვლისას ვბერთაობდი, აქაც არავის ვუთმობდი პირველობას...

საღამოობით დაღლილ-დაქანცული ღა ოფლში გაწურული ვბრუნდებოდი. ბებია მამინდვე ტანისამოსს მიიცვლიდა. ბებიაჩემი კეთილი და მორწმენე ქალი იყო. შელოცვაც იცოდა და გამოლოცავდა: ვის არ ნახადილი ჩვენთან ღღისით და ღამით, სოფეი, საქონელი გარეთ დაკვრნა, გამოგვილოცეო. - ბებია არ დაიზარებდა, იქვე თუნდაც სკამს აიღებდა, ბაღრით დაბორკავდა და ბუბუტუთ ოოცუოოზდა. საქონლის პატრონს სწამდა და სჯეროდა, რომ გარეთ დარჩენილ საქონელს არც ნადირისაგან და არც კაცისაგან ზიანი არ შეემთხვევოდა. ბებიას შელოცვანი ნადირს პირს დაუკბეკვდა, ქურეს ხელ-ფეხს შეუკრავდა და ნახირიც გადარჩებოდა. თუ გათვალეული ბავშვის დედა მოვიდოდა, მამინ ბებია კერიის პირას ფეხს მოირთხამდა, ხელთ ნახშირს აიღებდა, ზვრილად ილიდა და თან ოოცავნინ სიტყვებს ბუბუტებდა. ღა სჯერდათ ჩვიღთა დედებს, რომ სანამ ისინი შინ მიკვიდოდნენ, ბავშვები მოიხედავდნენ, გათვალეულები მორჩებოდნენ. სწამდა სოფელსაც, სწამდა ბებიასაც და დიდი პატივიც ჰქონდა სოფელში. ბაბუა რომ დაინახავდა ოოცავდ დამდგარ ბებიას, უღარეშში ჩაიცინებდა და ყველას ბასავინაღ იტყოფდა: მართლა ბგონიათ, რომ რაიმე ძალა აქვს ამ დედაკაცის ბუტ-ბუტს? მეტი არაა ჩემი ტატი. თავის მხრივ ბაბუა უმლიდა ბებიას, მაგრამ სოფელი და ბებია არ იშლიდნენ ეს ჩვენი კერა ისმენდა ბებიაჩემის გაუთავებელ ოოცავ-ვედრებას.

დედა და მამა ბაბუას და ბებიას დაუკითხავად არაფერს გაკკეთებდნენ. დედაჩემი უფროსი რძალი იყო და ამიტომ ოჯახის მოვლის მთელი სიმძიმე მას აწვა. იგიც უდრტვინველად იტანდა უსაშვეელ შრომას და გარჯას.

ჩვენი სოფლის მთავრობა როცა შეიცვალა, თავიკაცებში მამაც გაერია.

ახლა ჩვენ სოფელში წარამარა ახსენებდნენ ორ სახელსა და ორ მთავრობას: — ლენინსა და ლენინის მთავრობას, ჟორდანისა და ჟორდანის მთავრობას. იყო ხაარაკო კამათი, დავა, შეხლა-შემოხლა და მიწევ-მოწევა...

ჩვენი სოფელი რკინიგზიდან ორმოცი ვერსით იყო დაშორებული, ხოლო საფოსტო გზიდან ვვიდოდეთ ვერსით. ამიტომ რევოლუციის ქარიშხლის გუგუნი ყრუდ აღწევდა მთებში შებუდნილი ჩვენს სოფლამდე. 1917 წელს ჩვენს სოფელში ერთი თოფი არ გავარდნილა. ყველაფერი ეს უბრალოდ მოხდა: 1917 წლის მაისში მარტვილიდან ჩვენს სოფელში ალუზა-ზარავაში გამოწყვილილი ერთი ჩიაკვალი ჯიბეცსადა. სოფლის კანცელარიაში მამასახლისი ალბარა და ყველნ გადასაკიდებელი გრძელ ძეკვეზე ჩამოკიდებული შეფალი და ბეგეები ჩამორთვა, მერე სოფლის კრება მოიწვია და ერობის თავმჯდომარე აირჩიეს. ერობის თავმჯდომარე მამასახლისის ოთახში მოკალათდა; ჩვენს სოფელში ერთსართულიანი, სამი ოთახისაგან შემდგარი ყავრით დახურული ფიცრული კანცელარია იდგა. აქედან ერთი ოთახი, რომელშიაც ლუჩჯი მაუდგადფარებული მაგიდა და სამიოდე დანჯღრეული სკამი იდგა, მამასახლისს ეკუთვნოდა. ახლა ამ ლუჩჯ მაგიდას ერობის თავმჯდომარე მიუჯდა და თითქოს ყველაფერი ამით დამთავრდა...

1920 წელი კი დიდი შიშით შემოვიდა ჩვენს სოფელში. ერობის თავმჯდომარე სოფლად დადიოდა და ხმებს აგროცელებდა, დაგიდუმეო, კაცებმაია ბოლშევიკები მოდიან და ყველაფერს წაგვართმევენ, აგვაწოლიეინ, არიქა თავს უშველეი, ყველაფერი გადამალეთ... სულ მალე ხაშა გეგეჭკორის რაზმელებმა ასლიმახლო სოფლებსა და მთებში ავანსცენის ცეცხლი ააბრიალეს... — დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია... გუგუნებდა ჩემი სოფელი. 1921 წლის მარტს მარტვილიდან მოვიდნენ სამი ძმანი ოდიშარიები, რომელთაგე შავი ტყვიის ქურთუკები, ნალებდაკრული მაღალფეხიანი რუსული ჩექმები ეცვათ, წელზე პატრონტაში ერტყათ, მხრებზე ბერდენა გადაკიდებულებს, სარტყელზე ჩამოკიდებულ გრძელ ბოსჩაში კი ბრაუნინგები ეღოთ. რეკომთის სახელით კანცელარია ჩაიბარეს, აივანზე წითელი ღროშა გამოიფინეს და სოფლის მართვას შეუდგნენ. ჭორებისაგან შეშინებული სოფელი ერობაშად დაუმშინნდა და გამოიცოცხლდა.

ქვეყნის ფეხისცვლებამ ყველაზე უფრო ჩვენი სოფლის სამება — მღვდელი, დიაკვანნი და მნათე დაესეტყვა. ჯერ ერობის თავმჯდომარეშ შეავიწროვა, საბოლოოდ კი რევკომმა მოუღო ბოლო. ყველაზე ადრე მღვდელი ზოსიმე მიიკვალა. მღვდელი მაღალი, გამხდარი, ბაბუას ჯიხიანი წვრილი და თავკომშაღა იყო. ბავშვობიდანვე ჭლექანის სემინარიის უკანასკნელი კურსისათვის თავი მიუნებებია და მღვდლობა დაუწყია. მერე ავადმყოფს ცოლ-შვილი მუტოვებია და ჩვენთან მთის ძირა ეკლესიის სენაკში დასახლებუნა. მრავლს კვერცხი და რძე მოკმეზნდა და ამით ცხოვრობდა. სოფელი პატარა იყო და შემოსავალიც ცოტა, მაგრამ ამითაც ქმაყოფილი იყო: შემოსავლის ნახევარს თვითონ იტოვებდა, ნახევარს ცოლ-შვილს აწვდიდა. მღვდელი ბეღს არ ემღვნოდა. სწორედ ჭლექანინი კაკისთვის გამოწერილი მთის ჰაერი უმსუბუქებდა ცხოვრებას და უფეერულ დღეებს. არც მრავლს ემღვნოდა, ღილით მთაგან მორმეულ კვერცხს უმად ყლაპავდა და აუფუფარ რძეს სვამდა, ჭამით ცოტას ჭამდა, ღვინოს არ ეკარებოდა. ავადმყოფი

**ხერგი ჭილაია**
მე და ჩემი პროფესორი

ხალხს ერიდებოდა და ხალხიც ერიდებოდა ჭლექიან მდედელს. მრეველიან ზორს, ბაუნმრეველად ეწოდა გალესიის ზეაღსაკლის კართან და გამუდმებით ბუტბუტება ზვრილი გამეინაკი ხმით „ლოცვანნს" დაზეპირებულ სიტყვებს. როცა ბაკმეს ნათლავდა, აუცილებლად ენინსწარ ხელს საპნით დაიბანდა და მირნს ისე უცხებდა, წყლიდან კი მონათლული ჩვილები დიაკვანს ამოყავდა. მდედელი მარტო დიაკვანს ემდუროდა. დიაკვანი კრიჭაში ედება, ყოველ დღე მის სიკვდილს ელოდა და რაკი არ კვდებოდა, სიცოცხლეს უმწარებდა აკადმყოფს. კიდევ კარგი, რეგოლუციას არ მოუსწრია, ისე მოკვდა, 1921 წლის მარტს დაცივდა და გარდაიცვალა ყველასაგან მიტოვებული, სენაკს შეკედლებული ზოსიმე მდედელი. დიაკვანი ასეთ სიკვდილსაც ამალლიდა: ისე მოკვდა, არც წვერის გაპარსვა დასჭირებია და არც სარწმუნოების გაპამპულებაო. სულ ისმა ენაბრძნები, რომ ერთი ამ ბოლშეკიკეს გიამწარებიათ ის ჩემი გამამწარებელი მდედელი, მაგრამ აქაც ბედი ჰკონიათ, — ქიმქელითი ამმობდა დიაკვანი.

დიაკვანი მათე ჩვენს მდედელზე უფრო განსწავლული იყო. ამბობდნენ, სახარებაც წაკითხული ჰქონდაო და დაბადებაც, მამაოჩვენისაც უფრო რიხიანად ამბობდა, ვიღრე მდედელი. ერთ დროს ამ სოფლის ეკლესიაში მდედელს მაგიერადაც წირავდა ჭოსა დიაკვანი. მერე საიაბლიაც ეს ჭლექიანი მდედელი ზოსიმე მოეკლინა სოფელს და ისევ ძველს თანამდებობაზე დაუბრუნეს. მათე დიაკვანი გაანაწყენეს, მაგრამ მრეცლმა თავი ისე მოჰქონდა, როგორც მდედელს და ნამდვილ მდედელ ზოსიმესს ყველაფერში ეცილებოდა. მიშუნენე, ენაკვიმატი დიაკვანი სოფელში არავის უყვარდა, უცოლშეილოდ გადაშენებული — ღიღი წუწკი ვინმე იყო. ღიაცი მოყვარული ქვრივ ფეფფის შესჩერეოდა. ღამეობისაკით, დღლამდებოდა თუ არა, თავისი სასლიდან გამოძვერებოდა და ფეფიას მიაშურებდა. უშეიძირო დიაკვანს შუქჩამქრალი თვალები, წითური პირსახეკ და უფრო წითელი ღოყები, მოკაკუნებული ცხვირი და ყანნისავით გრძელი ყელი ჰქონდა, ქიმმიმნეთი სახე ფაჭანთლის და დაჭმუჭნული, მარტო ფეფია აქებდა სოფელში...

მერე ეკლესიები დაკეტეს, ხატები და ჯვრები სადღაც გადაკარგეს. ეკლესიის ზარები სკოლაში დაკიდეს. მოიწყინეს დიაკვანმა და მნათემ. მოიწყინეს კვირა დღეს და დღეობებში ახმაურებულმა სოფლის ეკლესიებმაც. მერე, უფრო გვიან ამ ეკლესიებში კოლმეურნეოა საწყობები გამართეს. ისევ ახმაურდა ეკლესია. ახლა დიაკვანიც სოფლის ბელეტბივით ყანას თოხნიდა და ჩაის ფართობს ბარით აბნუნებდა. ეკლესია-საწყობში კი ისე არ შევიდოდა, პირჯვარი არ გარღაესახა და ლოცვანის სიტყვები ბუტბუტით არ წარმოუთქვა, მაგრამ ახლა ლოცვანის სიტყვებს არავინ უგდებდა ყურს.

ერთხელ, ღილით, მკვდარი დიაკვანი ფეფიას სახლში იპოვეს.

სოფელში ფეფიას გარდა არავის უდარდია მისი სიკვდილი. ბაბუამ კი თქვა: ბოღმით სავსე ის ცოდვის შვილი ბრაზსა და დარღს გადაჰყვაო. კვირა დღეს დამრხეს უზიარებლად და უქელესოდ ეს სოფლის მაზიარებელი და ქელესენის ეფიმეროვანი ფაზანდა მათე დიაკვანი. რამდენი თანასოფლელის, ნაცნობ-ნაცნობარი დაულვევია და მისი შესანდობარი კი არავის აუღია სიფლად ხელში.

სოფელმა სულ მაღე დაივიწყა ქოსა დიაკვანი, ხოლო ლექსი, რომელიც სიცოცხლეშივე გამოუქვეს, ხალხის ხსოვნას შერჩა. ისევ მღერიდნენ სოფლად:

**ჩვენი პაპა მათეია**
**ანაფორა გინოყართეია.**

ეკლესიების გაუქმებას ყველაზე უფრო მნათე გიგო ვეჭ შეეეჯა. იაპონიასთან ომში ნამყოფი, ნასალდათარი გიგო ისე შეეზარდა ეკლესიას და ზარებს, რომ უიმათოდ ცხოვრება ვერც წარმოედგინა. მწიფოური, ერნეფილიეითი ლოყაწყოფილ მნათე მდედელსაც ერთგული იყო და დიაკვანისაც. ყოველთვის მათთან იყო წირვაზე და ქელეხში, ქორწილსა თუ ნათლობაში, თვალეში შესეციცინებდა, მათ ყოველ განკარგულებას უსიტყვოდ ასრულებდა, უსაშეკეთ მორწყნენენ და ერთგული იყო ოჯახისა და ეკლესიის. როცა მნათეს ზარები დასსნეს და სკოლის ეკლესიაში დაკიდეს, იმ დღეს ჭამასა და სმის მოყვარული გიგოს წყალი არ შეუსვამს. კრიჭაშეკრული იჯდა სასლში და დაჩოქილი ვიღაცას სწყვეოდა. კედელზე დაკიდებული ხატნე გადასცა ის ვიღაც, რომელმაც ეკლესია დაუკეტა მნათე გიგოს. ერთი კვირა ასე იგლოვა ეს წარდენის წინა დღე. მერე ბედს შეუერიგდა და სკოლის დარაჯად დადგომა ითხოვა, იქაც არ მიიღეს. ღვთისმორწმუნენე კაცი სარო, ეკლესიის მსახური და ამა ბავშვებს როგორ გაგაკარებთო. მთლად გადაირია ნნათე. მერე იმ დღეს კარგად გამომთვრალი ბაბუას მოადგა და მთელი დღე ენად გაკრეფილი ბაბუას უმცაციებდა: წარდენნა მოვიდაო, წარდენნა აბა რა: ეკლესია გაიუქმეს, ნათელმირონმა მოშალეს, უფროსეუმცროსობა დაივიწყეს. მერე მიადგა და წყვეტაკრუვეთ გადაადგო ჩვენი რეკვიომის მდიანი ოდეშარია. სულ იმის ბრალია, რაც ჩვენში მოხდა, თუ სანერთდ ასეა, მაშინ რატომ მარტგიელა და ხოშნი არ გაიუქმეს ჭირვა-ლოცვა. არა ეს სულ ჩვენი გადაჩეკული და ოჯაულზე ხელადებული ოდეშარიას ბრალიაო და ისევ ღაანძღვა-გინება მიაყოლა ოდეშარიას სასელს. ქართველი კაცი ათას ხუთასი წელია, რაც ლოცულობს და აკედრებს ღმერთს თავის მამულსა და ოჯახს და ახლა რაღა უნდა აკეთოსო კაცმა... ბაბუა ამშეიდებდა, მაგრამ ამაოდ. სწორედ ამ დროს მარტგელის ზარების რეკვა შემოესმა ნნათე გიგოს. ზარები მღერიან, ზარები მეძახიანო, ადგა, თვალზე მომდგარი ცრემლი მოიშმინდა და ინ ზარების ხმას მიაყვა... მარტგიელის ფერდობი გაღია და მონასტერს მიადგა.

სოფელში ხმა გავრცელდა, ჩვენი ნნათე გიგოია მარტგიელის მონასტერში ნადგომ ბერად შემდგარაო...

მეშვიდე ელასში რომ გადავეყენი, ზინა მასწავლებელი დაგვინიშნეს ჯგუფის დამრიგებელად. ზინა მათემატიკას გვასწავლიდა. მათემატიკაც მოყვარდა და ზი-

ნა მასწავლებელიც. არც იგი მაკლებად ყურადღებას. იმ წელს ჩვენმა სკოლამ პირველად მოაწყო საპირველმანიათ დღეა. მთელი ჯგუფი მოამზადა ზინა მასწავლებელმა ამ ზეიმისათვის. მე ოროდინის ეფდიმვილის ლექსი — „ამირანი“ — უნდა წამეკითხა და მოხდა ისე, რომ იმ დღეას მაზრიდან და რაიონიდან ჩამოსული სტუმრებიც დაესწრნენ. ყველაზე დიდ სასკოლო დარბაზში მთელი სკოლა შეიკრიბა. პირველად მე გამოვედი ტრიბუნასთან. დავიწყე თუ არა „ყალყზე შემდგარი ღრუბელი“... აუდიტორია გაინასა, „კლეკზე მიჯაჭვულ ამირანს სხვივები გადაესაყარა!“ — აქ ხმას უფრო აგუშვე, გრძელ ლექსს საკმაო დრო მოუნდა. მე ვლელადი და მაინც თამამად გავაგრძელე კითხვა: ბოლო სტრიქონები:

იფთქვა ალმოსავლეთმაც,
წითელი დროშა გაშალა
და თავისუფალს ამირანს
სხივები გადაესაყარა!

რიხიანად წავიკითხე და მერხს მიზაშურე. თან გამიმკვა გამაყურუებელი ტაში და ვაშა!

ზეიმის შემდეგ ჩვენი მაზრის განათლების განყოფილების გამგეს სამასწავლებლო ოთახში მომიწვია და მასწავლებელთა წინაშე ხმამაღლა შემაქო...

ფრთაშესხმული დავბრუნდი ჩემს ტოლებში და პირველად ვიგრძენი უცნაური სიამაყე, ჩემს სულს ჩაეწვნთ თავის გამოჩენის გრძნობა. ზეიმის დამთავრების შემდეგ შინისაკენ გავწევ. მივდიოდი ჩემი სოფლის ფართო შარაგზაზე, ახლად გაშლილი იასამნებისა და აკაციების ყვავილთა სუნთქველება მთარობდა ისედაც სიხარულისაგან მთვრალს და ჩემს გულში ეჩურჩულებდი: ეს მე ვარ, მე... მე... ბურან გუგუშვილი...

ერთხანს ამით დიდად მომქონდა თავი ჩემს ტოლებში, მერე ეს ამბავი ერთბაშად დაჩრდილა სხვა გრძნობამ. პირველად მეწვია სიყვარული. მაისის ბოლოს შვიდწლეულს ვამთავრებდით, გამოცდებისათვის ვემზადებოდით. თანაკლასელებს ყველაზე მეტად მათემატიკისა ეშინოდათ, მე კი მათემატიკოსად მომქონდა თავი, განსაკუთრებით გოგოებს ეშინოდათ ზინა მასწავლებლის...

ჩვენს ჯგუფში გოგოები მეტი იყვნენ, ვიდრე ვაჟები. ამ გოგონებში ერთი ყველაზე უკეთესი, ყოველ შემთხვევაში, იმე მეჩვენებოდა მე. ცისფერთვალება ქალაშვილს, ორი დაწნული ოქროსფერი თმა უკან საღრეკამდის ეფინა. ის მზეთუნახავი მეფის ასულად მესახებოდა, რომლის ამბავი პაპა იყვნეს ზღაპრებში გამეკონა. ჩემად დავიგულე, მასთან ახლო ყოფნა მნანატრებოდა, მუდამ მასზე ვფიქრობდი. სკოლაში ყველაზე ადრე მივდიოდი და მის გამოჩენას სულმოთქმენილად მოველოდი. სკოლის შემდეგ სახლამდე მივაცილებდი, რას არ ვუყვებოდი, რას არ ვიგონებდი. არაფის ჩემთვის არ უსწავლებია როგორ უნდა მოექცე შეყვარებულს, მაგრამ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, თითქოს მიჯნურობის ინსტიტუტი დამემთავრებინოს. მიკვირდა, მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ თვით ადამიანის ბუნებაშია იმოგითვე ჩახსნული ნიჭი სიყვარულის არტისტობისა.

მიმიხვდა ჩემი ირინე, რის გამოც ვიდუბდი ასე თავს მის წინაშე, მიმიხედა, მაგრამ გული არ გაუშინსა, არ მაგრძნობინა სამაგიერო და „მე ეფფონ გავყოლილი, უზომოდ გამიჯნურებული, არ ვეშინოდა ერთხელ ზინა მასწავლებელმა ირინე ალეკბერაში გამოიძახა, ვერც ერთი ამოცანა ვერ ამოხსნა. მე მერხზე ვერ ეწერდებოდი და იქიდან ვკარნახობდი ქუდმოგლეჯილი. ზინა მასწავლებელი მომიბრუნდა და მიბრძანა: გაკვეთილების შემდეგ ყოველდღე აქ დარჩებით შენ და ირინე, ვიდრე ალეკბერაში არ გამოსწორდება ეს ქალაბატონი...

ეო, როგორ გავიხარე! ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ჩვენ ორნი ვრჩებოდით კლასში. ჯერ არ მიჯერებდა, არ მისმენდა ირინე, მერე შემეწია და ალეკბერაც შეიყვარა. ამით გათამამებულმა ერთხელ შევბედე:

— ირინე, შენ ყველაზე ტკბილნი ხარ, ტკბილნი და მშვენიერი, ტკბილი და სასურველი... არ დამაკადინა:

— შენ გეწყინება.

— არა, — ახლა უფრო თამამად ვთქვი — ტკბილნი და ყველაზე ლამაზნი...

— ნუ სულელობ!

— თმა, თმა კი შენისთანა არც არავის აქვს ქვეყანაზეს — და მე მოინიდა ხელით შეეხებოდი მის ოქროსფერ ორად დაწნულ თმას. მივუახლოვდი თუ არა, გაბრაზებულმა მომაყვირა:

— ნუ სულელობ!

— კი არ ვსულელობ, მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ, ირინე!..

მე თვით არ ვიცი, ეს სიტყვები როგორ წარმოვთქვი. გამწარებისგან თავბრე დამეხვა, დავბარბაცდი, რომ არ წავძეკულიყავ, იქვე მერხზე ჩამოვჯექ. ისე კი თვით შემრცხვა ამ სიტყვებისა, გაეიხედე და ირინე აღარ იყო ოთახში, კარების მიჯახუნება მომესმა და თვალიც მოვკარი, როგორი სისწრაფით დაეშვა თავქვე.

უნდა გაგიდიგბოდი, რომ ჯაბა შემოვარდა ოთახში და ნიშნის მოგებით შემომძახა: ეს შენა ხარ, ბიჭო გურიკო? მეორე დღეს მთელ ჯგუფს ეს ამბავი ჰქონდა სალაპარაკოდ, ირინე გამებუტა. მე არ ვიცოდი, რა მექნა. ჯაბას ეწყალვლიდი ჩემს გულში, ყველაფერს ისას ვაბრალებდი, მერე ვეღარ მოვითმინეთ და შინ მივუვაჩინი. ჯაბამ აქეთ შემომიტია, ალბათ შენ თვითონ მოდიო ეს ამბავი ჯგუფს, მერე ერთბაშად დამივყვა, თვალებში შემომაჩერდა და ხმადაბლა მითხრა:

— იცი, შენ ირინეს ნამდვილად უყვარხარ!

— ტყუი, — გავკადრები მე.

— არა! დედას გეფიცები, ნამდვილ გეუბნები.

— შენ რა იცი, შენ მარტო დაბუზღება იცი.

— არა, თუ დამიჯერეს, მე არც... დამიბუზღებიხარ და არც ვაბირებ ამ ხელობას ხელი მოვკიდო, ისე კი, თუ მენდობი, მე ვიცი, რომ ირინეს შენ და მხოლოდ შენ უყვარხარ! — ამ სიტყვებს ისე დარწმუნებით იმე-

სერგი ჭილაია
მე და ჩემი პროფესორი

ორგდა, მე გავრუმდი; ჯაბამ გაადოქლა: — ქალი-შვილებმა ასე იციან, როცა უყვართ ვინმე, სწორედ იმას დაემდურეჩინან, რომ ამით დაფარონ სხვების თვალში ნამდვილი ზრახვანი...

მე ვუსმენდი ჯაბას, თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქით გადაკარგული, ჰაპა ივანეს ზღაპარს ვისმენდი. როცა ამბავი დაამთავრა, გადაეცვივე, ვაკოცე და შინისაკენ მოვკურცხლე. დაფეთებული გავრბოდი ჩემი სოფლის ორღობეში, ფრაბლინი დღე იყო და მეცხლება ღაბლა დაფრინავდნენ. ერთმა მთაგანმა სულ ცეხერწინ ჩამომიკოცა ისე, რომ მისი ფრთების შრიალი შემომესმა. ზეგჩერდი და ხმამაღლა შეკანგმე მერცხლებს: ეს მე ვარ, მე — გურიკო, გუგუ... თქვე კუდრაბეებო, თქვენა!

არ მახსოვს, როგორ მიეედი სახლში. პირველი ბეგია შემხვდა. ეწოში ფუსფუსებდა, მიევარდი, სულის მოუთქმელად გადავეხვიე და დავეწყე კოცნა პირზე, სახეზე, მხრებზე. ბეგია ჩემის მხრივ ამგვარ აღერსს შეჩვეული იყო და არც არა უთქვამს რა. მარტო ერთი და იგივე სიტყვებს იმეორებდა: ჰო, კმარა, შენ გაწაცავლის შენი ბებიაო. ისე კი იცოდა ჩემმა კეთილმა ბებიამ, რომ მე იმ წუთში ჩემს გულში, ჩემს სულში იმ ჩემს პირველ სიყვარულს ვეხვეოდი და ვკოცნიდი.

ადამიანი ბავშვობის ასაკიდან სიყვარულს გამოჰყავს თურმე და მეც ერთობაშდე შევიეკვლე. სულ სხვანაირი გავხდი. ამს შემდეგ, რაც ირინე შემოყვარდა, თითქოს გავიზარდე, თავი კაცად წარმოვიდგინე და სხვანაირად დავეწყე მზერა ჩემს ამხანაგებს, მასწავლებლებს და მთელს სამყაროს. მიწაზე არ ვეტეოდი და მზად ვიყავი ცაზე ასაფრენად. იმ დღეს მაინც განსაკუთრებული იყო. ბრწყინვალის ყვავილის მოკგავდა, ბეკლებიანი ვარდისფერი ჩითის კაბა ეცვა. ისაფერი თვალები ჰქონდა, ვრცნობა თავის სილამაზეს და ამიტომაც ამაყად დადიოდა. აფასებდა ბუნებისაგან ბოძებული დიდ ვანძს — სილამაზეს. მე ზორიდან ვეღაეიცებოდი და მითაც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა, სწორედ იმ კვირას ტგინის ანთებით ავად გახდა ჩემი ირინე. მთელი ღამე სიცხისაგან გათანეული ჩემს სახელს ბბოდებდა თურმე. ექიმები დასაიეს, მაგრამ ამაოდ. სამ დღეში გათავდა ის უბედურ დღეზე გაჩნნილი...

აგტირი ბავშვური უმანკოებითა და უანგარობით. პირველი სიყვარულის დაღუპვით გულმოკლული მთელი ღამე ჩემად ვტირდი ლოგინში. მეორე დღეს მთელმა კლასმა შევიცსადეთ უდრეოდ დაღუპული ირინე. ცოცხალივით იწვა ყვავილებში ჩაფლული. ისე გულდამწყვარი ტტირდი, რომ ვერ მაკავებდნენ. მერე რე ზინაზ მასწავლებელი მოვიდა ჩემთან, ხელი მომხვია, მომეფერა და გარეთ გამომიყვანა. ხუთშაბათი დღეს ჩვენი სკოლის დიდი ღაბაზზიანან გამოასვენეს... ერთი გაბმული გმინვა აღმოხდა სოფელს. მკვდარიც ლამაზი იყო და ლამაზი, სიკვდილს ვერ ეზეიმა ღვთაებრივ სილამაზეზე. მთელი სოფელი მოსდევდა პროცესიას. მეზობლები, სკოლის მოწაფენი, ნათესავები და ნაცნობები კვნესოდნენ, ოხრავდნენ, გმინავდნენ. მეც ხელებდაკრეფილი, გამეშეტული მიგყვებოდი პროცესიას და ამ ქვეყნისა არა მესმოდა რა. ტირტანაბეეეი და მთლად გაოგნებული, უსაფეფელ ფეფელ-ფეფელ შეპყრობილი ვკანკალებდი, მეიოდა, სხეულის ყველა ნაწილი მტკიოდა. სულ ვკანკალებდი. ჩემი გულის ბაგაბეგი ყელს ზევით ხმაურობდა, ხოლო ყელზე მოშდგარი ცრემლი მხრჩობდა და რომ არ გამეცა ჩემი თავი ჩურჩულითი ვამბობდი, არ იტირო, არ იტირო, ვიყვაკცს არ შვენის ცრემლი. ამავე დროს მრცხვენოდა ვიღაცის, ასე ლაჩრულად რომ ვმალავდი ჩემს უმანკო სიყვარულს. მაგრამ ვაი, რომ თვით ღმერთიც უძლური იყო შეეცვალა ბედი ჩემი!

და როცა დადგა სამინელი წუთები ვამოთხოვებისა, მე ბორძიკით გადავდგი წინ ნაბიჯი, მსურდა ზედ დავკონებოდი კუბოს, მაგრამ ვერ გავბედე... ხაყრის წინ დასასფლავეს... ირინეს უღვთო სიკვდილი ბუნებამაც იგლოვა. მთელი თვე წვიმდა. მიწა დალაბ, სახლის სახურავები ჩამოინგრა... ქარი კი ისევ ზრიალებდა, ზმეოდა, ღმეოდა, გმინავდა, მთა-ბარს ჯაბნელარტბდა, გადაქქუთით ემუქრებოდა. ბუნების ამსეიდრებას ქვეყნის დასანანქმელად არ ვიმდუროდი. გულის სვდას ამით უფრო ეიოსებედი და ვნაკრობდი მთლად დედამიწა მთაანთვა. მერე კი ქვეყანაც დამშვიდდა და ბუნებაც. გაბრშემი ყველაფერი ქყვაოდა, ჩემს გულში კი ზამთარი იდგა; გარშემი სიცოცხლე მეეროდა, ჩემი გული კი ტირდა. ჩემთვის მოქმოვილი სამყარო მთლად დანეელდა და დაიქცა. ზეცა ისევ ისაფრად ლიგილეებდა, მოხასხასე მდელოს ნიავი ეთამაშებოდა, ფრთოსანთა ვიგილ-ხვიელი აჯკბობდა არემარეს. ჩემი ყურთასმენა დადუმებული იყო ამ ტკბილ ხმათაფის. უსამეელო სეედით შეპყრობილი მოთქმით ვამბობდი: მშვიდობით, ღილის მახარობელო ჩიტებო, გაუთეელეო მინდერის ყვავილებო, მშვიდობით. ჩემი ირინე ვეღარ გიხილავთ.

სკოლა და სოფელიც ვლოვობდა ირინეს, რომელსაც თხუთმეტი გაზაფხული არ გადაეცალა: ბორკაკვიდან აღარ ისმოდა გოგო-ბიჭების სიცილი და სიმღერა. ბაბუაც ვლოვობდა ირინეს. უყვარდა ჩვენი ცქრიალა მეზობელი. ისიც გაეგო, რომ ასე მძიმედ განეიცდიდი ამხანაგის დაკარგვას...

ბაბუამ მიხმო. თავზე ხელი გადამისვა და ასკ მითხრა:

— გადაადგე დარდი, სულ ერთია, იმას ვერას ვუშველეთი. მისი სული ტანჯვისკენ კი არ გვეძახის, არამედ ცხოვრებისაკენ, რომ მერე აქმკეეეენად ვალმოხდილი იმის ნათელ სულს შევეუერდეთ. დარდისაგან დაბაბუნებულსა და ბაჩაჩანაკებულს ის არ მიგვიღებს. ბიჭი არა ხარ, ვაკეაკი, დარდს კი არ უნდა შეაჭმევინო სიცოცხელ, ცოცხალი კაცი სიკვდილს ვერ დაეძალები, ნუ დაანაგვრინებ, შეიღო თავს სევდასა. ხედავ, სიცოცხელე ერთი წამითაც არ შეყოვნებუნა. ცხოვრება ისევ დევის ნაბიჯით მიაბიჯებს წინ, მხოლოდ წინ. დაუშარცხებელი სიცოცხლის ჯაჭვი გაუგზამავთ და ისევ წინ და წინ ეზიდებიან. ჩვენ ვალდებული ვართ ავვყვეთ ცხოვრების ფერხულს, თუ არა და ისე გაგვიოლავს, რომ თვით ირინესაც შერ-

ცხვებს ჩვენთან შეხვედრის. — ესა თქვა, სელი მომსვია და შუბლზე მკოცა. — ანა, ამ ჩემმა კეთილმა ბაბუამ რა იცოდა, მე ირინეს დაკარგვას რომ ორმაგად განვიცდიდი: ირინე სკოლის ამხანაგიც იყო და სულის მეგობარიც...

ამიტომ ადვილი როდი იყო უკუმეყარა უნაპირო სევდა. სრულიად ყმაწვილმა პირველად ვიგრძენი ცხოვრების სუსხი, სიცოცხლის ამაოება... ვიგრძენი, დაკკარგა რაღაც დიდი. სულ მაგვიდი, რომ ის მამძორავებდა, მაცხადდა სიხარულით. ახლა კი, სულამოცლილი, უსულო და უსიყვარულო სხეულს ძლივს დავათრევდი. ღამეც მოუსვენრად მქონდა, ეძლიერბოდა და უცნაური სიზმრებიით და ზმანებით შეწუხებულიო.

ყოველ ცისმარე დილით, ვიღრე სკოლაში მივიდოდი, გზად აელისას ეკლესიის ეზოში შევდიოდი და ქედმიხრილი და გულდათუთქული ვიდექი ირინეს საფლავთან. ეს ბებიამ შემნიშნა და ქუდმოხდილი ჩემთვის რომ ვტიროდი, თავზე დამადგა, მომეფერა და დამიყვავა:

— შვილო, ტირილით რას გახდები. შენი ირინე აქ მიწაში კი არის, ზეცაშია ასული.

— ეს როგორ-მეთქი, — ჩემდაუნებურად ვკითხე ბებიას.

— განა არ იცი? — და დიდის ამბით მოკაკვა. — ირინე ანგელოზი იყო, შვილო, ანგელოზი, — ორივე ხელი ზეცისაკენ და დაუშატა, — ანგელოზები როდი კვდებიან, ისინი ზორცს გიაცლებიან და ზეცაში ვარსკვლავებად დასხდებიან. მართალია, ირინეს ზორცი აქ მარხია, მაგრამ მისი სული ზეცაში სახლობს...

მე ხაზოგადებათა მეცნიერებას მასწავლიდნენ სკოლაში, ათეისტად მზრდიდნენ და ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი, რასაც ახლა ბებია მიყვებოდა, სიცრუე იყო და მაინც იმ საღამოს ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცას მივაჩერდი. ჩემის აზრით, ახალი ვარსკვლავი აღმოვაჩინე. იმ ვარსკვლავს სახელად ირინე დავარქვი. გვიან, ნაკაბშეფეს ამოდითოდ ეს ვარსკვლავი. ფრთხილად აფდგებოდა, გარეთ გამოვიპარეხდი და აღეზნებით შევცქეროდი. ასე გაგრძელდა მთელი კვირა, მერე ეს მიიღრებლა და მთელი თვე პირი არ გაუსწორა, გადაუღებლად წვიმდა, ყავრით გადახურული ჩვენს ოდა სახლს წვიმა ატანდა ოთახებში, ყველგან მინდორივით წვიმდა, ჩვეს სულშიაც წვიმდა...

გამოიდარა, მაგრამ ცაზე ის ვარსკვლავი ვერ აღმოვაჩინე და ვეჩა. ირინეს დავკარგე და ეს ვარსკვლავიც შავეთმა ჩაყლაპა. მერე ღამით საშინელი სიზმარი ვნახე, მდინარიდან ოქროსთმიანი ირინე ამოვიდა, ჩემი საყვარელი ბრწყვეულისფერი კაბა ეცვა. უმაღ მასთან გაგრნელი. ირინე გაიქცა. მე გამოვეკიდე, გზა რომ დაეშნა, გაუფალ ეკალ-ბარდებში შეეძრა. მეც გადავეშვი ამ ეკალ-ბარდებში, მაგრამ ამაოდ, ვერ დავეწიე. ეკალ-ბარდებმა მოლად დაგვაშორეს, სისხლი მდიოდა მთელი სხეულიდან, სისხლს დავხედე და შემეშინდა. ამ წყალებამ გამომეფიცა კიდეც. მაგრამ ადამიანს იმის ნიჭიც არ ქყოფნის თურმე, რომ უსაშველო სევდა დიდხანს ატაროს. სულ მალე მივხედი, რომ სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრე სიცოცხლე. სწორედ იქ, ირინეს საფლავთან გამახსენეს ჩემი საყვარელი პოეტის ბარათაშვილის სიტყვები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „არც კაცი ვარ, რომ ცოცხალი ემსგავსოს...“

ჩვენ ერთად ვისწავლეთ ერთი თვის წინათ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“. გავყევ პოეტის ამ იდუმალ ზმას და სკოლის კარებს მივადექი. უწონმოდ აღეზნებულმა მთლად მიეცეი თავი სწავლასა და სკოლას. სულ მალე ისეგ ძველი გურიკო ვიყავი, გამორჩეული, ყველაზე უკეთესი მოსწავლე, მასწავლებლთათვის თითით საჩვენებელი და ამხანაგებისათვის ერთგული მეგობარი. და მაინც, სიმართლე უნდა ვთქვათ, მინ თუ გარეთ რაღაც მაკლდა, მაინც რაღაცას დავეძებდი და უკმაყოფილების გრძნობა არ მასვენებდა.

ერთი თვის შემდეგ დედა ავად გახდა. მე თავსასუფმალთან ვუჯექი და გოგეგბაშვილის „იავნანამ რა ქნას“ ვუკითხავდი. დედაჩემი ალმუფმორეული და თვალებგაბრწყინებული მომჩერებოდა, ოღონდ მე ვერ გაგიგია, სიცხისა იყო თუ ალმური თუ იავნანაში დაბრალებული ამბის სიხარულისა. ან იქნებ იმისა, მე რომ ასე სხაპასხუპით ვუკითხავდი წიგნს. დედაჩემმა წვრა-კითხვა ძლივს იცოდა, მაგრამ თავად დედი პატივისმცემელი იყო სწავლისა და დღენიადაგ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ მეცნაჯოა, ბევრი წიგნი შეკითხა. იავნანას კითხვა რომ დავამთავრე, გამოღიმა და მითხრა, კარგია შვილო, კარგიო. ვერ გავიგე, სიტყვა კარგი რის გამო წამომცდა შექებაში სიტყვაძერი დედაჩემმ...

მეორე დღეს ბაბუას ცხენით ქქიმი ერრდანია მოიყვანეს. ექიმი დიდხანს სინჯავდა დედაჩემს, მერე რეცეპტსაც დიდხანს წერდა. ორ დღეში მოკეთდა. ერთხელ, საღამოს, ჩუმად შევიპარე დედაჩემის საწოლ ოთახში. ხმადაბლა მღეროდა. მე მაინც კარგად გავარჩიე სიმღერის სიტყვები: „შენი სიყვარული ისე დამერია, რომ ღამე ძილი დამიფრთხა. ძილდამფრთხალი შუადამისას შენკენ მოვრბივარ, მაგრამ ყურადღება შენი ვერ დავიხაკუთრე, მერე უშწეო შენი სიყვარული ცხეირსახოცში გავაბევე და ისე ჩავიხუტე გულში“...

დედაჩემი ამ სიტყვებით მამას მმართავდა. მე გაოცებული ვუსმენდი მის სიმღერას, — არა, სიმღერას კი არა, ლოცვას, ვედრებას. ვიცოდი, რომ დედაჩემს უსაზღვრო უყვარდა მამა, მაგრამ საჯარიო არასოდეს არ გაუშჭდაგნებია ეს სიყვარული. ახლა სიკვდილს გადარჩენილი ჩუმად უმღეროდა შეეულის სიყვარულს. ნაზი მელოდიით მოხიბლული, ჯიქურად მივეჩერ და ლოყაზე ვკოცე. დედა გაწითლდა, გამხელილი ვრძნობისა შერცხვა და რომ დაემალა, გულში რაღაცნაირად ჩამიხუტა, განსაკუთრებულად მომიალერსა. დედას მე ვუყვარდი, მაგრამ ალერსი არასოდეს მანებივრებდა. მისი ასე გადამტკბეული

**სერგი ჭილაია**
მე და ჩემი პროფესორი

ალერსის მიზეზი ისეც ის სიმღერა იყო, რომლითაც ჩუმად ეალერსებოდა მამაჩემს... .

მერე ეს სიმღერა არც არასოდეს მსმენია, მაგრამ ისეთი მომხიბვლელი იყო, რომ არც არასოდეს მომცალია სუფთა ღრმად აღბეჭდული მისი ნაზი სიტყვები.

იმ წელს ბაბუაჩემი მოკვდა. არც ისე დიდი ხნისა იყო, მაგრამ უსაშველო შრომაში დაიღია ბაბუას ჯანი. ვამრჯელ, თავდადებული, შვილებისა და ოჯახის მოყვარული, მომთხოვნი და მკაცრი იყო. ცეცხლური, ზარმაცი და უენარა ჭირისდღესავით სძულდა, შრომა და პატიისნაირა ტკეცი ძმები არიანო, ხშირად ვგეტყოდა. ოჯახის წევრებისაკენაც თავაუღებელ შრომას და გარჯას მოითხოვდა. ჯეზეხ, ჩაფსანელი, საშუალო ტანის ბაბუაჩემს, მუდამ წვერგაპარსული, კვირა დღეს ჩოხა-ახალუხი და ხარაზული წაღები ეცვა, ზამთრობით მამაჩემის მიერ ქალაქში ნაყიდი და-ბამშული პალტო. ქალკაცთა თვრი სახე ჰქონდა, გაზაფხულისა და ზაფხლის მუდამდღე მზეს შეფიცხებულს ენდრის ფერი დაკაკრავდა. ბაჯის სიმსხო უღვაშები მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა ამ მუდამ სახეგაშღინარ მოხუცს. ბაბუასი დიდი შინი ბეკნიდა, თუმცა გაბრაზებული მე არც მახსოვს. სიცოცხლეს დახარბებული ღლები მთელი გულით ხარობდა. მისი უსასრულო სიხარული და ღიმილი გადამდები იყო და მე ჩემს სახლში არაგინ მინახავს ბუზღუნა და წუწუნა. ამავე დროს პირში მთქმელი კაცი იყო, პირდაპირი და მოურიდებელი. ჭირსა თქმა უნდა, თორემ გულში დაგუბდება და მოგახრჩობსო — იტყოდა ხოლმე. 70 წელს ისე მიაღწია, თავი რა არის, თავი არ ასტკენია. სამოცდაშეორმოცეტე წელს სისუსტე იგრძნო მუხლებში. ყანდაან რომ დაპრუნდებოდა, მაშინვე ჩამოჯდებოდა, იტყოდა — ეს ოხერი მუხლები არ მემორჩილებაო.

საკვდილის არ ეშინიოდა იმიტომ კი არა, რომ მორწმუნე იყო, არა, არა მგონია. ბაბუაჩემს არა ერთხელ უთქვამს: — მე შეიღო, ამ ეკლესიებისა და მღვდლების იმედი არა ჰყარა ო, მაგრამ ღმერთი კი მწამს. ღმერთი რომ არ იყოს, — ბაბუა თვალებზე ხელებს მიიჩრდილებდა და თავის ზღვისფერ თვალებს ოდნავ მოჭუტავდა, ზღვისკენ გაიხედავდა, ზეცას შეხედავდა და იტყოდა — აბა, ვინ განაგებს ამ უკიდეგანო ქვეყანასს: ღმერთია — უფალი, გამგებელი ქვეყნისა და იმედი კაცისა. ამას იტყოდა, პირველის გადაისახადად ოა ოან დაატანდა — ღმერთო, შენ შეგვიწყალე. სწამდა ბაბუას ღმერთი და სჯეროდა მისი სიმართლისა. საკვდილი? საკვდილი მაშინ მოგაკითხავს, როცა შენი არ ეშინია. ჯერ კი ეშინია ჩემი და ვერ მიგედავსო. საკვდილს დავრდომილებისა და დაჩაჩანაკებულების არ ეშინია და იმათ ემტერებაო. სწორედ იმათ იჩრიყვებს, ვისაც არ ეშინიაო...

კაცი ბეჭიდაა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ასე მოხდა. ბაბუა რომ ამ სიტყვებს ამბობდა, საკვდილი თურმე იქვე ლაფარიში იყო ჩაცუკეტბული და ისე შემოდაჯა მის თავსმი, არც კი უკითხავს, შეიძლება თუ არაო? იმ დღეს, როცა შეატყო ბაბუამ მობრძანდაო ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ხმა არ გაუღია, მთელი დღე იწვა პირაღმა თვალდახუნული. ,,ალბათ მზე ჩაიწურა და უფრო იგრძნო სისუსტე. შვილებს სთხოვა, ეწორი გამიყვანეთო. აყვნენ, ,,ეწორეი ,,ეთ-ეუდგნენ, ჩვენი დიდი ოდა სასლის აივანზე ,,ეგმოიყვანეს. აივანზე შეჩერდა. მარცხნივ — მარტვილისაკენ გაიხედა, მზესარის ზარგბს არისხებიდნენ მონასტერში. ზარგბის ხმა ჩვენს სახლამდე აღწევდა. ბაბუამ პირჯვარი გადაიწერა, შვილებს შეხედა და უთხრა: მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, შვილებო, უკურთხებენ მიწაში ნუ დამმარხავთო. ეკლესიის ეზოსასაფლაოზე შორს იყო ჩვენი სოფლიდან. იმ წელს სოფლის ბოლოს დიდი მოედანი შემორაგვეს და ახალი სასაფლაო გაიჩინა სოფელმა. პირველი ჩვენი სოფლის დიაკვანი დასაფლავეს. მორწმუნე ხალხი აჩერჩულდა, უკურთხებენ მიწაში ქრისტიანი კაცის დასაფლავება ვის უნდათსო...

ბაბუამ ახლა საკუთარი ოფლით ნაშენებ ეზო-კარს გადახედა. ჩვენი ეზო ლურჯად ლიცლიებდა. ზღვიდან მონაქროლ ნიავს ნაყოფით დახუნძლული ხეებისა და დამწიფებული სიმინდის ყანის სურნელება მოაქონდა. ნიავი ბაბუას კულულებსაც მიწვდა. აივანზე ყოფნა ეკამა მოსუფს. სასლის წინ ვაშლის ხე იდგა. ხეზე ჩემი პატარა და ნატა ასულიყო. მოხუცმა თვალებზე მარჯვენა ხელი მიიჩიდეა და იკვირა, აროქა, ბაგშვი არ ჩამოვარდესო. გურიკო უშველეო, ხელით მანიშნა და ვიდრე ხის ძირას გავჩნდებოდეი, ნატო მოკრეფილი ხილით ბაბუასაკენ მორბოდა. ნატამ ვაშლი გაუწოდა. ბაბუამ ხელი აღმართა გამოსართმევად და ერთბაშად გაწვდილი ხელი ძირს ჩამოუვარდა... ლოგინზე რომ დაადვინეს, უკვე ალარ სუნთქავდა. მამაჩემი ხმამაღლა ჩასაძახოდა, მაგრამ ამაოდ. ისევე წუთს უსიტყვოდ გათავდა.

ბაბუას შეუსრულეს ანდერძი. დაკრძალვის დღეს მარტვილიდან ორი მღვდელი და თსუთმეტამდე ბერ-მონაზონი მოიყვანეს. სასაფლაო მიწაც უკურთხეს და ბაბუაც ბერ-მონაზენებით, ზარითა და მოთქმით დაიტირეს.

მე ისეთი გულისდამაღონებელი, გონებისშემძვრელი ზარი და მოთქმა მერე არც ჩემს სოფელში მსმენია და არც სხვაგან.

ბაბუასთან ერთად დაიმარხა ეს ძველებური ზარი და მოთქმა.

ორ თვეში ბებიაც გარდაიცვალა. ისიც იმავე წესით ღამარხეს, როგორც ბაბუაჩემი...

შვიდწლეულს ვამთავრებდით, მაგრამ ბაგშვური საქციელი არ მოგშორებია. ჯგუფში ყველა ბაგშვს მეტსახელი შეარქვა ჯაბამ: გიან, ჩემს გვერდით მერხზე რომ იჯდა, გაკვეთილი არასოდეს არ იცოდა, პირი კი მუდამ დაღებული ჰქონდა, როდა მასწავლებელი ვამოიძახებდა, ჯაბა მიაძახებდა, შე შიშია, შენა! და შეარქვა შიშია ბიას. მზია, უკანა მერხზე რომ იჯდა, შიუსეფარი, მეკრძალული და ბუჯითი იყო, ამიტომაც მერცხალი შეარქვა ჯაბამ. მის გვერდით მზია იჯდა შავი, კუპრივითი შავი. გაკვეთილი კი მუდამ მზაღ ჰქონდა, მაგრამ მასწავლებელი ვამოიძახებდა თუ არა, მიაყვირებდა ჯაბა — ყვავო, ყვანჩალაო და ისევ სიცილი გადაურბენდა ოთახს. სულ

ბოლოს თათია იჯდა, ერთი ანჩხელი და აუტანელი ვინმე—ამას კი ჩნიკვს ეძახდა ჯაბა. ყველაზე მოუქნელსა და უთქმელს მოზვერს ეძახდა. ყველაზე წვრილესა და ჭრეტლტანას—ჭიაყელას. მთელ ჯგუფში კი არა, მთელ სკოლაშიაც მათი ნამდვილი სახელები აღარავის ახსოვდა და ამ სახელებით იცნობდნენ. ყველაზე მეტად მოზვერა და ჭიაყელა ბრაზობდნენ. ჯაბას მოზვერასი ეშინოდა და ამიტომ ხშირად იხდიდა. ჭიაყელა კი მთლად აგდებუნი ჰკაჟდა. ერთხელ ჭიაყელამ კალმის ჩასალაგებელი „მენალტი" მოუტანა და შეეკვიდრა: ჭიაყელას ნუ დამიძახებო. ჯაბა შეპირდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ერთხელ შერქმეული სახელი ვერ მოეშალა და ვერა...

სასწავლო წელი დასრულდა. გამოცდები დაიწყო. ირინეს, ბაბუას და ბებიას სიკეთილით დანაღვლიანებული გუნების პირობაზე წარმატებით ჩაჯაბარე გამოცდები. სოფელსაც გამოვმშვიდობე და პირველ სიცყარულსაც. შაშინ მთელს რაიონში ერთადერთი საშუალო სკოლა—ცხრაწლიანი შრომის სკოლა რაინინს დაბაში, ნოღალეოში იყო. ძმეულებუი გავდი მეორედ დამტკიცებია ჩემი სოფელი და გადავბარგებულიყავი რაიონის ცენტრში. გამოცდები ჩავაბარე და გავხდი ცხრაწლიანი სკოლის მოსწავლე. საშუალო სასწავლებელში ჩემი სოფლის სკოლის სამი მოსწავლეც ჩაირიცხა. პირველ კვირასვე სამივენი გავიგიარეთ და მარტგალის მოსსატრს მივამურეთ. გორა ავაოავეთ თუ არა, ჩვენს წინ საოცარი სანახაობა გადაიშალა...

ყოველი ეიისმრე შევეკერიდით სახლიდან ამ დიდებულ მონსაბერს, ზარების რეკვაც აღწევდა ჩვენამდე, მაგრამ მარტგალი მაინც საიდუმლოებით მოცული გამოუჩნობი რამ იყო ჩემთვის. ვნახე და გაოცებული შეეყურებდი. ასე მაღალ მთაზე გაშენებული მონასტერი, ასეთი ლამაზი სანახობა პირველად ვიხილე. მართალია, ბავშვობა მცხეთაში გავატარე, მაგრამ ჯვარზე არაგის ავეულანიკარ და ამიტომაც ჩემთვის უჩვეულო იყო, რასაც ვხედავდი.

მზე ჩვენს ქვემოთ იყო დაკიდებული, ჩემი სოფელი კი წერტილივითი მოჩანდა. ხოლო შორს, დასაღერეში, მდინარეები ზოლებად ზღვისკენ მიიმართებოდნენ და ადვილად გაარჩევდი, როგორ ერთიდენ მდინარეები ზღვას. პირველად ვიხილე ასეთი მომხიბვლელი სურათი ბუნებისა და სიმშვიდე, ყოველი ტკივილის დამაამებელი სიმშვიდე. ჩემს თვალწინ წამოიმართა უზარმაზარი, თეთრად მოკათქთე ნენთა, რომელსაც ეს თოთხმეტი წელია შორიდან შევიკეროდი შიშით და რიდით. სვეტებთან თაღებზე აღმართული გუმბათები ტალღებივით ირწეოდა. აქ ვიგრძენი პირველად დიდი შიში და მოკრძალება. ამაზე დიდი ტაძარი სვეტიცსოვანი, მაგრამ მას შემდეგ ათიოდე წელი გავიდა და ის შთაბეჭდილება საღღაც გამქრალა. ახლა ისევ აღდგა სვეტიცხოველი ჩემს წარმოდგენაში და უფრო შემეშინდა. რისი შემეშინდა? რისი შემეშინდა, ნე ბოეიტკ კომკავშირელს? იმ ადამიანების აჩრდილისა, რომელთა ხელებსა აანგეს ეს საოცრება ადამიანის გონებისა?... უფრო დაგაკვირდი აქ ყოველივეს. ეკლესიასში ცოტანი ყოფნენ. მღოცავენი, მაგრამ ისინიც შესაბრალისად მოიტყვენენ. ეს მოხუცი ქალები და კაცები სასეფლოებელ დიდიდენ ეკლესიასში პირჯვრის წერით, საოცმარეოლოს უასლოვდებოდნენ ქვემდოდრეკილნი. ზეციერ-ბენენ მღვდელს ხელებზე ემთხვევდნენ, მერე მონასტრის ეიე ქვაფენილზე გიერთხმოდნენ და ჩუმად ლოცულობდნენ. მღვდელი, რომელიც გაბმით კითხულობდა ლოცვანის სიტყვებს, შიგადაშიგ ზეციდან გადმოხედავდა ღვთისა და მის წინაშე გართხმულ მლოცველებს.

მონასტერში ზეციერთერი მღვდელი ზარავდა, ათიოდე მერი ლოცულობდა, ოცზე მეტი თეთრ სამოსში მორთული მონაზონი ვალობდა. ტრაპეზთან ნნათე გიგიია ბორიალობდა. სოფლებიდან გამორეკილ მოვდელებს და ბერებს, მონაზენებს და მორწუნენებს ამ ეოველართი თავი და ომში დამარცხებული უკანასკნელი ჯარისაკაცებივით იეცადნენ მონასტერს. ერთმანეთს შეეხედეთ და სიცილი აგვიტყდა.

მერე სერთიზეული სახე მივიღე და ეს დავდექი, სადაც ახლა ქვის იატაკზე ჩაცუქცენეული მნათე სვვლი ჩერით მტვენრსა და ტალახს აცილდა საფოვაზეს დაგებულ მარმარილოს ფიქალს. ის იყო გარკვევით, სმამალოა ამოვიკითხე—ეკატერინე ჭავშავაძე და გუმბათიანი მონასტრის ექმთ უფრო სმამალოა გაიმეორა ეს ორი სიტყვა. წელმი მოხრილმა, დაწოქილმა მნათემ ქვემოდან ამოკვეხედა, მუხუდოს მარცლის ოღენა მრგვალი და წვრილი წარარალინი თვალებით უცნაურად შემოგვაშუქა და გვიცქინ, უმალ წელში გასწორდა მოხეკი, ადგა, იქვე დავით დადიანის საფლავზე მოკუდეკეთ შანდალს ხელი დაადვო და მე ვიდრე მარმარილოს ფიქალზე წარწერილ სხვა სიტყვებს ამოვიკითხავდი, კიეიღეთ გვიფრინა და უკან შანდალმოღერებული თავგამოდებით გამოგვეკიდა.

— ჰაიტ, თქვე ემმაკის ფეხებო, თქვენა. აქაც არ ეეაყენებთ, თქვე უჩჯულოებო, სინლის-ნამუსზე ხვლოდებულნო, ჰა, მაინც რა გინდათ ჩვენგან, თქვე ურწმუნოებო! — მოთქმით ამბობდა ამ სიტყვებს მნათე და სანამ მონასტრის ეზოდან არ გამოვეყარა, არ მოგვეშვა. მარტგილის ბალავანთან შეეჩერდით. გავიხედეთ და ისევ საოცარი სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ. ხილისგულივითი მოჩანდა მთელი სამგრეული და იმერეთი, სოფლები და მდინარეები, ტყეები და ველები, ბორაკები და შარაგზები...

სულ ახლო, ცხერის ენა მდინარე აბაშისა და მისი შენაკადების, ბაგანა მდინარეებისაკან ბაღრაკივით უბნებად დასერილი ყანები და ველები ეგდო; კიდევ უფრო შორს — მარცხნივ ცხენისწყლისა და მარჯვნივ ტეხურისაკან უფრო მოზრდილი, ფართო უბნებად დაფენილი ბალები და ველები. ბორაკებზე შეფენილი სოფლებიც, ის ადგილიც კარგად გავარჩიე, სადაც ცხენისწყალი და ტეხური რიონს ერთვის. მთიდან გადმოგარდნილი, თავისტვეთი მორბენალი,

მდინარეებისაგან განებივრებული რიონნი ნელა მიიზლაზნებოდა ზღვას მიახლოებული. იქ კი, სადაც ზღვას ერთვოდა რიონი, მზე სპილენძისფრად ათინათებდა... თვალი ვერ მოგზაურიტ ამ სილამაზს. ვიდექი და ვფიქრობდი, რა უცნაურადაა ყველაფერი ეს შენიღბული: ეს ბერები და მონაზენები, რელიგიის მსაზეთია მთელი ეს ღრმპარი თითქოს ცხოვრებას გაურბოდა, ხალხს, ოჯახს, სოფელს ტოვებდა, ვითომდა ხორცის საგვიმად და ღმერთის სამსახურად მოაკორდებუ გაშენებულ მონასტრებსა და ტაძრებს მიაშურებდა. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ვინც ასეთი ხედი ტკბებოდა, ასეთი ნაავთი ხორცს იგრილებდა, იმას ცხოვრებისაგან განდგომილი ეთქმის განა?! ცხოვრების ყველაზე დიდი მშვენიერება, მისი ყველაზე დიადი სილამაზე, ღმერთის უზენაესი სიკეთე არსად ისე არ მოჩანს ასე თვალნათლულად, როგორც ამ გადასახედიდან. ამის შემდეგ ვინა თქვას მარტივოს შეხიზნული ბერების და მონაზენების ცხოვრება ხორცის გვემა იყოო?

ნამდვილად არაგინ ისე არ ტკბებოდა ბუნების სიკეთით და სიმშვენიერით, როგორც ეს ბერები და მონაზენები. თავფი, ღვინო, ხილი... და ბუნების სილამაზეში მთლად გათქვფილნი, ყოველდღიური ოჯახური და საზოგადოებრივი თავსატეხი კითხვისაგან თავისუფალნი, აქ დაყუდებულნი ტკბებოდნენ ბუნების ამ განუმეორებელი სილამაზით. ჩვენ კი თვალს გვიხვევდნენ: წამებულად და გვემულად გვეწვენებოდნენ... თურმე ტკუფდნენ, ცრუობდნენ. ყველაზე მეტად ისინი ყოფილან სიცოცხლის დახარბებულნი. მამ რაღ ინიღბავდნენ სახეს გვემულთა და წამებულთა გვირგვინით? იმიტომ ხომ არა, ბევრს რომ არ დაედო წილი ამ ერთი ხელის დადება სენაკებში. იბრძოდნენ და იღვწოდნენ, რათა მცირეთა საკუთრება ყოფილიყო ეს სიკეთე დიდებული. ჰო, თურმე რა ძალა და ენერგია აქვს სწორედ სიცოცხლისათვის სწრაფვას. დიახ, სიცოცხლის ძახილმა მოიყვანა ეს ბერები. სიცოცხლის ძალის კარნახით გაპშენეს ეს წითელი და ყვითელი, ლურჯი და ხასხასა ვარდები და ყვავილები, ბალები და ვაზები... სიცოცხლის, სხეულის დასაკმაყობად და არა საგვიმად. სიცოცხლისათვის, სიცოცხლისათვის ბრძოლა ყველგან, აჯაც მან ბუნების სიმყოფრივეში და იქაც, ჩემს ქვეშით ასე ლამაზად გადაშლილ, ხმაურიან სოფელსა და მდინარეებში, ჭალებსა და მინდვრებში. სიცოცხლე გვეასხის, სიცოცხლის წყურვილი გვაბრძოლებს, გვაოცებს... ცხოვრება აქ, ამ თვალწარმტაც დედამიწაზეა მშვენიერი და ლამაზი და როცა საიქიოსაკენ იშვიერდნენ ხელებს ბერები და მონაზენები, მოვდლები და დიაკვნები, თურმე ტკუფდნენ და ჩვენც გვაგბეუფდნენ. არა, ჩემი ქვეყნის ზეცაც ლამაზია, მაგრამ აქედან, ამ დალოცვილი მიწიდან საჭვრეტად ზეცაც ჩვენთვის მოუცია ბუნებას, რომ ღამითაც დაკვაკვეთ ვარსკვლავებთა და მთვარით გაბრწყინებული ცის მშვენებით. ეს დედამიწაა ქვეყნის ფუძე, ცხოვრების სილამაზის დიდი სადგური... „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა... — ჰოი დიდებული რუსთაველო, ყველა ბრძანკაცთა შორის უბრძნესო, ახლა მიწვდა გონება ჩემი შენს ამ სიტყვების ბუნებასა და მე არ მესმის, რატომ გვაიძულებდნენ გვეკო და გვეფიდებინა ამ საკაკის გამოგონილი, არარსებული — ამ საიქიო, რატომ რცხვენოდათ ეთქვათ, რომ ბუნებლიში და მხოლოდ სიცოცხლეშია უკვდავება. და მე მინდოდა მეყვრინა: ფილოსოფოსებო, მეცნიერებო, პოეტებო, არტისტებო, სიცოცხლეს უმღერეთ, სიცოცხლეს ამინი და დიდება! ნუ ჩამოგტირით ცხვირპირი, მერე რა ვეუფთ, რომ მარტო ის და ვარდი არ არის მოფენილი ეს მდელო, ნარ-ეკალიც ხარობს, სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს, ბედნიერებას — უბედურება... მერე რა! ცხოვრების სილამაზეკ იმაშია, რომ იბრძოლო და ალამაზო შენთვის განკუთვნილი ცხოვრების დღენი, ალამაზო შენთვის, შენი შვილებისთვის, მომავლისთვის. დიახ სიცოცხეკ, სიცოცხეკ ვგვძახხის; დაკტაკეთ მისი მშვენებითა და სილამაზით.

ასე მოგვრეენა, თვით მონასტერი მღეროდა, სმენად ვიქეცი. დიახ, გუმბათიანი თეთრი მონასტერი გუუუუნებდა. ბიბეს დაკუფვერე, აბა, ყური დაუდგეთ, ხომ გესმით, მონასტერი მღერის, ფალ ხალ გეფიცებთ, მღერის...

ბიბეები გამოშტერებული თვალებით მომჩერებოდნენ და მე ვერ გავარკვევ, მათაც ესმოდათ ეს ხმები თუ მე მეჩვენებოდა, არა! რამდენჯერაც მოვიხედე, იმდენჯერვე დაკრწმუნდი, რომ თვით ქვები მონასტერისა მღეროდნენ...

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა მარილაც ძახილი შემოესმა, გავიხედე და ისევ გავშმდი, უკან, ზღვისაგან მონაშეი მზის სხივებით ნაფერი, ოქროსფრად ციმციმებდა მუდამ თოვლით დაფარული ასხის მთები; ისიც ლამაზი იყო, ისიც მშვენიერი... ისევ შემოესმა ძახილი, ჩემი ორი მეგობარი მეძახდა:

— გური, გურიკო რა მოგიგიდა, არ გესმის, აქეთ გამოიქეც, არ ხედავ, მნათე გიგოია ისევ მოფდფეესო. ქვეყნეთ, სოფლისკენ მოგკურცხლე.

გიგოიან ისევ ვიღაცეებს ერეკვებოდა მარტკვილის მონასტრის ეზოდან. კოტაკვმრიელებისაგან დაშნეგულ მღვდლებსა და დიაკვნებს, ყველა ქრისტეს ერთგულ მოციქულს, ვისაც უარი არ ეთქვა მაცხოვრის მსახურთა თანამდებობაზე, აქ ფეეფარებიათო თავი. მარტკვილის მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი სალოცავი იყო მაშინ და აი, რელიგიის ამ ციხესმიგრეს უტეკედ რაიონის კომკავშრისის აკტივი. მნათე გიგოიაგან მიხი თანაშემწენი იცავდნენ ათეისტთა შეტევისაგან მონასტერს. ჩვენც ამავე მიზეზით შემოგვიტია სვეზედგამშარეზულია მნათემ...

ჩვენი სოფლელები სამ ბაზარს ეტანებოდნენ: ოთხშაბათობით ხონის ბაზრობა იყო ვანთქმული, პარასკეობით—ნოღალეფის, კვირაობით—ბანძისა. მე არც ერთი არ მწყანია და აი, მარტკვილის საშუალო სკოლის მოსწავლე იმ წლის სექტემბრიდან ყოველ პარასკეობით ნოღალეფის ბაზრობის მოწმე ვიყავი მთელი ორი წელი. მოწაფეებს სკოლის დირექტორი გვიშლიდა ბაზარში სიარულს, მაგრამ ჩუმად მაინც ვეტანებოდით. დიდი შესვენების დრო, მესამე გაკვეთილის შემდეგ, ბაზარს თავიდან ბოლომდეგ აკვლევი-

დით და ჩამოვუდლიდით, ხოლო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ თითო მაურობით ფულებს შეკაფროვებდით, ხან ლეღეს ვვიდულოდით, ხან ბოხარშულ სიმინდს და მერე თანაბრად ვიყოფდით. თავისთავად დიდი სანახაობა იყო ეს ბაზრობა.

დილიდანვე ნოღალეკის ბაზრისაკენ მოედინებოდა: ბანძელი ეგრაელები ფარლეულლობით დატვირთული ერიცსენანი ორბორბალოათ—ურიკათი, ნამკოლოველი ხელოსნები შინ ფაშმადებული ბურჭულებით დატვირთული უმრმეთ, ცხენნე ვაშლებით სავსე გადორგადაკიდებული ლეჩხუმელი გლეხები... მოაქონდათ სოფლის ხვავი და ჭირნახული ცხენოსნებსაც და ფეხოსნებსაც, ვისაც რითაც შეეძლო. ნოღალეკის ბაზარი საფეკ იყო დოფლათთ, ხვავით და ხალხით, მაგრამ ბაზარში მაინც დიდი წესრიგი იყო. ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული. ერთისთარაულიანი კრამატითა და ყავრით გადაფარული ქოსმანები, რომლებსაც ფუქნებსა და მაღაზიებს უწოდებდნენ, ორ მწკრივად ქმნიდა ნამგლისებრ წრეს, რომლის მოედანი პარასკეობით საბაზროდ იყო გამოყენებული. სულ თავში მიწაზე ეღაგა ნამკოლველებების შინ ნახელავი ბურჭი, დოქები, ჯოკები, ქოთნები, ჭინჭილები... აღისფერი მოჭიდებოდა მაგრად გამიმწყარ ამ თიხის ბურჭლებს. იქვე მიწაზე დალაგებული ხონელების მიერ მოტანილი საკალამეფ გამოჭარილი, ორად გაკეკილი საკმლის ტყავები იყიდებოდა. შემდეგ კი ლეჩხუმელების აყუდებული გოდრებში ლოყაწითელი ვაშლები ეღაგდა. მერე იქვე ჩაკეცქმული ქალები ყიდიდნენ ნახუნაგოდან ჩამოტანილ ლეღეს — ინჭრილები მოხარშულ სიმინდს, კვაბსა და ზაბლს. ჯოლოაბედათოლები ამ კუთხეში განთქმულ აბტებს... ამის შემდეგ იწყებოდა ბანძელ ეგრაელების გადასურული კარვები, რომლის ქვეშ გამრთული მაგიდაზე დალაგებული იყო ნარნარინი ჩითი, ზალეკული თუ ბამბეული ქოვალი, ბუზნიები ეხვეოდნენ სოფლის ქალები ამ ფარდულებს. ბოლოს ლეჩაბოდელი მეკოგეების სუფდუნენი სავსე ტკაცის ტომრები ეღაგა, თხის ტკაცისაგან დამზადებული ეს ტომრები თეთრად ქათქათებდნენ. მათ გვერდით ტიკებითა და კოკებით სავსე ხალხინოდან ჩამოტანილი ოჯალეში და კასრებით სავსე იმერეთების ცოლიაური ეპატიეტებოდა დაბის ლოთიფოთ ბიჭებს. სულ ქვემოთ, მდინარე ინჭრირის პირას პატარა მოედანი ეჭირა საკონლით მოვაჭრეებს. აქ ცხენების ჭიხვინს, საკონლის ბღავილს და გოჭების ჭუვიტინს ბოლო არ უნანდა. ცხენების რემმი დინჯად დაალაჯებდნენ ცხენის დალაგი დანელილები. ცხენებს კბილებს უსინჯავდნენ—შემდეგ მოაჯდებოდნენ და აჭენებდნენ, შუხლის სიმტკიცეს უდასტურებდნენ, ხარების რქების ნაოჭების მიხედვით წლოვანებას უდგენდნენ და ამის მიხედვით იყო ყიდვაც და გაყიდვაც. ხოლო დუქნების უკან მარტგელის პატარა ბუფეარი სავსე იყო კოხტად მორთულ-მოკაზმული ერთმანეთის სანახავად გამოსული მოზიმზიმე ქალ-ვაჟებით. ასე იყო მთელ იმ წელს, კიდევ ერთმა წელმა გაიარა და ბანძელი ეგრაელები, მარტგელელი ვაჭრები ეკრძო დუქნებიდან და მაღაზიებიდან გამოპრძანდნენ და მათი ადგილი კოოპერატივმა დაიკავა. ამის „ეკონომიკურ შეიეცალა ბაზრის იერი და სახე, მაგრამ ნოღალეკის განთქმული პარასკეობა არ მიმლილა დ[illegible]

— იმ წელს ქართული ენის მასწავლებელმა ექსკურსია მოაწყო. ჯერ მარტგელის მონასტერში აგვიყვანეს, გვესაუბრებოდა ქართული ენის მასწავლებელი. — ეს იყო ძველი საქართველოს დიდების დღეები, ეიორჭი მეფის, დავით აღმაშენებლისა და თამარის დღეები. საქართველო შიშის ზარს სცემდა ჩვენს დაუძინარ მტრებს, ქვეყნის შიგნით კი დიდი მშვენებლობა იყო გაჩაღებული. ეს მონასტერიც მაშინ აუშენებიათ, თამარს თურმე ფეხთ გაუხდია ინ ეკ, ქვემოთ, — მასწავლებელმა ხელი გაიშვირა მდინარე აბაშისაკენ, — და ფეხშიშველი ამბაყოლია მშვენებელთა იმ მწკრივს, რომელთაც ზურგითივე ამოჭიკნდათ ქვები აბაშიდან ამ მთაზე... — აქ შეჩერდა, მერე დადიანების ამბავს მოაყვა და ასე გაგრძელდა ჩვენი ექსკურსია სამ დღეს.

ექსკურსიებს რომ მოგრნით, ლიტერატურული გასამართლებები წამოიწყო. იმ თვეს ვასამართლების თემა იყო ალეკსანდრ ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა". ჩვენი ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. პარაალელური ჯგუფი კი მოსამართლეებად და მსაჯულებად აირჩიენ. ერთნი ვიცავდით ხევისბერს, მეორენი ბრალს სდებდნენ. ვინც იცავდა, იმათ საბუთად ის მოაქონდათ, რომ მამულის საყვარული, სამშობლოს სიყვარული ყველაზე ძვირფასი და წმინდა რამ არის. ის ყველაფერზე მაღლა დგას, ჩვენზეც, ჩვენს შვილებზეც და ოჯახზეც. თავიანთ პოზიციას ისინი ილიას სიტყვებით ამაგრებდნენ: „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არ ჩანან"... ხევისბერი ნამდვილი მაგალითი იყო მამულისათვის თავგანწირვის, მამულიშვილობის, ვატკაცობის, მაღალი მორალის... მეორენი აჩქარებასა და გრძნობაზე აყოლას უსაყვედურებდნენ ხევისბერს. შვილი მაინც შეიღალო, ამბობდნენ ისინი. და კაცმა რომ თქვას, არც პირდაპირი ღალატი იყოო ეს. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ხევისბერი უბედური ეპოქის შვილი იყო, ფეოდალური ღობეებით შემოღობილი საქართველოს შვილი, როცა მამა შვილს არ ინდობდა, ძმა-ძმას. ძმათა კვლა იყო ის უბედური დრო. აბა რა ჰქნდა აქ ქართული ერისთავს მთის შვილობთან, თავისივე ძმებთან, ოჯით ვასაყოფი? იგინებდნენ ის სისხლის წყმიმების დროს და ადარებდნენ აწინდელ საქართველოს აღორძინებასა და განმტკიცებას... ამ კამათსა და სჯა-ბაასში იწრთობოდა, ეზრდებოდა, ყალიბდებოდა ჩვენი გონება. ყველაფერ ამას ქართული ენის მასწავლებელს გრიგოლ ღონმაის ვუმადლიდით. ის ჩვენი ნამდვილი მამა და დამრიგებელი იყო.

**სერგი ჭილაია**
**მე და ჩემი პროფესორი**

ზაფხულის არდადეგების თვეები ამ ექსკურსიებსა და ლიტერატურულ გასამართლებებს უნდოდნა. ისაც სდებოდა, რომ სშირად ჩვენი რაინინდან გადმოდიოდთ და სხვა რაინინის სკოლებს ეეჯიბრებოდთ. ერთ ზაფხულს ჩვენი ჯგუფის შვიდი მოსწავლე გრიგოლ ლომაიაშ ზუგდიდში წაგვიყვანა. ახლა უკვე სხვა თემა ჰქონდა: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“. ერეკლე მეფეს ვასამართლებდთ, საქართველოს ამ უკანასკნელ მეფეს, რომლის გამო კვნესით აღმოხდა გრიგოლ ონრბელიანს: „დიდება იეფრონსა მასთან მარხია სამრეს“. აქაც ორ ჯგუფად ვიყავით დაყოფილი. ჩვენ, მარტვილის მე-9 ელაყლები ვამართლებდთ ერეკლე მეფეს, სოლო ზუგდიდის სამუალო სკოლის მე-9 კლასელები ბრალს დებდნენ ერეკლე მეფეს და ქება-დიდებით იხსენიებდნენ სოლომონ მსაჯულს. ერეკლეს აჩვარებას უსაყვედურებდნენ პოლტიკაში, თან უმატებდნენ, დიდებული სარდალი იყოო, მაგრამ პოლიტიკაში სშირად ცდებოდაო, მკლავი უჭრიდა, გონებითაც გონიერი იყო, მაგრამ პოლიტიკოსს რომ სჭირდებოდა, ის ფშმაკობა მის პირდაპირობას და ოშში სარდლობას გვერდში ვერ ამოუდგა. ამ კამათში მესამე ჯგუფიც აღმოჩნდა. ისინი იდეალად სოლომონის მეუღლეს სოფიოს სასაგნდნენ, და როცა სოფიოს სიტყვები გაისმა დარბაზში, — „რა ხელ-პყრის პატიჟს ნაზი მუღლეი, გალიაშია დატყვევებული“, მსმენელებმა ტაში დასცხეს. ყველაზე მეტი მოსმრე მაი აღმოუჩნდათ. ისევ ცხარედ შეებნენ მოკამათენი ერთმანეთს. ისე გაითქმა და გაიყო დარბაზი, რომ ძნელი გასდა მათი შეკავება და სწორედ მაშინ გამოვიდა ჩვენი გრიგოლ მასწავლებელი. შორიდან დაიწყო:—ძნელბედითობის ხანა იყოო ის დრო, როცა ერეკლე ქართლსა და კახეთს ვანაგებდა. ჩვენს დადიანებს და ოფით სასეელანთმეფე იმერეთის მეფეს სოლომონსაც ისა სურდათ, რომ ყოფილიყო ერთიანი საქართველო. და კიდეც რამდენჯერმე შესთავაზეს მეფე ერეკლეს გაერთიანების წინადადებანი. ბოლოს გურიელიც შემოეკრიბა ამათ, მაგრამ ისე უკეთდნარად მოეწყო ეს საქმე, თავი არ მოება საქართველოს გაერთიანებას. საქმე ის იყო, რომ საქართველოს დიდების დღეები, დროითისა და თამარის დროშა ჩვენმა უეჭეო სამთავროს მეთაურებმა ირის დაბარეს და მათ ნაცვლად თავიანთი პაწია სამფლობელოების დროშა გამოფინეს. მტერმა ამით ისარგებლა და შემოუტია ცალ-ცალკე სამთავროებად დაყოფილ საქართველოს. ისე დაგვრია, ისე მოგვერია მტერი, რომ რიდესაც ერეკლემ ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთა, ნახევარი მოეინიც აღარ იყო მისი სამეფო. წინათ სხვა იყო. ერეკლე მეფეს რომ ჰყოლოდა ათმილიონნაენი საქართველო, მაშინ ალბათ ერთ მილიონამდე ჯარს გამოიყვანდა და მას წინ ვერავინ დაუდგებოდა. ან გავიხსენთო, რაკი აქა ვართ, ზუგდიდში, დადიანების უკანასკნელი დღეები, როცა ეკატერინე ბაგეგაიაე ვანაგებდა ამ მხარეს. აი, თურქებმა რომ შემოვიტიეს, მაშინ ეკატერინე ბაგ-ბაგაძეს ასი ათასი კაცის გამოყვანა, რომ შეძლებოდა, არავის დახმარება არ დასჭირდებოდა. თურქებს კუდით ქვას ასარილნენდა. ღმერთისაგან ბოძებული უღამაზესი ჩვენი საქართველო ისე მდგმარეობა, ისე უნეია, ბუნების სიკეთით ისეა ყელამდის ავსებილი, რომ ყველა მტერსა და დუშმანს თვალი მისკენ უჭირავს. და თუ ჩვენ ფეზიიკურად არ დავიკავეთ ეს ტერიტორია, ვინ დაგვანებებს ამ უმშვენიერეს მხარეს? ჰოდა, ჩვენს გეოგრაფიულ ცნებაში ფეზიკურ რაოდენობას ერისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, რასაკვირველია, თავი მოვგაქეს ჩვენი მდიდარი სულიერი კულტურით. ერის სულიერი ცხოვრების სასწაული ყოველთვის არ არის ტოლფარდოვანი ერის ფეზიკური რაოდენობისა, პატარა ერებსაც შეუძლიათ შექმნან დიდი სულიერი კულტურა და ამის მაგალითია ჩვენი საქართველო, მაგრამ პატარა ერები ვერ დაიცავენ ფეზიკურად თავიანთ ლამაზ სამშობლოს, თუ იმ გეოგრაფიულ სიდიდეს, რომელიც მათ უჭირავთ, ფეზიკურად არ შეავსებენ. ამიტომ უნდა-გვახსოვდეს, საქართველო იმდენია, რამდენი ქართველიაა ვართ, საქართველოს დიდება ქართველთა რაოდენობაზეა დაფუძნებეული. და რაკი ჩვენს ერს შშვიდობის დღეები დაუფდა, დამთავრდა სისხლის ზეიმების დღეები, ახლა გვმართებს მოვიშუშოთ ძველი ჭრილობა, ვამრავლოთ ჩვენი ერი და ვაშენოთ და ვალამაზოთ ისედაც ლამაზი ჩვენი საქართველო...

ზუგდიდელებიც და მარტვილელებიც, გალელებიც და ჯვარელებიც განცვიფრებით შესცქეროდნენ ამ უებარ მოსაუბრეს და საქართველოსათვის დამწყვარ კაცს.

მეორე დღეს ექსკურსია მოვაწყვეთ: რუხის ციხე ეწასეთ. გრიგოლ მასწავლებელმა განმარტა, ეს ქართველთა უძველესი ციხე-სიმაგრეთ. მერე ბეშსიის პოემა „რუხის ომი“ მოიგონა, თან დაუმატა, — ეს ციხე მდინარე ენგურის საიღუმლო ვეგორაშით გაღმა, სამურზაყანოს ციხე-სიმაგრეს სატანჯოს უურთფეთობდაო. და ახლა ხელი გაემთა, სამურზაყანოსკენ გაიშვიათა. რუხის ციხიდან კარგად მოჩანდა ამაღლება. ზორავეთ და მასზე აღმართული სატანჯოს ციხე-ნანგრევი. მერე გავეკვეთეთ რუხის გზას, ენგურის ხიდი გავიარეთ, მთეს ავყევეთ და სატანჯოს ციხეს მივადექით. ახლა ისევ შეაჩერა ჩვენი გუნდი და კვლავ განმარტა გრიგოლ მასწავლებელმა. ეს ადგილი — სამურზაყანო — საქართველოს ჭიშკარია. ეს ციხე ადლევდა პირველ ნიშანს, თუ დასაელეთიდან მტერი დაიძერებოდა, აქ ანთებენდნენ ცეცხლს და პირველი რუხის ციხე გამოეხმაურებოდა მოსსულ მტერს. მერე ისე მოხდა, რომ თურქებმა აიღეს ეს ციხე, მაგრამ ენგური ვერ გადალახეს და ვერ სძლიეს რუხის ციხე. რუხის ციხიდან ორი ძმა გამოგზავნეს საიღუმლო ვეგორაშით, რომ ამბავი მოეტანთან აქ ციხეში გამომწყვდეული ქართველი პატრიოტებისათვის. მაგრამ თურქებმა ციხის კარებთან დაუპატიმრეს ძმები და აქ, სატანჯოში ხელფეფშეკერული ნი ფეფეთ ორმაში ჩააგდეს. მერე ერთმა ძმამ მოახერხა გაპარვა და სიმღერით ამცნო საიღუმლო თავის ძმას. მან ვერ გაინთავისუფლა ბორკილებისაგან ხელ-ფეფი და

სიმღერითვე გადასძახა ძმას—სისოფი ბთა...—ამ სვედიანი სიმღერით ამცნობდა იგი თავის გულს საწადელს, სატანჯოს ციხეში გამიმწყვდეულ რუხის ციხის შიკრიკს, მაგრამ ამაოდ. მერე იმ მეორე ძმამ ამეცნო ამბავი და განლოგება ჯარისა სატანჯოს ციხეში, შემოუტიეს ინგურიდან მტერმა, სძლიეს და ი ა ქ გადაყარეს, ამ მდინარეში. — ხელი გაიშვირა სატანჯოს ქვემოთ გაგზიმული მდინარისაკენ. ამ მდინარეს ერის წყალი ერქვა. სწორედ იმ წელს დაერქვა ეს სახელი. ამ წყალში გადაყარეს თურქები ქართველებმა და გამარჯვების ნიშნად ამ წყალს ერის წყალი უწოდეს...

იმ საღამოს, ჩემმა გალეკლმა მეგობარმა, გერონტი ეერგეტიას ვაკმა, თავის სახლში წამიყვანა. შუადამე გადასული იყო, ოჯახში ყველას ეძინა. ჩვენ ჩუმად მივიპარეთ და დავიძინეთ. დილით უცნაური ტრიამული მომესმა. გავიღვიძე და ავდექი. ეზოში შვიდი ტატლიანა ბიჭი დარბოდა, შვიდივე პერანგის ამარა. ერთიც მთლად დედაშიშველა, აგვიანოს ამ სიცივეში ლოგინიდან გამოპარულიყო და ცვრინა ბალახში ბიჭებს დასდევდა.

ამ საღამოს უცნაური სიზმარი ვნახე: სატანჯოს თავზე ვიდექი, ღა უცბად შვიდი ვაჟკაცი გამომეცხადა, მფრინავის სამხედრო ფორმა ეცვათ. მწკრივში ჩადგნენ და სამხედრო წესზე მომესალმნენ. მერე ერთი მათგანი წინ წამოიწია და პატაკი წარმომიდგინა: თქვენს განკარგულებაში გამოვცხადდით ჩვენ: დავით, ერეკლე, ცოტნე, ტარიელ, ავთანდილ, ბაგრატი და თორნიკე. შვიდივე ამ სამხედრო ფორმაგადაცმულ ვაჟკაცებში ის შვიდი ტატლიანა ბიჭი შეკეთანი, გუშინ დილით ვერონტის ოჯახში რომ დარბოდნენ. შვიდიანი და გამეღიმა, მაგრამ ერთიანშად ბრძანების კილოთი მომმართა მათ შორის იმან, რომელსაც სახელად ცოტნე ერქვა.

— ჩვენი თვითშფრინავებიან შენაღრეთები, რომელთა მეთაურად ჩვენ ავკარჩიეს, ბგერ, ზღვისპირად, ნაბაკვეიდან ანაკლიამდე არიან ჩამწკრივებული და მზოლოდ ნიშნის ელოდებიან. ჩვენ გადაეწყვეტეთ ამ შენაღრეთების საერთო მეთაურად შენ აგირჩიოთ.

— რატომ მე? — შევეკითხე ეანცვიფრებული.

— გუშინ შენი სიტყვა მოვიმიმენთ ჩვენ, უფროსმა ძმებმა ერეკლემ და მე და დავრწმუნდეთ, რომ საქართველოს ისტორიას კარგად იცნობთ. ჰოდა, ჩვენ ასეთი კაეი გვჭირდება.

მე სამხედრო წესით ხელი აღვმართე და სატანჯოს ციხიდან გადავაძახე რუხის ციხეს:

— ხომ გესმით ჩემი ხმა, მე თქვენ გეძახით, ჩემი მოძმენო, ჩემო ძმებო, მამებო და დედო, მზად ხართ თუ არა მტრის შესაფურად.

— მზად ვართო, — მომესმა ხმა რუხის ციხიდან. ეს ხმა ისმოდა ნარიყალადან, ვარძიიდან, ბებრის ციხიდან, ბურის ციხიდან, უჯარიდან...

ჩვენი სკოლის დირექტორი — ტანმორჩილი, გამხდარი, პატარა კაცი იყო, ერთი შეხედვით კათოლიკე მღვდელი ვეგონებოდათ (ასეთი პატარა მეზეთაში ბევრი მინახავს). სკოლაში ყველას მისი შიში და რიდი ჰქონდა, მასწავლებლებსაც და მოწაფეებსაც. საქმიანი, გამოცდილი პედაგოგი და კარგი ორგანეზატორი იყო. ჩვენს კლასს ფიზიკოლოგიას ასწავლიდა, ყველა საგანი თანაბრად იცოდა. თუ რომელიმე გაკკეთილი გაცდენოდა, იგი უმალ ეკითხა ამ საგნის მასწავლებელს, აღეკვნა იქნებოდა ის თუ ეკონომეტრია, რუსული ენა თუ ქართული ლიტერატურა. ერთი სუტაკი მხარე ჰქონდა — უპარტიო იყო და ამიტომ პარტიული ამბანაგებისა და თვით ჩვენი კომკავშირის უჯრედის მდივნის დიდი რიდი ჰქონდა. მათთან საუბარში ეს პატარა, მაგრამ უწმიანი და მკაცრი დირექტორი ერთბამად გამოიცვლებოდა.

ეს ის დრო იყო, როცა შვეიციელ მეფფლეტეს და სატეს, მეთხაკეებსა და ეექიმმაშებს, ვაჭრებსა და თავადიშვილებს, ერთი სიტყვით, მთელი ძველი სამყარო ბრძოლაში გამოვიწეიეთ. ამ ბრძოლაში ცოტა შეცდომები რიდი იყო, მაგრამ იყო ამაკე დროს დიდი რომანტიკა და მეზნებარება, რწმენა და თავგადადებულები ბრძოლა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის...

ჩვენს დაბაში ახალი კლუბი აშენდა. ეს კლუბი საქართველოში პირველი რაიონული ელექტროსადგურის — ბაკსის შენებლებმა ააგეს. კლუბთან ანტირელიგიური ბრიგადა ჩამოყალიბდა, აქვე ლიტერატურული წრე დაარსდა. მათი მეოხებით ყოველ შაბათ დღეს ლიტერატურული გასამართლებები ეწყობოდა ალეკუბში. ჯერ იყო და ნინიშვილის ქრისტიანე გოგასამართლეთ, მერე თვით იესო ქრისტმა. საკითხი ასე იდგა. მართლა იყო იესო ქრისტმე, თუ ეს სასელი მღვდლებმა შეთხზეს. ამ საქმისათვის ორი კაცი გამოყვეს: ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელი და მე. ისტორიის მასწავლებელი ამტკიცებდა, არა, არ ყოფილაო იესო ქრისტმე, როგორც ასეთი, იგი მღვდელმსახურებმა გამოიგონესო ადამიანების დასამონებლად. რელიგია ოპიუმია, რომელმაც ქრისტმეს სახელით მოწამლა ხალხი...

მე კი ვამტკიცებდი, იესო ქრისტმე იმ დროს პროგრესული პიროვნება იყო, რომელმაც ახალი რწმენა იქადაგა და ხალხი გაიყოლია. შემდეგ კი მღვდლებმა მისი საქმიანობა და ქადაგებანეგი რელიგიის სამსახურში ჩააყენეს და დაამახინჯეს-მეთქი ეს პროგრესული მოძღვრება.

იმგამად ერთი წიგნი ჩამიკარგა ხელში და იქიდან ამოკითხულ ვეკვბოდი დიდის რიხით. როგორც გამოირკვა, ეს წიგნი არ ჰქონდა წაკითხული ჩემს მასწავლებელს. მოსდა ისე, რომ კლუბის საგნე აუდიტორია მე მომემხრო, მთი უმეტეს, რომ ისტორიის მასწავლებლისაკან განაწყენებენი ქალიშვილები ჯარჩინდნენ აუდიტორიაში; მათ, რასაკვირველია, ჩემი მხარე დიაკავეს.

ამით გათამამებულმა შეუპოვრად შეეტეგე მოწინააღმდეგეს. კიდეკ ერთი წიგნი მქონდა თან წამოფეტეული. ეს ჭოლას პირველი ტომი იყო. ახლა ეს წიგნი გადავშალე და აქ დაბეჭდილი ესკიზი „ნაზა-

**ალბერტ ჭილაია**
მე და ჩემი პროფესორი

რეველი აღსდგა“ თავიდან ბოლომდე წაკვიანოხე. დაკვეცე წინანი, გაკმაღე ხელები და ქადაგად ვიქეცი. დიახ, იესო ქრისტემ პირველად იქადაგა თანასწორობა და ეს ეს აპატიე რაბინებსა, ფარისეველებსა, იუდეებსა-მეთქი. მერე ისევ წიგნი გადაეშალე და ეს ადგილი წაკვიკითხე: „ბევრი იბრძოლეს მწიგნობრებმა და ფარისეველებმა, ბევრი ტყვია-წამალი დასაჩეჯეს ითის გასამტყუნებლად და გაამტყუნეს კიდეც...

გაამტყუნეს. მართლის მთქმელი სიცრუის მთქმელად აღიარეს, მერცხალი უკეთეში ცხოვრებისა საბანაოს კერძად მიიჩნიეს! იესო გაამტყუნეს! დამარცხდნენ „ტვირთმძიმენი და დამშვრალნი“...

ფრაზა არ მქონდა დამთავრებული, რომ ჩემმა მოკამათემ მომაყვანა:

— და მერე იცით თქვენ, რომ ჭოლა მეწმენეკი იყო! მენმეკეიანის ამბრი არ გამოდგება საბუთად. მე შევცბი, გავწუმდი, მერე ერთობამად ჭკუა მოვიკრიბე და თამამად განვაცხადე:

— ჭოლა ლომთათიძის ეს წიგნი ორი წლის წინათ არის გამოცემული. ამ წიგნში რამე მენმეკეიკური რომ ყოფილიყო, არავინ გამოცემდა-მეთქი. ეს ვთქვი და ფრთხესავით ავაფრიალე წიგნი. აუდიტორიამ ამ სიტყვებზე ტაში დასცხო...

— რასაკვირველია, — ვამბობდ მე,—ყველაფერი ის რაც ჩვენ ვთქვით, სრულებით არ ცვლის რეალიგიის ანტიმენეიტერულ ხასიათს — ახლა ლენინის ცოტაკა მოვიშველიო — მარქსის განსაზღვრა „რელიგია ოპიუმია ხალხისა“, — მარქსისაკენი მოძღვრების ქვაკუთხედიაო, ამბობდა ლენინი—და როცა შევაღაყვე, რომ აუდიტორია დაშმაშინდა ისევ გაავგრძელე — ანიმიზმი, ტოტაილიზმი, ტაბუ და წარმართობა ერთმანეთს მიეფაკვე. რვვოლუციის პირველი წლების ახალგაზრდობის სენი იყო ციტატომანია. კანტი ამბობდა... ჰეგელი ამტკიცებდა... ზოგიერ-ამბობ... ეი რას ამბობდა ფეიერბახი, ალეხანოვი... ამას ეშატკბოდა მრავალსართულიანი ამღერეული, უცხოური სიტყვების ხმაური, ტრანსცენდენტალური გადასახლება სულისა, ფენომენალური ბაკოფილ ნიჭისა. ჩვენს პროგინციულ არტისტებსაც ხელს უწყობდა ზოგი ლიტერატორის წერნები, ხოლო განსხვავება ის იყო, რომ ამ ლიტერატორებს ესმოდათ ამ სიტყვების აზრი, ჩვენ კი სრულიად გაუგებრად ვხმარობდით ამ სიტყვებს. სიტყვების ისეთი კორიანტელი დავაყენე, რომ მოწინააღმდეგნი დაიბნენ. ჩემი ვრცელი ისტორიული ექსკურსი ასე დავამთავრე — კეთილშობა კონსტანტინემ რომაელთა ღერძმას ზედ დააწერა „ჯვარით ეპიპაკო ქვეყნიერება“. სწორედ ქრისტეს ჯვარით შემოიმტკიცეს საქართველო რომაელებმა...

ჩვენ ჩვენი იესო ქრისტე და წინასწარმეტყველი გვყავს. ჩვენ ჩვენი დროისთვის წამებულებიც გვყავს და ისინი არაფერში დაუდებენ ტოლს შუშანელსა და ეფსტატე მცხეთელს, აბოსა და გრიგოლ ხანძთელს, სამას არაგველსა და ძმებ ხერხეულიძეებს, ცოტნე დადიანსა და თორნიკე ერისთავს...

მერე უკვე აღარ მახსოვს რა მოხდა... დისკუსიაში დამარცხდნენ ჩემი მოწინააღმდეგენი. ენთუზიაზმკამენრის მდივანი და ისტორიის მასწავლებელი ეკვის თვალით მიყურებდნენ და მიღრენენ[illegible] ბაგრამ მოხდა ისე რომ სუფ მაღე შემრიგდნენ და ამ თვეს კომკავშირის ბიუროს წევრად ამირჩიეს.

ჩემმა ტოლებმა და მთელმა კლასმა თავიანთ ფალანგად მე გამომაცხადეს, უზომო პატივისცემით მეკეთეოდნენ. ასე გავეკიე დიდ საქმეებში და უფრო გავიზარდე ჩემი ტოლების თვალში. მე კი ზამოყოლილი დარდი ისევ გულს მიღრღნიდა და გამოუტანობი წარსულისაკენ მეკახდა...

საშუალო სასწავლებელში კვლავ ქალიშვილები ჭარბობდ**ნენ** ვაკეებს, მე ბევრთან ვმეგობრობდი, მაგრამ იმ პირველი სიყვარულის შემდეგ ჩემი გულის ყველა სარკველი დახურული იყო სხვისთვის. იმ დღეს კი უცნაური რამ დამემართა: პარასკევი იყო. საბაზრიდ გამოსულ ხალხს ვერ იტევდა პატარა ადგილი. ამ დიის ხელისდადება ბაღი სავსე იყო ახალგაზრდობით. გაკვეთილები დამთავრდა თუ არა, ბაღში შევედი. მოვიხედე და მაგნეოიის ხესთან ორი გოგონა იდგა. ერთში ირინე შევიცანი. დიახ, სულ გამოსახული ირინე იყო. ამ მოლანდებით აღეზნებული ერთბაშად მივადექი მაგნეოიის ხეს. გოგონები ისე იყვნენ გართული საუბრით, რომ ვერ შემნიშნეს. მე უფრო დაეჭნენთ დავაცქერდი ინ გოგონას, რომელშიაც ირინე შევიცანი და ვიყვირე—ირინე, ირინე-მეთქი—ქალიშვილებმა გაკვირვებით შემომხედეს და სიცილი აუვარდათ. მე შემრცხვა და მოვბრდი, რომ ეს იყო მირაკი. მიეხედი და კიდევ ერთხელ ჩამშეკდა გული. მანც დიდებული იყო ეს მოლანდება, რომელსაც მერე მთელი კვირა ვეღაცეცქიდი.

ჩვენი სკოლის უჯრედის მდივანს ინჩნირილი ბლეხისთვის ვირი ეთხოვა. კომკავშირელებმა დიდის ამბით ჩამოიყვანეს ეს დიდყურა და საგანგებოდ მორთეს. ნაწმირით სახეშეფებიდ, კლუბიდან გამოტანილი პარიკის ზეკრნით დამშვენებულ ჩვენს ჯეუფელ ბაჩილავას ანაფორა ჩააცვეს და ვირზე შესვეს. ეს ბაჩილავა ერთი უშნოდ აწოწილი, აყალაყუდა ვინმე იყო, მაგრამ უალრესად კეთილი და ყველას უყვარდა ჯეუფში. ვირზე შემჯდარ ბაჩილავაშვილდელს მარჯვნივ და მარცხნივ ბერისა და მონაზნეხილ ხამოსით მორთული ორი კომკავშირელი ამოუკეკნეს, უკან მაყვეკოდა ნახშირით სახეგაოთუნული მოსწავლე საცეცხლურით ხელში, მათ უკან კი სასულე ორკესტრი მიდიოდა და სამგლოვიარო ქიმნს უკრავდა. ორკესტრს უკან მოვყვებოდით რაინონის კომკავშირის მთელი აქტივი. ის იყო დაიგუგენა სასულე ორკესტრმა და აუარაკელი ხალხი მოაწყდა ჩვენს სკოლას. პროცესია გაიმართა ნაღალავეის ორ რიგად ჩამწკრივებულ ლუქნეს შუა, საკმაოდ ფართო მოედანზე. შემოუფარეთ მთელ დაბას ორჯერ თუ სამჯერ. იყო ერთი სიცილი და ხარხარი... იმავე საღამოს კლუბში ორმომქმედებიანი ანტირელიგიური პიესა დავდგინ. სიცილისა და ხარხარს აქაც არ უანდგა ბოლო...

ამასობაში ორი წელი გავიდა. საშუალო განათლების ატესტატატიც მივიღე და იმავე წელს თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშურე. უნივერსიტეტის კარი მოკრძალებით შევაღე და სპეციები წარვადგინე. მდივანი, ქერათმიანი ქალიშვილი დიდხანს სინჯავდა ჩემს სპეციებს. მერე თანმიმდევრობით დაალაგა: სპინ ფოტოსურათი, სპეციალო სკოლის დამოწაფრების აბესტატები, დიპლომის ცნობა, მოწმობა ჩემი მშობლების სოციალური წარმოშობის, მდგომარეობის შესახებ და ჯანმრთელობის სამუშაო. მერე საგამოცდო ბარათი გამომწიფდა, (შიგ ჩემი ფოტოსურათი ჩაეკრა) გადმომცა და წარმატება მისურვა.

გამოცდებს სამედიცინო ფაკულტეტზე ვაბარებდი. მამაჩემმა ასეთი პირობა დამიდო: თუ „სადოსტუროზე" შეხვალ, თვეში ოცდათი მანეთს გამოგიგზავნი, თუ არა და როგორც შენ გინდოდესო... ოცდათი მანეთი მაშინ კარგი ფული იყო და მეორეც, მე სხვა სახსარი ცხოვრებისა არ გამაჩნდა. პირობა-პირობა იყო და გამოცდები სამედიცინოზე ჩავაბარე. ისე ლიტერატურა უფრო მიტაცებდა, კაპანელის, კოტეტიშვილის და სხვათა წიგნები თითქმის ზეპირად ვიცოდი.

მაშინ უნივერსიტეტში შესასვლელად საშუალო სკოლის ყველა საგანს ვაბარებდით. პირველ დღეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამომცადეს. უნივერსიტეტის ერთ დიდ აუდიტორიაში სამასამდე აბითურიენტი შეგვყარეს. გვიძახებდნენ სიით და იმ აუდიტორიებში შევსავდით, სადაც ვამომცდელები იყვნენ. ჩემი რიგიც მოვიდა. სათნო სახის უზა ხნის პროფესორმა თავისთან მიმიხმო, ვინათა გამომკითხა, დამიყვანა და კითხვები ჩამაწერინა. მე მაშინვე სხაპა-სხუპით დავიწყე პასუხი. შემაჩერა, ნუ ჩქარობო, დფიქრდი, დრო გაქვსო. მე გაკვიდელი და გაკვაჩარეული. პროფესორს ეიკიინა, ბოლოშიე მომისმინა და ხუთიანი ჩაბიერა საგამოცდო ბილეთში... მოხდა ისე, რომ ყველაზე მეტი ნიშანი მე მოვაგროვე და ჩარიცხულთა სიაც ჩემი გვარით იწყებოდა.

და ეს მოხდა იმის წყალობით, რომ მე არა მარტო კარგად ვსწავლობდი, არამედ უზომოდ ბევრს ვკითხულობდი. ეს კია, ვკითხულობდი განუჩრეველად, უსისტემოდ, უმისამართოდ, ყველა დარგისა და ყველა დისციპლინის წიგნს, რასაც კი ხელში მოვიდოდი. აუშენაკი იყო ჩემთვის ახალი წიგნის ფასი. სათითაოდ ვეძებდი, ვინახავდი ყოველ მთავრს...

უცნაურია, წიგნი და წიგნის კითხვა ბაბუაჩემმა და ბებიაჩემმა შემაყვარეს. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდნენ, მე კი დღენაადგა ჩამჩიჩინებდნენ, წიგნის სიყვარულს მიღვიძებდნენ. ბაბუა მეტყოდა, ისწავლე შვილო, ახლა წიგნის დროაო, უნდა ისწავლი ჩემ წილიც, ბებიაშენის, დედაშენისა, შენი წილიც. ე. ი. ათჯერ და ათჯერ მეტი. და მეც ვკითხულობდი დილასაც და საღამოს, ვვიან ღამით და დილა უთენია. მაშინაც წიგნი მეჭირა ხელში, როცა სახნავში ხარებს მივუძღოდი და მინდვრად ნახირს ვმწყემსავდი...

წიგნები შევიყვარე და წიგნებმა შეაყვარეს ჩემი თავი ამხანაგებსა და მასწავლებლებსაც. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ზოგი ენაკვიმატი გამოსაჯავრებლად გენოისას მეძახდა, მაგრამ მე მაინც წიგნში მკოდნა თავი ჩარეული და მისადმი ნიკეიანულს ვერც ვერავინ გადამაჩვია.

ტბუფენტბის პირველმა დღემ სამშვილო სკოლის პირველი დღე მომაგონა. აქაც ისე უხერხულად ვიჯექი მერხზე. ისევ ჩუმად და ფარულად ვსვერავდი, ვაკვირდებოდი და ვაშტერდებოდი ყველას, როგორც ამ სამიოდე წლის წინათ მე-8 კლასის მოწაფეებს, თუმცა ახლა ჩვენ არც ზეოდაანებით ვიყავით ტოლნი და არც მდგომარეობით. ზოგი, რაიონებიდან ჩამოსულნი, თუ ქალაქელნი ჩაცმულობითაც განვსხვავდებოდით და საქციელითაც. მე და ჩემი ტოლი სტუდენტები ეს-ეს იყო თექვსმეტი წლისანი გავხდით. მაგრამ ჩვენში ერიოენნი ისეთნიანი, რომლებიც ოცდათ წელსაც გადაცილებული იყვნენ. ისინი ცალკე ისხდნენ, უფრო ამაყად, ზვიადად დაგვცქერდნენ. ჩვენ კი ჩუმად ვიცინოდით, ასე გვეგონა, ჩვენთან ერთად ჩვენი მამები ისხდნენ. ეს უფრო ოფიციალურს ხდიდა ჯაუფის ურთიერთობას. ჯაუფში სულ 32 კაცი ვიყავით.

ზარი დაირეკა თუ არა, დეკანის მოადგილე შემოვიდა. ეს 40 წელს გადაცილებული, ბუნთიანი მრეკალი, მსუქანი კაცი სვეწმე-სვეწმეთი და ხენეშით ჯვიხსნდა, როგორ მოვქცეულიყავით, რა უულება და მოვალეობა გვეკისრა. ამ ჯეჩანურუნული შეგონების შემდეგ ჯაუფსეი ავიარჩეთ, ყველაზე უფროსი, მაღალი და გამხდარი, თმაში უკვე თეთრი ჭკნნნა გარეული. დეკანმა გაგვაცინო და ბოლოს დაუმატა, ეს კაცი, გვარად გაგამეორებ სკოლის დირექტორად მუშაობდაო, პარტიის კანდიდატიაო. თქვენ ვალდებული ხართ მას მოუსმინოთ და დაემორჩილოთო. ჯაუფხელეს ჯაუფის ჟურნალი საჯარედ, საზეიმოდ გადასცა.

პირველი ლექციები ფიზიკასა, ანატომიასა და ქიმიაში დამეწყო. ფიზიკის აუდიტორია ქვედა სართულზე, უფრო სწორად, სარდაფში იყო მოთავსებული. მის თავზე, მეორე სართულზე ივანე ჯავახიშვილი კითხულობდა ლექციებს. ერთ დღეს ამ აუდიტორიაში შევდაგი თავი. ჯაუფში ჩემი ნაცნობი ალმინმსა, მამიაწვია და ჯავახიშვილის ლექციაც ერთად მოვისმინეთ. მერე ალარ მომინდა ფიზიკის ლექციებზე სიარული. სიმონ ხუნდაძეს მივადექი. ბატარნი სიმონ მაშინ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი იყო, ვთხოვე ისტორიის ვანყოფილებაზე გადავეყვანე. მომისმინა და ასე მითხრა: ეს შეიძლება, ოღონდ საჭირო გახდება ვინმე მსურველი მონახო, რომელიც ისტორიის სპეციალობას გაგიყვანს სამედიცინო ფაკულტეტზეო. ასეთი მსურველი ერთი კი არა, რამდენიმე აღმოჩნდა. ასე გაგვდი ინსტიტუტში ისტორიის განყოფილების სტუდენტი.

მეორე სემესტრი დაიწყო, პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილისა ჩაგვიტარა. ცხრილი ვიკოდი, რომ ბატონი ივანე უნდა შემოსულიყო და მოუთმენლად მოველოდი. აუდიტორიაში შემოვიდა, მაღალი ვერ ვბუყოდით, მაგრამ საშუალო ტანის კაცზე უფ-

**სერგი ჟილაია**
მე და ჩემი პროფესორი

რო მაღალი, ნამდვილი ეკროპიელი, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი, სუფთად გაპარსული. თეთრი, ქაფქასთა სახე სინათლეს და სიბრძნეს აფრქვევდა ირველივ. შემოსვლისას მოგვესალმა. კათედრაზე საკმაოდ გახუნებული ყვიეილი პორთფელი დადო. შემდეგ კათედრიდან ძირს ჩამოვიდა და დაიწყო საუბარი ჰმადაბლა, ნელა, გაბმულად. სტუდენტებმა რვეულები და ფანქრები მოიმარჯვეს, ჯავახიშვილი მოელვარე გონებით საქართველოს ისტორიის უცნაურ ფურცლებს შლიდა. ჩვენ გაფაციცებით ვუსმენდით და ვიწერდით. აუდიტორიაში მხოლოდ ფანქრების შარიშური ისმოდა. მე პირველად რიდი ვისმენდი მის ლექციას. სამედიცინო ფაკულტატის სტუდენტი რომ ვიყავი, ჩუმად, სადღაც, კუთხეში მიმალული ვუსმენდი, იმ დღეს კი წინა მერხზე ვიჯექი რიხიანად, რადგან სრულუფლებიანი სტუდენტი ვიყავი ამ ფაკულტატისა. ბატონი ივანე დამაკვირდა და, როცა ლექციი დაამთავრა, ვინაობა გამომკითხა. მე არ დავმალე და ვუთხარი, სამედიცინო ფაკულტატიდან გადმოვედი-მეთქი. ბატონი ივანე შეჩერდა, უფრო ახლო მოვიდა და საგანგებოდ დამაკვირდა. მერე ხმადაბლა მითხრა:

— მაშ თქვენ გადაწყვეტეთ საქართველოს ისტორია შეისწავლოთ? ეს რიდიაა ცუდი, ოღონდ, ყმაწვილო, ექიმობაც დიდი საქმეა. ჩვენ ჩვენს უნივერსიტეტში საგანგებოდ გავხსენით ეს ფაკულტატი. ოქვენ კოლეგილი ბრძანდებით და უნდა იცოდეთ, ჩემი კოლეგა, მედიცინამ უნდა გვიხსნას. ვინც კოლეგითა ისტორიას იცნობს, იცის, რომ ამ კუთხის მტერი ციცაა იყო. ეს სენი ასლაც მუსრს ავლებს. დასავლეთ საქართველოს სანანპირო რაიონებს. ბაკა ახლა ჩვენს ერს მშვიდობიანი ცხოვრების დღეები დაუფლა, ჩვენი ვაღია ვიხსნათ ხალხი ამ სენისაგან. აქ შეჩერდა, ისევ დამაკვირდა, გამიღიმა და განაგრძო:— საქართველო პატარა ქვეყანაა, მიწა ჩვენ ცოტა გვაქვს, მაგრამ ამ ცოტასაც ვერ მოვუფლოთ, თუ არ გავმრავლდით და ჯანმრთელობა ხალხისა არ დავიცავით, აქ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ექიმს, მაგრამ რაკი ისტორიკოსობა ვადაგიწყვეტია, ესეც დიდი რამეა. ჩვენ ისეთი ერი ვართ და ისეთი დიდი წარსულის მქონე, რომ უმადურება იქნებოდა, კარგად არ გამოვიძიოთ და არ შევისწავლოთ წინაპართა ნამამაცარი.

ერთიც უნდა გითხრათ. სოფელს უნდა მივხედოთ. საქართველო სოფელმა შეინახა. ჩვენ ეს უნივერსიტეტი თბილისელებისა და ქალაქელებისათვის კი არ დაგვიარსებია, არამედ მთელი საქართველოსათვის და ამ მთელს საქართველოს ისე არავინ ინახავს, როგორც სოფელი. თუ თბილისს სოფლიდან გამოქცეული ახალგაზრდები მიეძალა, უშნო, თავკომბალა გასდება და ამას უნდა ვერიდოთ. თბილისია საქართველოს დედა, მაგრამ ის დედა, რომელიც საკუთარი ოჯახის იქით არ იხედება, ის დედა მამულს არასოდეს გამოადგება...

ესა თქვა, თავი დაგვიკრა მე და ჩემს გარშემო მთელ ჯგუფს და აუდიტორიიდან ნელი ნაბიჯით გავიდა.

**დასასრული იქნება**

# ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

### IV. ᲝᲠᲡᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲝᲠᲡᲔᲠᲘᲐᲜᲘ?

**ᲘᲐᲜ** სუფიქსი, რომელიც ქონებასა და ყოლას გამოხატავს, ახალ ქართულში ამ შინაარსის სუფიქსთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებული და მეტად პროდუქტიული. ის აწარმოებს ახალ-ახალ ქონების სახელებს **ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ** საზოგადო სახელისაგან: თავიანი, გულიანი, თმიანი, ხელიანი, ფეხიანი... ბალახიანი, წყლიანი, ხიანი, ქვიანი, ყაროიანი, ველიანი, სიმინდიანი, ტყიანი, ფიჭვიანი, თელიანი, მუხიანი, თხილიანი, ვენახიანი... ხალისიანი, მადიანი... მგლიანი, **წᲘᲬᲘᲚᲘᲐᲜᲘ**... წვიმიანი, თოვლიანი, ქარიანი და მრავალი სხვა.

თვით ისეთი სახელები, რომლებიც ძველთაგანვე ამავე შინაარსის სხვა სუფიქსით იწარმოება, დღეს **ᲘᲐᲜᲘᲡᲐ** დაირთავს და პარალელური ფორმები გვაქვს: **ᲝᲕᲜᲔ**: სახელოვანი და სახელოანი, კლდოვანი და კლდიანი, ფურცლოვანი და ფურცლიანი, ცრემლოვანი და ცრემლიანი, ლერწოვანი და ლერწᲘᲐᲜᲘ, ვენახოვანი და ვენახიანი, ტეინოვანი და ტეინიანი, ლელოვანი და ლელიანი... **ᲝᲚᲐᲜᲔ**: მახვილოსანი და მახვილიანი, ფაროსანი და ფარიანი, ტვირთოსანი და ტვირთიანი, ლახვრისანი და ლახვრიანი...

ზოგიერთ ამ წყვილ ფორმას შორის, ამის გამო, შეიძლება მცირე ნიუანსური სხვაობის ეფერი იგრძნობოდეს, მაგრამ საერთოდ მათი შინაარსი არსებითად ერთნაირია.

და აი, დღეს ასე ფართოდ გავრცელებული **ᲘᲐᲜ** სუფიქსი ძველ ქართულში ძალზე იშვიათად გვხვდება, ისიც მკაცრად განსაზღვრული ფუძეების წარმოებისას, მაგალითად: ᲐᲥᲒᲘᲐᲜᲘ, ᲑᲐᲧᲚᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ, ᲔᲤᲠᲘᲐᲜᲘ, ᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ, ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲜᲘᲜᲕᲘᲐᲜᲘ, **ᲡᲢᲔᲧᲕᲘᲐᲜᲘ**, ᲡᲮᲘᲐᲜᲘ (ᲗᲮᲘᲐᲜᲘ), ᲭᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲧᲘᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ (ᲧᲘᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ). ᲫᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲬᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲬᲕᲘᲛᲘᲐᲜᲘ. ᲔᲚᲐᲐ და ეს. ᲠᲝᲠᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲐᲕᲝ ᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲡᲐᲮᲘᲚᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲤᲣᲤᲣᲔᲑᲨᲘᲪ **ᲘᲐᲜ**-ᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲬᲘᲜᲐᲠᲐᲠᲘ **ᲔᲐᲜ** ᲔᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐ: ᲐᲥᲒᲘᲐᲜᲘ, ᲑᲐᲧᲚᲘᲐᲜᲘ, ᲒᲘᲡᲚᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲡᲮᲐᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲬᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ... **ᲔᲐᲜ** ᲐᲠᲘ (ძველ ქართულში) სხვა უფუძეებშიც გვაქვს: ᲓᲔᲓᲘᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲠᲬᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲝᲠᲓᲘᲐᲜᲘ, ᲧᲣᲤᲐᲜᲘ, ᲥᲔᲪᲘᲐᲜᲘ, ᲫᲐᲠᲯᲣᲤᲐᲜᲘ, ᲩᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

**ᲘᲐᲜ** სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, **ᲔᲐᲜ**-ისაგან წარმოდგება ᲓᲘᲡᲘᲛᲘᲚᲐᲪᲘᲘᲡ ნიადაგზე. ძველ ქართულში სწორედ ეს **ᲔᲐᲜ** გვხვდება უმეტეს შემთხვევაში. მაგრამ თვით **ᲔᲐᲜ** წარმოშობით შეიძლება უფრო რთული **ᲔᲒᲐᲜ (ᲔᲒ+ᲐᲜ)** სუფიქსისაგან მოდიოდეს. ეს უკანასკნელი ძველ ქართულში მართლაც არის დადასტურებული: ᲓᲔᲓᲔᲚᲘ მათნი ზᲔᲚᲔᲒᲔᲚᲘ, რაᲗᲐ უᲛᲔᲜᲔᲜ **ᲫᲚᲣᲜᲔᲒᲔᲚᲘ (ᲫᲚᲣᲚᲔᲒᲔᲚᲘ A)** ძალთა ცისათა. და უᲗᲔᲛᲔᲡᲘ სᲐᲒᲔᲚᲔᲚᲐ ღმერთთა უᲪᲮᲝᲗᲐ (იერ. 7,18 j. A — ოშკური ბიბლია, i — იერუსალიმური).

როგორც დავინახეთ, **ᲔᲐᲜ** სუფიქსი და მისგან დისიმილაციით მიღებული **ᲘᲐᲜ**-იც ძველ ქართულში ძალზე იშვიათად ისმარება. ამ სუფიქსის ᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲒᲐᲯᲐᲠᲐᲓ **ᲝᲕᲜᲔ, ᲝᲚᲐᲜᲔ, ᲔᲠᲗ** სუფიქსთა ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲮᲔᲝᲑᲓᲝᲛᲔ. სწორედ ისინი ᲧᲣᲜᲗᲜᲔ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ **ᲘᲐᲜ**-ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲛᲐᲠᲯᲕᲚᲘᲐᲜᲘ, ᲗᲣᲠᲗᲘᲡᲐᲜᲘ, ᲝᲛᲔᲚᲘᲐᲜᲘ).

ᲓᲦᲔᲡ კი, როგორც აღვნიშნეთ, **ᲘᲐᲜ** სუფიქსი ქონების სახელების და, საერთოდ, სახელების ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲜᲐᲡᲐᲜᲐ.

ᲡᲐᲓ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲪᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲐᲜ ᲡᲣᲤᲘᲥᲡᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲜᲗᲐᲒᲛᲐ? ᲔᲡ ᲫᲐᲠᲐ ᲗᲐᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲨᲝᲗᲐᲛᲘ. „ᲔᲤᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡᲘᲜᲘᲗ“ შეიძინა **ᲘᲐᲜ** სუფიქსმა ეს ᲫᲕᲔᲚᲡᲬᲘᲠᲘ ᲔᲜᲐᲜᲘ. შ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜ ᲤᲝᲠᲗᲝᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲠᲘᲐ **ᲡᲣᲤᲘᲥᲡᲘᲡ,**

ცოცხალი სული შთაბეჭრა მას, შექმნა მთელი რიგი სიტყვები და ასე გამდიდრებული ლექსიკა გადმოიცა შემდგომს ეპოქებს. რუსთველის ამ ღვაწლსაც უნდა მიეწეროს, რომ ჩვენს დღევანდელ ენაში სწორედ ეს სუფიქსია ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და პროდუქტიული ახალ-ახალი ზედსართავების საწარმოებლად. ამ მარტო იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ პოემის პირველსავე სტროფში (პროლოგის შემდეგ) რითმის ოთხივე ცალი **იან** სუფიქსითაა ნაწარმოები:

სვიანი — ყმიანი — განგებიანი — წყლიანი.

**იან** სუფიქსით ნაწარმოები ამდენი ფორმა, პოემაში რომ გვაქვს, მთელ ძველ ქართულში არ გვხვდება. ამ ისიც არის აღსანიშნავი, რომ პოემაში ძველ **ეან** სუფიქსს ერთხელაც ვერ შეეხვდებით.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვაქვს **იან** სუფიქსით ნაწარმოები 31 ფუძე და 53 მაგალითი სხვადასხვა ფორმით. აი ისინიც (მაგალითები ყველგან მოგვაყვეს სახელობითი ბრუნვის ფორმით. სტროფები ნაჩვენებია პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით):

1. ადამიანი 233,1; 2. ალაფიანი 463,4; 3. აუგიანი 191,1; 4. ბაკმიანი (პირ-ბაკმიანი) 233,3; 5. განგებიანი 32,3; 6. დარაკიანი (ხრმალ-დარაკიანი) 1099,3; 7. დარიანი 1537,1; 8. ეკლიანი 878,2; 9. ენიანი 478,2; 10. ვაგლახიანი 191,3; 11. თვალიანი 1440,3; 12. თმიანი (ყორან-თმიანი) 1583,4; 13. კლდიანი 841,2; 1099,4; 14. მარიხიანი (გულ-მარიხიანი) 841,3; 15. მზიანი 191,2; 798,3; 836,1; 1118,2; 1537,3; 1583,3; 16. ნაბდიანი (ტან-ნაბდიანი) 1278,2; 17. ნაკვთიანი (ტან-ნაკვთიანი) 1099,1; 18. რიანი 1537,3; 19. სვედიანი 101,1; 20. სვიანი 32,1; 463,1; 1440,4; 1583,2; 21. სირცხვილიანი 827,3; 22. სისხლიანი (ხელ-სისხლიანი) 1115,2; 1118,4; 23. ტყვიანი 463,4; 24. ღალატიანი 798,2; 25. ღმრთიანი 1118,3; 26. ყმიანი 32,2; 827,2; 27. წყლიანი 32,4 59,4; 170,1; 695,3; 1099,1; 1118,1; 1270,3; 1407,2; 1583,1; ჭკვიანი 21,1; ჭკუიანი 863,1; 29. ხიანი 841,1; 30. ხმიანი 233,4; 31. ჯავრიანი 1115,1; 1209,2.

სულ, როგორც ვხედავთ, გვაქვს 31 ფუძე და 53 სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი მაგალითი. ზოგი სიტყვა მეორდება. ასე, მაგალითად, ორ-ორჯერ მეორდება 6 სიტყვა (აუგიანი, კლდიანი, სისხლიანი, ყმიანი, ჭკვიანი-ჭკუიანი, ჯავრიანი), **სვიანი** მეორდება 4-ჯერ, **მზიანი**—6-ჯერ, ხოლო **წყლიანი** — 9-ჯერ.

აღნიშნული 53 მაგალითიდან რითმაში არის წარმოდგენილი 39, რითმის გარეთ (ტაეპის შიგნით) — 14. აქედან ცხადია, რომ **იან** სუფიქსიანი სიტყვების უდიდესი ნაწილი წმინდა პოეტური ფუნქციით არის (შექმნილი და) გამოყენებული. ამ სიტყვების უდიდესი უმრავლესობა დღესაც აქტიურ ქმედითს ძალას ინარჩუნებს და დიდი დატვირთვითაა დასაქმებული როგორც პოეტურ მეტყველებაში, ისე ცოცხალ სალაპარაკო ენაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იწარმოება **იან** სუფიქსიანი სახელები? შედარებით მარტივად: **იან** ემატება საწარმოებელი სახელის **ფუძეს.** თუ სათანადო სახელი კუმშვადი ან კვეცადია, საწარმოებლად აღებული შეკუმშული და შეკვეცილი ფუძე. გვაქვს შემდეგი კერძო შემთხვევები:

1. თანხმოვანფუძიანი სახელი უკუმშველია:

   გულ-ი — გულ-იან-ი
   თავ-ი — თავ-იან-ი
   მარილ-ი — მარილ-იან-ი.
   ფეხ-ი — ფეხ-იან-ი
   ფულ-ი — ფულ-იან-ი
   შვილ-ი — შვილ-იან-ი
   ცეცხლ-ი — ცეცხლ-იან-ი
   ცოლ-ი — ცოლ-იან-ი
   წვერ-ი — წვერ-იან-ი
   ხარ-ი — ხარ-იან-ი

2. თანხმოვანფუძიანი სახელი იკუმშება:

   ა) ამოღებულია ა

   ეკალ-ი — ეკლ-იან-ი
   ლერწამ-ი — ლერწმ-იან-ი
   ნაბად-ი — ნაბდ-იან-ი
   ქათამ-ი — ქათმ-იანი-ი
   ქმარ-ი — ქმრ-იან-ი
   ცვარ-ი — ცვრ-იან-ი
   ძმარ-ი — ძმრ-იან-ი
   წამალ-ი — წამლ-იან-ი
   წყალ-ი — წყლ-იან-ი
   ხმალ-ი — ხმლ-იან-ი

   ბ) ამოღებულია ე

   ბეჭედ-ი — ბეჭდ-იან-ი
   კედელ-ი — კედლ-იან-ი
   მგელ-ი — მგლ-იან-ი
   მუცელ-ი — მუცლ-იან-ი
   ნაოველ-ი — ნაოვლ-იან-ი
   სანთელ-ი — სანთლ-იან-ი
   ურემ-ი — ურმ-იან-ი
   უღელ-ი — უღლ-იან-ი
   ღრუბელ-ი — ღრუბლ-იან-ი
   ყურძენ-ი — ყურძნ-იან-ი

   გ) ფუძისეული ო-ს ნაცვლად გვაქვს მისი რედუცირებული ბგერანაცვალი ვ

   მაწონ-ი — მაწვნ-იან-ი
   მინდორ-ი — მინდვრ-იან-ი
   ნიგოზ-ი — ნიგზ-იან-ი
   ნორო-ი — ნივრ-იან-ი

   ა) შეკვეცილია ა

   გზა — ვზ-იან-ი
   დანა — დან-იან-ი
   თიხა — თიხ-იან-ი
   თმა — თმ-იან-ი

მადა — მად-იან-ი
მიწა — მიწ-იან-ი
შუნა — შუნ-იან-ი
რქა — რქ-იან-ი
ქვა — ქვ-იან-ი
წვიმა — წვიმ-იან-ი

ბ) შეკვეცილია ე

კლდე — კლდ-იან-ი
მზე — მზ-იან-ი
მთვარე — მთვარ-იან-ი
რძე — რძ-იან-ი
სქმე სქმ-იან-ი
სახე — სახ-იან-ი
სიცხე — სიცხ-იან-ი
ტყე — ტყ-იან-ი
ციხე — ციხ-იან-ი
ხე — ხ-იან-ი

ა) არ იკვეცება ო

ასო — ასო-იან-ი
გემო — გემო-იან-ი
დრო — დრო-იან-ი
ერდო — ერდო-იან-ი
ეზო — ეზო-იან-ი
კალო — კალო-იან-ი
კილო — კილო-იან-ი
წყარო — წყარო-იან-ი
ხაჟო — ხაჟო-იან-ი
ხბო — ხბო-იან-ი

ბ) არ იკვეცება უ

ძუძუ- — ძუძუ-იან-ი
რუ — რუ-იან-ი

ეს ყველაფერი ნათელი და უდავოა. დავა და ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტებზე იწყება მაშინ, როდესაც სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში ეს ბგერა ერთ-ორ ადგილას ... ეს ... ეს ... ... ...

ლაპარაკი, ბადეზე თუ ბადიზე, როცა, ვთქვათ, გაეიგონებთ: „შორიდან შეენშნე, რომ **ბადიანი** კაცი მოდიოდა“. ამგვარადვე **თუთიანი**-ც ვერ გეტყვიან, **თუთაზეა** საუბარი თუ **თუთიაზე**-ქვემოთ მოგვყავს ამნაირი შესაძლებელი ფორმების არასრული სია:

1. ავარა-ავარიანი და ავარია — ავარიანი (უნდა იყოს: ავარიიანი)
2. არე-არიანი და არია — არიანი (უ. ი. არიიანი)
3. [მარში-მარშიანი] და არშია — არშიანი (უ. ი. არშიიანი)
4. ბადე-ბადიანი და ბადია — ბადიანი (უ. ი. ბადიიანი)
5. ბიოგრაფი-ბიოგრაფიანი და ბიოგრაფია — ბიოგრაფიანი (უ. ი. ბიოგრაფიიანი)
6. ბორა-ბორიანი და ბორია — ბორიანი (უ. ი. ბორიიანი)
7. გალი, გალა-გალიანი და გალია — გალიანი (უ. ი. გალიიანი)
8. ვერსი-ვერსიანი და ვერსია — ვერსიანი (უ. ი. ვერსიიანი)
9. თუთა-თუთიანი და თუთია — თუთიანი (უ. ი. თუთიიანი)
10. კალა-კალიანი და კალია — კალიანი (უ. ი. კალიიანი)
11. ლაქი, ლაქა-ლაქიანი და ლაქია — ლაქიანი (უ. ი. ლაქიიანი)
12. ნალი-ნალიანი და ნალია — ნალიანი (უ. ი. ნალიიანი)
13. პარტა-პარტიანი და პარტია — პარტიანი (უ. ი. პარტიიანი)
14. ნათელი-ნათლიანი და ნათლია — ნათლიანი (უ. ი. ნათლიიანი)
15. სერი-სერიანი და სერია — სერიანი (უ. ი. სერიიანი)
16. სვე-სვიანი და სვია — სვიანი (უ. ი. სვიიანი)
17. ტყვე-ტყვიანი და ტყვია — ტყვიანი (უ. ი. ტყვიიანი)
18. ფერი-ფერიანი და ფერია — ფერიანი (უ. ი. ფერიიანი)
19. ქარტა-ქარტიანი და ქარტია — ქარტიანი (უ. ი. ქარტიიანი)
20. ჭი-ჭიანი და ჭია — ჭიანი (უ. ი. ჭიიანი).

ბ) ერთმანეთს დაემთხვეოდა საწარმოებლად აღებული სახელის ნაირანი მრავლობითის ფორმა და **იან** სუფიქსიანი ზეფსართავი, მაგალითად:

**ღვია — ღვიანი** (=ღვიანები) და **ღვიანი** (=ღვიები), **ჭია — ჭიანი** (=ჭიანები) და **ჭიანი** (=ჭიები), **ტყვია — ტყვიანი** (=ტყვიანები) და **ტყვიანი** (=ტყვიები), ისტორია — **ისტორიანი** (=ისტორიანები) და **ისტორიანი** (=ისტორიები) და სხვანი. მრავლობითში დასმული სახელები კი ენაში, განსაკუთრებით ლექსებში, ბლომად გვხვდება. აი ორიოდე ნიმუში:

**ღვიანი:** ჩემსმაც სამარეს ამკობენ
თქვენი დეკა და **ღვიანი (ვაჟა)**

**ჭიანი:** ჩემი დღის დამბნელებელსა
შენ კი შეგჭამენ **ჭიანი** (ხალხ.)

**ისტორიანი:** **ისტორიანი** და აზმანი შარავანდედთანი (ერთი საისტორიო თხზულების სათაური. ნ. „ქართული ცხოვრება“, II, 1959, გვ. 1-114, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა).

სხვადასხვა შინაარსის ფორმათა ასეთი შეჯვედრა ამ ტიპის ყველა სახელში გვაქვს.

ყველი ამიტომ ერთადერთ მართებულ ნორმად უნდა ვცნოთ **არშიანი, ტყვიანი, სერიანი** და მსგავსი ფორმები (ორი **ინთ**), ხოლო **არშიანი, ტყვიანი, სერიანი** და მისთანა მაგალითები (ერთი **ინთ**) უმართებულოდ მიეიჩნიოთ და უკეთეგდოთ.

ახლა ვიკითხოთ: როგორ არის ამ მდგომარეობა ამ მხრივ ჩვენს პრესაში, მწერლობასა და სამეცნიერო ლიტერატურაში? სურათი ძალიან ჭრელია: ზოგან ერთნაირი ფორმები იხმარება (სერიანი, პარტიანი), ზოგან — მეორე (სერიიანი, პარტიიანი). ეს კი, რომ რამდენი დროც გადის, იმდენად უფრო მეტად იხმარება სწორი ფორმები, იმდენად კლებულობს მიეღებული მაგალითების ვამოყენება, ე. ი. საქმე წინ მიდის, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის.

სურათის სისრულისათვის ჩვენ აქ დავასახელებთ ორივე ტიპის რამდენიმე მაგალითს.

ა) **უმართებულო ფორმები**

ჩვენ დიდი გზებით მოსული ვართ და წავალთ მაღე;

როგორც კუკლები დავაკარებთ **არშიან** კაბებს („შვილდოსანი“, № 1, 1920, გვ. 5).[1] მხოლოდ ლეკსის მეტრის ბრალია? არა გვგონია; **ლურჯარშიანი** (ლ. ტოლსტოი, „აღდგომა“, გვ. 2) (=არშიანები, ლურჯარშიანები).

საკმელი უნდა იყოს მცირე **„კალრიანი“** („სოფელ. ცხ.“, № 245, 1969); აი რატომაა, რომ ფეზბურთელების რაციონში შედის მაღალ კალორიანი კვება — 6.000 კალორია დღეში („კომუნისტური შრომა“, № 108, 1969) (=კალორიანი).

**შავმანტიან** რასისტებს... შაშხანები სპორტული მიზნით რიდი აუღიათ ხელთ („ლელო“, № 237, 1966) (=შავმანტიანებ).

**4-პარტანი** დამატებითი მატჩი, მათი ოთხ**პარტანი** მატჩი მოიგო უიტუმენმა („ახ. კომ.“, № 143, 1969); **ათპარტან** მატჩში („კომ.“, № 56, 1968); **ათპარტან** მატჩებში („ლელო“, № 55, 1968); **12-პარტანი** დავა („ახ. კომ.“, № 130,

[1] გასაგები მოსაზრებით ავტორებს არ ვასახელებთ.

1965); **12-პარტიანი** მატჩი („ლელო", № 248, 1964); **24-პარტიანი** ორთაბრძოლა ორ თეკს ტანის („ახალ. კომ.", № 43, 1966); ვინ გიიმარჯვებს... **24-პარტიან** ორთაბრძოლაში („ახალ. კომ.", № 42, 1969) (=პარტიანი).

**რედუქციანი** ფორმები („ჭ. ე. ი." 152) (=რედუქციანი).

შემოიტანეს სახკომის **რეზოლუციანი** სასწრაფო ქადალდი (ა. ს. იაკოლევი, „ცხოვრების მიზანი", 1967, 239) (=რეზოლუციანი).

**ორსერიანი** ფილმი („ლიტ. საქ.", № 22, 1969: „თბილისი", № 46, 1969; „ნიანგი", № 17, 1969, 2); **სამსერიანი** კინომოთხრობა („თბილისი", № 145, 1968). **მრავალსერიანი** დოკუმენტური ფილმი („კომ.", № 191, 197, 1967; № 4, 1968): (=ორსერიანი, სამსერიანი, მრავალსერიანი).

**ტოლფუნქციანი** სახესხვაობა, **ტოლფუნქციანის** სახესხვაობით („ზ. ფ. ს.", 285); ეს ნაკლი ანაზღაურებულია წინდებულთა **მრავალფუნქციანობით** (იქე, 1946, 205) (=ტოლფუნქციანი, მრავალფუნქციანობით).

მანდ ან მოხუცი, ან **ჭიანი** ადამიანები უნდა ყურყუტებდნენ („ცისკარი", № 4, 1966, 90). **ჭიანი** კბილები ჰქონდა („მნათობი", № 5, 1967). აქ „ჭიანი" გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი (დაავადებული, გაფუჭებული; ავადმყოფი, სუსტი), შეიძლება ამით აიხსნებოდეს მეორე ი-ს ამოგდება. რიგი „ჭიანი" პირდაპირი გაგებით იხმარება (ციციანი), მაშინ სწორ ფორმებს ხმარობენ ჩვეულებრივ.

ბ) **მართებული ფორმები**

**წოთელარშიანი** მკლავი ზედ გაწოთლებულ ცხვირთან მივფტანე („ნიანგი", № 11, 1965); **ყვითელარშიანი** კომფორტული „ლაზი" კი გზას საკოლმეურნეო მოედნისაკენ განაგრძობდა: („თბილისი", № 61, 1967).

დასტურდება უდისმილაციო და **დისიმილაციანი** ასეთი ფორმები (ს. 



ენური, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, 230).

ერთ წელოწადში ოთხოთახიანი და **სამლოჯიანი** ბინა მივიღე საბურთალოზე („ნიანგი", № 6, 1968, 6).

ეს პარტიები შედიან **ოთხპარტიან** „შემარცხენე ცენტრისტულ" კოალიციაში („კომ", № 46, 1966); **ოთხპარტიან** მატჩში („ლელო", № 5, 1965); **ექვსპარტიან** მატჩში („ახალ. კომ.", № 121, 1969); **რვაპარტიანი** მატჩი (იქვე, № 22, 1969); **ათპარტიანი** მატჩი (იქვე, № 38, 1957; „ლელო", № 64, 1968); **12-პარტიანი** ფინალური მატჩში („ახალ. კომ". № 41, 1965); **16-პარტიან** მატჩში (იქვე, № 40, 1965; „ლელო", № 219, 1964).

სუფიქსიანი ტიპი ენგბითისა მეტად **პროდუქციანია** (ა. შანიძე, „ქართ. გრამ. საფუძვლები", 1953, 298).

ვწურე, ვწურე, ვერ გავწურე — **პროტეზიანი** ამბტრეიენტი („ნიანგი", № 7, 1965, 3). **ორსერიანი** ფილმი („კომ.", № 231, 1964; „ახალ. კომ.", № 41, 1967; „თბილისი", № 54, 1969); **ექვსსერიანი** დოკუმენტური ფილმი („ლელო", № 214, 1968); **25-სერიანი...** ფილმში („კომ.", № 234, 1968; „ლელო", № 233, 1968); **მრავალსერიანი...** ფილმი („კომ.", №№ 96, 97, 194, 1967; №№ 9, 10, 1968; „ახალ. კომ.", № 9, 1967).

მეორეჯერ ადარ შემოუშვა აქ **სტენოკარდიანი** და ინფარქტიანი ხალხი (ნ. დუმბაძე, „გლადიატორი", 1969, 55).

**ტენდენციანი** განცხადებით (**ს. ჯანაშია**, II, 1952, გვ. 411).

დამნაშავემ კენდის ესროლა 22-ე კალიბრის **რვატყვიანი** რევოლვერი („კომ.", № 131, 1968). ხოლო როცა **ლვიანი** ფერდობი ჩავრინიეთ და ტყეში შევედით, ძველისძველ საურმესაც წავაწყდით (**რ. ინანიშვილი**, „ცისფერი გორაკი": „ცისკარი", № 10, 1966, 58); **ლვიანიც...** თავისებური ტყის ტანია (ნ. კეცხოველი, თარგმ., =განმ. ლექს. VII, 427).

თავი ყეენი ჰგონიათ, ერთი **ჭიანი** მანეთის მეტი რომ არა უშეიოდესთ-რა (აკაკი,=განმ. ლექს. VIII, 1250).

რა ვითარებაა სხვადასხვა სახის ლექსიკონებში? როგორ აქვთ ამტრიგეს შეტანილი სადავო სიტყვები? პასუხი მოკლე იქნება: სწორი ფორმით შეტანილი აქვთ ყველას 5, მცდარით — აგრეთვე 5, ხოლო სხვები (დაახლოებით 40) სულ არაა შეტანილი არც ერთი ფორმით. ეტყობა, ავტორები ერიდებიან სადავო სიტყვათა შეტანას თავიანთ ლექსიკონებში და ამჯობინებენენ, სულ აიღონ მათზე ხელი. მაგრამ ეს სადავო საკითხის გადაჭრა არაა.

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ სამი ფუძე: არშიანი (შავარშიანი), ღვიანი და ჭიანი. „არშიანის" არ ახლავს სალექსტრაციო მასალა. „შავარშიანისთვის" მოყვანილია ორი მაგალითი, ორივეში მხოლოდ ერთი ი ყოფილა (შავარშიანი), მაგრამ რედაქტორს სამართლიანად ჩაუმატებია შიგ მეორე ი და „შავარშიანთ"-ის სახით წარმოუდგენია. რედაქტორის შეხედულება ამ საკითხზე კარგად ჩანს: **არშიანი** არის სწორი ფორმა, **არშიანი** შემცდარია და უნდა გავასწოროთო. ეს, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ რატომ **ჭიანი** არაა გასწორებული და სწორი **ჭიანი**-ის მოყვა-

**ივანე ინანიშვილი**
ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები

ნისას რატომ არის მითითებული, **იხილე ჭანური?** რატომ **სვანი** არის შეტანილი (სვან-სვანი) და არა სვიანი? იქვე მოყვანილია **სვიან-ის** მეორე მნიშვნელობა: **სვე-სვიანი**. ეს დამხმარეა შემთხვევითი არაა, ასე ხდება ხშირად (ნ. ზემოთ, გვ. 148).

ლექსიკონში სულ არაა შეტანილი ამ ტიპის ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ასიმილაციიანი, გარანტიანი, (ორას)დიფზიიანი, დისიმილაციიანი, ენერგიიანი, კალორიიანი, კომედიიანი, მალარიიანი, მანტიანი, პარტიიანი (ოთხპარტიანი, ათპარტიანი მატჩი). პენსიიანი, პრემიიანი, პრეტენზიიანი, პროდუქციიანი, სერიიანი (ორსერიიანი, სამსერიიანი, მრავალსერიიანი...), ტენდენციიანი, ტყვიიანი, ფლექსიიანი, ფუნქციიანი და სხვა.

დანარჩენი ორი სწორი მაგალითი გახლავთ **მალარიიანი** (малярийный) და **ფლექსიიანი** (флективный), რომელთაგან პირველი ვ. თოფურიასა და ს. ყაუხჩიშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ მოიძოებება, ხოლო მეორე რუსულ-ქართული ლექსიკონის სპქ. მეცნ. აკადემიის გამოცემაში (I, 1956).

მცდარად არის სადავო სიტყვები შეტანილი შემდეგს ლექსიკონებში: **არშიანი** (ქ. დათიკაშვილი), კალორიანობა (აკად. გამოც.), **მალარიანი** (ქ. დათიკაშვილი, გ. ახლელიანი და ვ. თოფურია, უნივ. გამოც. 1937, აკად. გამოც. I, 1956), **პრეტენზიანი** (претенциозный — აკად. გამოც. II, 1958) და, როგორც ალენიშნეთ, **სვიანი** (განმ. ლექს.).

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილია ის სიტყვები, რომლებიც გვხვდება ოგრეთვე განმარტებითს ლექსიკონში — არშიიანი, შავარშიანი, ღვიანი და ჭიანი (?). აქ სამართლიანად არაა შეტანილი უმართებული **სვიანი** (სვია-სვიანი), მაგრამ უსამართლოდ არის გამოტოვებული მართებული **სვიანი**.

სხვა სადავო ფორმები არც ერთ ლექსიკონში არაა შეტანილი. ყველაზე მეტად ამათი ჩვენება და სადავო ფორმებიდან სწორის დადასტურება სწორად ორთოგრაფიულ ლექსიკონს მოეთხოვებოდა, მაგრამ ამ საკითხზე წიგნი დუმილს არჩევს. სასურველია, შემდგომს გამოცემებში ჩვენმა ლექსიკონებმა ამ საკითხს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ და ამ ტიპის სიტყვები ამომწურავი სისრულით შეიტანონ, განსაკუთრებით „ქართული ენის ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა“.

ბოლოს, დაეურთავთ განხილული ტიპის მართებულ სიტყვათა არასრულ სიას. სიაში შეტანილი ყველა სიტყვა შეიძლება ერთნაირი ბუნებრიობით არ იხმარებოდეს ენაში, მაგრამ თუ გამოვიყენებთ, მხოლოდ ამ ფორმით უნდა გამოვიყენოთ.

1. ავარიიანი, 2. ავიაციიანი (შენაერთები), 3. ტაბლეარიიანი (სიმღერები), 4. [illegible] (ჯარები), 5. არშიიანი (შავარშიიანი, ყვითელარშიიანი), 6. ასიმილაციიანი, 7. ბადიიანი, 8. ბაიიანი (რტოები), 9. (ორ)ბაჭიიანი (ყურდღელი), 10. (დიდ)ბიოგრაფიიანი (მწერალი), 11. (ნელ)ბრონიიანი (ფილა, სალამი, ამინდი), 12. (რკინის) ბალიანი (მანქანები), 13. გარანტიიანი (ხელწერილი), 14. გვარდიიანი (ჯარები), 15. დარაიიანი (ქსოვილები), 16. (ორას)დივზიიანი (შენაერთები), 17. დისიმილაციიანი, 18. დუკუესიიანი, 19. დიქციიანი, 20. ეულეგიიანი, 21. ენერგიიანი, 22. ვარიიანი, 23. ვერსიიანი, 24. თეორიიანი, 25. თრიიანი, 26. თუთიიანი, 27. იიანი, 28. იდილიიანი, 29. ილუზიიანი, 30. ინვერსიიანი, 31. კალიიანი, 32. კალორიიანი, 33. კაფიიანი, 34. კერიიანი, 35. კომედიიანი, 36. კომისიიანი, 37. ლატარიიანი, 38. ლაქიიანი, 39. მაგიიანი, 40. მალარიიანი, 41. მანტიიანი, 42. მალაზიიანი, 43. მელიიანი, 44. მილიციიანი, 45. მუმიიანი, 46. ნათლიიანი, 47. ნალიიანი, 48. ნაციიანი (მრავალნაციიანი მოსახლეობა), 49. ოლიგიციიანი, 50. პარტიიანი, 51. (ორ)პაწიიანი (დედა), 52. პენსიიანი, 53. პრემიიანი, 54. პრეტენზიიანი, 55. პროდუქციიანი, 56. რეფუქციიანი, 57. რელიგიიანი, 58. სერიიანი (ორსერიიანი, მრავალსერიიანი ფილმი), 59. სესიიანი, 60. სექციიანი, 61. სვიიანი, 62. სიიანი, 63. სიმფონიიანი, 64. სოციიანი, 65. სტადიიანი, 66. **სტატიიანი**, 67. სტენოკარდიიანი, 68. სტიპენდიიანი, 69. ტენდენციიანი, 70. ტრაგედიიანი, 71. **ტუიიანი** (ტვიიანი), 72. ტყვიიანი, 73. ფალიიანი, 74. **ფერიიანი**, 75. ფლექსიიანი, 76. ფუნქციიანი, 77. ქარტიიანი, 78. ყიიანი (აკვიიანი?), 79. ზოშიიანი (ბალი), 80. ჩერიიანი, 81. ჭიიანი, 82. ხვიიანი.

მართალია, კიდევ ვიმეორებთ, ყველა ამნაირი ფორმა ყველგან ბუნებრივად შეიძლება არ იხმოდეს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტებში მათი ხმარება დაბრკოლებას არ აწყენდა. თუ ცალკე აღებული **დივზიიანი** შესაძლებელია ყურს ეხამუშოს, სამაგიეროდ ჩვეულებრივია გამოთქმები: **ორასდივზიიანი, ასდივზიიანი, ოთხმოცდივზიიანი** არმიები; ცალკე აღებული **ბაჭიიანი, სიმფონიიანი, მუმიიანი, სტატიიანი** და მსგავსი ფორმები იმდენად ბუნებრივად არ ისმის, მაგრამ სრულიად ნორმალურად გვესმის ისინი შეაფერის გამოთქმებში, როგორც მაგალითად: **ორბაჭიიანი** კურდღელი დავიჭირე, „**ვეფხისტყაოსანი**“ სიმფონიიანი გამოცემა, **გითხრებიან** დროს **მუმიიანი** სარკოფაგი აღმოაჩინეს, **ერთი** ჩემი ნაცნობის **სტატიიანი** გაზეთი მაჩვენეს და სხვა. სხვა მაგალითები უფრო ბუნებრივად ჩანს

ვითარებითბრუნვიანი გამოთქმებით, მაგალითად: განყოფილება ხხვა ბინაში გადავიდა **კომისიიანად**, ყველა **დითოვეს** უკანასკნელ **ლაქიიანად**, გადაბრუნეს ყველაფერი **კერიიანად** და სხვა.

ჰიანი, როცა იგი გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს: დაავადებული, **გაფუჭებული** (კბილი), ან: ავადმყოფი, სუსტი, **როგორც** აღნიშნული **გვქონდა, ჩვეულებრივ** ერთი ინით იხმარება (**ჰიანი** კბილი, **ჰიანი** მოხუცებული, **ჰიანი** ეაშლი), მაგრამ როცა იგი თავისი ძირითადი, **თავდაპირველი** მნიშვნელობით არის გამოყენებული და **ჰიებიანს** აღნიშნავს, მაშინ მას ორი ინი უნდა, **ისეთივე** ყველა ამ ტიპის სახელს (**ჰიიანი** კოლოფი, **ჰიიანი** მიწა...). **ამიტომ** ამ ერთი სიტყვის პირველგვარი **მნშვნელობით ხმარება** ვერ გამოდგება სხვა ნორმალური **შემთხვევების** საილუსტრაციოდ და ამ **უკანასკნელია** ერთი ინით **წერის** საფუძველად. სხვაგან ყველგან (ეჭეც ძირითად შემთხვევაში) ორი **ინის** წერა აუცილებელია. **ია-ზე** დაბოლოებული სახელების **იან** სუფიქსით ხმარება დღეს ისე სწრაფად ვრცელდება, **რომ მალარიიანი, კალორიიანი** და მსგავსი **წარმოება** სულ მალე სრულიად ნორმალური და ბუნებრივი ენობრივი მოვლენა იქნება. დღესდღეობით კი გვმართებს **შეუნელებელი** ზრუნვა გამოვიჩინოთ ზემოთ აღნიშნული ერთადერთი სწორი ფორმების დაცვისა და განმტკიცებისათვის.

სერგო თურნავა

# პარიზელი მკვლევარის ნაშრომი ირაკლი აბაშიძეზე

ირაკლი აბაშიძე თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, პოეტი ემსახურება თანამდროულობისა მნიშვნელოვან პრობლემებს, უმღერის ჩვენი ხალხის წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. მისი პოეზია გაღღენთილია სამშობლოს, ქართველი ხალხის სიყვარულით. ხალხს უყვარს ირაკლი აბაშიძის პოეზია, რადგან, იგი მისი წიაღიდან არის წარმოშობილი.

პოეტის ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია მრავალი საყურადღებო ნაშრომი, რომელთაც მკითხველი დიდი ყურადღებით კითხულობს. ირაკლი აბაშიძემ სახელი გაითქვა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ამაზე მეტყველებს პარიზელი მკვლევარის პროფ. კ. სალიას ნაშრომი „ირაკლი აბაშიძის შემოქმედება", რომელიც გამოქვეყნდა საფრანგეთის ეროვნული კვლევითი სამეცნიერო ცენტრის ჟურნალში.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. კ. სალიას ნაშრომი დაემთხვა პოეტის დაბადების 60 წლისთავს, ეს თარიღი ფართოდ აღინიშნა როგორც საქართველოში, ისე მოსკოვში.

პროფ. კ. სალია თავისი ნაშრომის პირველ ნაწილში უცხოელ მკითხველებს აცნობს ირაკლი აბაშიძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, აქ ნათლად ჩანს გარემო, სადაც დაიბადა, გაიზარდა და დაჯაჭკაცდა პოეტი. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ირაკლი აბაშიძემ თავიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება ლექსებით, რომელიც გამოირჩეოდა ორიგინალობითა და ლირიკული ინტონაციით.

პარიზელი სწავლული ამის შემდეგ გადადის 30-იანი წლების ქართული საბჭოთა პოეზიის მიმოხილვაზე. „საერთოდ, როგორც ცნობილია, — წერს პროფ. კ. სალია, — 30-იანი წლების საბჭოთა პოეზიის ვმირები იყვნენ: ფუშები, ინჟინრები, კოლმეურნეები, პარტიის მებრძოლები, საბჭოთა მუშაკები, ინტელიგენცია, რომელთაც გააჩნდათ სულიერი თვისებები, ვმირული მოქმედება, თავგანწირულება და სამშობლოსადმი თავდადება.

ჩვენ ანალიზიერ პროცესს ვამჩნევთ ქართულ საბჭოთა პოეზიაშიც. ამ დროს შეიმჩნეოდა „ორიენტაციის შეცვლა". რეალიზმისაკენ ლტოლვა ჩანს გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და სხვა ძველი თაობის პოეტების შემოქმედებაში. ალი მირცხულავა და კარლო კალაძე პირველი თაობის კომკავშირელ პოეტებს შორის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენლები არიან. მნიშვნელოვანი ძალა გაჩნდათ „მეორე თაობის" პოეტებსაც. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი და სხვანი. ირაკლი აბაშიძემ ქართულ საბჭოთა პოეზიაში შეიტანა თავისი წვლილი, თუ ამ წლებში მის მიერ დაწერილ ლექსებს გადავიკითხავთ, თვალში მოგვჭვდება მისი პოეზიის სიწმინდე, გამოთქმის სიძლიერე, გამოკვეთილი სახეები და სიტყვათა ძლიერი ტემბრი. მის პოეზიაში ფეხს იკიდებს „ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზმის ვმირი, პოეტი მოქალაქისა და ჯარისკაცის სახე".[2]

ავტორი უფრო ავითარებს ამ აზრს, აღნიშნავს, რომ ირაკლი აბაშიძის პოეზია შემდგომში

[1] Prof. K. Salia «La litterature Georgienne», Revue de Kortvélologie; vol. 26, 1969.

[2] «Revue de Kortvélologie», vol. 26, p. 87.

უფრო მრავალფეროვანი ხდება, პოეტი უფრო ფართო თემებზე წერს, იგი ლირიკული ინტიმაციებით უმღერის ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციასა და მის ბელადს, დიდ ლენინს, ხატავს ამ რევოლუციის სულისჩამდგმელის დიდ სახეს, მოგონებებში აცოცხლებს სამოქალაქო ომის წლებს.

მკვლევარი მიუთითებს, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ მოტანილი სინამდვილით ზთაგონებული ახალგაზრდა პოეტი მალე დაიმსახურებს ქართველი ხალხის დიდ სიყვარულს. ხალხს საყვარელი პოეტის ლექსები ხელიდან ხელში გადადის, ხალხი მათ ზეპირად სწავლობს. პარიზელი სწავლული სამართლიანად მიუთითებს, რომ ირაკლი აბაშიძის ლექსების თავიდანვე იპყრობდა ხალხის ყურადღებას ლირიკული სიწრფელითა და ხალხურობით, მის ლექსებში დამკვიდრებულ არის დახატული საბჭოთა ხალხის ტკივილები და სიხარული.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი ზრდის საილუსტრაციოდ მკვლევარი მოიხსენიებს პოეტის ლექსების ციკლს „ყველა სიმღერა რასმე გვაგონებს“ და მოკლედ მიმოიხილავს, ლექსებს: „კოლხიდის საგანძური“, „გადარჩენის ბალადა“, „დმანისის ქვები“, „პირველი თოვლის სიმღერა“, „ყველა სიმღერა“, „თბილისი“ და სხვ. მკვლევარს მოაქვს ერთი ადგილი ლექსიდან „თბილისი“:

**შენ ჩემს მაგიერ მტკვარს მოახსენე,**
**მორთო რომ შენკენ მოეხარება,**
**რომ შენი მიწა და სასახლენი**
**მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.**

ანალიზებს რა ამ ლექსს, პარიზელი მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოეტი ირაკლი აბაშიძე ყოველთვის ქვეყნის სადარაჯოზე დგას, თვალყურს ადევნებს სამშობლოს მაჯისცემას, მისი არსებობს, მისით სუნთქავს. ლექსში „თბილისი“ შესანიშნავად არის გადმოცემული პოეტის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი. პოეტს თბილისი ყველაზე მეტად უყვარს, თბილისსადმი სიყვარულში იგი ჯობნის მტკვარს, აპრილს, მეტეხს:

**შენს სიყვარულში აპრილს ვაჯობებ,**
**მეტეხსაც. მტკვარსაც, ჩემზე ხნიანებს.**
. . . . . .
**მზე, შენობა და მიწა მარადი,**
**შენი მე მიყვარს, შენს მოკალკეკენ,**
**არა ვით მტკვარს და აპრილს, არამედ**
**როგორც უყვარდა სამას არაგველს.**

მკვლევარი ერკლად ჩერდება „გადარჩენის ბალადაზე“, იგი აღნიშნავს, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს, თუ როგორ არის გადაჭრილი ამ ლექსში ლირიკული გმირის ბედი. ირაკლი აბაშიძე, — წერს იგი, — თავის პირველ ლექსებში ცდილობს გადაწყვეტოს პოეზიის ეს მნიშვნელოვანი პრობლემა.

„გადარჩენის ბალადა“, რომელიც 1931 წელსაა დაწერილი, ამ თვალსაზრისით ძალიან დამახასიათებელია. ეს არ არის ბალადა ამ სამდაელი მნიშვნელობით; ეკერძოდ ეს ეს ეს

საზოგადოებრივი მნიშვნელობის აზრია ჩაქსოვილი".

მკვლევარი აყენებს მნიშვნელოვან საკითხს, სახელდობრ, თუ როგორ არის გადაჭრილი პოეტის მიერ ისტორიული პეიზაჟის საკითხი. „როგორც ცნობილია, — წერს პარიზელი სწავლული, — ქართული პეიზაჟის ორგანულ ნაწილს ისტორიული სიძველეები, ძველი ტაძრების ნანგრევები და ძველი კოშკები შეადგენენ. დმანისისადმი მიძღვნილ ლექსებში ირაკლი აბაშიძე ისტორიულ სიძველეებს არ განიხილავს პატრიოტულ და ისტორიულ ასპექტში, არამედ ძველსა და ახალს ეთმანთს უდარებს. მკვდარ წარსულს ცოცხალ აწყმოს, ცარიელ ბუნებას — ცხოვრებით სავსე ბუნებას უპირისპირებს. ანალოგიური მოტივებია გადმოცემული დმანისის ციკლის სხვა ლექსებში, როგორიცაა: „დმანისის ქვები", „იქნება ნატრობენ" და სხვა... ეს უკანასკნელი ლექსი ირაკლი აბაშიძის ლირიკული პოეზიის შედევრია. ლექსი „დმანისის ქვები" მთავრდება ოპტიმისტური ტერფოფით, რაც დამახასიათებელია ირაკლი აბაშიძის პოეზიისათვის". სალილსტრაციოდ ავტორს მოაქვს ლექსი „დმანისის ქვების" ბოლო სტროფები:

**რა კარგი არის, შენ რომ აქ ხარ, სიცოცხლეს ვაშ,**
**სიყვარულს, თრთოლას, ახალ მზეს და ქვეყნიერებას,**
**სხვა არაფერი გაჩენილა ცხოვრების ფასი, სიცოცხლის ზეიმს მივაშურო, ბედნიერებას.**

პარიზელი პროფესორი ვრცლად ჩერდება ირაკლი აბაშიძის შემოქმედების დახასიათებაზე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მოაქვს ბევრი სინტერესო მასალა ომის შესახებ, რომ ამ პერიოდში პოეტის შემოქმედება მრავალფეროვანი იყო. მისი ლექსები იდგა ეპოქის მოწოდების სიმაღლეზე. „მეორე მსოფლიო ომის დროს, — წერს მკვლევარი, — ირაკლი აბაშიძე დაწერა ბევრი ლექსი, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ღრმა გრძნობებს. მათ შორის ყველაზე ცნობილია „კაპიტანი ბუხაიძე", რომელშიც გამოხატულია ხალხის გმირობა, ქართული ფოლკლორის საუკეთესო ტრადიციებიდან რომ იღებს სათავეს. ქართველ ხალხს გმირული წარსული, გმირული პოეზია რომ არ ჰქონოდა, მაშინ ეს ლექსიც ვერ დაიწერებოდა. ხალხს ამხნევებს კაპიტან ბუხაიძის გმირული ბრძოლა. კაპიტანი ბუხაიძე ამბობს:

**Le ne gis pas dans la tombe,**
**Ici je suis posté en sentinelle...**
**(მე საფლავში არა ვწევარ,**
**აქ დარაჯად დამაყენეს.)**

პროფესორი კ. სალია დიდ ადგილს უთმობს ომისფროინდელი ქართული საბჭოთა პოეზიის დახასიათებას, არა ერთგზის მიუთითებს, რომ ეს იყო წმინდა პატრიოტული პოეზია, ფენომენალური, რომ ომამდელ ქართულ სინამდვილეზიაში, განსაკუთრებით ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში, ისტორიული მოტივები იმდენადაა ასახული, რამდენადაც ეს პოეტს რეალურ ცხოვრებასთან დასაპირისპირებლად ესახრება; ძველი გმირები ამ ომისათვის არიან მოხსენებული, რომ ახალი გმირები გამოაჩინონ. „მოყლედ რომ ვთქვათ, ამ დროის პოეზიაში ისტორიულ-პატრიოტული მოტივები ნაკლებად იყო წარმოდგენილი. მაგრამ ომის წლებში საგმირო სამშვენები, ხალხის პატრიოტული გრძნობების გამოსახატავად საჭირო იყო სახელოვან წინაპრებთან ისტორიული კავშირების გაძლიერება. ამ გარემოებამ ადგილი პოეზიაში.

ირაკლი აბაშიძის ლექსი „კოლხეთის საგანძურები" მთლიანად ამ წარსულისა და აწმყოს შედარებაზეა დამყარებული", — წერს მკვლევარი.

შემდეგ პროფ. სალია გადადის ირაკლი აბაშიძის ომისშემდგომი შემოქმედების გაანალიზებაზე, იგი ჩერდება ლექსების ციკლზე: „სიმღერა მკის დროს", „ჰყავის გურია", „მონადირის ღამეები", „რუსთაველის ნაკვალევზე" და „პალესტინა, პალესტინა". მოკლედ მიმოიხილავს გურიაზე მიძღვნილ ლექსებს და წერს:

„ირაკლი აბაშიძის ომისშემდგომდროინდელი ყველა ლექსი ხალხის მშვიდობიანი შრომისადმია მიძღვნილი. აქ ვხედებით ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც აღფოროთვნებს მკითხველს. ეს ლექსები მეტყველებს პოეტის შემოქმედებით წარმატებებზე, მისი პოეტური ხელოვნების სრულყოფაზე. ბუნების პეიზაჟი აქ დიდ სიმაღლეზეა აყვანილი; სამშობლოს ყველა კუთხეში, სადაც პოეტი ყოფილა, ყველგან სიმშვენიერეს ხედავს. ირაკლი აბაშიძე საქართველოს ყველა კუთხეში ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, მისთვის ყოველი კუთხე შშობლიურია, ახლობელია და საყვარელი, იგი მზადაა იცხოვროს ყველგან". ამის საილუსტრაციოდ მკვლევარს მოაქვს სამი სტროფი ლექსიდან „აქ დავსახლდები", რომლის ფრანგული თარგმანი მასვე ეკუთვნის:

**ამიერიდან აქ დავსახლდები,**
**ჩემი ქვეყანა არის გურია,**
**სტუმარს, მოყვარეს აქვე დავხვდები,**
**მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.**

**მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ ომეარეთს:**
**გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანსა,**
**ოჭოს ბავშვობას, სიზმრებს, სიმღერებს,**
**ყრმობას, ოცნებებს, თავისუფლებას.**

**რომელ ერთს ვუთხრა, შენ მემეტები,**
**ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,**

**ეველა ტრამალი, მთები, ქედები**
**ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.**

მკვლევარი გადადის ირაკლი აბაშიძის ლექსების ბოლო ციკლის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზზე. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ მას გარჩეული აქვს ძალიან მოკლედ, მაგრამ სამაგიეროდ ვრცლად ჩერდება ბოლო ლექსების ციკლზე „პალესტინა, პალესტინა“ და აღნიშნავს, რომ დიდი დამსახურება მიეძღვნით ქართველ მეცნიერებს: აკაკი შანიძეს, გიორგი წულაიძეს და ირაკლი აბაშიძეს, რომლებმაც იერუსალიმის ჯვარის მონასტრში თავიანთი დიდი წინაპრის შოთა რუსთაველის ნაკვალევს მიაგნესო.

ავტორი ვრცლად ჩერდება ირაკლი აბაშიძის ლექსების ბოლო ციკლის „პალესტინა, პალესტინა!“ ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზზე. „ეს ნაწარმოები, — წერს იგი, დაწერილია დიდი ოსტატის მიერ მაზნებარებითა და სიზუსტით. პოეტი ღრმად წვდება ამ სიგანეებში თემას და ვისაც ნამდვილი პოეზია უყვარს, მის მიმართ ინდიფერენტული ვერ დარჩება“.

„ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ დაიწერა პალესტინის ჯვარის მონასტრის კედლების ძირში, სადაც, ლეგენდის მიხედვით, შოთა რუსთაველი გარდაცვლილა. პოეტი თხოვს თავის სახელოვან წინაპარს, აჩუქოს თავისი ფიცარი იმისათვის, რომ გაიკვლიოს ამ უკანასკნელის ცხოვრება, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრების უკანასკნელი წლები. პოეტი გადმოცემს შოთა რუსთაველის ხმას, რომელიც სიუკუნის წიაღიდან ჩვენამდე აღწევს. ირაკლი აბაშიძემ მისთვის ჩვეული პოეტური ოსტატობით მოახერხა ადამიანის, პოეტის, ბრძენის და მხურვალე პატრიოტის ფსიქრებისა და უკანასკნელი ფიქრის გადმოცემა. უბრალოდ ყოელისა, ირაკლი აბაშიძე დიდი მღელვარებითა და სიამაყით მოგვითხრობს თავის რიფულ და ძნელ ძიებაზე, ვერსად ხვდება დიდი წინაპრის ნაკვალევს. მაგრამ ახლა მას დიდი ენთუზიაზმითა და თაყვანისცემით შეუძლია თქვას:

„შენ აქ ხარ“.

ეს შესაფალი, უნდა თქვას, დაწერილია ორიგინალურად, პოეტური შთაგონებით.

წიგნში ყოველ შოთა რუსთაველის ხმა, პოეტი აქ ანგარიშს უწევს ყველაფერს და პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. ირაკლი აბაშიძემ კარგად იცის, რომ აქ ლაპარაკი არ არის შესაფალზე, ან მარტო ლირიკულ გმირზე. ამიტომაა. რომ ირაკლი აბაშიძე ფიქრებით გადადის საქართველოში და ერთ-ერთ თავს ასე ასათაურებს: „ვინ იცის, როგორ მელის ეარძიაᲨ“ და, მე ეიტყოდი, არა მხოლოდ ეს წმიდათა წმიდა ადგილი, რომელიც წარსულოა საუკუნის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული, სადაც თამარ მეფე და შოთა რუსთაველი მარგალიტებნენ, არამედ მას ელოდება ვარძიეს ხვეული ლეები, მტკვარს რომ ეკრეტენ, თამარ მეფეს ხერთველისა ციხე-სიმაგრეები, მტკვარის თავზე რომ დაფრინავენ, და ნამინდ მინდვრებში ამოსული ვარდები. ყველას უნდა ამ გაცოცხლებული ხმის მოსმენა, ყველა ელოდება, რას მოუტანს მათ პოეტი, რომელმაც მეხსიერებაში წარსული საუკუნის აჩრდილი აღადგინა. და აი, ჩვენ ვგეცნის შოთა რუსთაველის ხმა, რომლის თვითეული სიტყვას ჩვენთვის მოაქვს გულწრფელი ცნობა, აღიარება, პოეტური ენების გამოხატვა. ირაკლი აბაშიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს მნიშვნელოვანი პოეტური მოხოლოგი დიდი წარმატებით წარმოსახა. შოთა რუსთაველის ცხოვრება თვალწინ წარმოგვიდგა მთელი სიღრმითა და სიძლიერით. ყოველივე ეს ითქვა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედლების ძირში. მაგრამ ამავე დროს ხმა გაისმა თვით მონასტერში, ზეთისხილიის ბაღში, თეთრ სენაკში და მოგვიანებით მონასტრის კედლებს შორისაც...

მაგრამ ჩვენს მეხსიერებაში დიდხანს რჩება სტეყვა, რომელიც წარმოთქმული იყო ჯვარის მონასტერში მშობლიურ ენაზე. ეს იყო სიყვარულის ხმა. ყოველივე ამას გადაეკვანძონ სიყვარულის სხვა სფეროში, თანაბრად ძლიერი, ფარული და გულწრფელი რომ არის. ეს სხვაგვარი გაკვანძების სიყვარულია, იგი გახლავთ შშობლიური ქართული ენის სიყვარული, რომლის გარეშე ვერც პოეტი იარსებებს და ვერც მისი უკედავი ნაწარმოები“.

ამის შემდეგ ავტორს მთლიანად მოაქვს „ხმა კატამონთან,“ რომლის ფრანგული თარგმანი, ეკურნალის რედაქციის თხოვნით, შესანიშნავად შეუსრულებია ცნობილ მთარგმნელს სერგი წულაძეს. თარგმანში ზუსტად არის გადმოცემული ქართული პოეტის ჩანაფიქრი. აი, ერთი ადგილი ფრანგული თარგმანიდან:

„Langue georgienne,
Ô ma langue natale,
Ô gloire de mon peuple
Tu t' éléves et plantes,
Comme la plus haute
Flamme de la foi».

„ძნელია ადამიანმა იპოოოს მშობლიური ენაზე ასეთი ამაღლებული ჰიმნი, როგორიც არის კატამონთან შოთა რუსთაველის მიერ წარმოთქმული სტეყვა. ამ ჰიმნმა მთელი საქართველო აიფორიაქა და მისი გული დაიპყრო“, — დასასკვნის ჩვენეური.

შემდეგ იწყება ეპიური მომენტი, რომელიც

**ალეგრო თურნავა**
პარიზელი მკვლევარის ნაშრომი ირაკლი აბაშიძეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულად მხატვრულად არის წარმოდგენილი. დიდი ქართველი პოეტი კვდება. იგი ეთხოვება შვობლიურ მიწას. ირგვლივ ყველაფერს მხატვრული ელფერი გადაკრავს. შოთა რუსთაველის წვენი თოვლს დაუფარავს, მზის მკრთალი სხივები ზლაზვნით გადაუვლის სახეზე, ზეთისხილიან მწვანე რტოები ფარავს მის გულმკერდს.

წიგნი გახსნილია. გამაცოცხლებელი ჯვარი ადგილზეა. რუსთაველი სენაკის ჭერს გასცქერის.

ირაკლი აბაშიძემ დიდი პოეტური და ფსიქოლოგიური სიძლიერით შეძლო ამ დიდი გამოჩენილი პუმანისტის სახის დახატვა. ქართველმა პოეტმა ოსტატურად მოახერხა წარსული დროის პოეტური ალსარების გადმოცემა ჩვენს მშფოთვარე სუფეფნში, ჩვენს თანამედროვე ეპოქაში. ირაკლი აბაშიძეს რუსთაველის გარშემო მეტი რომ დარაფერი დაეწერა, მარტო „პალესტინა, პალესტინა“ იქნებოდა სავსებით საკმარისი მისი სახელის უკვდავსაყოფად“.

ავტორის ირაკლი აბაშიძის ლექსების ეს ბოლო ციკლი გარჩეული აქვს დიდი სიყვარულითა და საქმის ცოდნით. მკვლევარს კარგად აქვს გაგებული ქართველი პოეტის აზრები, მისი ლექსების ინტონაცია და მიზანდასახულება. ამ ნაშრომის შედეგად უცნოელ მკითხველი, უდავოა, ნათლად გაიგებს, რომ თანამედროვეობის ქართველმა პოეტმა ლექსების ამ ციკლში გადმოსცა შამა-პაპათა სევდა, მათი ფიქრები საქართველოს მომავალზე და აგრეთვე ახალი შეხედულებები ცხოვრებაზე.

ლექსების ციკლისათვის „პალესტინა, პალესტინა“ ირაკლი აბაშიძემ დამსახურებულად მიიღო შოთა რუსთაველის სახელობის პრემია.

პროფ. კ სალია ბოლოს აკეთებს საგულისხმო დასკვნებს, იგი ასე ახასიათებს ირაკლი აბაშიძის პოეზიას:

„ირაკლი აბაშიძე არის თავისუფალი შთაგონებისა და სრულიად ბუნებრივი ტონის პოეტი. იგი არის აკაკი წერეთლის კლასიკური პოეტური ტრადიციის ყველაზე ერთგული, და აგრეთვე თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი დიდი ფუძემდებლის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ტრადიციის გამგრძელებელი. ირაკლი აბაშიძე არის ცოცხალი თხრობის, პოეტური დიალოგის დიდი ოსტატი. იშვიათია ისეთი პოეტი, [illegible] ირაკლისავით იცოდეს ლირიკულ გმირთან ლექსის ყველა კომპონენტის დაქვემდებარება. ამიტომაა, რომ ირაკლი აბაშიძის პოეზია გამოირჩევა კრისტალური სიწმინდითა და სტილის სიცხადით“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარს ერთი ფაქტიური ხასიათის შეცდომა გაპარვია, იგი წერს, ირაკლი აბაშიძემ იერუსალიმში 1962 წელს ითმეზაურაო, სინამდვილეში პოეტმა ითმეზაურა 1960 წლის შემოდგომაზე.

პროფ. კ. სალია ეხება აგრეთვე ირაკლი აბაშიძის ლიტერატურულ წერილებს, რომლებიც პოეტს სხვადასხვა დრო ჰქონდა გამოქვეყნებული რუსულსა და ქართულ პერიოდულ პრესაში.

ნაშრომის ბოლოს ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ირაკლი აბაშიძის ორგანიზატორულ მუშაობაზე, ამბობს, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად, ხალხისა და პარტიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. შემდეგ აღნიშნავს, რომ ამკამად ირაკლი აბაშიძე არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ხელმძღვანელობს ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემის საქმეს.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, პარიზელ მკვლევარს კარგად შეუსწავლია ჩვენი სასიქადულო პოეტის შემოქმედება, კარგად იცის მისი პოეზიის არსი, აგრეთვე წაკითხული აქვს ირაკლი აბაშიძეზე დაწერილი ქართველი მეცნიერებისა და კრიტიკოსების ნაშრომები. სახელდობრ. ავტორი მიუთითებს, რომ მან ძირითადად გამოიყენა ალ. ბარამიძის, ბ. ჟღენტის, შ. რადიანის, სერგი ჭილაიას, გიორგი ლეონიძის, გიორგი მარგველაშვილის, ნიკოლოზ ტიხონოვისა და გიორგი ნატროშვილის ნაშრომები.

ნაშრომი დაწერილია საკვლევი ობიექტის კარგი ცოდნით. უდავოა, რომ იგი დაეხმარება ქართველი პოეზიის საკითხებით დაინტერესებულ უცხოელ მკითხველს. ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართველ და ფრანგ ხალხებს შორის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲘᲓᲔᲡᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲐᲨᲨ

### ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობს დევისი რეაქციონერებს გამოსტაცოს.

ნიუ-იორკის თავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტისადმი გაგზავნილ ღია წერილში ანჯელა დევისი წერდა — „რეაქცია მდევნის იმიტომ, რომ რეოლუციონერი ვარ, კომუნისტი, ვიბრძვი უსამართლობისა და თავისუფლებისათვის მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ხალხთან ერთად. სამართლიანობის, თავისუფლებისა და თანასწორფლებიანობისათვის ბრძოლაში მასები ჩვენს მხარეს არიან, მჯერა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ!“

●

ცნობილი ამერიკელი მსახიობი ჯეინ ფონდა აქტიურად იბრძვის რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკისა და ვიეტნამის ბინძური ომის წინააღმდეგ. როდესაც ჯეინ ფონდა თვითმფრინავიდან ჩამოდიოდა, პოლიციელებმა იგი დააკავეს, ხელზე ბორკილები დაადეს და „უღირსი“ საკციელისათვის ციხეში გაისტუმრეს. პატიმრობაში ფონდამ 10 საათი დაჰყო. მას დაბრალეს სახელმწიფოში ნარკოტიკების შემოტანა, სინამდვილეში კი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლები ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ დემონსტრაციებში ფონდას მონაწილეობას.

კანადაში, ერთ-ერთ დემონსტრაციაზე ფონდამ განაცხადა: „მე გავიზარდე თეთრკანიანი ამერიკელების ოჯახში და მწამდა, რომ ამერიკა დემოკრატიისათვის იბრძოდა. ახლა კი დავრწმუნდი, რაღმა უშლიან ხელს იმ ადამიანების გამოსვლებს, რომლებიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამერიკა იმ ომამლეს ჰგავს რომელიც ნელ-ნელა ოკეანის ფსკერზე იძირება“.

## ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

### ᲞᲘᲔᲡᲐ ᲑᲔᲗᲝᲕᲔᲜᲖᲔ

გამოჩენილ გერმანელ კომპოზიტორს ლიუდვიგ ბეთჰოვენს დაბადებიდან 200 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი მთელმა მსოფლიომ დიდი ზეიმით აღნიშნა. ინგლისის ტელევიზიამ მოამზადა სპეციალური ბიოგრაფიული პიესა „ბეთჰოვენი“, რომლის ავტორია იან კერტისი. პიესა ასახავს კომპოზიტორის ცხოვრებას 1792-1805 წლებში. პიესაში ბეთჰოვენის როლს ასრულებს მსახიობი მაიკლ ჯეისტონი.

## ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

●

გაზეთი „ვიე ნუოვე“ იტყობინება, რომ იტალიაში ახლახანს გამოვიდა სერგეი ესენინის ლექსების საკმაოდ მოზრდილი კრებული. კრებულისათვის ლექსები თარგმნა კურციო ფერარმა. წინასიტყვაობა დაურთო სალვატორე ქვაზიმოდომ. როგორც პრესა იტყობინება, ესენინის ნაწარმოებების ეს გამოცემა ყველა ადრე გამოცემულ კრებულებზე სრული გამოცემაა.

## ᲨᲕᲔᲪᲘᲐ

### ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

სტოკჰოლმის ნატიფი ხელოვნების ეროვნულურ მუზეუმში გაიხსნა გოგენის ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 75 მეტი ნამუშევარი — აკვარელი, ჭანდაკება, კერამიკა. მათ შორის ის საუკეთესო ნამუშევრები, რომლებიც მხატვარმა ტაიტეა და მარკეზის კუნძულებზე ცხოვრების დროს შექმნა. აგრეთვე წარმოდგენილია დიდი მხატვრული და ეთნოგრაფიული ღირებულების ის ფერცხვი საგანი, რომლებიც გოგენმა პოლინეზიაში ყოფნის დროს შეაგროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უტექსტო ხუმრობა






NEW
YORK
PARIS
LONDON
TBILISI
EREBUN
ROMA
ATHEN
VENEC



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი გააფორმა **დ. ერისთავმა.**

ტექნიკური ხელმძღვანელი **ე. აბდუშელიშვილი.**

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

**ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-35. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.**

---

გადაეცა ასაწყობად 11/X-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XII-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.
შეკვ. № 3238. უე 02266. ტირაჟი 29.526.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

0 / 25

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76256